

ფრიდრიხ ვოლფარდინი



შინეკიონი

ანუ განდებილი
საბერძნეთში

თარგმანი გერმანულიდან
და კომენტარები
კარლო ჯორჯანელით



FRIEDRICH HÖLDERLIN



HYPERION

ODER DER EREMIT
IN GRIECHENLAND

INS GEORGISCHE ÜBERTRAGEN
UND MIT KOMMENTAREN VERSEHEN
VON KARLO DSCHORDSCHANELI



საქართველოს მწიკრალთა კავშირთან არსებული მხატვრული
თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი
სარედაქციო კოლეგია

„ჰიპერიონი ანუ განდევნილი საბერძნეთში“ გერმანული კლასიკური ლიტერატურის ბრწყინვალე წარმომადგენლის — ფრიდრიჰ ჰოლდერლინის უმთავრესი ნაწარმოებია. ეპისტოლური ფორმითა და რიტმული პროზით მწერალი აგვიწერს საბერძნეთის თავისუფლებისათვის მებრძოლი და ანტიკური სამყაროს თაყვანისმცემელი ბერძენი ჰაბუკის უნატიფეს განცდებს, მის კეთილშობილ სულს, ხალას აღმაფრენას, უმანკო სიყვარულსა და სავალალო ხვედრს.

ფრიდრიხ ჰოლდერლინი და მისი რომანი „ვიჰარიონი“

მე-18 საუკუნის მიწურულისა და მე-19 საუკუნის დამდეგის გერმანელი მწერლის, ლირიკოსის, რომანისტიკისა და დრამატურგის ფრიდრიხ ჰოლდერლინის შემოქმედება არც პოეტის სიცოცხლეში და არც მისი გარდაცვალების შემდეგ არ ყოფილა ჭეროვნად დაფასებული. თითქმის ერთი საუკუნე დასჭირდა, ვიდრე აღიარებდნენ ჰოლდერლინს და მის შემოქმედებას ღირსეულად შეაფასებდნენ.

...თავდაპირველად „აღმოაჩინეს“ ჰოლდერლინი-ლირიკოსი ეს ის დრო იყო, როცა გერმანულმა ლირიკამ ახალი გზების, ახალი შესაძლებლობების ძიება დაიწყო. ძველი, ტრადიციული, მელოდიური, ბლასტიკური სილამაზის შემცველი პოეზია ჩიხში მოექცა, ფრანგული ფორმის იდეალი დაემხო, ჰაინეს ლირიკის ინერცია შესუსტდა და ჰოლდერლინისა, როგორც მაცოცხლებელ წყაროს, სწორედ მაშინ მიმართეს. ამ დროს უპირატესი მნიშვნელობა მოიპოვა გერმანული პოეზიის ელეგიურ-ჰიმნურმა ტრადიციამ, ურითმო, არა ვიზუალურ შთაბეჭდილებებზე, არამედ შინაგან ხილვებზე დამყარებულმა ლირიკამ.

ჰოლდერლინის ხელახლა „აღმოჩენა“ თუ აღორძინება, უპირველეს ყოვლისა, ნიცშეს სახელთანაა დაკავშირებული. ნიცშეს ზოგიერთ ჰიმნში აშკარად ისმის ჰოლდერლინის „ხმა“. (მაგალითად, მის ჰიმნში „სიხალისეე ოქროტურვილო, მოგვეახლე“). მაგრამ ჰოლდერლინის ნამდვილი „რენესანსი“ ჩვენი საუკუნის ათიან წლებში იწყება, როცა შტუტგან გეორგესთან დაახლოებულმა უდროოდ დაღუპულმა ნორბერტ ფონ ჰელინგრატმა მზის სინათლეზე გამოიტანა პოეტის გვიანდელი ჰიმნები და რამდენიმე ბრწყინვალე ესეი მიუძღვნა ჰოლდერლინის ლირიკას. მარტინ ჰაიდეგერი თავის კრებულში — „გზად ენისაკენ“ ამის თაობაზე წერს: „1910 წელს ნორბერტ ფონ ჰელინგრატმა... პირველად გამოაქვეყნა პინდარეს ჰოლდერლინისეული თარგმანები. 1919 წელს ამას მოჰყვა ჰოლდერლინის გვიანდელი ჰიმნების პირველი გამოცემა. ორივე ამ გამოცემამ მაშინ სტუდენტებზე ისე იმოქმედა, როგორც მიწისძვრამ“.

ჰოლდერლინის გვიანდელმა ლირიკამ უდიდესი გავლენა მოახდინა XX საუკუნის გერმანულ პოეზიაზე. ჰაიდეგერი აღნიშნავდა, რომ შტუტგან გეორგესა და რაინერ მარია რილკეს ლექსებმა (რილკეს

„ღუინური ელეგიები“) სწორედ პოლდერლინის ლირიკისაგან მიიღეს გადამწყვეტი იმპულსები.

პოლდერლინის აღორძინების ახალ ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს გერმანული ლიტერატურის ისტორიაში ექსპრესიონიზმის ბატონობის პერიოდი. ექსპრესიონიზმის უდიდესი ლირიკოსის გეორგ თრაკლის პოეზიის ერთ-ერთი სათავე უეპველად პოლდერლინის ლირიკაა.

ასევე უდავოა პოლდერლინის გავლენა მეორე მნიშვნელოვანი ექსპრესიონისტი ლირიკოსის გეორგ ჰაიმის შემოქმედებაზე. პოლდერლინს აღმერთებდა ყოფილი ექსპრესიონისტი, მოგვიანებით სოციალისტური რეალიზმის მიმდევარი, იოჰანეს რ. ბეპერი, რომლის აზრითაც, გერმანულმა ენამ თავის მწვერვალს სწორედ პოლდერლინის შემოქმედებაში მიაღწია. ბეპერი წერდა: „პოლდერლიანის ზოგიერთი ლექსი მესახება სრულქმნილ ენობრივ წარმონაქმნად, გერმანული ენის სასწაულად, ეს ლექსები ისე ჭადოსნურადაა აგებული, თითქოს ისინი ადამიანს კი არა, თავად ენას შეექმნას“.

გღრ-ის, გფრ-ისა და ავსტრიის თანამედროვე ლირიკის მთავარ პოეტურ წყაროსა და იმპულსს პოლდერლინის შემოქმედება წარმოადგენს. პოლდერლინის „რენესანსისა“ და დაგვიანებული აღიარების დაგვირგვინებლად შეიძლება მივიჩნიოთ ცნობილი თანამედროვე დრამატურგის, პეტერ ვაისის ისტორიულ-ბიოგრაფიული პიესა „პოლდერლინი“, პერმონის რადიო-პიესა „სკარდანელი“, გ. ვოლფის მოთხრობა — „საწყალი პოლდერლინი“, პერტლინგის რომანი „პოლდერლინი“.

... იოჰან კრისტიან ფრიდრიჰ პოლდერლინი დაიბადა 1770 წელს შვაბიის პატარა ქალაქ ლაუფენში მდინარე ნეკარის პირას. ფრიდრიჰის მამა, ვიურტემბერგის მონასტრის მოხელე, ვაჟის დაბადებიდან ერთი წლის თავზე გარდაიცვალა. პოლდერლინის დედა (საქსონელი პასტორის ქალიშვილი) მეორედ გათხოვილა ვინმე გოკზე, რომელიც ერთ დროს ნეკარისპირა პატარა ქალაქ ნიურტინგენის ბიურგერმაისტერი ყოფილა. რამდენიმე წლის შემდეგ ფრიდრიჰს მამინაცვალიც დაუქარგავს. პატარა ფრიდრიჰი პიეტისტურ გარემოში იზრდებოდა; ბავშვობის პიეტისტურმა გარემომ და ფემინინურმა ატმოსფერომ ზოგი რამ განაპირობებს პოლდერლინის შემოქმედებაში.

თავდაპირველად პოლდერლინი ნიურტინგენის ლათინურ სკოლაში დადიოდა, შემდეგ ქალაქ დენკენდორფის ე. წ. „დაბალ სასულიერო სემინარიაში“. მოგვიანებით პოლდერლინი მუელბრონის მონასტერთან არსებულ „მაღალ სემინარიაში“ შესულა, ბოლოს კი, მომავალ პოეტს ტიუბინგენის ერთ დროს სახელგანთქმულ თეოლოგიურ სემინარიაში გაუგრძელებია სწავლა. ამ სასწავლებელში პროტესტანტ თეოლოგებს ამზადებდნენ. სემინარიასთან საერთო საცხოვრებელიც იყო, მოსწავლეები სტიპენდიას ღებულობდნენ. პოლდერლინის

ოთახში კიდევ ორი სემინარისტი ცხოვრობდა: გეორგ ფრიდრიჰ ჰეგელი და ფრიდრიჰ ვილჰელმ შელინგი. 1790 წელს ჰოლდერლინმა ფილოსოფიის მაგისტრის წოდება მიიღო, ხოლო 1793 წელს ბოლო გამოცდა თეოლოგიაში ჩააბარა. მაგრამ რაკი მღვდლობა არ უნდოდა და არც ღვთისმეტყველის კარიერა იზიდავდა (ჰოლდერლინს ბავშვობიდანვე მღვდლად ამზადებდნენ), ამიტომ საარსებო სახსრის საშოვნელად კერძო მასწავლებლობა ამჯობინა. 1793 წელს შილერიმა იგი მასწავლებლად მოაწყო შარლოტე ფონ კალბის ოჯახში (შილერი ჰოლდერლინმა მაშინ გაიცნო, როცა „ყაჩაღების“ ავტორი შვები-აში მოგზაურობდა. შილერიმა დაიახლოვა ახალგაზრდა პოეტი, ჰოლდერლინი აღმერთებდა მას). კალბები ქალაქ ვალტერსჰაუზენში (ტიურინგიაში) ცხოვრობდნენ. 1794 წელს ფრიდრიჰი თავის აღსაზრდელთან ერთად იენაში გადადის, სადაც იმ დროს შილერიც ცხოვრობდა. უფრო ადრე ჰოლდერლინმა მაინის ფრანკფურტში ჩერ გოეთე, ხოლო მოგვიანებით, ვაიმარში ყოფნის დროს, ჰერდერი გაიცნო, მაგრამ ისინი ვერ დაახლოვდნენ, მათ შორის სიცივე, უცხოობა არასოდეს გამქრალა.

მე-18 საუკუნის 90-იანი წლების იენა კანტიანელობის ბუდე იყო, შილერი იენის უნივერსიტეტის პროფესორი და კანტის მგზნებარე მიმდევარი გახლდათ. იენაშივე იყო ფიჰტე, ერთ დროს კანტის მოწაფე, რომელმაც კავშირი გაწყვიტა კანტთან და თავისი დამოუკიდებელი სუბიექტურ-იდეალისტური ფილოსოფია შეიმუშავა, რითაც ჰოლდერლინზე დიდი გავლენა მოახდინა.

ჰოლდერლინი დროებით თავს ანებებს ჰოფმანისტერობას და იენაში განაგრძობს სწავლას. მალე იგი იენასაც ტოვებს და დედანთან ჩადის, ნიურტინგენში. 1796 წელს ჰოლდერლინი კვლავ მასწავლებლობას იწყებს, ამჯერად იგი მაინის ფრანკფურტში, ბანკირ იაკობ გონტარის ოჯახში მასწავლებლობს: აქ ჰოლდერლინი შეხვდა ქალს, ვისთან შეხვედრაც, ერთის მხრივ, კეთილისმყოფელი, მეორეს მხრივ კი, საბედისწერო გამოდგა. ჰოლდერლინს შეუყვარდა ბანკირის ცოლი, თავისი აღსაზრდელების დედა — ზუზეტე ბორკენშტაინ-გონტარისა, ნატიფი სულისა და დახვეწილი გრძნობების ქალი, რომელიც მწერალმა თავის ლირიკასა და რომანში უკვდავეყო „ლიოტიმას“ სახელით. ზუზეტეს მდიდარი ქმარი და 4 შვილი ჰყავდა, მაგრამ ოჯახური სითბო და ბედნიერება არ აკმაყოფილებდა და სულით მდიდარ ქალს, მას სულიერი მეგობარი და თანამოაზრე სჭირდებოდა. თითქმის სამი წელი გრძელდებოდა (1795-1798) მათი რომანი, მაგრამ ბოლოს ბანკირმა შეამჩნია, რომ ცოლს ეცილებოდნენ და დატაკი მასწავლებელი სახლიდან დაითხოვა.

ამ ტრაგიკულმა სიყვარულმა განსაზღვრა ჰოლდერლინის პირადი ტრაგედია, საგრძნობი გავლენა იქონია მის შემოქმედებაზე და ამასთანავე გაუმწვავა პოეტს მემკვიდრეობით მიღებული სნეულება, შიზოფრენია. ჰოლდერლინი მახლობელ ჰომბურგში ჩავიდა, სადაც

უპირობო მებრძოლი იზაკ ფონ ზინკლერი ეგულებოდა, რომელიც მფარველობდა თავის უმწეო და ბავშვით გულბრყვილო ამხანაგს; ამას გარდა, ახლო იყო ზუზეტეც და შეყვარებულები დროდადრო ხედებოდნენ ერთმანეთს (კარლ კენზელმა საინტერესოდ მოგვითხრო ამ სიყვარულის ამბავი თავის რომანში — „ბანიერი და სიყვარულის გენიები“; დაბეჭდილია აგრეთვე პოლდერლინის მიმოწერა ზუზეტესთან, რაც მსოფლიო ეპისტოლური ლიტერატურის ერთ-ერთ შედეგს წარმოადგენს).

პოლდერლინი ვერცერთი თავისი ოცნება და განზრახვა ვერ შეისრულა: უნდოდა ისეთი ეურნალის დაარსება, რომელიც ხელს შეუწყობდა „მეცნიერების ცხოვრებასთან, ხელოვნების იდეალურთან, განათლების ბუნებასთან გაერთიანებას და შერეგებას“. სურდა იენაში თავისუფალ მწერლად დაქვედრებულიყო, ანდა უნივერსიტეტში დოცენტურა მიეღო, ყველაფერში ხელი მოეცა: ისევ პოფმაისტერობა დაიწყო, ერთხანს შვეიცარიაში, სანკტ გალენის მახლობლად ჰაუპტვილში მასწავლებლობდა, რომელიც მათუდის ვაჟის ოჯახში, ბოლოს საფრანგეთში, ბორდოში გადავიდა. დიდხანს ვერ გაძლო უცხოეთში და ფიზიკურად და სულიერად გატეხილი დაბრუნდა სამშობლოში. 1802 წელს ზუზეტე გონტარი გარდაიცვალა. 1804 წელს მთლად უსახსროდ დარჩენილი პოლდერლინი ზინკლერის დახმარებით ჰომბურგში ფორმალურად ბიბლიოთეკარად იწყებს მუშაობას, ხოლო 1806 წელს მას ტიუბინგენის ფსიქიატრიულ კლინიკაში ათავსებენ. ამის შემდეგ შეშლილი, მეტწილად გარეგნულად მშვიდი, მაგრამ შინაგანად მთლად გაჩანაგებული პოლდერლინი ერთმა უბრალო ტიუბინგენელმა დურგალმა, გვარად ციმერმა შეიფარა. ზოგჯერ სიშმაგე შემოუტევედა. ჩვეულებრივ ფლეიტას უკრავდა, დურგლის სტუმრებს და საერთოდ ყველა უცნობს მოწიწებით მიმართავდა: „თქვენო უდიდებულესობაე!“ ანდა „თქვენო უწმინდესობაე!“ ათას უცნაურ სახელს ირქმევდა. 41 წელი პოლდერლინის მხოლოდ სხეული ცოცხლობდა, მისი სული დიდი ხანია ჩამქრალიყო, 1843 წელს პოეტის სხეულიც დაიშალა. ფრიდრიხ პოლდერლინი გერმანიის ერთ-ერთი უდიდესი მწერალია, რომლის მნიშვნელობა, რაც დრო გადის, მით უფრო იზრდება. ის დგას გერმანულ კლასიკასა — გოეთესა და შილერის კლასიციზმსა და ადრეულ რომანტიზმს შორის.

გოეთეს შემდეგ პოლდერლინი, ალბათ, გერმანიის ყველაზე დიდი პოეტია, უდიდესი ლირიკოსია. ლირიკოსია იგი თავისი ბუნებით, თავისი სამწერლო „ტემპერამენტით“, ლირიკოსია თავის რომანშიც და დაუმთავრებელ დრამაშიც. ლირიზმი, ლირიკულობა, ლირიკული ინტონაცია, ლირიკული სუბიექტურ-აღსარებითი ელემენტი მსკვალავს მთელს მის შემოქმედებას.

პოლდერლინის ლირიკის ძირითადი ტონალობა ელეგიური გოდებაა, რაც განსაზღვრულია რეალობასა და იდეალს შორის შეუსა-

ბამობით, გერმანულ ფეოდალურ დამყაყებულ სინამდვილესა და იდეალურ პიროვნებას შორის არსებული უფსკრულით.

დასამალი არ არის, რომ ჰოლდერლინის ლირიკა ძნელი გასაგები და აღსაქმელია, რადგან მისი ლექსების ფილოსოფიური მედიტაციების სირთულის გარდა, სიტყვათა და წინადადებათა ბუნებრივი, დაწესებული წყობა გადანაცვლებულია, გამოთქმები თავისებურად სტილიზებულია, ბევრი რამ ნაგულისხმევია, სიმბოლოები ჩახლართული და გაუმკვირვალეა, საგანთა და მოვლენათა ხედვა უაღრესად სუბიექტურია, რაც მძიმე ამოცანის წინაშე აყენებს არა მარტო მკითხველს, არამედ სპეციალისტებსაც. განსაკუთრებით ძნელად ექვემდებარება ინტერპრეტაციას საოცრად მრავალნიშნა და მრავალმნიშვნელოვანი მისი გვიანდელი ლექსები, სადაც საგანთა ქვრეტა უკიდურეს სუბიექტივიზმს ემიჯნება.

ჰოლდერლინი იწყებს მეტისმეტად პათეტიკურად, მეტისმეტად ამაღლებულად, თითქოს მიწას სწყდება, ცისკენ მიიწევს, ჰაერში ივლივებს (ამ დროს მეტისმეტად ძლიერია კლოპშტოკისა და შილერის გავლენა).

ადრეული, ტიუბინგენური ჰიმნები უაღრესად გრძობამოკარბებულია, უაღრესად „ატაცებული“, თითქოს ალტაცებისაგან სუნთქვაშეკრულია, ატორტმანებული („ჰიმნი კაცობრიობას“, „ჰიმნი მშვენიერებას“, „ჰიმნი თავისუფლებას“, „ჰიმნი მეგობრობას“, „ჰიმნი სიყვარულს“ და სხვ.). ადრეულ ჰიმნებში პოეტი ჯერ კიდევ მიმართავს რითმას, რის გამოც სათქმელი ერთგვარად იბოჰება, ილაგმება და ამიტომ იგი პოეტურ სიზუსტეს, ზედმიწევნილობას უნდა შეელოს, ამავე დროს, ეს გარემოება ცოტა „ატკბილებს“, მიზნედლის ხდის ტექსტს, პათოსი ნაპირებზე გადმოდის. შემდეგ თანდათან პათოსი ცხრება, პოეტური ხატები კონკრეტული ხდებიან, რიტმი იძენს გადამწყვეტ მნიშვნელობას, რითმა ქრება, რიტმიცვალბადობს და ვარირებს. მოწიფული პოეტის სიმბოლურ-მეტაფორული ლირიკა პოეტურ და ენობრივ, აგრეთვე აზრისა და მისი გამოთქმის ზედმიწევნილობის სასწაულებს ახდენს.

როგორც არაერთხელ აღუნიშნავთ, ჰოლდერლინის მიერ გამოყენებული თითქოსდა მკვდარი ბერძნული ლექსთწყობა და ბერძნული პოეტური ფორმები (ოდები, ჰიმნები, ელეგიები) მის ხელში ცოცხლდებიან, ახალ ელვარებას, ახალ პეწს იძენენ; თითქოსდა უცხო ენობრივი ქსოვილი, უცხო ენობრივი „სხეული“ ახალი შუქით ნათდება. მართებულად წერენ, რომ გერმანული ენა იჭრება ძველ ბერძნულ ფორმაში და წარმოიქმნება ახალი ელვარება, ერთმანეთს ერწყმის ანტიკურობა და გერმანული მენტალობა. ლიტერატურის ერთი ისტორიკოსი ჰოლდერლინის შემოქმედების საუკეთესო ინტერპრეტაციად მიიჩნევს შემდეგ სიტყვებს: „როცა გონი მთლად ენადაა ქცეული“ — ეს არის ჰოლდერლინის გვიანდელი სამყაროს კვინტესენციალუ როგორც აღნიშნავენ, ჰოლდერლინის შემოქმედე-

ბაში, განსაკუთრებით მის ლირიკაში, მიღწეულია მაქსიმალური იდენტურობა ყოფიერებასა და სიტყვას შორის.

საგანგებო თემას წარმოადგენს პოლდერლინი და ძველი საბერძნეთი, ელადა. ეს თემა პოლდერლინის მთელს შემოქმედებას გასდევს. მის ლირიკაშიც დიდი ადგილი უკავია ანტიკურობას, ელადის სევილიან ნატერას. პოლდერლინის სული ეხუთებოდა თავის თანადროულ ფეოდალურ გერმანიაში, რომელშიაც პროვინციული, ფილისტერული სული იყო გაბატონებული: თანადროულ უზადრუკ გერმანიას იგი ძველ საბერძნეთს უპირისპირებდა, ელადის საზოგადოებრივი წყობა მას იდეალურ საზოგადოებრივ ფორმაციად მიაჩნდა. პოლდერლინი, ცხადია, ელადის იდეალურ, იდეალიზებულ სურათს გვიხატავდა, ძველი საბერძნეთი მას კეთილშობილი მშვენიერების სავანედ და მიწიერ სამოთხედ ესახებოდა, პოეტს სურდა ცხოვრების ანტიკური სიდიადისა და ღირსების აღდგენა, ახალი სულიერი ბერძნობის აღორძინება (ელეგეები — „საბერძნეთი“, „ბედისწერა“, „არქიპელაგი“, „სოკრატე და ალკიბიადე“).

პოლდერლინის უწოდებენ ამ ეპოქის ერთადერთ ნამდვილ ბერძენს. ის, ალბათ, ერთდერთი იყო ამ დროს, როგორც ეს არაერთხელ აღნიშნულა, რომლის ანტიკურობისა და ბერძნული სამყაროსადმი მიმართება არ ყოფილა მხოლოდ განმანათლებლურ-შემეცნებითი ელემენტი, ეს იყო მისი ბუნება, მისი ორგანული ნაწილი, რაც ცხადყო კიდევ რომანო გუარდინიმ თავის მონოგრაფიაში პოლდერლინზე.

მეორე მნიშვნელოვანი თემა, რაც აგრეთვე საგანგებო განხილვას მოითხოვს, არის პოლდერლინი და საფრანგეთის რევოლუცია: აქაც მას ერთგვარად გამოჩაყლის ადგილი უკავია ამ ეპოქის გერმანელ მწერალთა და მოაზროვნეთა შორის. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იყო პოლდერლინი, როცა იგი ჰეგელთან და შელინგთან ერთად აღტაცებული მიესალმა საფრანგეთის რევოლუციას. რევოლუციასზე პოეტს არც შემდეგ გასტეხია გული, როგორც ეს გერმანელ მწერალთა უმეტესობას დაემართა. მის შემოქმედებაზე რევოლუციის იდეები გამანაყოფიერებელ, კეთილისმყოფელ შემოქმედებას ახდენდნენ მუდამ. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ, როგორც სამართლიანადაა აღნიშნული, პოლდერლინის თავისებურად ესმოდა რევოლუციის დანიშნულება და მისი შედეგები. მას ეგონა, რომ რევოლუცია ფეოდალური რეჟიმის განადგურებით დაამყარებდა დაახლოებით პირველყოფილ, ერთგვარ პატრიარქალურ საზოგადოებას, რომელშიც აღამიანებს უშუალო კავშირი ექნებოდათ ბუნებასთან და ისინიც ჰარმონიულად, უნივერსალურად განვითარდებოდნენ. ეს იყო პოლდერლინის რუსოიზმი (საერთოდ, პოეტი რუსოს დიდ გავლენას განიცდიდა).

პოლდერლინის ლექსებში, როგორც აღნიშნავენ, ძირითადად გამოსახულია მისი მშობლიური, შვაბური, საპხრეთ-დასავლური გერმა-

ნული ლანდშაფტი. მისი პეიზაჟური ლირიკა ცოცხალ განცდას და კონკრეტულ ობიექტებს ეყრდნობა, მაგრამ ბუნების კონკრეტულ სურათი ყოველთვის სიმბოლურ შინაარსს იძენს ხოლმე, სიმბოლოდ ზოგადდება და ფართო და ღრმა სულიერ-ფილოსოფიურ კონტექსტზე მიანიშნებს ხოლმე („მუხები“, „მზის ჩასვლა“, „ნეკარი“, „რაინი“, „ჰაიდელბერგი“, „შტუტგარტი“ და სხვ).

ჰოლდერლინის ლირიკაში, განსაკუთრებით ადრეულ ლირიკაში, ძლიერია აგრეთვე „შტურმ უნდ ღრანგის“ ყაიღის შილერისებური და შუბარტისებური ანტიტირანული ჯანყი (სიყმაწვილეში ჰოლდერლინი თავყანს სცემდა „შტურმ უნდ ღრანგის“ დემოკრატიულ-პლებურ ლირიკოსსა და პუბლიცისტს კრისტიან ფრიდრიჰ დანიელ შუბარტს, რომელიც „შტურმერებსა“ და „ღრანგერებს“ შორის, ალბათ, ყველაზე რადიკალური მემამოხე იყო; ჰოლდერლინის ბიოგრაფიაში საგანგებოდ და ხაზგასმითაა აღნიშნული მისი შუბარტთან პირველი სტუმრობის თარიღი — 1789, როგორც მისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი). ჰოლდერლინი ოცნებობდა დემოკრატიულ, ფეოდალური ტირანიისაგან თავისუფალ სამშობლოზე, მას მომავალში გადაჰქონდა პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების რადიკალური გარდაქმნის თავისი ნატვრა: „მე მიყვარს მომავალ საუკუნეთა მოდგმა, რადგან ჩემი უნეტარესი იმედი, რწმენა, რაც მამაგრებს და მასულდგმულებს, ის არის, რომ ჩვენი შვილიშვილები ჩვენზე უკეთესები იქნებიან. თავისუფლება ერთხელაც იქნება დადგება და სათნობა უკეთ იხეირებს თავისუფლების წმიდა და დამათბობელ სინათლეში, ვიდრე დესპოტიზმის ყინულივით ცივ ზონაში“ (ჰოლდერლინი). ჰოლდერლინის იდეალი იყო ცალკეული პიროვნების ჰარმონიული განვითარება, ადამიანის ყველა ძალისა და შესაძლებლობის თანაბარი, ყოველმხრივი გაშლა-გამოვლენა, ცალმხრივობის, „სპეციალიზაციის“, მონო-იდიოტიზმის დაძლევა. პოეტის აზრით, ყველა უბედურების წყარო ის არის, რომ ადამიანი მოწყდა ბუნებას, დაკარგა ბუნებასთან უშუალო კავშირი, ადამიანმა უნდა აღიდგინოს ბუნებასთან „ინტიმური“ ურთიერთობა, ადამიანები ბუნების შვილები, ბუნებაც ნაწილი უნდა იყვნენ, როგორც ბიცი იყვნენ, ჰოლდერლინის აზრით, ძველი ბერძნები.

ჰოლდერლინის პოეზიაში ვხვდებით სიყვარულის თემსაც. მართალია, ამ თემის სათავე და იმპულსი იყო კონკრეტული ქალი, ზუზეტე გონტარი (დიოტიმა) და ეს ქალი იყო პოეტის პირველი და უკანასკნელი ნამდვილი სიყვარული, მაგრამ ჰოლდერლინის სასიყვარულო ლირიკა არ არის ჩვეულებრივი სატრფიალო პოეზია, იგი არამარტო სექსუალურ და ეროტიულ ნოტებსაა მოკლებული, არამედ ტრფიალების ობიექტის კონკრეტულ ნიშნებსაც. ამ ლექსების რთული სიმბოლიკა და მეტაფორიკა გამორიცხავს გრძნობადობის ელემენტს — ეს არის ამალღებული, „ზეციური“, ფიზიოლოგიისაგან აბსოლუტურად დაწმენდილი ეროსი — ამ სიტყვის ფართო

ზოგადი გაგებით („ლიოტიმა“, „მენონის გოდება ლიოტიმას გამო“ და სხვ.):

„გვიანდელ ლირიკას მიეკუთვნება გერმანული და მსოფლიო პოეზიის ისეთი შედეგები (ზოგიერთი ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ სხვა კონტექსტში), როგორცაა „ჩაიდლებერგი“, „სამშობლოში დაბრუნება“, „არქიპელაგი“, „შტუტგარტი“, „პური და ლვინო“, „რაინი“, „პატმოსი“, „განიმედე“ და სხვა. ამ ბრწყინვალე ლექსებს გვერდში უყენებენ მხოლოდ XX ს. გამოქვეყნებულ და მარტინ ჰაიდეგერის მიერ საგანგებოდ ინტერპრეტირებულ ჰიმნს — „თითქოს სადღესასწაულო ღღეს“, აგრეთვე „გერმანეთს“, „მშვიდობის ზვიმს“. ყველა ეს ლექსი, ნორბერტ ფონ ჰელინგრაატის თქმით, არის „პოლდერლინის შემოქმედების გული, ბირთვი და მწვერვალი“. მათში გამოხატულია პოეტის ნატვრა ამქვეყნად ღვთაებრიობის კვლავ დაბრუნებისა, აწმყოს ღამეში ღვთის დღის დადგომისა. პოლდერლინს სურს ახალი საბერძნეთის დაფუძნება, რომელიც უნდა შვას „ქალწულმა გერმანეთმა“, პოეტის გვიანდელ ლირიკას მიეკუთვნება გერმანული და მსოფლიო ლირიკის მარგალიტი „სიციოცხლის ნახევარი“. რასაკვირველია, ქვემოთ მოყვანილი თარგმანი შორეულადაც ვერ გადმოსცემს ღვთის მშვენიერებას, მის ენით გამოუთქმელ უთარგმნელ მიმზიდველობას, მის ფარულ, მაგრამ ღრმა კავშირს, მაგრამ წინასიტყვაობის ავტორი კადნიერდება და მკითხველს ღვთის მკრთალ ანარეკლად, ოდნავ მიმსგავსებულ ბუნდოვან აჩრდილად აწვდის თავის ცდას, რათა მკითხველმა უშორეულესი წარმოდგენა მაინც შეიქმნას პოლდერლინის ლირიკის თავისებურებებზე:

გადაკიდულა ხმელეთი ტბაზე

ყვითელი მსხლეებით,

ველურ ვარდებით,

სათნო გედებო, —

კოცნა-ამბორით დამაშვრალეზო,

თავეები ყრუდ რომ ჩაგვიკლიათ

ამ წმიდა ფხიზელ წყლის სტიქიონში,

ვაჰმე, სად ვპოვო,

როს დადგება სიცივე ზამთრის,

ყვავილები და

ნათება მზისა,

ამ დედამიწის გრძნული ჩრდილი?

ხავსმოდებული გალაენები დგანან უჩუმრად

და აფქიოთა

ელარუნი ისმის ქარში, ავდარში...

... პოლდერლინის გარდაცვალების შემდეგ მის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში იპოვეს დაუმთავრებელი დრამა — „ემპედოკლეს

სიკვდილი“ და პოეტის სიკვდილის 100 წლისთავზე ჰაინც ჰილპერტმა პირველად წარმოადგინა იგი ბერლინის ცნობილ „გერმანულ თეატრში“. როგორც სამართლიანადაა აღნიშნული, ეს დრამა ფაქტიურად ერთ გრძელ ლირიკულ მონოლოგს ანდა დრამატიზებულ ლირიკულ ჰიმნს წარმოადგენს და ეს ლირიკულ-სიმბოლური დრამატული ფრაგმენტი მეტ-ნაკლებად უახლოვდება ე. წ. „სულის დრამას“, რაც მოქმედებით ღარიბია და სადაც ვრცელი მონოლოგები არღვევენ დიალოგურ ფორმას („სულის დრამებია“ გოეთეს „იფიგენია“, „ტასო“ და სხვ.). თავდაპირველად პოლდერლინის განზრახვა ჰქონდა დაეწერა დრამა „სოკრატეს სიკვდილი“, მაგრამ შემდეგ სოკრატე ემპედოკლეთი შეუცვლია. ემპედოკლე იყო ბერძენი ფილოსოფოსი (დაიბადა დაახლოებით 490 წ. ჩვენს ერამდე, გარდაიცვალა დაახლოებით 430 წ.), იყო ამავე დროს ექიმი, სახელმწიფო მოღვაწე და ქურუმი. ემპედოკლეს ფილოსოფიის მიხედვით, ყველაფერი ამქვეყნად მუდმივ ქმნადობას და შემდეგ მოსპობას განიცდის. ეს ქვეყანა შექმნილია 4 ელემენტის (ეცხლი, წყალი, ჰაერი და მიწა) შეერთებითა და დაცილებით. არისტოკრატული ჩამომავლობის მიუხედავად, იგი მონაწილეობდა აკრაგანტში, სიცილიის ერთ-ერთ ბერძნულ ახალშენში არისტოკრატული მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულებაში. მოწინააღმდეგეებს ემპედოკლე გაუძევებიათ სამშობლოდან. ემპედოკლეზე მრავალი ლეგენდა არსებობს. ერთ-ერთი მათგანის მიხედვით, იგი ვულკან ეტნას კრატერში ჩახტა და თავი მოიკლა. ამ ლეგენდას დაეყრდნო პოლდერლინი. ჩვენამდე მოღწეულია პოლდერლინის დრამატული ფრაგმენტის 3 რედაქცია. პიესის დაუსრულებლობის, ფრაგმენტულობის გამო ნაწარმოების ინტერპრეტაცია გაძნელებულია, მისი პრობლემატიკა მთლად ნათელი არ არის. დრამის იდეური შინაარსის ზოგიერთი ასპექტი ასე შეიძლება მოიხაზოს: აკრაგანტის მმართველ დემოკრატ, ხალხში უაღრესად პოპულარულ ემპედოკლეს გულზვიადობის, მზვობრობის ცოდვა შეიპყრობს; დიდება, გონებრივი უპირატესობა თავს ღმერთების ტოლად წარმოადგენინებს და ბუნებისაგან მოწყვეტს. ემპედოკლე თავს ბუნებაზე მაღლა დააყენებს. ეს ინდივიდუალიზმი და ეგოცენტრიზმი, რაც ადამიანს საზოგადოებისა და ბუნებისაგან წყვეტს, პოლდერლინის აზრით, უმძიმესი დანაშაულია, და ტრაგიკულ შედეგს იწვევს. ფაქტიურად ეს ანტიკურ სამოსელში გახვეული პოლდერლინის თანადროული პრობლემაა, რაც თანდათან სოციალური ატომიზმის, ადამიანთა ტრაგიკული განმარტოების იერს იძენს.

ემპედოკლე შეიგნებს თავის დანაშაულს და სჯის საკუთარ თავს. იგი ეტნის გავარჯარებულ ლავაში ჩახტება და იღუპება, ამით ის ერწყმის ბუნებას, კვლავ უბრუნდება ბუნების წიაღს, კვლავ ადადგენს ადამიანისა და ბუნების ერთიანობას. ეს, ასე ვთქვათ, ნაწარმოების იდეური შინაარსის ფილოსოფიური ასპექტია,

ემპედოკლეს მთავარი მოწინააღმდეგეა ქურუმი ჰერმოკრატე, რომელიც ძველის, არსებულის შენახვა-შენარჩუნებას, ე. ი. კონსერვატიულ პრინციპს განასახიერებს. ის სარგებლობს ემპედოკლეს ნაკლით (ხალხზე მალა რომ აყენებს თავს), ხალხს აქეზებს მის წინააღმდეგ და ემპედოკლეს ქალაქიდან აძევებს. ემპედოკლე თავის მონებს ათავისუფლებს და ექსორიაში მიდის. მას გადაწყვეტილი აქვს ვულკან ეტნაში ჩაიძიროს. აკრაგანტის მოსახლეობა მოინანიებს შეცოდებას ემპედოკლეს წინაშე და თხოვს ყოფილ მმართველს დაიდგას მეფის გვირგვინი. ემპედოკლე უარზეა, „მეფეთა ჟამი გავიდა“, ამიერიდან ხალხს უნდა ეკუთვნოდეს სახელმწიფო გამგებლობა. ჰოლდერლინი ემპედოკლეს პირით გამოთქვამს თავის სოციალურ-პოლიტიკურ მრწამსს. ის ლაპარაკობს „ახალ ცხოვრებაზე“, რომელიც დამყარებული იქნება სწორ, სამართლიან წყობაზე, როდესაც „თავისუფალი ხალხი სტუმართმოყვარულად... დღესასწაულზე“ ეპატივება სტუმრებს. ჰოლდერლინის ეს ვიზიონი ჰკავს გოეთეს „ფაუსტის“ II ნაწილის ბოლოში დახატულ სოციალურ უტოპიას. ეს არის დრამის სოციალურ-პოლიტიკური ასპექტი.

ჰოლდერლინის ერთადერთი რომანია „ჰიპერიონი ანუ განდგილი საბერძნეთში“. ეს არის პირველი პირით მოთხრობილი ლირიკული, წერილების ფორმით დაწერილი ელემენტარ-აღსარებითი ტონალობის მქონე ე. წ. „ალზრდის“ ანდა „სულის რომანი“. „სულის რომანი“ ისეთი ინტროსპექტული, შიგნით მიმართული ფორმაა რომანისა, რომელიც გარეგან პროცესთა და ვითარებათა ნაცვლად გამოსახავს სულიერ ცხოვრებასა და გულის კონფლიქტებს, ასეთი რომანი ხშირად იყენებს პირველ პირს, წერილების ან დღიურების ფორმას. „სულის რომანის“ კლასიკური მაგალითია გოეთეს „ვერთერი“ (გერო ფონ ვილჰერტი „ლიტერატურის საგნობრივი ლექსიკონი“). „ჰიპერიონი“, ისევე როგორც საერთოდ გერმანული რომანი, „განვითარების რომანია“ (ანდა „ალზრდის“ თუ „ჩამოყალიბების რომანი“). რომანის პოეტიკაში „განვითარების რომანი“ ეწოდება ისეთ ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ, სულიერ-ინტელექტუალურ ანდა „იდეების“ თუ „იდეოლოგიურ“ რომანს, რომლის ცენტრში მოქცეულია ერთი პიროვნების, ერთი ინდივიდუუმის სულიერ-მორალური, მსოფლმხედველობრივი განვითარების, ალზრდის, მისი ჩამოყალიბების მრავალფაზიანი პროცესის ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გამოსახვა ბავშვობიდან მოწიფულობამდე (ზოგჯერ სიცოცხლის ბოლომდე). ეს წარმოადგენს რომანის წინა და მთავარ პლანსაც. რომანის უკანა პლანს (თავისებურ ფონს) ქმნის სოციალური კავშირ-ურთიერთობანი, პოლიტიკური და ეკონომიური ინსტიტუტები და ა. შ.

„განვითარების რომანი“ (მისი სახესხვაობანია „ალზრდის რომანი“ და „ჩამოყალიბების რომანი“) გიაკვეულად უპირისპირდება

„სოციალურ-პანორამულ რომანს“, რომელშიაც წინა პლანზე წამოწეულია რთული სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიური და ი. შ. პროცესების ასახვა, რითაც განპირობებულია ცალკეულ ადამიანთა (პერსონაჟთა) ბედი, ე. ი. აქ პირველადია სოციალური კავშირ-ურთიერთობანი, ხოლო მეორადია ცალკეულ ადამიანთა ბედი.

ფრანგული, ინგლისური, რამდენადმე რუსული (დოსტოევსკის განსაკუთრებული და გამოჩაყლისი ადგილი უქირავს. იხ. მ. ბახტინის გამოკვლევა „დოსტოევსკის პოეტიკის პრობლემები“) რომანისაგან განსხვავებით, რომელთა გაერთიანება შეიძლება „სოციალური“ ანდა „სოციალურ-პანორამული რომანის“ რუბრიკის ქვეშ, რადგან ესენი არსებითად და უმთავრესად რომელიმე ეპოქისა თუ პერიოდის სოციალურ (აგრეთვე პოლიტიკურ-ეკონომიურ და ი. შ.) პანორამას გვიხატავენ, გერმანული რომანი ტრადიციულად „განვითარების“ („აღზრდის“ ანდა „ჩამოყალიბების“) რომანს წარმოადგენდა (ვოლფრამ ფონ ეშენბახის „პარციფალი“, ვილანდის „აგათონი“, გოეთეს „ვილჰელმ მაისტერი“, ჟან პაულის „ტიტანი“ და „სიყმაწვილის წლები“, გ. კელერის „მწვეანე ჰაინრიხი“ და სხვ.). ილსანიშნავია, რომ XX ს. გერმანული რომანი (იგულისხმება ტონის მომცემი, წამყვანი, მომავლის მქონე ტენდენციის გამომსახველი რომანი) მოდიფიცირებულად „განვითარების რომანის“ ხაზს აგრძელებს (თომას მანი, ჰერმან ჰესე და სხვ.). ერვინ შტრიტმატერი პიკარესკული, ნაწილობრივ, „სოციალურ-პანორამული“ რომანისა და „განვითარების“ რომანის თავისებურ სინთეზს ახდენს. ჰაინრიჰ მანი რამდენადმე გამოჩაყლისა. იგი გერმანულ ლიტერატურაში ნერგავს „სოციალურ-პანორამული“ რომანის ტრადიციებს, ე. ი. აგრძელებს „ფრანგულ“ ხაზს. გფრ-ის ლიტერატურაში შეიმჩნევა პროზისა და რომანისტიკის ერთი ნაკადი, რომელმაც „განვითარების რომანის“ პარადიზისა და დეფორმაციის სახე მიიღო, (მაგალითად, გიუნტერ გრასის „თუნუქის დოლი“.)

„ჰიპერიონი“ ორი ტომისაგან შედგება (I ტომი გამოქვეყნდა 1797 წელს, II—1799 წელს. თითოეული ტომი კი ორ წიგნად იყოფა, ყოველი ტომი ზუსტად 30 წელს მოიცავს). მე-18 საუკუნის ბერძენი ჰაბუკი ჰიპერიონი (ჰიპერიონი ბერძნულ მითოლოგიაში მზის ღმერთის ერთ-ერთი სახელია) წერილებს წყერს თავის გერმანულ მეგობარს, ბელარმინს, რომელიც გერმანიაში მოგზაურობისას გაუცვნია. ამ წერილებში ჰიპერიონი მოგვითხრობს თავის ცხოვრებას, ბიოგრაფიას. წერილთა შორის ვხვდებით აგრეთვე ბარათებს ჰიპერიონის შეყვარებულისადმი — დიოტიმასადმი (ღი დიოტიმას პასუხებსაც). წერილები დაწერილია რიტმიზებული პროზით. მათი სტილი მუსიკალურია, მელოდორი, ამაღლებული და დითირამბულად პათეტიკური. თხრობის ეს პერსპექტივა (წერილებ-

ბის ფორმა) შესაძლებლობას აძლევს ავტორს თავისუფლად გაშალოს ემოციურად შეფერილი რეფლექსიები, განსჯები, მედიტაციები, დიალოგები და მონოლოგები.

ნაწარმოები, რომელთანაც ყველაზე ახლოს დგას „ჰიპერიონი“, ალბათ, გოეთეს „ვერთერია“, „ვერთერიც“ წერილების ფორმით, პირველი პირით დაწერილი ლირიკული რომანია. მასაც მსკვალავს ელეგიურობა, მელანქოლიურობა, დითირამბული პათეტიკა; აქაც გრძნობა, მგრძნობელობა, ანტირაციონალიზმია წინა პლანზე წამოწეული, აქაც პომეროს-ოსიან-რუსოს ხაზია წამყვანი. პროტესტის, ამბოხების ყაიდაც თითქოს ანალოგიურია.

ამ ორ რომანს ერთმანეთთან ანათესავენს არა მარტო ფორმა (წერილები), არა მხოლოდ ელეგიურ-მელანქოლიური ტონი, ლირიკული ინტონაცია და ა. შ., არამედ მთავარი გმირების ხასიათიც (ქარაქტეროლოგიური მსგავსება), „ჰიპერიონში“ ვხვდებით არაერთ შეგნებულ, არაორჭოფულ რემინისცენციას და ალუზიას „ვერთერიდან“: ასე, მაგალითად, დიოტიმას შედარება უფროს დასთან, რომელსაც მისი საყვარელი პატარები გარს ეხვევიან და თვითეული მათგანის თხოვნა, მეც მომაქციე ყურადღებაო, ძალიან ჰგავს „ვერთერის“ სცენას, სადაც ვერთერთან პირველად შეხვედრისას უმცროსი დაძმებით გარშემორტყმული ლოტე აპურებს პაწიებს.

„ჰიპერიონი“ არის არა გარეგანი ცხოვრების ამბავი, ისტორია, თავგადასავალი, არამედ სულის, ფსიქიკის, განცდების, გრძნობების, აზრების, სულისკვეთების, მსოფლმხედველობის ისტორია. გარეგნულად თითქმის არაფერი ხდება, სამაგიეროდ ყველაფერი ხდება სულის, აზრების, ფიქრების სფეროში. მოქმედება, ფაბულა, სიუჟეტი აქ მინიმუმამდეა დაყვანილი. ე. ი. თხრობითი ელემენტი შემეცირებულია და სიმძიმის ცენტრი გადატანილია მსჯელობასა და განსჯაზე, ე. ი. ესეიზმზე, აგრეთვე დიალოგებსა და მონოლოგებზე. საუბარს, დიალოგს, განსჯასთან ერთად, მთავარი ადგილი უკავია რომანში, რაც გერმანულ ტრადიციას წარმოადგენს და რაც დასაბამს იღებს ჯერ კიდევ ჰარტმან ფონ აუეს, ვოლფრამ ფონ ეშენბახის და სხვა შუასაუკუნეების გერმანელ მწერალთა შემოქმედებაში (ეს ტრადიცია გამდიდრებული, გაღრმავებული და აგრეთვე მოდიფიცირებული სახით გრძელდება XX საუკუნის გერმანულენოვან რომანისტიკაშიც — თომას მანი, ჰერმან ჰესე, რობერტ მუზილი, ჰერმან ბროხი და სხვ.)

„ჰიპერიონის“ მოქმედება ხდება მე-18 საუკუნის საბერძნეთში, მაგრამ რომანში დახატული საბერძნეთი არ არის რეალური საბერძნეთი. ხშირ შემთხვევაში იგულისხმება გერმანია, მაგრამ მწერლის მიერ მოქმედების ადგილად, თუნდაც ფორმალურად, საბერძნეთის არჩევა სრულებითაც არ არის შემთხვევითი. ზემოთ უკვე ითქვა, რომ პოლდერლინი თავის პოზიტიურ იდეალებს ძველ

საბერძნეთს, ვლადას უკავშირებდა. საერთოდ ბერძნული სამყარო, ბერძნული გარემო, ბერძნული ლანდშაფტიც კი პოეტს თავის სათაყვანო ვლადასთან აასლოვებდა.

მოქმედების ქარგას ქმნის ბერძნების აჯანყება თურქი დამპყრობლების წისარამდე 1770 წელს. პიპრონი ბერძენი ქაბუცია, რ.ომელიც თანამემამულეებთან ერთად იბრძვის ეროვნული თავისუფლებისათვის.

პოლდერლინის სურვილია, უფრო ოცნებაა, თანადროული გერმანია გარდაქმნას ანტიკური იდეალის მიხედვით.

პიპერიონის სურვილი და ოცნებაა დააბრუნოს ოქროს ხანა, ალადგანოს ძველი საბერძნეთი, სადაც ადამიანი და ბუნება ერთიანობას ქმნიდნენ.

პიპერიონი, როგორც არაერთხელ აღნიშნულა ლიტერატურაში, ნაწილობრივ თვით პოლდერლინის ავტობიოგრაფია. მის მიერ რომანში ნაქაჯაგევი აზრები თვით პოლდერლინის აზრებია.

რომანში მწვავედაა სავრძნობი და უარყოფილი ადამიანის ბუნებისაგან მოწყვეტა, ადამიანის მიერ კავშირის დაკარგვა ყოვლადობასთან, მთელ სამყაროსთან, ადამიანის გაცალმხრივება, მთლიანობის გაქრობა. უარყოფილია ფიზიკური რაციონალიზმი, ბუნებას მოწყობილი ნეცნიერებანი, უკეთ, ადამიანისაგან მოწყვეტილი ბუნების მეცნიერებანი, რომელნიც ადამიანს კიდევ უფრო აშორებენ ბუნებას. პოლდერლინი (პიპერიონი) ერთმანეთს უპირისპირებს მშრალ გონებასა და ცოცხლ გრძნობას, მხოხავ ემპირიზმსა და ფრაიან მეოცნებობას.

პიპერიონს სურს თავისი სიცოცხლე თავისუფლებისა და მშვენიერების სამსახურში გალიოს, მგრამ იგი ყველგან მარცხს განიცდის. სამშობლოს ხსნა უნდა მონობისაგან, მაგრამ ბერძენთა ჭარი მძარცველთა და ყაჩაღთა ბრბოდ იქცევა — როგორც ირკვევა, მისი ვრი ჭერ კიდევ არ იყო მოწიფებული თავისუფლებისათვის. უკვდება სულზე უტკბესი დიოტიმა. საბოლოოდ ყველაფერზე გულგატეხილი პიპერიონი ბუნებას, ბუნების წიაღს მიამოყრდნობს, იწყებს ცხოვრებას განდევლივით (აქედან — რომანის ქვესათაური „განდევილი საბერძნეთში“), შეუბნის ბუნებასთან სიახლოვესა და კავშირში პოელობს. პიპერიონი სუველილსაც კი ისე განიხილავს როგორც „ბუნებასთან კვლავ შერაიკას“.

რომანში მძაფრადაა გაკრიტიკებული პოლდერლინის თანადროული გერმანია, გერმანული სანამდილე. გერმანიის დაქუცმაცებულობა პატარ-პატარა სპოაზროვბად; პიპერიონი (პოლდერლინი) იმდროინდელ გერმანელებს ასე ახასიათებს: „ვერ წარმომიდგენია ისეთი ხალხი, რომელიც გერმანელებზე უფრო დაქუცმაცებული იქნებოდა. ხელოსნებს ხედავ, მაგრამ ადამიანებს ვერა; ხედავ შოაზროვნეებს, მაგრამ ადამიანებს ვერა; ხედავ მკვლელმსახურებს, მაგრამ ადამიანებს ვერა; ხედავ ბატონებსა და ყმებს, ბიქ-

ბუქებსა და დარბაისელ ხალხს, მაგრამ ადამიანებს ვერა. განა ეს ბრძოლის ველს არა ჰგავს, სადაც ხელ-ფეხი და სხეულის სხვა ნაწილები დასახინრებული და ერთმანეთში ალუფხული ყრია, ხოლო დაღერილი ცხოველმყოფელი სისხლი ქვიშაში იწრიტება?" აქ მწვავედაა ვაჟირდული პოლდერლინის თანამედროვე გერმანელთა (და ნაერთოდ ევროპელთა) მონო-იდიოტიზმი, გაცალმსრივება, მათ მიერ ერთი რომელიმე უნარის, თვისების, ძალის განვითარება, ყველა სხვა უნარის ჩაკვლის ხარჯზე, ე. ი. „დასპეციალება“, „სპეციალიზაცია“, რაც შილერმაც აღნიშნა თავის „ყაჩაღებში“, და რამაც განსაკუთრებით სახიფათო ფორმები თანამედროვე დასავლელ ადამიანებში მიიღო, როცა ადამიანი კარგავს ადამიანობას, მთლიანობას, ადამიანურ მრავალფეროვნებასა და მრავალწახნაგოვანებას და რომელიმე ერთ ფუნქციად, ერთ თვისებად იქცევა.

..და, ბოლოს, ორიოდ სიტყვა „ჰიპერიონის“ ქართული თარგმანის გამო. საერთოდ, თარგმნა ძნელი საქმეა, ისევე როგორც საერთოდ შემოქმედება. მხატვრულ ნაწარმოებში აზრი, სათქმელი არასოდეს შიშვლად, დედიშობილად არ არსებობს, ის არც გრძნობაშია გახვეული (ამის თქმაც არ იქნებოდო ზედმიწევნით); მხატვრულ ნაწარმოებში აზრი და ემოცია ერთადაა, შერწყმულია, ერთ მთლიანობას ქმნის; მხატვრული სახე ეს აზრ-გრძნობაა, აზრ-ემოცია, აზრ-განწყობილება, რაც ცალკე არც აზრს ემთხვევა და არც გრძნობას, ეს ახალი თვისებრიობაა და მთარგმნელისათვის მთავარი სიძნელე ის არის, რომ თარგმნისას არ გაულარებდეს, არ დაუშვლევდეს ეს აზრ-გრძნობა, მეორე მხრივ, არ „გაუსუქდეს“, არ „გაუფუფუფდეს“ ეს გრძნობა-აზრი.

ჭერ კიდევ 1957 წელს ჟორჯანელების მიერ შესრულებულ ჰაინეს პროზის ქართულ თარგმანზე დაწერილ რეცენზიაში აღვნიშნავდი, რომ ძალიან პირობითად შეიძლება XX ს. ქართულ ლიტერატურაში გამოვეყნოთ ორი სტილი, კონსტანტინე გამსახურდიასი და გერონტი ქიქოძისა-მეთქი. ჟორჯანელები კ. გამსახურდიას სტილის მიმდევრებად გვევლინებიან (იხ. „მნათობი“, №9, 1957, გვ. 142—143). კარლო ჟორჯანელი დღემდე ამ ხაზისა და ამ ზოზიციის ერთგული რჩება. ეს სტილი პოლდერლინის „ჰიპერიონის“ ამადლებული, პათეტიკური, დითორამული, რიტმიზებული პროზისათვის ზედმიწევნია. თარგმანი ეკვივალენტურად, ადეკვატურად გადმოსცემს დედნის სულს, რომანის ელეგიურ-მელანქოლიურ ტონს, მის ლირიკულ ინტონაციას.

... პრსებითად ეს წიგნი არის ქართველი მკითხველის პირველი შეხვედრა პოლდერლინთან, პირველი შეღწევა ამ უდიდესი გერმანელი მწერლის პოეტურ სამუაროში. იმედი გვაქვს, რომ ფრიდრიხ პოლდერლინი ქართველი მკითხველის ცნობიერებაში დაიკავებს კუთვნილ ადგილს გოეთეს, შილერისა და ჰაინეს თანაჯარსკვლავედში.

ნოდარ კაკაბაძე

პირველი ტომი

Non coerceri maximo, contineri minimo, divinum est¹.

წინათქმა

სიამოვნებით აღფრთქვამდი ამ წიგნს გერმანელთა სიყვარულს, მაგრამ ვშიშობ, ზოგი მას კომპენდიუმივით² წაკითხავს, კირკიტს დაუწყებს *fabula docet*-ს³, ზოგიც ზერეულად გადაავლებს თვალს. ასე რომ, ვერც პირველი და ვერც მეორე ვერას გაუგებენ.

ვინც ჩემს ყვავილს მხოლოდ დაყნოსავს, ვერ შეიცნობს, ვერც ის, ვინც მას მოსწყვეტს მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ რაიმე ისწავლოს.

არ შეიძლება დისონანსთა ამობნა ადანიანის ხასიათში არც მარტოოდენ განსჯითა და ფიქრით და არც ცარიელი მოწადინებით.

ასპარეზი, სადაც ქვემოთ მოთხრობილი ამბები მოხდა, ახალი არ არის და უნდა ვადიარო: ერთხელ მიამიტობა გამოვიჩინე — ჩემს წიგნში სათანადო ცვლილებების შეტანა დავაპირე, მაგრამ დავრწმუნდი, რომ ეს ერთადერთი შესაფერისი ადგილი იყო ჰიპერიონის⁴ ელევგიური ხასიათისათვის და კიდევაც შემრცხვა, საზოგადოების შესაძლო მსჯავრის წინაშე ქედი ასე რომ ნოვიზარე.

ვწუხვარ, რომ ამჟამად ყველას როდი ძალუძს ჩემი ქმნილების დედააზრი განჭვრიტოს, მაგრამ მეორე ტომიც სულ მალე გამოქვეყნდება.

¹ რას გვასწავლის იგავი ესე (ლათ.).

ჰიპერონი ბელარმინს

სამშობლოს სანუკვარი მიწა-წყალი კვლავ სიხარულს და კაეზანს მგვრის, ყოველ ცისმარე დილას ახლა კორინთოს ყელის მალლობებზე ვატარებ და სული ჩემი, ვით ფუტკარი ევაფილთა შორის, ნება-ნება დანახაობს ზღვიდან ზღვისკენ, რომლებიც მხარმარჯვნივ და მხარმარცხნივ ელამუბებიან ჩემს გაღველფილ მთებს და აგრილებენ.

როგორ გავიხარებდი ამ ორი ზღვის უბეთაგან ერთ-ერთის ხილვით,⁶ აქ რომ ათასი წლის წინათ ვმდგარიყავი.

სიკიონის სამოთხისებურ დაბლობსა და ჰელიკონ-პარნასის პირველქმნილ სიდიადეს შორის, იქ, სადაც ალიონზე ვარღისფერი არილი დასთამაშებს თოვლით დაფარულ ასეულ მიწვერვალს, ეს მოლიველივე ყურე გამარჯვებული ნახევარდემერთის დარად მოაგორებდა ტალღებს სიხარულის ქალაქისაკენ, ახალგაზრდა კორინთოსაკენ და დედამიწის ყოველ კუთხეში ნალაფევ განბეულს აყრიდა და აყრიდა თავის გულის სწორს.

მაგრამ მე რას მარგია ეს ყოველივე? ტურა, ძველი სამყაროს ნანგრევებზე რომ დაყუნცულა, შმაგად გაჰკივის ჰირისუფლის სიმღერას და ზმანებას მიფრთხობს. ნეტავი რას, ვისაც აყვავებული მამული გულს უხარებს და უმაგრებს! აი, მე კი, თუ ვინმე ჩემს სამშობლოს მიხსენებს, ასე მგონია, თითქოს ჭაობში ჩამაგდეს, ან თითქოს ცოცხლად ჩამდეს კუბოში, ხოლო თუ ვინმემ ბერძენი მიწოდა, ყელში ისე წამიჭერს, თითქო ძაღლის საბელით მახრჩობდნენ.

და იცი, ჩემო ბელარმინ, ერთი სიტყვაც რომ დამცდეს ამის თაობაზე, სიმწრისაგან თვალზე ცრემლი მომადგეს, მაშინვე გამოჩნდებიან ხოლმე ჯკუისკოლოფა ვაჰბატონები,

რომლებიც თქვენში, გერმანელებში, ასე არიან მომრავლებულნი, უმაღლესი განორიენტებანი ხოლმე ის უბადრუკნი, — ტანჯული სული რომ მათთვის მისწრებაა დამრიგებლური სენტიმენტების წარმოსათქმელად, — თავს მოიკარგვაცემებ და ბედვენი მითხრან: კი ნუ წუწუნებ, იმოქმედო!

ჰოი, ნეტავი არასოდეს არ მემოქმედო! რაოდენ მდიდარი ვინებოდნი მე სასოებით!..

მაშ დავიფიქსე ადამიანთა არსებობა ჩემო ეულო, მრავალ-გზის მოწვეული ტანჯული ეულო, კვლავ უაღრესად დაუბრუნდი ნაშობელ დედას — უცვლელ, წყნარსა და ნწყანარ ბუნების წილს.

ჰ ი პ ე რ ი ო ნ ი ბ ე ლ ა რ მ ი ნ ს

მე არაფერი ისეთი არ მაქვს, რაზეც ვიტყვოდი, ჩემიამეთქი. ვინც კი მე მიუყარს, ან შორს არიან, ან დაიბოცნენ და ხმა ვერც ერთის ვერ სწვდება ჩემს ყურს.

სააწაო საქმეები მე ამოვწურე. თავაუღებლად ვმუშაობდი, თავს არ ვზოგავდი, მაგრამ ვაი, რომ ამ ქვეყანას ერთი გროშის საღირსიც კი ვერ შევმატე.

უსახელო და მარტოდმარტო დავბრუნდი უკან. დავებეტები საგოდებელივით გადაშლილ ჩემს სამშობლოში, და შესაძლოა მეც მონადირის დანა მომეღის, რადგან ჩვე, ბერძნები, ტყის ნადირით მისი ტრფიალის მსხვერპლნი ვართ.

ეს კია, მზეო, ზეციურო მანათობელო, შენ კვლავ კაშკაშებ! წმინდაო მიწავ, შენ კვლავ გფარავს ხასხასა იწვანე! კვლავაც ჩუხჩუხით ჩამორბიან მდინარეები და შუადღისას ჩეროვან ხეთა ისმის შრიალი. გაწაფხულის საამური სიმღერა თვლემასა ჰგვრის ჩემს უბიერ ფიქრებს. სიცოცხლით აღსავსე სანყარო ბანგს ასმევს და ათრობს ჩემს დანაშვრალ სულს.

ო, სანეტარო ბუნებავ! თავად არ ვუწყი, რა მემართება, როს მზერას ვაპყრობ შენსა მშვენიებას, მაგრამ უზენაესი სიამე კია ამ ჩემს ცრემლებში, რომელთაც აქ ვღვრი, შენს წინაშე, ვითარც მიჯნური მიჯნურის მკერდზე!

არსება ჩემი განაბულია, სმენად ვიქცევი, როს ნაზი სიო მელამუნება. თვალშეუდგამი ლაქვარდის თაღქვეშ ხან ზე-ავაპყრობ მზერას და ხანაც წმიდათაწმიდა ზღვას ეკიდებ თვალებს და ასე მგონია, თითქოს სული ჩემი მონათესავე გულში მიხუტებს და ღვთაების ცხოვრებასთან შერწყმა მარტოობის წყლულებს მიშუშებს.

მთელს სამყოფელთან შერწყმა — აი ღვთაების ცხოვრება, აი სამოთხე კაცისა!

ყოველ სულღვმულთან შერწყმა, ნეტარების ბურანში გახვევა და ბუნების ყოვლადობაში დაბრუნება — აი მწვერვალი ნატვრისა და სიხარულისა, აი ის წმინდა მალლობი, ადგილი მარადიული სიმშვილისა, სადაც შუადღე მცხუნვა-რებას მოკლებულია, ჭეწა-ქუხილი — ხმოვანებას და მბორგავი ზღვაც მობიბინე ჯეჯილს წააგავს.

ყოველ სულღვმულთან შერწყმა! ამ სიტყვების წარმოთქმისას სიქველე თავისუფლდება თავისი მრისხანე აბჯრისაგან. ადამიანის გონი განზე სდებს თავის სამეფო კვერძხს და ყოველი აზრი უკვალოდ ქრება მარად ერთიანი სამყაროს ნატების წინაშე, ისევე როგორც ყოველი ძალვა მებრძოლი ზელოვანისა მისი ურანიის წინაშე და რვალივით უტეხი ბედისწერა ბელს იღებს თავის ძალაუფლებაზე. ცოცხალ არსებათა გუნდიდან ქრება სიკვდილი. ერთიანობა და მარადიული სიჭაბუკე სანეტაროსა და მშვენიერსა ხდის სამყაროს.

ამ სიმადლეზე ხშირად ვდგავარ, ჩემო ბელარმინ, თუმც გონს მოსული კვლავ ძირს ვეცემი. ვიწყებ განსჯას და აღმოვაჩენ, რომ კვლავ მარტო ვარ, მოკვდავის ყველა სენით შეჭირვებული, და ჩუმი გულის თავშესაფარი — მარად ერთიანი სამყარო სადღაც გამქრალა. ბუნება აღარ მიხუტებს, უცხოსავით ვდგავარ მის წინაშე და აღარ გამეგება რა მისი.

ეჰ, ნეტავი სულაც არ მევლო თქვენს სკოლა-სასწავლებლებში! მეცნიერებამ, — მე მის ჯურღმულში ვიკვლევდი გზას და მიამიტი ჭაბუკი მისი იმედით მოველოდი ხალას სიხარულს, — სწორედ მეცნიერებამ წამამწარა მე ყოველივე-

თქვენთან ისე გონიერი გავხდი, ისე საფუძვლიანად ვისწავლე საკუთარ თავთან განაპირება, რომ ახლა კენტად

ვარ მშვენიერ სამყაროში, გამოგდებული ვარ ბუნების იმ წალკოტიდან, სადაც ვიზრდებოდი, ვიფურჩქნებოდი, და სადაც შუადღის თაკარა მზე ახლა უღმობლად მშანთავს.

ო, დმერთის სწორის კაცი, როცა ოცნებობს, მაგრამ გლახაკია, როდესაც განსჯის, და ოდეს აღფრთოვანება გაუვლის, იგი იმ უნდელი ვაჟივითა დგას, რომელიც მამამ შინიდან გამოავლო და ახლა ორიოდე გროშს დასცქერის, უბედურს საგზლად რომ უწყალობეს.

ქ ი შ ვ რ ი ო ნ ი ბ ე ლ ა რ მ ი ნ ს

მადლობელი ვარ, ჩემი ამბის მოყოლას რომ მთხოვ, და ამით ვარდასულ დროთა მოგონებებს კვლავ რომ მიცოცხლებ.

საბერძნეთში ხომ სწორედ მისთვის დავბრუნდი, რომ ახლოს ვყოფილიყავ იმ ადგილებთან, სადაც ყრმობის უამს მითამაშია.

შრომით მაშვრალი თავს რომ მისცემს დამაცხრობველ ძილს, ჩემი ტანჯული სულიც ასე მიენდობა ხოლმე უტოდველ წარსულს.

ბავშვობის სიმშვიდევს ციურო სიმშვიდევს! რაოდენ ხშირად ვდგავარ შენს წინაშე გარინდებული, რა ხშირად გიჭვრეტ მოყვასის თვალით, რა ხშირად ვცდილობ არსსა შენსა ბოლომდე ჩავწვდემ! მაგრამ ამაოდ. ჩვენ ხომ მხოლოდ ის გვესმის კარგად, ერთ დროს უკეთურს თუ შევუცვლით ნირსა და იერს, ბავშვობასა და უმანკობაზე კი წარმოდგენაც არ გავვარჩნია.

სულ პატარა ბაღლი რომ ვიყავ და არ მესმოდა არსი არაფრის, ხომ გაცვილებით სრულქმნილი ვიყავ, ვიდრე ვარ ახლა, ამდენი ჭირთა თმენისა, ფიქრისა და ბრძოლის შემდეგ?

დიახაც, დეთაებრივი არსებაა ბავშვი მანამდე, სანამ ადამიანთა ქამელეონობის დაფში არ ჩაჯულუღა.

ბავშვი ყოველთვის ის არის, რაც არის ჯა ამით ის მშვენიერია.

კანონისა და ბედისწერის უღელი არ ადგას ქედზე, განსხეულებული თავისუფლებაა.

ბავშვის სულში სიმშვიდე სუფევს, უკეთუ იგი ჯერ არ განდგონია თავის თავს. ის მდიდარია, უკეთუ ჯერ არ იცნობს ჯამთა სიანეს, და უკვდავია, უკეთუ სიკვდილისა არა უწყის რა.

თუმც ადამიანი ამას ვერ ითმენს: ღვთაებრივიც კი მას უნდა ჰგავდეს. ღვთაებრივმაც კი უნდა გაიგოს, რომ არსებობს ამქვეყნად ისიც, და ვიდრე ბავშვს სანოთხიდან გაძევებულეს თავად ბუნება, ადამიანი თავისი ნებით გამოიტყუებს მას სამოთხიდან და გაუძღვება შენეგნებულნი ყანობირისკენ, რათა მასაც ქანცი გაუწყდეს მუშაობით ოფლითა პირისათა მისითა.

მაგრამ საამოა ჯამიც ჩვენი გამოფხიზლების, თუ ნაადრევად არ გავგადვიძეს.

ო, ეს ნეტარზე ნეტარი დროა, როს გული ჩვენი ფრთებს შლის პირველად, როს ვგრძნობთ ღვივილის ცეცხლოვან ძალას და ისე ვუცქერით დიად სამყაროს, ვით მცენარე, დილაადრიან მზის სხივებზე რომ იფურჩქნება და ყლორტებს თავისას პაწია ხელებივით იწვდის თვალშეუდგამი ზევისკენ.

შემოვლილი მაქვს მრავალჯერ იმ დროს მთები, ზღვის პირი! ბევრჯერ ავსულვარ ტენოსის² მთებზე და მიცქერია გულაჩქროლებულს, როგორ ამობდა ლაჟვარდს გავაზი, ანდა წერო. მინახავს ბევრჯერ ხომალდები — ლადაჲ მსრბოლავნი ცის კიდურთან რომ იკარგებოდნენ. „დადგება დრო და შენც გაუხვები ამ გზას, იქითკენ“, — ვფიქრობდი ჩემთვის მაშინ და მეც ის გრძნობა მეუფლებოდა, დასიცხულ კაცს რომ უჩნდება, როს მდინარეში გადაეშვება და შუბლს კეჟოვან წყლით გაივრილებს.

და შემდეგ ოხვრით შინ ვბრუნდებოდი. „ნეტავი სწავლის წლები მალე მაინც დასრულდებოდეს“, — ვფიქრობდი ხშირად.

კეთილო ყმაწვილო! ეს დრო ჯერაც არ დასრულებულა.

საოცარია, ჭაბუკობის ჟამს ადამიანს მიზანი რომ ასე ახლო ესახება! ეს უნშვენნიერესი ილუზიაა, რომლითაც ბუნება ჩვენი არსობის სისუსტესა სძლევეს.

ხშირად, როს ყვავილებში წამოვწევებოდი, გაზაფხულის ნაზ მზეს მივეფიცებოდი და ცის კამკამა ლაჟვარდს თვალს

მივაპყრობდი, გუმბათივით რომ ედგა თბილ დედამიწას, ან როს უუუუნა წვიმის შემდეგ მთის კალთაზე ჩამოვვადებოდი თელემსა და ტირიფენს შორის — ხეთა რტოები ისევ თრთოდნენ ცის შეხენისგან და დანამულ ტყეთა ზეგარდმო ოქროსდერი მიცურავდნენ ღრუბლები, ან როდესაც მწუხრის ვარსკვლავი უშფოთვლელად აინთებოდა ძველ მარჩბისა და დანარჩენ ციურ გმირებთან ერთად და შევივრძნობდი ეთერში ერთბელ და სამუდამოდ დაწესებულ მათს ნებიერ სიცოცლეს, მაშინ ჩემს ირვლევ სამყაროში დავანებულ სინშვილეს სულგანაბული ყურის ნივუგდენდი, განვიხარებდი და ისე, რომ არც ნესმედა, რა მემართებოდა, ჩუმად ვანბობდი: „მანავ ზეციერო, სახიერო, გიყვარვარ? — არა?“ — და მის საამო პასუხს დიხაც ვგრძნობდი.

ო, შენ, ვისაც ისე ვუხნობდი, თითქო მართლაც ვარსკვლავთ ზეგარდმო ყოფილიყო შენი სავანე, ვისაც შენოწმედს ვუწოდებდი ცისა და მიწის, გულითადო კერპი ჩენი სიყრმისა, არ გამირისხდე, რომ დაგივიწყე! — რატომ იმდენად ნაკლოვანი არ არის სამყარო ჩვენი, რომ მის მიღმა ჩვენ სხვა ვეძიოთ!*

მაგრამ თუ დიდებული ბუნება თავისი მამის ასულია, განა ასულის გული მამის გულიც არ არის? განა მისი არსი თავად მანა არ არის? მაგრამ ჩავწვდი კი ამას? გავუგე კი?

ასე მგონია, განვწვრტ-მეთქი, მაგრამ უმაღვე რეტი მესხნის, თითქო საკუთარი ხატება დამენახოს; ასე მგონია, მსოფლიო სულს ისე შევეხე, როგორც მეგობრის თბილ ხელს, მაგრამ ვფხიზლდები და ვხვდები, რომ ხელთ საკუთარი თითები მეპყრა.

მ ი პ ე რ ი ო ნ ი ბ ე ლ ა რ მ ი ნ ს

გეცოდინება, როგორ უყვარდათ პლატონსა და მის სტელას⁶ ერთიმეორე.

* ალბათ არც არის საკირო მოგაგონოთ, რომ ამგვარი განსჯანი მარტოოდენ ადამიანის გუნებ-განწყობილებას გამოხატავენ და სამართლიანობის თეალსაზრისით არავინ არ უნდა შეაცბუნონ. (ავტორის შენიშვნა.)

მეც ასე მიყვარდა, მეც ასე ვუყვარდი. რა ბედნიერი ყმაწვილი ვიყავ!

გასახარია, თუ სწორი სწორს ხელს გაუწევდის, მაგრამ მადლია, ღვთის მადლია, როს ბუმბერაზს დიდ სიმაღლეზე აპყავს კაცუნა.

ვაჟბატის გამგები სიტყვა, ღიმილი, გონის უძლეველ ძალას რომ მაღავს, ნიშნავს ცოტასაც და ნიშნავს ბევრსაც. ვითარც შელოცვის მისნური სიტყვა, — ამ მარტივ ბერებში ერთადაა ჩაქსოვილი სიკვდილ-სიცოცხლე. ეს არის ის უკვდავების წყარო, მთების გულიდან რომ მოწანწყარებს და მჭვირვალ შხეფებში ჩვენთვის მოაქვს იდუმალი ძალა მიწისა.

სამაგიეროდ როგორ მძულან ის ბარბაროსნი, ბრძენკაცებად რომ მოაქვთ თავი, რაკი გული არ გააჩნიათ. ეს უღმობელი მტარვალეები უგუნური წვრთნით მუსრავენ და ნთქავენ სიყმაწვილის მშვენიერებას!

ღმერთო სახიერო! ეს ხომ ბუ ლამობს არწივის მართვეთა ბუდიდან დაფრენას, ლამობს მათ მზისკენ მიმავალი გზა დაანახოს.

შემინდე, სულო ადამასისა⁹, ხსენება მათი გამოცდილებით შეძენილი უპირატესობაც ხომ ისაა, რომ აღარ ბაღგვიძს სრულყოფილება: ხინჯის გარეშე წარმოვიდგინოთ.

ო, გულმწუხარე ნახევარღმერთო, ჩემო ადამას! ნეტავი მარბდ გვერდით მყოლოდი, არ მომკლებოდა მე ყოველივე, რაც შენ თან გსდევდა. ძლევაძმოსილო მეომარო, დაე აწ ვისაც ატგუნებ შენს სიმშვიდეს და ძლიერებას, ვის ხილვად მოხვალ სიყვარულით და სიბრძნით შენით, ოტებულ იქნეს ან იქცეს იმად, რაიც შენა ხარ! სუსტს და უკეთურს შენს გვერდით არ დაედგომება.

რაოდენ ხშირად მევლინებოდი, — თუმც რა ხანია შორეთში იყავ, — გზას მინათებდი და მათობოდი შენი ნათელით, ასე რომ, ჩემი დამზრალი გული კვლავ ცოცხლდებოდა იმ გაყინული ნაკადულივით, მზის სხივი რომ გულზე დაეფინება! ნეტარებისგან ვარსკვლავებთან მინდოდა აჭრა, რათა ვარემოს არ შეერყვნა ჩემი გუნება.

მე ვიზრდებოდი ვაზის რქასავით, რომელსაც სარი არ

უდგას გვერდში და ურჩხ კიმელსაც რომ ალაღბებდად მიწაზე გაჰყარის. გეცოდინება, ჩვენთან ხშირია უსარგებლოდ კეთილშობილ ძალთა დაღუპვა, და მეც ასევე, უსარგებლოდ ვცორიალობდი, ვრიალებდი ცთომილ შუქივით, ვედებოდი ყველაფერს და ყველაფერი მიტაცებდა, თუშვა ჩემს გულს ნუღამ აკლდა რაღაც და მიზნისთვის კი ვერ მიმეკვლია. აი, ასეთ დღეში მპოვა მე ადამასმა.

მას დიდხანს ემუშავნა თავის მასალაზე, ეგრეთ წოდებულ კულტივირებულ სამყაროზე, საკმაო მოთმინება და ოსტატობაც გამოეჩინა, მაგრამ ეს მასალა იყო და დარჩა ენაუ და ხეუ. მართალია, გაჭირვების შემთხვევაში გარეგნულად ისიც დაემსგავსებოდა კეთილშობილს, ადამიანურს, მაგრამ ჩემს ადამასს ეს ამბავი სულ არ უღირდა. მას ჭეშმარიტი ადამიანების შექმნა სწადდა და აღიარებდა, რომ სააშისოდ მისი ოსტატობა არა კმაროდა. ადამიანები, რომელთაც ის ეძებდა, რომელთა შექმნისათვის ოსტატობა არ ჰყოფნიდა, სწამდა, რომ ოდესღაც არსებობდნენ. მან ისიც იცოდა, სად უნდა ეძებნა ისინი და გულმაც აქეთ გამოსწია, სურდა ფერფლში მიეგნო მათი გენისათვის, მარტოსულს მათს ბებნაში გაეღია დღენი და საბერძნეთშიც ამიტომ ჩამოვიდა. აი, ასე ვპოვე ადამასი.

ახლაც ცხადლივ ვხედავ, როგორ მომიახლოვდა და დიმილით შემათვალეირა, ახლაც ყურში მიდგას მისი მოსალმება და შეკითხვები.

ისე იდგა ჩემს წინაშე, როგორც მცენარე, რომლის სიმშვიდეც მდელვარე სულს ესალბუნება და მიაშიტ კმაყოფილებას უკან უბრუნებს.

ხოლო მე, — განა მე მისი უშფოთველი აღფრთოვანების გამოძახილი არ ვიყავი? განა მისი არსების შელოდიები ჩემშიც არ მეორდებოდა? — რასაც ვხედავდი, იმად ვიქცეოდი, და ის, რასაც ვხედავდი, დვთაებრივი იყო.

მანც რა უძლურია ადამიანის უჯიუტესი ძალვაც კი აღფრთოვანების დაუნაწევრებელ მძლეთამძლეობასთან შედარებით.

აღფრთოვანებას ზედაპირულისა არაფერი აქვს, აქა-იქ რადი წაგვეკიდება, იგი არც რამ დროს უცდის, არც ხერხს

იყენებს, მას ვერც უბრძანებ, ვერც დაიყოლიებ, ანაზღუ-
დად მოვედებო და ერთიანად აგვაგიზგიზებს, სულის სიღრ-
მენდევ ჩავატანს, ნის უმაღლეს მწვერვალებსაც მისწვდება
და ღიღრე გონს მოვიდოდეთ, ვიდრე ვიკითხავდეთ, ეს რა
ამბავია ჩვენს თავსო, ძირფესვიანად გარდაგვექმნის თავის
სილამაზითა და მადლით.

ნეტავი იმას, ვისაც ადრევე, სიყმაწვილეში, კეთილშო-
ბილი სულის პატრონი გზად შემოჰყვია!

ო, ეს ხომ მართლაც დაუფიქსარი დღეებია, ტრფობის
სიხარულითა და საამო მუშაკობით აღსავსე ოქროს ხანა!

ჩენი ადამასი ხან პლუტარქეს¹⁰ გმირთა სამყაროს მა-
ზიარებდა, ხანაც საბერძნეთის დმერთთა ჯადოსნურ საუფ-
ლოს, ხან ზონიერების ქადაგებით აცხრობდა ჩემს ჭაბუკურ
სულისკვეთებას, ხანაც მთებზე აყვავდი — დღისით, რათა
ტყისა და მინდვრის ყვავილებისათვის გვეჭვრიტა, აგრეთვე
კლდეებზე შეფენილი ველური ხავსისათვის, ხოლო ღამით,
რათა წმიდათაწმიდა ვარსკვლავებს დაგვირვებოდით და
ამოგვეცნო ბედი კაცისა.

რა სანუკვარი განცდა გვეუფლებო, როს შინაგანი რა-
ობა ჩვენი ძალებს იკრებს, შეიცნობს თავს, ყალიბდება
და ჩვენი გონიც თანდათანობით აბჯარს ისბამს.

მაგრამ სამგზის უფრო ღრმად შევიგრძნობდი ადამას-
საც და საკუთარ თავსაც, როს ჩვენ ხან გაამაგებულნი და
გახარებულნი, ხან განრისხებულნი და კაეშნითა შეპყრობილ-
ნი, გარდასულ დროთა ლანდებივით ავდიოდით ათონზე¹¹,
შემდეგ ჰელესპონტისაკენ გავცურავდით, იქიდან კი ქვევით,
წყნარი კუნძულების გასწვრივ, როდოსის ნაპირებისა და ტინა-
რონის¹² ხევხუვისაკენ; ხოლო როდესაც შორეთისაკენ
ლტოლვა ბეელი პელოპონესის მრუმე გულისკენ წარგვიტა-
ცებდა, ევროტასის¹³ უდაბური ნაპირებისაკენ, ელიდისა,
ნემეისა და ოლიმპიის¹⁴ — ვაგლახ! — აწ უდაბური ველე-
ბისაკენ, როდესაც ჩვენ, მივიწყებული იუპიტერის ტაბ-
რის სვეტს მიყრდნობილნი, ოლევანდრებითა და მარადმწვანე
ტევრით გარემოცულნი, გავერანებულ მდინარის კალაპოტს
ვუჭვრეტდით, გაზაფხულის სუნთქვა და მარად ჭაბუკი
მზე გვაგონებდა, რომ ოდესღაც აქაც მკვიდრობდა ადამი-

ანი და ახლა კი აღგვილიყო პირისაგან მიწისა, რომ ალანის დიადი ბუნების კვალი თითქმის გამქრალიყო, გარდა ტანის ნამუსრევისა ანდა მებსიერებაში ხატებასავით შენორჩენილი განსვენებულთა სურათისა, — მაშინ ვიჯერებ ალანის გვერდით და, დაღონებული, უქმი თამაშით ვიყავ ვართული: ხავსს ვაცილებდი ხელით ნახევარდმერთის კვარცხლებეს, გმირის მარმარილოს მხარს ვთბრიდი ღორღიდან, ეკლის ბურქსა და მანანას ვაჭრიდი მიწაში ნახევრად ჩაფლულ არტიტრავს¹⁵. ამასობაში ჩემი ალანის ლანდშაფტს ხატავდა, რომელიც ნანგრევების ირგვლივ გაღამალიყო გულის საღებუნად: პურის ყანით დაფარულ ბორცვს, ზეთისჭილის ხეებს, კლდოვან ფერდობზე შეფენილ თბის ფარას, თელვის ტყეს, მწვერვალებიდან ხეობაში რომ ეშვებოდა; ჩვენს ფერბთით კი ხვლიკი ანცობდა და ბუზები ბსუოდნენ შუადღის მღუმარებაში... ძვირფასო ბელარძინ! როგორ მინდა ნესტორივით ზედმიწევნით გაიმბო¹⁶ ყველაფერი; ისე ღავანჯიგებ წარსულში, როგორც თავთავების მკრეფელი ყანაში, სადაც პატრონმა მოსავალი უკვე აღმოაჩინა. ამ დროს ზომ ყოველ თავთავს ზედ დაჰკანკალებენ. მინდა გიანბო, როგორ ვიდექი ზოლმე მასთან ერთად დელოსისა¹⁷ ნაღლობებზე ან რანაირი დღე გაგვიტენდა, როს ცისკრის ჟამს ორივენი კინთოსისა¹⁸ გრანიტის კედელთან მარმარილოს ძველ კიბებზე ავდიოდით. ოდესღაც აქ, ამ ციურ თაღქემს, ცხოვრობდა მინის დმერთი, ირგვლივ კი, ოქროცუბილი ღაზბლებივით, მთელი საბერძნეთის ბრწყინვალეობა უკიანფებდა. ბერძენი ყაწვილები აქ ისე ეშვებოდნენ სიხარული-სა და აღფრთოვანების ნიაღვარში, როგორც აქილევსი მდინარე სტიქსში და ისინიც უაღვეელნი გამოდიოდნენ, ვითარცა ეს ნახევარდმერთი. ჭალებსა და ტაძრებში იღვიძებდნენ მათი სულები, ეღერას იწებდნენ შეწყობილად და თვითეული მათგანი ერთგული იყო ამ წარმტაცი აკორდებისა.

მაგრამ ნეტავ რად ვამბობ ამას? რომ აღარ ვიცი არაფერი იმ დროებაზე?! აჰ, ჩვენში უკვე ვერავითარი ტკბილი ოცნება ვერ გაიხარებს, ისე ვართ შერისხულნი, შეჩვენებულნი: აწმყო გამყინავი ქარივით წამოუბერავს სულის პირველივე ყვავილებს და კოკრებშივე დააზრობს. და მაინც,

სვებეღნიერი დღე იყო კინთოსზე რომ გავატარე! ჯერაც არ
ენათლა, რომ უკვე მალლა ავედით და აი, გამოჩნდა ისიც,
მარად წვაბუკი ძველთაძველი ღვთაება მზისა, როგორც ყო-
ველთვის, დინჯად და ლაღად ამოცურდა უკვდავი ტიტანი,
ნაირფერადი სიხარული გადმოაფრქვია და ღიმილი მოჰყინა
ბიტოვებულ მიწას, თვის ტაძრებსა და სვეტებს, ბედის-
წერამ რომ მის ფერხით მიმოფანტა ვარდის გამზმარი ფურ-
ცლებივით, თითქო გვერდით ჩავლისას ბაღს დაეკრიფოს
ისინი ვარდის ბუჩქიდან და ალაღბებდნე გაეფანტოს დედა-
მიწაზე.

— აი, ასეთი უნდა იყო ყოველთვის! — შემომძახა ადა-
მასმა, თან ხელში მწვდა და ხელი მოკაშკაშე ღვთაებისკენ
გამაწვდენინა. ისეთი გრძობა დამეუფლა, თითქო ორივეს
ღილის სიო აგვიტაცებდა და წმინდა ღვთაებას გვახლებდა,
რომელიც ახლა სულ მალლა-მალლა მიიწევდა ცის კაბადონ-
ზე. ალერსიანი და დიადი, იგი სამყაროსა და ჩვენ სასწაუ-
ლებრივ გვავსებდა თავისი ძლიერებით, თავისი სულით.

გულის გულში კვლავაც მადონებს, კვლავაც მახარებს
ყოველი სიტყვა, მაშინ რომ უთქვამს ჩემთვის ადამასს.
ვერ ვამიგია, რაღას ვსაკლისობ, თუკი თავს ხშირად მეც
ისევე ვგრძნობ, როგორაც იმ დროს მას უნდა ეგრძნო. მაშ,
რაა დაკარგული, თუ ადამიანი თვის სამყაროში თავის
თავს ჰპოვებს? ჩვენ ვართ და ჩვენშივე ყველაფერია. მაშ,
რაღად ნაღვლობს ადამიანი, როდესაც თუნდაც ერთი ღე-
რი თმა გამოაკლდება? ასე რად იბრძვის მონობისათვის, თუ-
კი შეეძლო დიერთად გახდომა?

— შენ მარტოსული იქნები, ჩემო, — მეუბნებოდა მე
ადამასი. — იმ წეროსავით დაგემართება, შემოდგომის ხანს
მომძიებმა რომ მიატოვებს, შორეულ ქვეყნებს მიაშურებს და
ახალ გაზაფხულს დაუწყებს ძებნა.

და ასეც მოხდა, ძვირფასო ჩემო! ჩვენი სიმდიდრის მი-
უხედავად, სწორედ ის გვადარიბებს შუდამ, რომ ძალა არ
შეგვწევს მარტონი დავრჩეთ, და ვიდრე ვცოცხლობთ, სიყ-
ვარული არ კვდება ჩვენში. ო, დამიბრუნე ჩემი ადამასი,
ყველა ჩემიანიც აქ მომიყვანე, რომ ჩვენში კვლავაც აღორ-
ბინდეს მშვენიერი ძველი სამყარო, რომ კვლავაც ერთად

შევიკრიბოთ, გავერთიანდეთ ღვთიურ წიაღში — ბუნების წიაღში და მაშინ ნახავ, რომ გაქრება ჩემეული ჭირთა თმენანი.

ნურავინ იტყვის, ჩვენ ბედისწერა გვთიშავსო! ბედი კი არა, ჩვენ თვითონ ვართ დამნაშავენი! თავად ჩვენ გვინდა ხოლმე გადავეშვათ შეუტყნობელ წყვდიადში ხშირად, თავად ჩვენ გვინდა ხოლმე ვეზიაროთ მიუსაფარ უცხო სამყაროს და რომ შეგვეძლოს სულაც მივატოვებდით მზისა საუფლოს, ცთომილთ სამანსაც გადავლახავდით. ეჰ, ადამიანის შმაგი გული ერთ სამშობლოს ვეღარ სჯერდება და ისიც ისე, როგორც მზის სხივი დედამიწაზე მის მიერვე გახარებულს ღუპავს მცენარეთ, თვითონვე იკლავს საკუთარ მკერდში უტკბებს ყვანილებს — მოყვრობის ეშხსა, სიყვარულის მადლს.

ასე ჩანს, თითქოს განწყობილი ვიყო მე ადამასზე, რომ შიმატოვა. მაგრამ ო, არა, მწყურალად არა ვარ. — მას დაბრუნება ეწადა უკან!

შორეულ აზიაში, თურმე ერთი საოცრად დიდებული ხალხი ცხოვრობს და იმედმოცემულმა ადამასმაც ახლა იქით გასწია.

ნიოსამდე¹⁹ გავაცილე. მწარე დღეები გამოვიარე. ტკივილის განცდას მიჩვეული ვარ, მაგრამ ასეთი განშორებისათვის ძალა არ მეყო.

რაც უფრო ახლოვდებოდა წამი ჩვენი განშორებისა, სულ უფრო ცხადი ხდებოდა ჩემთვის, რა ღრმად ვაეღვა ფესვი ჩემს არსებაში ამ ადამიანს. ვით მომავცდავი ლამობს მიმტრალი სულთქმის შენარჩუნებას, ასევე ჩემი სულიც ჯამობლა შეენარჩუნებინა ადამასი.

ჰომეროსის საფლავთან რამდენიმე დღე გავატარეთ და ნიოსი ჩემი უწმინდესი კუნძული გახდა.

ბოლოს განვშორდით ერთმანეთს. გული დამეღალა საკუთარ თავთან ჭიდილით, თუმც ბოლო წამს შედარებით მშვიდად ვიყავი. მუხლი მოვიყარე მის წინაშე, უკანასკნელად მოგვხვით, მზერა ადვაპყარ და შევღაღადე:

— დამლოცე, მამავ!

დიდსულოვნად გაიღიმა, ცისკრის ვარსკვლავისაკენ მიქცეული შუბლი გაეხსნა, თვალი ცას ჰკიდა და დაიძახა:

— შემინარჩუნეთ ეს ჭაბუკი, უკეთესი მყობადის სულნო, და აზიარეთ თქვენს უკვდავებს! ხოლო თქვენ, ცისა და დედამიწის კეთილო ძაღნო, მარად თან ახლდით! ჩვენში დმერთია, — განაგრძო შემდეგ უფრო დინჯად, — რომელიც ჩვენს ბედს კალაპოტს აბლევს, ვითარც ნაკადულს, და ყოველივე ქვეყნად მისგან წარმოსდინდება, ის იყოს შემწე შენი უწინარეს ყოვლისა!

ასე დავშორდით. მშვიდობით იყავ, ჩემო ბელარმინ!

ჰ ი პ ე რ ი ო ნ ი ბ ე ლ ა რ მ ი ნ ს

სად მოვიძევდი აწ თავშესაფარს, ახალაგზრდობის საამო დრო რომ არ მენახა?

ვით სული მიცვალებულის, აქერონთან²⁶ მოსვენებას რომ ვერა ჰპოვებს, უკან ვბრუნდები ჩემი ცხოვრების აწ მიტოვებულ მიდამოებში. კვლავ იფურჩქნება ყოველივე, რაც კი რამ ჭკნება. ჩვენ კი რატომღაც განზე დავფურჩით ბუნების ესოდენ ლამაზ წრებრუნვას! ან იქნებ იგი ჩვენც შეგვეჩება?

ვირწმუნებდი დიახაც ამას, ერთი რამ რომ არ იყოს ჩვენში, — ყოველივესთან შერწყმის ხარბი წყურვილი, ეტნას ტიტანის დარად რომ გააფთრებული მოიწევს ხოლმე ჩენი სულის სიდრმიდან გარეთ. თუმცა კი, ვის არ ურჩევნია, გაფარვარებულ ლავასავით გრძნობდეს ამ წყურვილს, ვიდრე ისა თქვას, რომ მათრახისა და უღლის მსბვერპლად იშვა ამქვეყნად? განა რომელია კეთილშობილი, საომარი რაში თუ ყურებჩამოყრილი ჯაგლაგი ცხენი?

ძვირფასო მეგობარო! დრო იყო, როცა ჩემი გულიც დიდ იმედებს ეფიცებოდა და უკვდავების სინარულით მე თვითვეული მითრთოდა ძარღვი, როს შევბაროდი დიად ჩანაფიქრთ — უსიერ ტყეში მევლოს თითქოსდა, და ბედნიერი, ვითარცა თევზი ოკეანისა, წინ მივილტვოდი უნაპირო მყობადის ზღვაში.

კურთხეულო ბუნებავ, რა თამამად მიატოვა ყრმამ აკვა-

ნი შენი! როგორ ხარობდა თავისი ჯერაც უხმარი აბჯრით! მშვილდლიც მზად ჰქონდა; კაპარჭში კი ისრებს რაკარუკი გაუდიოდათ¹. წინ ძველი სამყაროს დიადი, უკვდავი სულები მიუძღოდნენ და მისი ადამასიც მათთან იყო.

შინა და გარეთ, ყველგან თან მახლდნენ მე საამური ის ხატებანი. ცეცხლის ენებად ერწყმოდნენ ერთურთს ჩემს გონებაში ყველა დროის. გმირთა საქმენი და ვით ცაში მოზეიმე ელჭექის ჟამს ბუმბერაზები — ღრუბლები ერთვიან ურთიერთს ხოლმე, ასევე ჩემშიც ერთ უსაზღვრო გამარჯვებად ერთდებოდა ოლიმპიადებზე მოპოვებული ათასობით გამარჯვებანი.

ვისი სული გაუძლებს ამას? ვის არ დასცემს ძირს — ვით გრივალი ტყეს ახლად აქოჩრილს — ძველი სამყაროს ზარდამცემი დიდებულება, მით უმეტეს, თუ ეს დიადი სხვა-საც ასევე დაეპატრონა და თუ სხვაც ჩემებრ მოკლებულია იმ დგრიტას, რაიც საკუთარი თავის რწმენას განმიმტკიცებდა?

ო, ძველი დროის სიდიადე ადამიანთა მე ქედს ისევე მახრევიანებდა, ვით გრივალის ჟამს თავსა ვხრით ყველა, შეფაკლულ სახეს მიცრეცავდა და გარეშე თვალისათვის შეუმჩნეველად მე მალულად ხშირად ვწოლილვარ ცრემლდანთხეული, — იმ წაქცეულ ნაძვს დავმსგავსებივარ, ნაკადულის პირას რომ გდია და წყალში მალავს დამჭვნარ კენწეროს. დიდის ხალისით გავიღებდი სისხლს იმისათვის, რომ თუნდაც ერთ წამს დიადი კაცის დარად მეცხოვრა!

მაგრამ ეს, აბა, რას მიშველიდა? მე ხომ არავის არ ვჭირდებოდი.

ვაგლახ, როგორ მცირდები საკუთარ თვალში, როს ხედავ შენსა არარაობას და თუკი ვინმე ამას ვერ იგებს, ნურც ნუღარაფერს ნუღარ იკითხავს, მაღლობა უთხრას დედაბუნებას, სიხარულისთვის რომ შექმნა იგი და ვით ფარვანამ, თავისი გზა განაგრძოს ისე, რომ ჭირ-ვარაძზე კრინტი არ დასძრას.

ისე მიყვარდნენ ჩემი მეგობრები, ვით შუქი ქინქლას; სახიფათოდ მივეხლებოდი, მსწრაფლ დავიხევდი და შემდეგ ისევ ვეჭანებოდი.

ვითარც ირემი, დაჭრილი რომ მდინარეში გადაეშვება, ნეც ჩავძირულვარ არაერთგზის სიამეთა ჩახრიალაში გაღველფილ მკერდის გასაგრილებლად, მსურდა სახელის და დიდების ზმანებათაგან, წარმტაც, მღელვარე ოცნებათაგან განვბანილიყავ, მაგრამ ეს, აბა, რას მიშველიდა?

ხშირად, როდესაც მხურვალე გული შუადამის ნამიან ბაღში გამიტყუებდა, და წყაროს ტკბილი, ნანასავით ტკბილი ლიკლიკი, ნაზი სიო და შუქი მთვარის ჩემს სულს საღბუნად მოედებოდა, როს ჩემს ზეგარდმო ლაღად და მშვიდად მიცურავდნენ ვერცხლისფერი ღრუბლის ქულები, ხოლო შორიდან ზღვის ბუბუნი ჩემს ყურს სწვდებოდა — რა სათუთად ეფერებოდნენ იმ ღროს ჩემსა გულს საყვარელი და ბუმბერაზი მისი ლანდები.

„გემშვიდობებით, ზეციურნო!“ — ვამბობდი ჩემთვის, როს ჩემს ზეგარდმო გარნიჟრაჟის ობოლი ჰანგი აჩქამდებოდა. — გემშვიდობებით, დიდებულო მიცვალებულნო! სიამოვნებით წამოგყვებოდით, ჩამოვიცლიდი მე ყოველივეს, რაც კი მომაგო ამ საუკუნემ, და აირდილების აზატი საუფლოს ევანლებოდი!“

მაგრამ გათანგული ვარ ბორკილებისგან, საწყლად შევხარი მე ურგებ სასმისს, ვითომც წყურვილის მოსაკლავად მე რომ მიბოძეს.

ჰ ი პ ე რ ი ო ნ ი ბ ე ლ ა რ მ ი ნ ს

ჩემი კუნძული საპრობილედ მექცა მას შემდეგ, რაც ადამასი გაემგზავრა. ტენოსზე წლობით მოწყენა იყო ჩემი სტუმარი. იქიდან წასვლა, ქვეყნიერების ნახვა-გაცნობა მოვიწადინე.

— თავდაპირველად სმირნაში ჩადი, — მირჩია მამამ, — მეზღვაურისა და მეომრის ხელოვნებას ჯერ დაეუფლე, შეისწავლე განათლებულ ხალხთა ენები, მათი კანონი, ადათწესი, ზნე-ჩვეულება, ყველაფერი გამოსცადე და უმჯობესი ამოიჩინე! შემდგომ ამისა შენი ნებაა, რა გზითაც ივლი.

— ცოტაოდენი მოთმინებაც უნდა ისწავლო, — დაურთო დედამ და მაღლიერმა შევისმინე მისი სიტყვებიც.

რა აღტაცება გიპყრობს მყისვე, როს პირველ ნაბიჯს სიყმაწვილის ზღურბლს გადაადგამ. ასე მგონია, დაბადების დღე იყო ჩემი, ტენოსიდან ჩემს წამოსვლას როცა ვიხსენებ. თითქო ახალი მზე ამობრწყინდა, ვნახე პირველად ზღვა და ხმელეთი, თითქო პირველად დავტყვი ჰაერით.

იმ მონღომებამ, სმირნაში სწავლას რომ დავეწაფე, იმ სწრაფმა წინსვლამ გული მცირედ როდი დამიცხრო. არა ერთი კურთხეული უქმე სალამოც მაგონდება მე იმ დროიდან. მელესის პირას ხშირად ვყოფილვარ, მისეირნია მარად მწვანე ხეების ქვეშ, სად ჰომეროსი დაბადებულა, ვკრეფდი ყვავილებს და ჩემს მგოსანს მსხვერპლად ვწირავდი — წმინდა მდინარის ტალღებში გუჩიღა! შემდგომ ამისა ჩუმი ოცნებით გარინდებული მახლობელ მღვიმეს ვესტუმრებოდი. აქ, ამ მღვიმეში მოხუცი თავის ილიადას მღეროდა თურმე, და ჰა, ვპოვებდი კიდევ მე იქვე მგოსანს, მის შორიახლო ვინაბებოდი, ღვთაებრივ წიგნს — მის პოემას მე გადავშლიდი და ისე ანლებურად ჩამესმოდა ყველა სტრიქონი, თითქო მანამდე არც წამეკითხოს.

სიამოვნებით ვიგონებ ისევ სმირნას სანახებში ჩემს ყარობას. იქ დიდებული ადგილებია და შემდგომ ხშირად მინატრია ფრთები მქონოდა, რომ წელიწადში ერთხელ მაინც, ჩავფრენილიყავ და კვლავ მეხილა მცირე აზია.

სარდესის²² დაბლობს განვერიდე, ავუყვავი ტმოლოსის²³ ქარაფს, — ზევით ავედი.

დამე მთის ძირას გავათიე ერთ მყუდრო ქოხში, ტუიისა და საკმელის ბუჩქთა სურნელით მთვრალმა; იქვე, პაქტოლის ოქროს ნაკადში²⁴ ნებივრობდნენ მშვიდად გედები, იქვე კიბელეს²⁵ ძველისძველ ტაძარს, ვით მოჩვენებას შემკრთალს, თელების ტევრიდან ამოეყო თავი და მთვარის ნათელ შუქს ირეკლავდა. ხუთი მოხდენილი სვეტი მწუხარედ დასცქეროდა ღორღს, ხოლო მათ ფერხთით ძირს დამხობილი ეგლო მეფური კარიბჭე.

ჩემი ბილიკი ახლა აყვავებულ ბუჩქნარში მიიკლავნებოდა სულ ზევით და ზევით. აშრიალებულ ხეებს ტოტები ფრიალოზე გადმოეკიდათ და ყვავილთა უნაზეს ფიფქებს თავზე მაფრქვევდნენ. დილიდანვე ავუყვავი აღმართს. და

შუადღისას უკვე მთის მწვერვალზე ვიძყოფებოდი. ლალად გაცვქეროდი შორეთს, ხარბად ვისუნთქავდი ცის ანკარა მონაბერს. მართლაც რომ სანეტარო წუთები იდგა.

ზღვასავით გადაშლილიყო ჩემს წინ დაბლობი, სად დილით ვიდექ, ნორჩად ხასხასებდა, ცხოველმყოფელი სიხარულით იყო აღსავსე; ფერთა უსასრულო, ზეციური ათინათი სუფევდა ყველგან. ამით ჩემს გულსა გაზაფხული სალამს უბღვნიდა და ვით მზე ჰპოვებს საკუთარ თავს დედამიწიდან ამონარეკლ შუქთა არილში, ჩემი სულიც ასევე ჰპოვებდა საკუთარ თავს ირგვლივ მიჩქეფარე სიცოცხლეში, მას რომ გარს ერტყა, მოზღვავებული ყოველი მხრიდან.

მარცხნივ, ჩემს ზევით, მარმარილოს კლდიდან, სადაც არწივი მართვეებს დასთამაშებდა და მის მიღმა კი ცისფერ ეთერში თოვლიანი ბრწყინავდნენ მწვერვალები, ბუმბერაზული ზარ-ზეიმით გადმოქუხდა ვეება ჩანჩქერი და ტყეებში იკარგებოდა; მარჯვნივ საავდრო ღრუბლები მოგორავდნენ სიპილოსის²⁸ ტყეების თავზე; ქარი, რომელიც მათ მოერეკებოდა, ვერ ატანდა ჩემამდე. ვგრძნობდი მხოლოდ, როგორ მელამუნებოდა სიო კულულებზე, ჭექა-ქუხილი კი ისე მესმოდა, როგორც მყობადის ხმა ჩაესმით ხოლმე, და ვით შორეულ გამოკრთომას ღვთაებისა, რომელსაც გუმანით წინასწარ ელიან, ელვასაც მოვკარი თვალი. მე სამხრეთისაკენ ვიბრუნე პირი და გზა განვაგრძე. ჩემს წინ სამოთხის დარი მხარე გადაიშალა, სადაც კაისტროსი მდინარებს ისე საოცრად მიხვეულ-მოხვეულ კალაპოტში, თითქო სურდეს გზა გაიგრძელოს და იმ სიუნჯესა და სიტურფეში დაახანოს, რაც გარს არტყია. ზეფირის მსგავსად დანანაობდა ჩემი სული სილამაზიდან სილამაზისაკენ, რომელიდაც პაწაწკინტელა მყუდრო სოფლიდან, ზედ მთის ძირთან რომ მიყუყუელიყო, თვალუწვდენელ სივრცემდე, სადაც მესოგიონის მთავრეხილი მუქ ლურჯად ჩანდა.

სმირნაში ისე დავბრუნდი, ნაქეიფარი კაცი შინ ნადიმიდან რომ დაბრუნდება. გული იმდენად აღვსილი მქონდა სიამით, რომ არ ძალმიძდა მოკვდავთათვის ჭარბი გრძნობები გადამეშალა. ერთობ ბედნიერი ვიყავ, ბუნების სიტურფე რომ ვიალაფე, და არ შემეძლო ამ ალაფით ჩვენს ცხოვრე-

ბაშინ ხარვეზების ამოვსებას არ ვცდილიყავი. ჩემმა აღტყინებამ უბადრუკი სძირნა თავისებურად შეაფერადა და ისიც პატარძალივით მორთულ-მოკაზმული. თვალწინ დამიდგა. მომწონდნენ მისი ენაწყლიანი მკვიდრნი. მათი უაზრო აღათ-წესები მართობდა ბაღის ოინებევით და რაკი ჩემი ბუნების გამო ვერ შევიგუე უცხო ზნე-წესი, — თავსლა ვირთობდი: ვით კარნავალის მონაწილე, შესამოსელით მოვირთვებოდი, რომ შემდგომ ისევ ტანსაცმელი გაჰომეცვალა.

ისე კი, თუ რამ კაზმავდა ჩვეული ყოფის ურგებ შეჭამანდს, ეს იყო ხილვა იმ კეთილი სახეებისა, იმ კეთილშობილ ადამიანთა, გულმოწყალე ბუნება რომ ვარსკვლავებივით ააკიაფებს, ოდეს წყვდიადი ჩამოგვიდგება.

ო, რა გულწრფელად მიხაროდა მათი მოვლენა! როგორ მჯეროდა, რომ ამოვხსნიდი მე ამ მეკობრულ იეროგლიფებს. თუმცა, ეს კია, მათს გადამვიდეს თითქმის იგივე მემართებოდა, რაც ერთ გაზაფხულს არყის ხეების გამო შემემთხვა. აკი ვიცოდი ამ ხის წვენიის ამბავი თითქოს, ჰოდა, ვიფიქრე, ასეთ ტანკენარ მცენარეებს მართლაც ნექტარი ექნებათ-მეთქი, დავიგემოვნე, მაგრამ ვაი, რომ არც ძალ-ღონე და არც მხნეობა არ შემემატა.

ვაგლახ! სხვა დანარჩენი — რასაც ვისმენდი, რასაც ვხედავდი — წამლად ხომ სულ არ გამოდგებოდა.

ჟამიდან ჟამზე, როს, ასე ვთქვათ, განათლებულ ადამიანთ შემოვხვდებოდი, მერყენებოდა, რომ ბუნება ადამიანის ცხოველთ სამყაროს მრავალგვარობით არის შემკული. როგორც ყოველგან, მეტწილად აქაც კაცნი იყვნენ გახრწნილნი და ზნედაცემულნი.

ზოგ-ზოგი მხეცი ყმუილს იწყებს, როს მუსიკის ჰანგს გაიგონებს. საუცხოოდ აღზრდილი ავანრავანნი კი, პირიქით, სიცილს მოჰყვებოდნენ, თუ საუბარი ნორისა გულს და სულის მშენებებს შეეხებოდა. მგლები ვარბიან, თუკი მავანი ცეცხლს ვაარადებს, ეს ხალხი კიდევ ქურდებივით იპარებოდა, თუ სადმე ჭკუის ნაპერწკალი გამოვრთებოდა.

ძველ საბერძნეთზეც რომ გულთბილად მეთქვა რაიმე; უმაღლ მთქნარებას მოჰყვებოდნენ და მეტყუოდნენ: ცხოვრება

ჩვენს დროშიც შეიძლებაო. შემდეგ კი ვინმე დიდის აძბით დაუმატებდა: ცხოვრების გემო ჩვენც კარგად ვიცითო!

ნათქვამს საჭმითაც ადასტურებდნენ: ერთი მეხოფესავით ოხუნჯობდა, მეორე ზნეობას ქადაგებდა გაბდენძილი.

სხვა ვინმე კიდევ თავს უთუოდ განათლებულ კაცად გამოიდებდა, აღუვლენდა საყვედურს ზევას და თან იძახდა: დღევანდელი კვერცხი მიჩვენია ხვალინდელ ქათამსაო, და-
ნაპირებს ნაღდი მიჯობაო, მაგრამ როგორც კი სიკვდილს უხსენებდნენ, მაშინვე გულზელს დაიკრეფდა და საუბარში თანდათანობით იმ აზრს დაადგებოდა, რომ სამღვდლოებას სულ აღარ სცენენ პატივს და ეს კი საშიშიაო.

• ერთადერთი, რომლებთანაც დროგამოშვებით ურთიერთობა მქონდა, მიხრობელები იყვნენ, უცხო ქალაქებისა და ქვეყნების ცოცხალი კატალოგები, მეტყველი ჯადოსნური ფარსები, რომლებშიც ცხენოსანი დიდკაცნი, ეკლესიის სამრეკლოები და ბაზრები შეჯიბლიათ იხილოთ.

ბოლოს მომბეზრდა თავის დამცირება, უდაბნოში ვაზისა და ყინულოვან ველზე ყვავილის ძებნა.

ახლა უკვე მარტოდმარტო ვცხოვრობდი და სიყმაწვილის ნაზი სულსგან თითქმის სრულიად განიძარცვა არსება ჩემი. საუკუნის უკურნებელი სენი ბევრ ისეთ ამბავს დავატყვე, რასაც ვიამბობ ან არც ვიამბობ; ამასთანავე არც ის დამცალდა, რომ ერთ სულში აღმომჩინა მთელი ჩემი სამყარო, ერთ მეგობრულ ხატებად ჩამეკრა გულში მთელი ჩემი მოღვნა. ეს მშვენიერი ნუგეშიც კი წამერთვა უკვე.

ჩემო ძვირფასო! იმედის გარე რა იქნებოდა, აბა, ცხოვრება? ალბათ ნაბეჭქვალს ვემსგავსებოდით, დველფს დაცდენილი უმაღ რომ ქრება? ან კიდევ იქნებ ქარის მონაბერს, ცრიატ დღეს რომ დანიშნულებს და იმ წამშივე ისევ მიწყდება.

თვით მერცხალიც კი ზამთრის პირას სასოებით აგნებს თბილ ქვეყნებს. ტყის ნადირი მცხუნვარე დღეს სულმოუთქმელად დაბუნძულებს და თვალებით ეძებს ნაკადულს. ვინ ეუბნება ჩვილს, რომ დედა უარს არ ეტყვის თავის ძუძუზე, მაგრამ, ხომ ხედავ, ის მაინც ეძებს.

სასოება რომ არ გააჩნდეს, ვერა სულდგმული ვერ იცო-

ცხლებდა. გულდახურული შევიქენი, გულში ვმაღავდი ჩემს საგანბურსა. თუმც მარტოოდენ იმ განზრახვით ვი, რომ უკეთესი მყობადისთვის შემომენახა, ერთადერთისთვის, წმინდასათვის, ერთგულისათვის, რაიც უთუოდ შემობნდებოდა ჩემს ნწყურვალე სულს მისი მყოფობის სარბი-ელზე ადრე თუ გვიან.

რა ნეტარებით ვებლოდი ამგვარ ოცნებას, როდესაც იგი, წინათგრძნობით ატანილსა და შევებით აღსაცხეს, საათობით მელაძუნებოდა შუბლზე, ვითარცა მშვიდი შუქი მთვარისა. ჯერ კიდევ მაშინ გიცნობდი შორით, შენ უკვე მაშინ გადამიცნობდი მე ღრუბლებიდან, შენ, ვით გენია, შენ, როდელმაც ოდესღაც ქვეყნის მღვრიე მორევს გამოაღწიე და თვინიერი მშვენიერებით მე მომეგლინე! იმ დღიდან ჩემს გულს ჩაუცხრა ბორცვა, აღარ იწვოდა და იდაგვოდა!

და ვით შროშანა ირწევა ნაზად, როდესაც სიოც განაბულია, ასევე მთელი ჩემი არსებაც დანანაობდა თვის სტიქიონში — შენს მიერ აღძრულ წარმტაც ოცნებებში.

ჰ ი პ ე რ ი ო ნ ი ბ ე ლ ა რ მ ი ნ ს

სმირნა მომბეზრდა და საერთოდ, გულში დაღლა შემომეპარა. მართალია, დროდადრო მწაღდა. დედამიწისთვის გარს შემომეველო ან საომრად წავსულიყავი, სულერთი იყო, საით ან ვისთან. ხანაც მინდოდა აღმასი მომეპებნა და მისეული გზებით და ცეცხლით უგუნებობა ჩემი მომცეპო, მაგრამ სურვილი სურვილად დარჩა, ხოლო უმნიშვნელო, უღიმჯამო ცხოვრება ჩემი განახლებას არ აპირებდა.

მიიწურა ასე ზაფხული და წინასწარ თვალწინ მედგა მოღუშული და ავდრიანი დღეების წყება, ყურში მესმოდა ეარის ზუზუნნი და ნიაღვართა თქიშინ-თქიშინი. და ის ბუნება, მიქეჯარე წყაროდ რომ იღვრებოდა ყველა ყლორტიდან, ყოველი ხიდან, ჩემს დაღვრემილ სულს ჩემებრ მიმქრალი, კარდანშული და საკუთარ თავში ჩაძირული ერევნებოდა.

მსურდა წამელო, რისი წადებაც ძალმიძდა ამ წარმავალი ჯოფიდან, — ჩემში მსურდა შემენახა ის ყოველივე, რამაც

კი თავი შემაყვარა, უკეთუ კარგად ვიცოდი, რომ გაისად აქ
ვერ მნაზავდნენ ვერც ეს ხეები, ვედარც ეს მთები. ამიტომ
იყო, მოვუხშირე ცხენით თუ ფეხით ხეტიალს სმირნას
სანახებში.

უფრო კი იმიტომ მომიწევდა გული აქეთკენ, რომ ერთი
კაცის ნახვა მსურდა, რომელსაც ბოლო ეამს ყოველდღე
გზვდებოდი ქალაქის კარიბჭესთან, ხეების ჩრდილში.

პირმშენიერი უცნობი ჭაბუკი ტიტანივით დააბიჯებდა
ჯუჯათა შორის და ისინიც კრძალვით უჭვრეტდნენ მის სი-
ლამაზეს, მის ახოვნებასა და ძლიერებას თვალით ზომავ-
დნენ და შეფარვით, თითქო აკრძალული იყო, ტკბებოდნენ
მისი გარუჯული სახის რომაული ნაკვთებით. მუდამ სა-
უცხოოდ დგებოდა წამი, როს მისი მზერა — ლაღი ეთერი თვა-
ლის შევლებად არ ეყოფოდა — სიამაყენე ხელჩაქნეული,
ინდნის იღვწოდა, ვიდრე ჩემს მზერას არ შეხვდებოდა, და
ჩვენ, ერთბაშად აღეწილნი, თვალს შევაგვლებდით ერთიმეო-
რეს გვერდით ჩაჯლისას.

ერთხელ ღრმად შეველ მიმას ტყეებში²⁷ და გვიან საღა-
მოს დავბრუნდი უკან. გზას ქვეითად მოვუყვებოდი, ცხე-
ნი საღავით მომყავდა თავქვე, ციცაბო და გაუვალ ბილიკ-
ზე, რომელიც ფესვებსა და ლოდებს ლამის ჩაეხერგათ. გა-
ჭირვებით გავივლიე გზა ბურქნარში და მღვიმის პირს მი-
ვადექ თუ არა, ანაზღეულად ორი კარაბორნიელი ყარა-
ლი²⁸ დამესხა თავს. ჯერ გამიჭირდა წყვილი ხმლის მოგე-
რიება, მაგრამ ამათ, ეტყობა, სადღაც უკვე ეავაზაკნათ —
დადლილნი იყვნენ, ასე რომ, მშვიდობით დავადწიე მათ
თავი, დინჯად შევჯექი ცხენზე და თავქვე დავეშვი.

მთის ძირას, შუაგულ ტყეში, უზარმაზარ ლოდებს შუა,
ჩემს წინ პატარა მდელო გადაიშალა. სინათლემ იმატა,
მთვარე ის-ის იყო ამოიწვერა შავად დაქუფრულ ხეებს მიღ-
მა. შორიანლო ბედაურები შევნიშნე, მიწაზე იწვნენ, მათ
შორიანლო, ბალახში, ვიღაც კაცები გაშოტილიყვნენ.

— ვინა ხართ, ხალხო! — გავძახე დამხვდურთ.

— ეს ჰიპერიონია! — მესმა პასუხად ხმა გმირისეული,
აღტაცებული. — შენ მიცნობ, — განაგრძო შემდეგ, — ყო-
ველდღე გზვდები ხეებქვეშ, ქალაქის ბჭესთან.

ჩემი ბედაური ისარივით გაიჭრა მისკენ. მთვარე მკაფიოდ უნათებდა სახეს, მცის შევიცანი და ჩამოვხტი უმაღლესხენიდან.

— მშვიდობა შენდა! — მომესალმა სათნო ვაჟკაცი, გულღიად, მაგრამ ჯიქურ შემხედა, თან დაძარღვული ხელი ჩამომართვა ისეთი ნდობით, რომ ამ სალამმა შეიძრა თავად სულის სიღრმემდე.

ო, ჩემს უღიმღამო ცხოვრებას ახლა უკვე ბოლო მოეღო! ალაბანდამ,²⁹ ასე ერქვა უცხო მზევბაბუკს, მითხრა, რომ მას და მის მსახურს ყაჩაღები დაესხნენ თავს და რომ ის ორნი, ვისაც ადრე ვაძვავყარე, ჯერ მან იფრინა. მეზე ტყეში გზა აებნა და ამის გამო იმ ადგილას გაჩერდა, სადაც მე ვპოვე ახლა.

— თან მეგობარიც დავკარგე, — დასძინა მან და მიმი-თითა მკვდარ ბედაურზე.

მე ჩემი ცხენი ალაბანდას მსახურს მივანდე და ქვეითად გაჟყვივით ბილიკს.

— ასე მოვვიხდება, — წამოვიწყე მე, როს ხელიბელვადახვეული ტყეს გამოვშორდით. — რად ვაუკონებლით ნეტავ აძღენ ხანს? ჩვენ ერთურთს თავი მანამ ვარიდეთ, სანამ ფათერაკმა ერთად არ შეგვყარა.

— უნდა გითხრა კი, რომ შენ უფრო მიგიძღვის ბრალი, — მომიგო ალაბანდამ, — შენ უფრო მეტად იყავ გულცივი. შენ გამოგყევი მე დღეს ცხენდაცხენ.

— სწორუპოვარო! — ვუთხარ პასუხად. — შენ ეს იცოდე, სიყვარულში ვერასოდეს გაღამაჭარბებ!

ჩვენ ვსაუბრობდით სულ უფრო და უფრო გულღიად და გულითადად.

ქალაქთან ახლოს ერთ ლამაზ ფუნჯუკს გადავაწყდით, რომელიც მიჩქვარე წყაროებსა, ხენილსა და სურნელოვან მდელოებს შუა იყო წამოჭიმული.

იქ გადავწყვიტეთ დამის გათევა. კიდეც დიდხანს ვისხედით ერთად ღია ფანჯარასთან, ღრმა მღუმარებით გარემოცულნი. ზღვა და ხმელეთი სანეტაროდ განაბულიყო, ისევე როგორც ვარსკვლავები, ზემოდან რომ გადმოგვეტყეროდნენ. ათასში ერთხელ თუ მოაღწევდა ნაზი სით ზღვით მო-

ნაბერი, შემოიფრენდა ჩვენს ოთახში და შეარხვედა სახთ-
ლის მსუბუქ ალს. ზოგჯერ შორიდან ჰანგი გვეწვდებოდა
მქუხარე მუსიკისა და დროდადრო ამ სიჩუმეში ზეციური ის-
მოდა გრგვინვა — ეთერის სარეცელში დავანებული ავდრის
ღრუბელი იმ მძინარე ბუმბერაზივით ბორგავდა, ავ სიზმრებს
რომ ხედავს და სულშეხუთული ფშვინვას უმატებს.

ჩვენს სულებს ძალუმაღ აახლოებდა ისიც, რომ ამდენ
ხანს იძულებულნი ვიყავით საკუთარ თავში ჩაკეტილთ
გვეცხოვრა. ერთმანეთს ისე შევხვდით, როგორც ორი ნაკა-
ღული, რომლებიც მთიდან გადმოსჩქეფენ და ატეთ-იქით
ისფრიან მიწას, ქვებს, დამძალ ხეებს — მთელ ჩახერგილ
ქაოსს, რაც მათ ხელს უშლის ერთმანეთისკენ გზა გაიკვ-
ლიონ და მიაღწიონ იმ ადგილს, სადაც ატაცებულნი და
ამტაცებელნიც ერთსა და იმავე დროს ერთმანეთს შეერთვიან
ერთ დიდებულ მდინარედ და თვალუწვდენელი ზღვისაკენ
ერთობლივ გზას დაადგებიან.

ის, ბედისა და კაცთა ბარბაროსობის ვადამკიდე, საკუ-
თარი სახლიდან გამოვდებული და უცხოეთში კარდაკარ მო-
ხეტიალე, სიყრმიდანვე ბერი სიწირის მნახველი და გაავე-
ბული, მაგრამ გულის სიდრმეში მაინც მოსიყვარული, მარად
იმას დანატრებული, რომ უხეში გარსი გაერღვია და მეგობ-
რობის სტიქიონში ეგრძნო თავი; მე, შინაგანად უკვე ყველა-
ფერზე ზელჩაქნეული, მარტო, ეული, სულისკვეთებით სრუ-
ლიად უცხო ირგვლივ მყოფთათვის, — მე, რომლის გული-
დანაც გადმოდვრილ უტკბეს მელოდიებს ასე კურიოზულად
თან ახლდა ქვეყნის ეყვანთა ჟღარუნი, — მე, ყოველი
ბრმისა და გონჯისათვის სამუღველი, თუმც მე თვითონაც
ზოგჯერ თვალისჩინს მოკლებული და გონჯი მეგონა საკუ-
თარი თავი, თუმც მე თვითონაც გულითა და სულით მეჯავ-
რებოდა ყოველივე ის, რაც ასე თუ ისე ენათესავებოდა
ჭკუის კოლოფებსა და განბრძობილთ, ბარბაროსებს და ოინ-
ბაზებს, — მე, რომელიც ყოველივე ამის მიუხედავად, მაინც
სასოებით აღსავსე ვიყავი, მაინც უკეთეს მყობადს ველო-
დებოდი...

განა შეიძლებოდა, რომ ასეთი ჭაბუკები, სიხარულისა-
გან ატანილნი, ერთმანეთს საჩქაროდ არ გადავხვეოდით?

ო, ჩემო მეგობარო და თანამეაბჯრევე, ჩემო ალაბანდა, სადა ხარ ნეტავ? ლამის ვირწმუნო, რომ უცნობ ქვეყანას მიაშურე და იქ დაივანე, კვლავ იმად იქვე, რაც უწინ იყავ, ჩვენი ყრმობის ჟამს.

ჟამიდან ჟამზე, როს საავდრო ჭექა-ქუბილი თავს გაღმეველება და ღრუბლის რიდე ტყეებს და მინდვრებს გადმოაპკურებს ღვთაებრივ ძალას, ანდა როდესაც ზვირთები ზღვისა ერთმანეთს ანცად ეხეთქებიან, ან ორბთა გუნდი დასტრიალდება იმ მთის მწვერვალებს, სადაც მე დავალ, ისე თრთის გული, თითქო ჩემი ალაბანდა აქ სადმე იყოს. თუმც ალაბანდა კიდევ უფრო საცნაურად, სელშესახებად ცოცხლობს ჩემს გულში, სწორედ ისეთი, ვითარც ოდესღაც მომეგლინა: მგზნებარე, მკაცრი, მრისხანე მამბილებელი ამ საუკუნის შეცოდებათა, რომლებსაც იგი უმოსყალოდ ანათრახებდა. რარიგ ენთებოდა სული ჩემი და რა მქუხარე სიტყვებს ჰპოვებდა ჩემი ენა ულმობელი სამართლიანობის დასამკვიდრებლად! ნემესიდას³⁰ მაცნეებივით გარს ევლებოდნენ ჩვენი ფიქრები მთელ დედამიწას, ვიდრე ისე არ განწმენდნენ მას, რომ წყევლისა და შერკენების კვალიც კი აღარ დარჩენილიყო.

თვით წარსულსაც კი მოვუხმობდით ჩვენს სამსჯავროში, თვით გულზვიადი რომის დიდებაც ვერ გვინერგავდა რიდას და კრძალვას, თვით ათენსაც კი, ახალგაზრდულად ტურთად გაფურჩქნილს, ვეღარ ძალუბდა ჩვენი გულის მონადირება.

ვით ქარტეხილი, ტყეებში, მთებში აღტყინებით რომ დათარეშობს, ჩვენი სულებიც ისევე დიად ჩანაფიქრთა გაუვალ ტევრში თავდავიწყებით დანავარდობდნენ. თუმცა საკუთარ ზღაპრულ სამყაროს კი არ ვსახავდით, წარმოქმნილს რადაც მისწური სიტყვით, რაც ვაჟკაცური არ იქნებოდა, და გამოუცდელ ბაღღებივით როდი გვეგონა, დაბრკოლებები არ შეგვხვდებო. საამისოდ ალაბანდა ერთობ ჯამგები და გულმამაცი იყო ყოველთვის, მაგრამ სწორად ხომ ანაზღეულ აღტყინებასაც თან ახლავს ბრძენის და ნეომრის სულისკვეთება.

ერთი დღე განსაკუთრებით დამამახსოვრდა.

მე და ალაბანდა ქალაქგარეთ წავედით. მეგობრულად

ხელიხელგადახვეულნი ჩამოვსხედით მარადმწვანე დაფნის ჩეროში და ერთად ვკითხულობდით ჩვენს საყვარელ პლატონს, სახელდობრ იმ ადგილს, სადაც იგი ასე საოცრად ამაღლებულად ლაპარაკობს დაბერებასა და გაახალგაზრდაებაზე.³¹ თან დროდადრო თავს ავიღებდით, გავცქეროდით უტყვესა და სიმწვანისაგან ნაწილობრივ განძარცულ სანახებს — შემოდგომის მთვლემარე ხეებს ზეცა ღრუბლის ქულებითა და მზის სხივებით უფრო წარმტაცად, ვიდრე ოდესმე, დასთამაშებდა.

შემდეგ ამჟამინდელ საბერძნეთზე ვლაპარაკობდით, ორიგენი გულისტკივილით, რადგან ეს პატივსაცემი მიწა-წყალი ალაბანდას სანშობლოც გახლდათ.

ალაბანდა მართლაც უჩვეულოდ დელავდა.

— როს ბავშვს შევხედავ, — შესძახა მან, — და თან გავიფიქრებ, რა სამარცხვინო და სავალალო უღლის ტარება მას მოუხდება, რა უღიმღამოდ გაატარებს ცხოვრებას ჩვენებრ, როს დაუწყებლს ძეგნას ადამიანებს, ან მშვენიერის და ჭეშმარიტის რა მონატრული იქნება მუდამ, როგორ დარჩება უნაყოფოდ, რადგან ჩვენსავით მართოდ იქნება, როგორ... ეჰი, ყველამ აკვნიდან ამოიყვანეთ და წყალს მიეცით თქვენი ვაჟები, რომ იმათ მაინც არ იწვნიონ ის დამცირება, რაც თქვენ იგემეთ!

— მერწმუნე, ალაბანდა! — ვუთხარი მე. — ყველაფერი სხვაგვარად იქნება.

— მერედა, რა გჭირთ? — მითხრა პასუხად. — გმირებმა დიდების შარავანჯელი დაკარგეს, ბრძენკაცებმა კი შევირდები. საგმირო საქმეები, თუკი მათ კეთილშობილი ხალხი ვერ შეისმენს, იგივეა, გონებაჩლუნგს რომ შუბლზე ურტყა ძალუზად, ხოლო დიადი სიტყვები, თუკი დიად გულში გამოძახილს ვერა ჰპოვებენ, მჭკნარ ფოთლებს ჰგვანან, ნაკელში რომ აირევიან. აბა, რა გინდა, რომ ქნა?

— მე მინდა ნიჩაბს დავავლო ხელი, — მივუგე მე, — და ეს ნაკელი ორმოში ჩავფლა. იმ ხალხს, რომელსაც მგზნებარე სული და სიდიადე ვეღარ აღუძრავს ვერც მგზნებარე სულისკვეთებას და ვერც წყურვილს სიდიადისას, აღარაფერი აქვს საერთო იმათთან, ვისაც ჯერ კიდევ შერჩა ადამიანობა.

მას აღარაფრის უფლება აღარა აქვს და თუ ასეთ უნების-
ყოფო ლეშს ახლა პატივსაც სდებენ, — რომელთა სული უდ-
ვასო, ეს უკვე ფუყე კომედიაა, ცრუმორწმუნეობაა. ჯანდაბას
მაგათი თავი! ეს გამხმარი, ძირმომპალე ხე იქ არ უნდა იდ-
გეს, სადაც ახლა დვას, ის ხომ სინათლესა და ჰაერს არ-
თმევს იმ ნორჩ სიცოცხლეს, ახალ ქვეყნისთვის რომ
იფურჩქნება.

ალაბანდა უმაღ მომვარდა. გადამეხვია და მისმა კოცნამ
სული დამიტკბო.

— თანამოაბჯრევე! — გაიძახოდა ის. — თანამოაბჯრევე,
ძვირფასო ჩემო! ახლა ისე ვარ, თითქო ასი მკლავი მაინც
გამომსხმოდეს!

— აი, ეს ჩემებური ჰანგია, — განაგრძო მან და მის-
მა ხმამ, ვით საბრძოლო ყიჟინამ, გული აშიძგერა. — მეტი
მეც არა მინდოდა! — რა დიდებული სიტყვაა თქვეი, ჰიპე-
რიონ! მაშ როგორ! დმერთი ხომ არ იქნება ჭია-ლუაზე და-
მოვიდებული? დმერთი, რომელიც ჩვენშია და რომლის წი-
ნაშეც უსასრულო სარბიელია გადაჭიმული, რა, უნდა იდ-
გეს და ელოდოს, ვიდრე ჭია გზიდან ჩამოეცლება? არა! არა
და არა! თქვენ არც კკითხავენ, გინდათ თუ არა! თქვენ ხომ
მაინც არასოდეს არ მოისურვებთ, თქვე მონებო და ბარბა-
როსებო! ამოა და ამიტომ არც ვლამობთ თქვენს გამოს-
წორებას, ჩვენ მხოლოდ იმისათვის ვიზრუნებთ, რომ კა-
ცობრიობის ძლევა მოსილ სვლას გზიდან ჩამოგაცილოთ. ო,
ნეტავ მაშხალას ამინთებდეს ვინმე, რომ ხოდაბუნებში სა-
თითაოდ ამომეწვა სარეველები! ნეტავი ვინმე ნაღმს მომ-
ცემდეს, ფუტურო ჯირკვებს წარვხოცავდი მიწის პირიდან!

— სადაც შეიძლება, იქ მათ ფაქინაღ იცილებენ სავა-
ლი გზიდან, — ჩავურთე მე.

ალაბანდა ერთხანს სდუმდა.

— მარტოდენ მყობადილა თუ მახალისებს, — წამოიწყო
ბოლოს ისევ და ხელებში მწვდა აღტყინებული. — მაღლობა
დმერთს! რიგით სიკვდილს გადავურჩები: ბედნიერად იცხოვ-
რო ქვეყნად — მონის ენაზე თვლემასა ნიშნავს, ჰმ, ბედნი-
ერად იცხოვრო ქვეყნად! როს ბედნიერად ცხოვრებაზე მეტყვი-
ან რამეს, ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქო პირი ფაფა-ფუ-

ფითა და ღუბელა წყლითა მქონდეს სავსე! იმდენად ბრიყუ-
ლი, იმდენად აუტანელია ყოველივე ის, რასაც თქვენს დაფ-
ნის გვირგვინებს, თქვენს უკვდავებას ანაცვალებთ.

ო, წმიდათაწმიდა მანათობელო, დაუცხრომლად რომ
მოპრაობ შენს თვალუწვდენელ საბრძანებელში, მანდ მად-
ლა დახვალ ჩვენს ზევით და შენი სულის ძლიერებას მეც
მიწილადებ სხივთა კონებით, რომელთაც ხარბად შევისრუ-
ტავ, ბედნიერებას ნეტავ შენსას მეც მაზიარა!

მზის ძეთ საგმირო საქმეები ასაზრდოებენ, მათ გამარჯ-
ვებები ასულდგმულებთ; სულის მზნეობა არ აკლიათ და
საკუთარი მიმღეთამბლეობით განიხარებენ.

ამ კაცის სული ხშირად ისე მიყოლიებდა, რომ მრცბვე-
ნოდა კიდევ: ვით ბუმბულს მსუბუქს, რა იოლად ამიტაცებს
ხოლმე-მეთქი.

— ჰოი, ზეცავ და დედამიწავ! — შევძახე მე. — აი სი-
ხარული! აი ახალი დრო და უამი! ეს უკვე ჩემი უსუსური
საუკუნე როდი ლულულებს, ეს უკვე როდია ის მიწა-
წყალი, სადაც მარეკის შოლტის ქვეშ გმინავს გული კა-
ცისა. დიახ, დიახ! შენს დიდებულ სულს ფვიცავ, ძმაო,
ჩვენ ერთად ვიხსნით სანშობლოს ჩვენსას!

— ჩემი წაღილიც მხოლოდ ეგ არის, — კვერი დამიკრა
ალაბანდამ. — თუ არა და თავიც შევწიროთ.

იმ დღიდან უფრო დაგაფასეთ და შეგვიყვარდა ჩვენ ერ-
თმანეთი. აწ რაღაც ღრმა და ენით უთქმელმა სიღარბაისლემ
დაგვაკავშირა, თუმც ერთად ყოფნა ამან უფრო სანეტარო
გახადა ჩვენთვის. თვითეული ჩვენგანი მხოლოდ საკუთა-
რი არსების ძირითად მარადიულ ჰანგს შეისმენდა და ჩვენ
ზედმეტი სამკაულების გარეშე მივიწვედით დიადი ჰარმონიის
ერთი საფეხურიდან მეორისაკენ. საოცარი სიმკაცრითა და
სითამამით იყო აღსავსე ჩვენი ცხოვრება.

— რა სიტყვაძუნწი შეიქენი, — მითხრა მე ერთხელ პირ-
მოდიმარმა ალაბანდამ.

— თბილ ქვეყნებშიც ხომ, — ვუთხარ პასუხად, — სად
მზნა ახლო, ფრინველები არა გალობენ.

მაგრამ ქვეყნად ყოველივეს აქვს დასაბამი და დასასრუ-
ლი. ადამიანს კი, თუმცა ძალა აქვს ბუმბერაზული, არ

შეუბღია წარმავლობას გზა გადუღობოს. ერთხელაც ვნახე, პაწია ბალდი ხელს იწვდიდა და მთვარის შუქის დაჭერას ლამობდა. მთვარის სხივი კი არხეინად გზას კვლავ იკვლევდა. ჩვენც ასევე ვართ, ბევრს ვიბრძვით, მაგრამ ბედის ტრიალს ვეღარ ვაკავებთ.

ო, განა ვინმეს ძალუბს მას ისე წყნარად და ჩაფიქრებით ადევნოს თვალი, ვით ვარსკვლავთა სვლას უჭვრეტენ ხოლმე!

რაც უფრო მეტად ბედნიერი ხარ, მით უფრო იოლია შენი დაღუპვა, და ამიტომაც ალაბანდასთან გატარებული ნეტარი დღენი ფრიალო კლდისა მწვერვალსა ჰგავდა, სად კმარა თუნდაც ერთი შეხება თანამგზავრისა, რომ უნებლიეთ პიტალო კლდიდან მრუმე უფსკრულში გადაიჩეხოს.

დიდებულად ვიმოგზაურეთ ქიოსზე³² და ძალზე ვისიამოვნეთ. ბუნების ჯადოსნური მომზიბლაობა ისევე გვეაღერსებოდა, როგორც ნიაფი ზღვისა ზედაპირს. გახარებულნი, გაოცებულნი, სიტყვის უთქმელად შევცქეროდით ერთიმეორეს, მაგრამ ჩვენი თვალები ამას ამბობდნენ: „ჯერ ასეთი მე არ მინახინარ“. ასე დიდებულად გვიცვალა ნირი დედამიწის და ზეცის ძალებმა.

ფიცხი ლაღობით ჩვენ კიდევაც ვიკამათეთ ზოგ-ზოგ რამეზე. როგორც ყოველთვის, მე ამჯერადაც გულს მიხარებდა მისი გონების თამამი და ახირებული თამაში, რითაც იგი ასე თავისებურად, ასე ლაღად და მხიარულად, თუმცა კი მაინც საკმარისი შეუპოვრობით, თვის გზას იკვლევდა.

მარტოობას მოწყურებულნი, როგორც კი ნაპირზე გადამოვედით, მაშინვე განვცალკევდით.

— შენ არ გჭირდება ვინმეს დარწმუნება, — ვუთხარ უღრმესი სიყვარულით, — ვიდრე რაიმეს თქმას მოასწერებ, მსმენელი უკვე მოსყიდული გყავს. როცა ლაპარაკობ, დაეჭვება შეუძლებელია და თუკი კაცს ეჭვი არ ეპარება, მაშინ მისი დარწმუნება რა საჭიროა.

— გულზვიადო ფარისეველო, — შესძახა მან, — ცრუობ! მაგრამ კარგია, რომ მაფრთხილებ! შენი ვაღამვიღე ისედაც ერთობ ხშირად ვიჩენ ხოლმე უგუნურებას! რის გულისათვის შეგელეოდი, მაგრამ ზოგჯერ მაინც შიში მიპყრობს, რომ

ასე საჭირო შეიქნენ ჩემთვის, რომ შენზე ასე ვარ მიჯაჭვული. ჰოდა, — განაგრძო ისევ ალაბანდამ, — რახან მთლიანად შენ გეკუთვნი, ყველაფერი უნდა შეიტყო ჩემზე! თორემ აქამდე ამდენი სიტუაციის ხილვისა და სიხარულის გამო აზრად არ მოგვსვლია წარსულისათვის გადაგვევლო თვალი.

შემდეგ მიაბო, რაც თავს გადახდა, და ასე მეგონა, მეგერასთან³³ მებრძოლ ჭაბუკ ჰერკულესს ვუჭვრეტ-მეთქი.

— ახლა ხომ მომიტყევებ ხოლმე, — დაასრულა თხრობა თავისი სავალალო ხვედრისა ალაბანდამ, — ახლა ხომ უფრო მშვიდად შეხვდები ჩემს უხეშობას, უხიაგობას, აუტანლობას.

— კარგი, ვაჩუმდი, ვაჩუმდი-მეთქი! — წამოვიძახე მთელი არსებით ადელეგებულმა. — ოღონდაც მუდამ ჩემთან იყავ, ოღონდაც შენს თავს გაუფრთხილდი ჩემი გულისთვის!

— ო, როგორ არა! შენი გულისთვის! — მითხრა პასუხად მე ალაბანდამ, — მე გულიანად მახარებს ისიც, რომ აჯადოთუ კარგად მაინც მიგუებ, და თუ დროდადრო მაშალო ვაშლის მსგავსად კბილი მოგჭერი, აიღე და მაგრად დამწურე, რომ დავდუღდე და ღვინოდ გადავიქცე.

— თავი გამანებე! თავი გამანებე! — დაფუტიე მე ალაბანდას, მაგრამ ამოღ ვეურჩებოდი. ამ კაცთან ბავშვი ვხდებოდი ხოლმე და ამას არც ვუმალება; იგი ხედავდა ჩემს ცრემლებს და ვაი მას, რომ არ დაენანა!

— ფუქსავატნი ვართ, — წამოიწყო კვლავ ალაბანდამ, — დროს ზარხომში ვკლავთ.

— ეს ჩვენი ერთად ყოფნის თაფლობის თვეა, — დავძინე მხიარულად. — და ისღა გვაკლია, ვთქვათ: არკადიაში ვიმყოფებითო...³⁴ მაგრამ კვლავ ჩვენს საუბარს დავუბრუნდეთ. სახელმწიფოს შენ მაინც ერთობ დიდ ძალას ანიჭებ. მას უფლება არა აქვს ის მოითხოვოს, რაც არ ძალუძს თავს მოგვახვიოს. ხოლო იმას, რაც სიყვარულითა და სულით მოიპოვება, იძულებით ვერ დაამკვიდრებ. ამიტომ, დაე, სახელმწიფო ამას სრულიად ნუ შეეხება, თორემ მის კანონთ სამარცხვინო ბოძზე გაკვრა ვეღარ ასცდება. დიერთმანი, იმან, ვისაც სწაღია, რომ სახელმწიფო ზნეობის სკოლად გადააქციოს, არ უწყის, როგორ ცოდვასა სჩადის. სა-

ხელმწიფო ზომ მხოლოდ იმიტომ იქცეოდა ჯოჯოხეთად, რომ ადამიანს მისი სამოთხედ გარდაქმნა სურდა. იგი ზომ უხეში ნაჭუჭია ცხოვრების გულის, სხვა არაფერი, — ვალავანია ადამიანის მიერ დარგული ხეხილისა და ყვავილების წალკო-ტის ირგვლივ.

მაგრამ რის მაქნისია ვალავანი ბადნარის ირგვლივ, სად ნიადაგი ვვალვითაა გაღაბუგული? მას მხოლოდ წვიმა თუ უშველის.

ო, წვიმავ ციურო! ო, აღტყინებავ! შენ დავვიბრუნებ ხალხთა ვაზაფხულს! შენ ვერ მოგიხმობს სახელმწიფო, შენ ვერ გიბრძანებს, მაგრამ ოღონდაც ხელს ნუ შეგიშლის და შენ მოხვალ, მოხვალ, ყოელისშემძლე შენეულ მაღლით, ოქროს ღრუბლებში ვავვახვევ და ზეავვიტაცებ, მოკვდავე-ბაზე ავვამაღლებ. ჩვენ კი ვიკითხავთ ვაოცებულნი, ნუთუ ეს ჩვენ ვართ, ჩვენ, ბედშავნი, ვარსკვლავებს რომ შევდა-ლაღებდით: მანდ ზომ არ ჰყვავის ჩვენთვის ტურუა ვაზაფ-ხულიო... რაო? როდის მოხდება ეს ყოველივე? როს ეპო-ქის გულით საყვარელი, უნორჩესი და ულამაზესი ასული ჩვენი ეპოქის, — ახალი ეკლესია³⁵ აღმოცენდება ამჟამინდე-ლი ჩირქმოცხებული, დამყაყებული ფორმებიდან, როს ღვთაებრიობის გრძნობის უნარი, ხელმეორედ ვადვიძებულის, ადანიანს მის ღვთაებას, ხოლო კაცის მკერდს სვებედნიერ ახალგაზრდობას კვლავ დაუბრუნებს. სახელდობრ რო-დის? — ამას კი უკვე ვეღარ ვამცნობ. რამეთუ მხოლოდ გული მითქვამს, მაგრამ ისე კი უთუოდ მოვა, უთუოდ დარეკავს ჟამი, სიკვდილი მაცნეა სიცოცხლისა და ის, რომ ამჟამად ჩვენს სნეულ სხეულებში ძილის რული გვაქვს მო-კიდებულის, მოახლოებულ გამომრთელებასა და გამოღვიძე-ბას მოასწავებს. მაშინ, მხოლოდ მაშინ ვპოვებთ ჩვენს საკუთარ თავს და სულის სტიქიონში ჩავიძირებით!

ალაბანდა ერთხანს სდუმდა და ვაკვირვებული მაცქერ-დებოდა. მე ატაცებული ვიყავ მოზღვავებული იმედებით: ღვთაებრივი ძალები ღრუბლის დარად მალლა-მალლა მიმა-ქანებდნენ.

— წამოდი! — შევძახე მე და ალაბანდას ტანსაცმელში

ზელი ჩავავლე. — წამოდი-მეთქი! ვინ გაჩერდება ამ ზნელ დილეგში, ღამის სუდარაში რომ გამოვვხვია!

— სად წამოვიდი, მეოცნებევ? — ცივად მომიგო მე ალა-ბანდამ და მის სახეზე თითქოს დაცინვის ჩრდილი შეენიშნებოდა. მე ისე გავხდი, თითქოს ზეციდან დაბლა მიწაზე დაანარცხესო.

— თავიდან მომიწყდი! — ასე ვუთხარი. — თურმე კაცუნა ყოფილხარ ვიღაც!

სწორედ იმავე წამს ჩვენს ოთახში უცნობებმა შემოაბიჯეს, თვალში საცემი გარეგნობის იყვენენ ყველანი, მეტწილად გამხდრები, ფერმკრთალნი და, რამდენადაც მთვარის შუქზე შევძელ გარჩევა, მშვიდნი, მაგრამ მათ იერს ახლდა რაღაცა, რაც მახვილივით სულს მიმსჭვალავდა და მათს სიბრძნეზე მიმანიშნებდა. თუმცა შეიძლება ეჭვიც შეგპარგოდათ და მათი იერი შეზღუდული გონების კაცთა გარეგნობაშიც კი აგრეოდათ, ჩაკლულ ვნებებს მათ სახეებზე აქა-იქ რომ ნაკვალევი არ დაემჩნია.

განსაკუთრებით ერთმა მათგანმა მიიპყრო ჩემი გულისყური. მისი ნაკვთების სიმშვიდე მიტოვებული ბრძოლის ველის სიმშვიდე გახლდათ. რისხვა და სიყვარული ბობოქრობდა ერთ დროს ამ კაცში. ახლა კი მისი სულის ნანგრევებზე გონება ისე ბრდღვიალებდა, ვით დანგრეულ სასახლეზე შემომოჭდარი ქორის თვალები. დრმა მძულვარება აღბეჭდოდა ბაგეზე ამ კაცს. იგრძნობოდა, რომ იგი არ იქნებოდა წვერილმან მიწნებით გატაცებული.

მეორე კაცი თავის სიმშვიდეს უფრო თანდაყოლილ გულქვაობას თუ დაუმაღლიდა. მისთვის თითქოს დადი არ დაესგა ვნებათა დელვის თვითნებობას ან ბედისწერის ძალმომრეობას.

მესამე სტუმარს გულცივობა, ეტყობა, ცხოვრებასთან ჭიდილში გამოემუშავებინა შინაგანი რწმენის საფუძველზე, მას ალბათ ჯერაც ხშირად უხდებოდა საკუთარ თავთან ბრძოლა, რადგან რაღაც იღუძალი წინააღმდეგობა გამოსჭვივოდა მისი არსებიდან, მე მგონი, ერთთავად თვალყურს ადევნებდა საკუთარ თავს. ყველაზე ცოტას ის ლაპარაკობდა.

მათ დანახვისას ალაბანდა ისე მარდად გასწორდა წილწი, მოხრილი ფოლადი რომ სწორდება ხოლმე.

— შენ დაგებებდით, — შესძახა ერთ-ერთმა მათგანმა.

— რაკი მეძებდით, ნნახავდით კიდევ, — სიცილით მიუგო ალაბანდამ, — თუნდაც შუაგულ მიწისქვეშეთში დავშალულიყავ. — შემიდეგ ამისა მე მომიბრუნდა და დაუმატა: — ესენი ყველანი ნეგოტორები არიან ჩემი.

მოსულეები, — მე მომიჩვენა, — თვალთ მზომავდნენ.

— ესეც ერთი ინათგანია, ვისაც უკეთესი ქვეყნის შექმნა სურს. — თქვა ალაბანდამ ცოტა ხნის შემდეგ და ბელი ჩემსკენ გამოიშვირა.

— მართლა ასეა? — მკითხა ერთ-ერთმა.

— ქვეყნიერების განოსწორება სახუმარო საქმე როდია, — ვუთხარ ჰასუნად.

— მოკლედ მოსჭერ და ბევრი რამ კი თქვი! — მითხრა მეორემ.

— ჩვენი კაცი ხარ! — ახლა ნესამემ წამოიძახა.

— თქვენც ჩვენებრ ფიჭრობთ? — შევეკითხე მე.

— საქმე მოგვეკითხე, — იყო პასუხი.

— და რომ მოგვიტხოვ?

— ნაშინ კი გეტყვით, რომ ჩვენ ამ ქვეყნის განსაწმენდად ნოესულვართ-ნეთქი, რომ ბინჯრებიდან წევები გაგვაქვს, რომ ვხნავთ სახნისით, თხნით ვაფხვიერებთ ნსხვილსა ბელტებს, ვძებთ სარეველას, ძირღესიანად ვგლეჯთ და განზე ვყრით, რათა მზის გულზე განნესა და გამოიფიტოს.

— არა იმიტომ, თითქოს მოსავალს ვეშურებოდეთ, — ჩაურთო სიტყვა ახლა მეორემ, — ჩვენ გასანრჯელოს ვერ ვედირსებით: ვერ მოვეწირებით ჩვენ იმ მოსავალს.

— ეს დაისია ჩვენი დღეების. ხშირად ვუდებოდით, დიდი იმედების შემყურენი ვიყავით მუდამ და საქმით თავს კდარ ვიწუხებდით, ბევრ სითამამეს ვიჩენდით და გონს არ ვატანდით. გვეჩქარებოდა ნაყოფის ხილვა და ბედსა ვცდოდით. ბევრს ვსაუბრობდით სინარულსა და სატანჯეულზე; მაგრამ ორივე კიდევ ვავიყვარდა, კიდევაც ვაძულდა. ჩვენ ბედსა ვცდოდით და ის კი ჩვენა. მათხოვრის არგანს ხში-

რად გვიცვლიდა მეფის სკიპტრაზე, მერე კი ისევ ძირს გვანარცნებდა. დაგვაქანებდა აღმა-დაღმა ანთებული საცეცხლურივით და ჩვენც მანამდე ვიწვოდით, ვიდრე ნაკვერცხლები არ ჩაიფერდნენ. თავი დაგანებეთ იღბალსა და წათერაკზე ლაპარაკს, ცხოვრების შუა გზას უკვე გამოვცდით, სად ყოველივე მწვანედ ხასხასებს და სადაც თბილა. თუმც სიჭაბუკის ყავლის გამოვლა ყველაზე ცუდი როდია ქვეყნად. გავარჯარებულ ლითონიდან ხომ ცივი მახვილი გამოიჭედა. თანაც ამბობენ, აწ უკვე ჩამქრალ, მკვდარ ვუღკანებზე არცთუ ურიგო ვაზი ხარობსო.

— ამას ჩვენს გამო როდი ვამბობთ, — ცოტა არ იყოს ნაჩქარევად ჩამოართვა სიტყვა ისევ სხვამ, — არამედ თქვენს გამო. ჩვენ ადამიანის გულს არ ვმათხოვრობთ. ჩვენ არ გვჭირდება მისი გული ან ნებისყოფა. უკეთუ იგი არას დედებით არ შეიძლება ჩვენ წინ აღვიდგეს, უკეთუ ყველა და ყველაფერი ჩვენი მომზრება — სულელებიცა და ჭკვიანებიც, პრიყვინიცა და ბრძენიც. უმეცრებისა და განათლების ყოველი მანკი, ყოველი სიქველე ჩვენ გვემსახურება, თანაც ისე, რომ ვადმობირებას არ საჭიროებს და მიზნის მიღწევაში ჰრმად გვიწყობს ხელს... ჩვენ მხოლოდ ის გვსურს, რომ ღინმეს სიამოვნებას ჰგვრიდეს ეს ამბავი და ამიტომ ათასობით უსინათლო თანაშემწიდან საუკეთესოებს ვარჩევთ, რათა თვალხილულ თანაშემწეებად გადავაქციოთ, ხოლო თუ არავინ მოისურვებს იქ ცხოვრებას, სადაც ჩვენ ვაშენებთ, რა გვენაღვლება, ჩვენი ბრალი ხომ არ იქნება, ჩვენ ჩვენი ვიღონეთ. თუკი არავინ არ მოისურვებს იქ. მოიწიოს მოსავალი, სადაც ჩვენ ვხნავდით, ამას ჩვენ ვერვინ გვისაყვედურებს. ვინ შეაჩვენებს, აბა, ვაშლის ხეს, თუ ვაშლი მოსწყდება და ჭაობში ჩავარდება? მე ხშირად მითქვამს ჩემი თავისთვის: შენს ნაამბავარს ჭია-ლუა შესჭამს-მეთქი, მაგრამ მაინც ბოლომდე მიმიყვანია ის სადაგი დღევ.

— ესენი თვალთმაქცები არიან! — შეჰღაღადებდა ჩემს მახვილ აღლოს ოთხივე კედელი. ისეთ დღეში ვიყავ, თითქო ცეცხლწაკიდებულ სახლში ვიჯექი, კვამლი მახრჩობდა და ის-ის იყო კარს ან ფანჯარას გავამტვრევდი, რომ გარეთ

გავჭრილიყავი. სუფთა ჰაერი მომენატრა, მომენატრა თავისუფლება.

მათაც მალე შენიშნეს ჩემი უგუნებობა და დადუმდნენ. უკვე თენდებოდა, რომ ფუნდუკიდან გარეთ გამოველ. დიღის ნიაფი ისე მემამა, როგორც ბალზამი ეამება მფეთქავ ჭრილობას.

ისედაც ძალზე გაღიზიანებული ვიყავ ალაბანდას დაცნობით და ახლა მისმა საეჭვო ნაცნობებმა საბოლოოდ გამაგულდნისეს.

— კაი კაცი არ არის, არა, — გავიძახოდი მე. — კაი კაცი არ არის. თავს იკატუნებს, ყველაფერში მენდობა ვითომ, თან ასეთებთან აქვს რაღაც საქმე და მე კი მიმაღავს.

ისეთი გრძნობა დამეუფლა, როგორც სასძლოს, რომელიც იტყობს, რომ ფარულად ქურჩის ქალთან ცხრვრობს თურმე მისი მიჯნური.

ო, ეს ისეთი დარდი არ იყო, მწრუნველობას რომ არ ავლენ, ბალღივით გულში ჩახუტებულს დაატარებენ და იადონის სტვენით აყურებენ!

გულისტკივილმა ისე გამთანგა, ვითარც ასპიტმა გახლებულმა, უმოწყალოდ თავს რომ წამოჰყოფს, ჯერ მუხლებსა და თეძოებზე შემოგეხვევა, მთელ ტანს თავის მარწუხნებში მოიქცევს შენსას, მკერდს დაგიგესლავს შხამიან ნესტრით და შენს კეფასაც წაეჭანება. მხნეობას ვუხმე, ცნადავ მეფიქრა ამადლებულზე — დასამშვიდებლად. ერთ ხანს შევძელი, მაგრამ შემდეგ კვლავ ავენთე და ბრაზის აღმაშთანთქა უკანასკნელი ნაპერწკლები სიყვარულისა.

უთუოდ მისი ხალხია, — ვფიქრობდი ჩემთვის, — უთუოდ პირი აქვს მათთან შეკრული ჩემს წინააღმდეგ! მერედა, ჩემგან რა უნდა? რას შეიძლება ეძებდეს ჩემში, მეოცნებეში? ნეტავი მაინც არ გადამყროდა! თუმცა ასეთ ხალხს თავისებური ყინი აწვალებს — საპირისპირო სულთან ცდილობენ დაახლოებას. გულს იოხებენ, როცა ფარვში უცნაურ ცხოველს გამოანიწყვდევენ.

და მაინც ენით ვერ ავიწერთ, რა ბედნიერი ვიყავი მასთან. რაოდენ ხშირად მიცნემივარ თავდავიწყებას მასთან ზელიხელგადახვეული, რომ შემდგომ ისევ განოფხილუ-

ბოლოს მკერდში უდრეკი ძალა შემევრძნო, რაოდენ ხშირად გამოვწვრთობილვარ, გამოვბრძმედილვარ მე მის სახმილზე, როგორც ფოლადი!

ერთხელ, შუაღამისას, მოწმენდილ ცაზე ალაბანდას დაოსკურები³⁵ დავანახვე; მან გულზე ხელი დამადო და მი-თხრა:

— ევ მხოლოდ ვარსკვლავებია, ჰიპერიონ, მარტო-ოდენ ასობი, რომლებითაც ზეცაზე გმირი ძმების სახელია დაწერილი, თვითონ გვირები კი ჩვენში ცოცხლობენ, ცხოველყოფელნი და ჭეშმარიტნი, აგრეთვე მათი სიმამაცეც და ღვთაებრივი სიყვარულიც ჩვენში არსებობს, აი, შენ კი, შენ ღმერთების ძე ხარ და უკვდავებას უწილადებ შენს მოკვდავ კასტორს!..

ერთხელაც კიდევ, როცა იდას³⁷ ტყეებში ვხეტიადობდით, შემდეგ დაბლა დაფეშვით ხეობებში და უტყვ ყორღნებს ვეკითხებოდით, თუ ვინ იყო მათში დაკრძალული, მე ალაბანდას ვუთხარი: ვინ იცის, იქნებ ერთ-ერთ ყორღანში აქილევსი და მისი საყვარელი მეგობარი მარხიან-მეთქი,³⁸ და ისიც ვამომიტყდა, რაოდენ ხშირად წარმოიდგენს ხოლმე პატარა ბალდივით, რომ ჩვენ ოდესმე ერთად დავეცემით ბრძოლის ველზე და ერთი ხის ქვეშ მიგვაბარებენ მიწას... აბა, მაშინ რას ვიფიქრებდი დღევანდელ ამბავს?!

რაც ძალი და ღონე მქონდა ვცდილობდი გონება მომეკრიბა და ისე მემსჯელა; ხან ბრალსა ვღებდი ალაბანდას, ხან ვამართლებდი, რათა შემდეგ კიდევ უფრო გაათფრებით დამედანაშაულებინა. ვუბალიანდებოდი ჩემს გუნება-განწყობილებას, ვცდილობდი გავმზიარულელებულიყავი და უარესად კი ვიღუშებოდი.

ეჰ! ჩემთვის ხომ, ვინ იცის, რამდენჯერ ურტყამთ მუშტი შიგ თვალებში და დავუსისხლიანებივართ. ძლივს ოდნავ მოშუშება დამიწყო ჭირილობებმა და უფრო ჯანსაღი მწერით რას შეგხედავდი, აბა, ქვეყანას?

ალაბანდამ მეორე დღეს მომინახულა. გული ამიღუდდა, რთს შემოვიდა, მაგრამ თავს ვძლიე, მიუხედავად იმისა, რომ მისი სიამაყე და სიღინჯე საშინლად მადინებდა და მახელბდა.

— საუცხოო ჰაერია გარეთ, — წარმოთქვა მან ბოლოს,
— საღამოც მშვენიერი იქნება. მოდი აკროპოლზე³⁹ ავი-
დეთ!

მე დავყაბულდი. გზაში დიდხანს ხმა არ ამოგვიღია.

— რა მოგივიდა? — ჩავეკითხე ბოლოს.

— შენ შეკითხვები ამას? — მომიგო ამ უცნაურმა ადა-
მიანმა ისე ნაღველიანად, რომ სულის სიღრმეში შეიმძრა.

შევჩქვიფდი, დავიბენი.

— რას უნდა ვფიქრობდე შენზე? — წამოვიწყე ბოლოს
ისევე მე.

— იმას, რაც სინამდვილეში ვარ, — მომიგო წარბშე-
უხრელად.

— ბოდიში უნდა მომიხადო, — ვუთხარი უკვე სხვა კი-
ლოზე და ამასად შევხედე, — აბა, უკაცრავად-თქო, მითხარი!
სინდისი განიწმინდე!

ეს კი უკვე მეტი სმეტი იყო.

— არა, მაინც რატომაა, — წამოიძახა აღშუოთებულმა, —
რომ ამ კაცს უნდა ქედი ისე მოვანრევიოს, როგორც მოეპ-
რინება? მართალია სკოლიდან ერთობ ადრე დამითხოვეს,
მაგრამ ბევრი ბორკილი მიტარებია და ყველა დამიმსწვრევია,
ეს ერთიდა მაკლდა და ამასაც დავამსწვრევ. აქამდე არც ერთ
ობროდს არ დაუტუქსივარ... იცოდე, ბუნდუნია არ გაბედო!
ისედაც დიდხანს ვიყავი გაჩუმებული!

— ო, ალაბანდა, ალაბანდა! — შევძახე მე.

— გარუმდი, — შემესიტყვა ისე — ჩემს სახელს სატი-
ვარივით ნუ იყენებ ჩემს წინააღმდეგ!

აქ მეც უკვე საბოლოოდ მოვიერია უგუნებობა და იქამდე
არ დავმცხრალვართ, ვიდრე უკან დაბრუნდები და შერიგება თითქ-
მის შეუძლებელი არ შეიქნა. ფეხქვეშ ვთელავდით ჩვენ
სიყვარულის ბაღნარს. ხშირად ვჩერდებოდით და ვჩუმდე-
ბოდით. დიდი სიამოვნებითა და სინარჯულით შემოვეჭდო-
ბოდით ერთმანეთს კისერზე, მაგრამ წყევული სიამაყე მაშინ-
ვე ანშობდა გულიდან აღმომხდარ ჩქამს სიყვარულისა.

— მშვიდობით! — მივაძახე ბოლოს და განვერიდე, მაგ-
რამ უნებლიეთ მაინც უკან მივიხედე: ალაბანდაც უნებ-
ლიეთ უკან გამომყოლოდა.

— ალაბანდა, — შევეხებინა მე, — ხომ მართალია, რომ ეს გლახა დიდი უცნაური ვინმეა: თავის უკანასკნელ გროშს ჭაობში აგდებს!

— რახან ასე იქმს, შინშილითაც ამოსძრობია სული, — მომაპაზა და წავიდა.

მეც წამოვყვალდი, ზღვის ნაპირას გავჩერდი და ტალღებს დავუწყე ყურება... ეჰ, მათეენ, მათი წიაღისევენ მიმიწევდა გული და მგლავებს ვშლიდი ლაღი სტიქიონისკენ; მაგრამ სულ მალე, თითქოს ზეციდან ბოეფლინაო, ნუგეშის-მცემელმა სულმა დამბერა და თავისი სათუთი კვერთხით დანიცხრო უსაზღვროდ ტანჯული გული: ახლა უფრო მშვიდად ვფიქრობდი ჩემს ხვედრსა და რწმენაზე, ჩემს საგალალო გამოცდილებაზე. ვისჯელობლი ადამიანზე, როგორადაც კი შემიგრძენია და შემიცვნია იგი სიყრმიდანვე. აბა, რანაირად აღზრდილი არ მინახავს, მაგრამ ყველაში ვჭვრეტდი ფარულ თუ მყვირალ დისპარმონიას, მხოლოდ ბაღლის მიამიტი უშუალობაში ვპოვებდი ანკარა მელოდიებს... სჯობია ისევ, — ვუთხარი ჩემს თავს, — ფუტკარი იყო და უწყინრად აგებდე შენს სახლს, ვიდრე იყო ამა ქვეყნის ძლიერთა ძალაუფლების მოზიარე და მგელივით ყმუოდე მათთან ერთად, ვიდრე ხალხს ლაგმავდე და ბინძურ ამბებში ხელი გაისვარო. ჰოდა, ტენოსში დაბრუნება მომინატრა, შინ, ჩემს ბაღებსა და ველ-მინდვრებში მოვინდომე ისევ ცხოვრება.

გაიღიძე, გაიღიძე! მე კი სიცილის გუნებაზე სულაც არ ნიყავ მაშინ. მთელი ცხოვრება ხომ გაფურჩქვნისა და დაჭკნობისაგან, საკუთარი თავიდან გაქცევისა და კვლავ უკან დაბრუნებისაგან შესდგება და კაცის გულიც გამონაკლისი რად უნდა იყოს?

მართალია, ამ ახალ მსოფლაღქმას ძნელად ვითვისებდი, მართალია, უხალისოდ ვეთხოვებოდი ახალგაზრდობის ქედმალურ ცრურწმენებს — აბა, ვის ეპიტნავება საკუთარ ფრთებს თვითონ იკვეცდეს? — მაგრამ ეს ხომ აუცილებელი იყო!

ავისრულე საწადელი. მართლაც ჩავჯექი ხომალდში და მთებიდან მონაბერმა გრილმა სიომ სმირნის ნავსადგუ-

რიდან გამაქროლა. საოცრად გულარხეინად, ნამდვილი ბაღდადით, რომელსაც ხვალინდელი დღე არ ენადვლებს, ვიწევი გემბანზე და გავცქეროდი ამ ქალაქის ხეებსა და მერეთებს, ჩემს მწვანე სავალ გზებს სანაპიროზე, აკროპოლისკენ მიმავალ ბილიკს, გავცქეროდი და სულ უფრო და უფრო ვშორდებოდი. მაგრამ როგორც კი ღია ზღვაში გავედი და თანდათანობით ნაპირი შიგ ისე ჩაიძირა, როგორც კუბო სანარეში, ერთბაშად ისე გავხდი, თითქო რაღაც ჩამწყდა გულში.

— ოჰ, ზევავ! — აღმომხდა მე და ერთბაშად გაბოგერკვიე, მთელი არსებით ვლამობდი მსრბოლავი აწმყოს შერერებას, მაგრამ იგი უკვე წარსულს ჩაბარდა, წარსულს ჩაბარდა!

ბურანში განვეულსდა ვხედავდი ღვთაებრივ მზარეს, სადაც მე, როგორც შველი იალაღზე, ლაღად ვსერავდი ხეობებსა და მთებს, ხოლო გული ჩემი ყველაფერს ექოსავით ეპასუხებოდა: წყაროებსა და მდინარეებს, სივრცეებს და სიღრმეებს დეღამიწისა.

ავერ იქ ავდიოდი ტმოლოსზე, უცოდველი და მარტოსული; ავერ იქ დაბლა ვეშვებოდი, სადაც ოდესღაც ახალგაზრდობის ბედნიერ დღეებს მოსწრებიან ეფესოსი, აგრეთვე თეოსი და მიღეთი⁴⁰, ხოლო იქ კი ალაბანდასთან ერთად ავსულვარ წმინდა და მჭმუნვარე ტროის სანახებში, — ალაბანდასთან ერთად, რომელსაც ღმერთსავით ვმბრძანებლობდი და ბაღდადით ვემორჩილებოდი მის ერთადერთ გამონედვასაც კი, სინაზითა და ნდობით აღვსილი; სულითა და გულით მიხაროდა, მისი არსებით გულწრფელად ვიყავ ალტაცებული და თავს მუღამ ბედნიერად ვრაცხდი, როდესაც მისი ბედაურის სადავე მეპყრა ბელთ ანდა როდესაც ჩემს საკუთარ თავს ვაჭარბებდი და დიდებულ წამოწყებებსა, გაბედულ ჩანაფიქრებსა და მგზნებარე სიტყვებში მას ტოლს არ ვუდებდი!

და ახლა ამას ბოლო მოედო. არარად ვიქეც, სამუდამოდ დავკარვე ყველაფერი, ჩემზე გლანაკი ადარავინ მეგულეობდა და თან ვერ გამეგო, რატომ დამემართა მე ეს ამბავი.

„ო, მარადიულო გაუგებრობავ! — ვფიქრობდი ჩემთვის. — როდის დააღწევს ადამიანი თავს შენს ბორკილებს?“

ჩვენ ვლაპარაკობთ ჩვენს გულზე, ჩვენს გეგმებზე, თითქმის ისინი მართლაც ჩვენი იყოს, მაშინ როდესაც არსებობენ რაღაც უცხო ძალა, რომელიც თავის ნებაზე გვატრიალებს და ბოლოს კი კუბოში გვაწვევს. ჩვენ კი ისიც არ ვუწყით, საიდან მოდის იგი და საით ისწრაფის.

გაზრდას ვლამობთ, მაღლისკენ მივიწევთ, იქ გვინდა ტოტებისა და ყლორტების გაშლა, მაგრამ ნიადაგი და ამინდი განსაზღვრავს, თუ რა გამოვა აქედან, და თუ კენწეროზე მენა დაგეცა და ფესვებამდე შუაზე გაგაპო, საბრალო ხეო, მაშინ ზესწრაფვას რაღა მაღლი აქვს?

ასე ვფიქრობდი და შენ ალბათ ბრაზობ კიდევაც, მაგრამ ეს რაა, შენ სხვასაც ბევრ რამეს მოისმენ ჩემგან, ჩემო ბელაჰინ!

სავალალოც სწორედ ეს არის, ჩემო ძვირფასო, რომ ჩვენი გონება ისე იოლად ასახავს შეცბუნებული გულის განწყობას, ისე ადვილად ნებდება ხოლმე წამიერ ურვას, რომ აზრი, რომელსაც ტკივილი უნდა განეკურნა, თვით ავადდება. ასე მცბადეც ხშირად იკაწრავს ხელს ეკლებზე ვარდის დარგვისას. ო, ამის გამო ცოტანი როდი გამოჩენილან ბრიყვად სხვის თვალში, მაშინ როდესაც ეს რომ არა, ამ ვიჯომ ბრიყვებს ორფეესივით¹ თავად უნდა ჰყოლოდათ დამორჩილებული განმაქიქებელნი მათნი. რაოდენ ხშირად ხდება ამის გამო უკეთილშობილესი ბუნების კაცი ისეთ ადამიანთა მასხარად ასაგდები, როგორებსაც ქურაში ყოველ ფენის ნაბიჯზე შეხვდები. სწორედ ის აბრკოლებთ ზეცის რჩეულებს, რომ მათი სიყვარული ისევე მძლავრი და ფაქიზია, როგორც მათი სული და რომ გული უფრო ხშირად და ძლიერ უღელავთ, ვიდრე ზღვის ღმერთი იქნევს თავის სანაკაპს. ასე რომ, ვეღარ ხერხდება აბობოქრებულ ზვირთთა ძლავმვა. ჰოდა, ამიტომ თავს ნურავინ ნუ გამოიდებს, ჩემო ძვირფასო!

ჰიპერონი ბელარმინს

ძალგიძს მისმინო, როცა ჩემს ხანგრძლივსა და ავად-
მყოფურ კაემანს მოგიტხრობ?

მიმიღე ისეთი, როგორც გბარდები და განსოვდეს: სჯობს
იმისათვის მოკვდე, რომ ჭეშმარიტად ცოცხლობდი, ვიდრე
ცოცხლობდე იმისათვის, რომ ჭეშმარიტად არასოდეს არ
გიცხოვრია! ნუ შეგშურდება უღრტვინველობის, ამ ხისგან
გამოჩორკნილი კერპებისა, რომელთაც არაფერი არ სჭირ-
დებათ, რამეთუ სულით ესოდენ ღარიბნი არიან; რომელ-
ნიც არ დაეძებენ ღარია თუ ავღარი, რამეთუ არა გააჩნიათ
რა, რასაც მოვლა-პატრონობა დასჭირდებოდა.

ღიან, ღიან! ძალზე იოლად ბედნიერი და მშვიდი იყო,
თუ გულპარჩნი და გონებაშეზღუდული ხარ. თუ მოგწონთ,
თქვენთვის დამილოცნია ასეთი რამ; აბა, ვინ გაიცხელებს
თავს იმის გულისათვის, რომ ხის სამიზნე არა გმინავს, რო-
დესაც ისარი ხვდება, ან ცარიელი ქოთანნი მარტოოდენ ყრუ
ხმას გამოსცემს, როდესაც კედელს მიაფშვნიან ხოლმე?

ოლონდ ამას უნდა დასჯერდეთ, თქვე კაი ხალხნო, გა-
სუსულინი უნდა იყოთ და ისე ჰკვირობდეთ, თუკი გაუგებარია
თქვენთვის, რომ სხვები თქვენებრ ბედნიერნი და თვითმა-
ყოფილნი არ არიან, უნდა უფრთხილდეთ თქვენი სიბრძნის
დაკანონებას, თორემ თქვენ რომ გაგიგონოთ, ქვეყნიერების
აღსასრული დადგებოდა.

ამიერიდან ძალზე წყნარად, ძალზე უპრეტენზიოდ
ვცხოვრობდი ტენოსზე. ქვეყნის ამბები გვერდს მივლიდნენ,
როგორც შემოდგომის ჯანდი. ზოგჯერ თვალცრემლიანს მე-
ცინებოდა ჩემს გულზე, როდესაც იგი წარსულში გადაიფ-
რენდა და იმ ჩიტსა ჰგავდა, დახატულ ყურპნის მტყევანს
რომ ჰკენკავს პირის ჩასატკბარუნებლად, მაგრამ სიმშვიდე-
სა და თავაზიანობას მაინც არ ვკარგავდი.

ახლა ხალისით ვუტყვედი ყოველ ადამიანს, რა შეზღუ-
ლებებიც არ უნდა ჰქონოდა, როგორი გაუთლელიც არ უნდა
ყოფილიყო; მე თვითონ ჭკუაზე მონიყვანეს და სხვის ჭკუ-
აზე მოყვანას აღარ ვცდილობდი. მხოლოდ მაშინ ვღონდე-
ბოდი, როდესაც ვხედავდი: ხალხს ეგონა, იმიტომ არ ვუშ-

ლიდი ხელს მათ ტაკიმასხარაობას, რომ მათებრ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი ამას. ისდა მაკლდა მათ სისულელეებს აცყოლოდი! შეძლებსიამებრ მე მხოლოდ მათი დანდობა მსურდა. ეს ხომ მათ ახარებთ-მეთქი, — ვფიქრობდი მე, — ეს ხომ მათი ცხოვრების დედააზრია-მეთქი!

ხშირად ჩემს თავს იმის ნებასაც ვაძლევდი, რომ მარაქაში მცუ ვავრუულიყავ და თუმცა ამას უსულგულოდ, შინაგანი მისწრაფების გარეშე ვიქმედი, მაინც ვერავინ მამჩნევდა სიყალბეს, გულს არავის აკლდა და მე რომ ერთბაშად პატიება მეთხოვა, დიდად შეცბუნდებოდნენ, გავივირვებდნენ და შემეკითხებოდნენ: განა ისეთი რა გვიყავით? ჰმ, რა ლიმონიერნი არიან!

ხშირად, როს დილით ფანჯარასთან ვმდგარვარ და სადაგი დღე შემომგვებია, წამიერად მეც დამვიწყნია ყოველივე და ისე ვავრჯილვარ, თითქო მეც ვაპირებდი ისეც საქმის წამოწყებას, რაც ჩემს სულსა და გულს უწინდებურად ხალისს მოჰგვრიდა, მაგრამ მაშინვე ვტუქსავდი ჩემს თავს, მაშინვე გონს მოვდიოდი, როგორც ის კაცი, რომელსაც უცხო მხარეში მშობლიურ ენაზე წამოსცდა სიტყვა, იქ, სადაც ეს ენა არ გაეგებათ... „საით მიილტვი, ჩემო გულო?“ — ვუყვავებდი ჩემს თავს გუნებაში და ვემორჩილებოდი კიდევ ამ დარიგებას.

ნეტავ რატომ არის, რომ ადამიანს ამდენი სწაღია? — მრავალჯონის მიკითხავს მე. — ნეტა რას არგია მის გულს უსასრულობა? უსასრულობა? მერედა, სად არის იგი? ვინ ჩასწვდა მას? ადამიანს უფრო გული ერჩის, ვიდრე ძალა შესწევს! ვგონებ, ეს სწორი უნდა იყოს. ეჰ, ეს ხომ შენც ბერჯერ გამოგინდია საკუთარ თავზე. როგორც არს ყოველი, ისეც უნდა იყოს. სწორედ ის იწვევს ძალის ტკბილ, საოცნებო შეგრძნებას, რომ იგი თავის ნებაზე არ გადმოსჩქევს და ფუჭად არ იშრიტება, სწორედ ის აღძრავს მშვენიერ ზმანებებს უკვდავებაზე და ათასგვარ სანუკვარ კოლოსალურ ჩვენებებს, რომელთაც, ვინ იცის, რამდენჯერ აღუფრთოვანებიათ ადამიანები, ის უქმნის ადამიანს ელისეიონსა⁴² და დმერთებს, რომ მისი ცხოვრების ხაზი წრფე არ არის, ისა-

რევით სწორხაზოვნად არ მიჰქრის და რაღაც უცნო ძალა ეღობება გზაზე მის გამალებულ სრბოლას.

გულში მოვარდნილი ტალღა ისე ლამაზად ვერ აიყრიდა ფაფარს და გონად ვერ იქცეოდა, ძველი უტყვი კლდე — ბედისწერა თუ არ აღუდგებოდა წინ.

და მაინც მკერდში გვეშრიტება მისწრაფებანი და მათთან ერთად ინოცებიან ცის გუმბათზე ჩვენი ღმერთებიც.

მხიარულ ჩვენებათა გუნდივით ამოვარდება ცეცხლი ბნელი აკვნიდან, სადაც ანამდე ეპინა, და მისი ალი ხან გიზგიზს იწყებს, ხან მიილევს, ენებად იყოფა და ისევ ხალისით ერთიანდება, ვიღრე საწვავ მასალას მთლიანად არ შთანთქავს. მეჩე კი ხრჩოლვას იწყებს, ბუუტავს და ქრება. ხოლო რაც რჩება, — ნაცარტუტაა.

ასე გვემართება ჩვენ. ეს არის დედააზრი ყოველივესი, რასაც ბრძენკაცნი საზარელს და წარმტაც მისტერიებში მოგვითხრობენ.

ხოლო შენ? შენ რაღას ჰკითხავ საკუთარ თავს? თუ ჟამიდან ჟამზე რაღაც იღვიძებს შენში და გული, თითქო მომაკვდავი აბრენდეს პირს, ძალუძად გეხსნება წამით, რათა უმაღვე მოჰკუმო ისევ — სწორედ ესაა ავი ნიშანი.

წყნარად იყავი და დაე, თავის გზით ვიდოდეს ყველაფერი! ძალას ნუ დაატან! ბალღივით ნუ შეეცდები თუნდაც ერთი წყრთით გამაღლდე — ეს იგივეა, რომ კიდევ ერთი მზისა და მის ახალ ამქართა შექმნა მოიწადინო, კიდევ ერთი დედამიწის სფეროსა და მთვარის გაჩენა მოიწადინო.

ამგვარ ფიქრებით ვიყავ გართული. დინჯად, თანდათანობით ვეთხოვებოდი ყველაფერს... ო, თანამედროვენო, ექიმებსა და მღვდლებს ნუ მიმართავთ, თუ სულში სნება შეგეპარებათ!

თქვენ ყოველგვარი სიდიადის რწმენა დაკარგეთ, ამიტომ უნდა დაიღუპოთ, უნდა დაიღუპოთ, თუკი ეს რწმენა უკან არ დაგიბრუნდათ, როგორც კომეტა ზეცის უცნო სივრცეებიდან.

ჰიპერონი ბელარმინს

არსებობს ყოფიერების სრული დავიწყება, გარინდება ჩვენი სულისა, როდესაც გვგონია, რომ ყველაფერი მოვიპოვეთ.

არსებობს გარინდება, ყოფიერების სრული დავიწყება, როდესაც გვგონია, რომ ყველაფერი დავკარგეთ — უკუნე ღამე ისადგურებს ჩვენს სულში, როდესაც ვარსკვლავის ციხგი კი არა, ფუტურობ ხეც კი არ გვინათებს გზას.

ახლა სიმშვიდე სუფევდა ჩემში. აწ აღარ ვფხიზლობდი შუაღამისას, აღარ ვიწვოდი საკუთარი სამხილის აღში.

ამიერიდან მარტოსულის დინჯი მზერით ვიცქირებოდი, თვალს არ ვავლებდი არც წარსულს და არც მომავალს. შორეული და ახლობელი აღარ მიმღვრევდა გრძნობა-გონებას; აღამიანებს ველარ ვხედავდი, თუკი ისინი არ მაიძულებდნენ!

უწინ კი ხშირად ცოცხლდებოდა წარმოსახვაში დანაიდების მარად ცარიელი კასრის დარი^ა ეს საუკუნე და გულუბნე სიყვარულად იღვრებოდა ჩემი არსება სიცარიელის ამოსავსებად; ახლა კი სიცარიელესაც ველარ ვხედავდი, ახლა ცხოვრების მოწყენილობა აღარ მთრგუნავდა.

აღარ ვეცყოდი ყვავილს: დაიკო ხარ-მეთქი ჩემი, ანდა წყარობს: ერთი მოდგმისანი ვართ-მეთქი! ახლა ყოველ საგანს მისი სახელით ვიხსენიებდი, ისევე ზუსტად, თითქო ექო ვყოფილიყავი.

სილამაზისაგან განძარცული ქვეყნიერება ისე გულგრილად მიქცევდა მხარს, როგორც მდინარე უვლის გადამხმარ ნაპირებს, სადაც ძეწის ერთი ფოთოლიც კი არ ირეკლება წყალში.

ჰიპერონი ბელარმინს

არაფერს ძალუძს ისე გაფურჩქვნა და ისე ჭკნობა, როგორც აღამიანს. ხშირად უფსკრულის წყვდადს აღარებს: იგი თავის ტანჯვა-ვაებას, ნეტარებას კი — ეთერს ზეცისას, მაგრამ რაოდენ ცოტა არის ამით ნათქვამი!

თუმცა იმაზე მშვენიერი არა არის რა, როცა ხანგრძლივი სიკვდილის შემდეგ კვლავ ირიჟრახებს კაცის სულში და კაემანი ძმურად ისწრაფის შორს მოკიაფე სიხარულისაკენ.

ო, რა ღვთაებრივ წინათგრძნობით ვიყავ ადვსილი, როს კარზე მომდგარ ტურფა გაზაფხულს კვლავინდებურად სალამს ვუთვლიდი! მელოდიები მისი ჩუმი ისე ნარნარად იღვროდა გულში, როგორც ჰანგები სატრფოს ქნარისა, რომელსაც იგი სადღაც შორს უკრავს, როდესაც ირგვლივ ყოველივე ძილს მისცემია და ჰაერიც კი განაბულია. ელისეიონი ხშიანობდა თითქო, ისე მესმოდა მისი რონინი, როს მკვდარი რტონი შეტოკდებოდნენ და ნაზი სიო ღაწვზე ლამუნით შემებებოდა.

იონიის სათუთო ზეცავ! ისე არასდროს არ ვყოფილვარ შენით ტყვექმნილი, მაშინ რომ ვიყავ, მაგრამ ეს გულიც ისე არასდროს არ გვგანებია მზიარული და ნაზი ლაცციცი!

ვინ არ ინატრის ტრფობის სიხარულს, დიად საგნიროს საქმეებზე ვინ არ ოცნებობს, როს გაზაფხული უბრუნდება ზეცის თვალსა და დედამიწის მკერდს?

ნაავადმყოფარვით ნელ-ნელა ვიკრებდი ძალებს, შვენივთ ვითქვამდი სულს, მაგრამ იღუმალი სასოებისაგან ისე სანეტაროდ მითრთოდა გული, რომ მავიწყდებოდა მეკითხა, რას მოასწავებდა ეს.

წარმეტაც სიწმირებს ვხედავდი ძილში და განოღვიძებულს ისევ გულში მრჩებოდნენ ეს ზმანებანი, როგორც კოცნის კვალი რჩება სატრფოს ლოყაზე. ო, დილის ნათელი და მე! — ორივენი ახლა ერთმანეთისკენ მივილტვოდით, როგორც ახლად შერიგებული მეგობრები, რომელთაც ჯერ კიდევ განზე უჭირავთ თავი და მანიც გუმანით ერთიცა და მეორეც მეგობრის გულში ჩაკვრის მახლობელი და უსაზღვრო წამის მოლოდინშია.

მართლაც ხელახლა ამეხილა თვალეები; მართალია, ჩემი მზერა ადარ იყო უწინდებურად მოშვილდული და საკუთარი ძალის რწმენით აღსავსე, იგი უფრო მავედრებელი გახდა, იგი სიცოცხლეს ითხოვდა, მაგრამ სულის სიღრმეში რწმენა მიდვიოდა, რომ თითქო კვლავინდებურად კარგად ვიქნებოდდი და შეიძლება უკეთესადაც კი.

როგორც ოდესღაც, ახლაც ისევ ისე ვუყურებდი ადამიანებს, თითქო მეც მათ შორის უნდა მედგაწნა და გამეზარა. მართლაც გულწრფელად ვცდილობდი მარაქაში ვაჭრეულიყავ.

დნიერთო! როგორ მიგებდნენ ნიშნს, რომ ამაყი ობროლი მათ გაგუტოლდი! როგორ იქცევდნენ თავს, რომ ლაღი ირემი შიმშილმა აიძულა მათ ღობე-ყორესთან მიერბინა.

ეჰ, მე ჩემს ადამასს დავეძებდი, ჩემს ალაბანდას, მაგრამ ვერც ერთის სწორი ვერა ვპოვე.

ბოლოს სმირნაში გავგზავნე ბარათი, რომლის წერასაც ლამის მთელი ჩემი სინაზე და ძალ-ღონე შევადიე, სპეციალურ გავგზავნე, მაგრამ პასუხი არ მიმიღია; ვევედრებოდი, ვემუქრებოდი, ვაგონებდი სიყვარულითა და სითამამით აღსავსე ერთად გატარებულ საათებს, მაგრამ პასუხი არ მღირსებია ჩემი დაუვიწყარი, სამარის კარამდე საყვარელი მეგობრისაგან.

— ალაბანდა, — გავიძახოდი, — ო, ალაბანდა! სამუდამოდ მსჯავრი დამდე და გამწირე! მაშინ როდესაც ჩემი ბურჯი იყავ, უკანასკნელი იმედი ჩემი სიჭაბუკისა! ახლა კი აღარაფერი აღარა მსურს! ახლა ყველაფერს ბოლო მოვდო — ერთხელ და სამუდამოდ!

ჩვენ მკვდრებს ვიცოდებთ, თითქოს სიკვდილსა გრძნობდნენ, მაშინ როდესაც ისინი მშვიდად განისვენებენ. მაგრამ ეს კი, ეს ისეთი სატანჯველია, რომელსაც ვერაფერი შეეღვრება; ეს სრული არარაობის განუწყვეტელი შეგრძნებაა, როს ჩვენს ცხოვრებას აზრი ეკარგება, როს გული მოსთქვამს: ისე ჩანვალ საფლავში, რომ შენგან არაფერი დარჩება; შენ ერთი ყვავილიც კი არ გავინარბობა, ერთი ქონიც კი არ დავიდგამს, რომ იმის თქმა მაინც შეგეძლოს: რაღაც კვალს ვტოვებ დედამიწაზეო. ეჰ, რატომაა, რომ სულს ძალუძს მუდამ ასე აღსავსე იყოს მისწრაფებებით და ამასთანავე გაბედულება აკლდეს!

ისევ და ისევ რაღაცას დავეძებდი, მაგრამ ადამიანებს თავალს ვერ ვუსწორებდი. ზოგჯერ კი თვით ბაღლის სიცილიც მაკრთობდა ხოლმე,

თან უმეტესად დინჯად ვიყავი, მოთმინება არ მდალატობ-

და; თუმცა ცრურწმენაც ამეკვიატა: ზოგ რამეს სალბუნის ძა-
ლას ვაწერდი: მტრედი შეიძლებოდა მეყიდნა, ნავით გამესე-
ირნა ან მთებში მივარდნილ ხეობაში წავსულიყავი, ნუგეშს
გპოვებ-მეთქი.

კმარა! კმარა! თემისტოკლესთან⁴⁴ რომ აღვზრდილიყავ,
სციპიონებში⁴⁵ რომ მეცხოვრა, ჩემი სული ამ მხარეს ნამ-
დვილად არასოდეს არ წარმოაჩენდა.

მ ი პ ე რ ი ო ნ ი ბ ე ლ ა რ მ ი ნ ს

ჟამიდან ჟამზე კიდევ მძლავრობდა ჩემში განსჯის უნარი,
თუც, კაცმა რომ თქვას, მარტოოდენ დამანგრეველად კი
მოქმედებდა!

მინც რა არის ადამიანი? — წამოვიწყებდი ხოლმე მსჯე-
ლობას. — როგორ ხდება, რომ სამყაროშია ისეთი რამ, რაც
ქაოსივით დუღს ან დამბალ ხესავით იხრწნება და დაწიფე-
ბას კი ვერასოდეს ვერ ასწრებს? როგორ ითმენს ბუნება
ამ მკვანხე ყურძენს თავის დამკრახულ მტვევანთა შორის?

მცენარეებს ადამიანი ეუბნება: „იყო დრო, როს მეც
თქვენნაირი ვიყავ!“ ხოლო სპეტაკ ვარსკვლავებს: „თქვენ-
ნაირი მინდა გავხდე, ოღონდ სხვა სამყაროში!“ თვითონ კი
ამასობაში ქუცმაცდება და დროდადრო იღეთებს უტარებს
საკუთარ თავს, თითქო ერთხელ დაშლილი ცოცხალი ორ-
განიზმის ხელახლა შეკოწიწება ისევე ძალუბდეს, როგორც
ქვის კედლისა. თან ისიც არ აცბუნებს, რომ ამ ჯახირით
არაფერი არ უმჯობესდება: იღეთი ხომ მინც იღეთად რჩება.

ო, თქვე საწყლებო, ვინც ამასა გრძნობთ, ვისაც აგრეთვე
არა გსურთ ადამიანის დანიშნულებაზე ილაპარაკოთ, ვინც
ასე გათანგულ-გამსჭვალულნი ხართ ჩვენი მტარვალი არა-
რაობით, ვინც ძირისძირობამდე სჭვრეტთ, რომ არარაობი-
სათვის ვიშვით, არარაობას ვეტრფით, არარაობა გვწამს
და თავგადაკლულნი ვიდევნით არარაობისათვის — იმისათ-
ვის, რომ თანდათანობით არარაობად გადავიქცეთ... აბა, რა
გიშველთ, თუკი ხანდახან მუხლთ გეკვეთებათ, როდესაც
ამაზე სერიოზულად ფიქრობთ? ვანა მე თვითონ არ ჩავკე-
ცილვარ ზოგჯერ ამა ფიქრთა სიმძიმისგან? და შემძახ-

ნია: ძირშივე გინდა ჩემი მოჭრა, უმოწყალო ჭკუა-გონე-
ბავ?! და აი, მანაც სული მიდგას!

ჰოი, ჩემო პირქუშო ძმებო! ოდესღაც კი ყოველივე სხვაგვარად იყო; მშვენიერება ჩვენს ზევით, მშვენიერება, სიხარული ჩვენს წინაშე და ეს გულებიც ჩქროლვით ილტვოდნენ შორეული სანეტარო ფანტომებისკენ, ჩვენი სული კი კადნიერი ზარ-ზეიმით აღმაფრენდა და დაბრკოლებებს მიუსრავდა გზაზე, მაგრამ ვაი, რომ უკან მოხედვისას უკიდევანო სიცარიელე იყო გაშლილი.

ო, მე მზადა ვარ მუხლი მოვიყარო და ხელების მტვრევით შევეფედრო — ოღონდ არ ვუწყვი, სახელჯობრ, ვისა — რომ სხვა აზრები ჩამაგონოს. მაგრამ ატანით კი, ვერ ავიტან ამ მღალადებელ ჭეშმარიტებას. განა ორმაგად არ ვრწმუნდები მის სისწორეში? როდესაც ცხოვრებას განვჭვრეტ, ყოველივეს ბოლო რა არის? არარაობა. ხოლო როდესაც სულით აღმა ვფრენ, ყოველივეს მწვერვალი რა ჩანს? არარაობა.

მაგრამ იყურე, გულო! შენ ხომ უკანასკნელ ძალებსა ფანტავ! უკანასკნელსო? აკი ზევას იერიშით აღებას უპირებდი? ტიტანო, რა უყავ ასი ხელი, სად არის შენი პელიონი და ოსა⁴⁶, სად არის შენი კიბე ღმერთთა მამის სიმაგრეზე მიყუდებული, რათა ზევით ახვიდე და დაამხო ღმერთიც, მისი სანადიმო მაგიდაც, მიწასთან გაასწორო ოლიმპოს ყველა უკვდავი მწვერვალი და მოკვდავთ უქადაგო: ქვემოთ დარჩით, წუთისოფლის შვილნო! აღზევებას ნუ ლამობთ, რამეთუ აქ, მაღლა, არაფერია.

შენ შეგიძლია აინუნშიაც არ ჩააგდო ის, რაც სხვებს იმონებს. შენი ახალი მოძღვრებაა შენთვის მთავარი. თუმც შენს ზეგარდმო და შენს წინაშე სიცარიელე და უდაბნოა, მაგრამ იმიტომ, რომ თვით შენშია სიცარიელე და უდაბნო გაძეფებული.

რაღა თქმა უნდა, თუ თქვენ, სხვანო, ჩემზე უფრო შეძლებულნი ხართ, ცოტაოდენი შემწეობა მეც შეგიძლიათ აღმომიჩინოთ.

თუკი საგსეა ყვაველებით თქვენი ბაღნარი, მაშინ მეც რატომ არ უნდა დავტკბე მათი ზურნელით? თუკი თქვენ ისე

აღსავსე ხარტ ღვთაებრიობით, მაშინ მეც რატომ არ მომაწვდით ემაგ ფიალას, არ დამარწყულებთ? ნადიმებზე ხომ უჭმელ-უსმელს არვის სტოფებენ, თვით ყველაზე უბოვარსაც კი. მაგრამ თქვენს შორის მარტოოდენ ერთი ნადიმობს და სიკვდილია მისი სახელი.

გაჭირვება, შიშის ზარი და უკუნეთი განგაგებთ თქვენა, აქეთ-იქით გფანტავთ და მერე კინწის კვრით ერთიმეორეს წაგვიდებთ ხოლმე. შიმშილსა ნათლავთ სიყვარულად, ხოლო იქ, სადაც თქვენი თვალი ველარა სწვდება, დამკვიდრებულან თქვენი დმერთები. დმერთებიცა და სიყვარულიცა?

ო, მართალი არიან პოეტები: არაფერია ისე მცირე, ისე არარა, რომ მისი არსით აღტაცება არ ეგებოდეს.

ასე ვფიქრობდი. ახლაც არ ვუწყი, როგორ მოზღვაგდნენ ეს აზრები ჩემს გონებაში.

პიპერიონი ბელარმინს

ამჟამად აიაქსის კუნძულზე ვცხოვრობ, სწორუბოვარ სალამინზე¹⁷. ეს საბერძნეთი ყველგან მიყვარს. ჩემი გულ-ლისწრად შეღებილია. საითაც კი გაინედავ, ყველგან სი-ზარ-ულია დასაფლავებელი.

მანც რამდენი სანუკვარი და დიდი რამითა ხარ აქ გა-რეცხული.

კონცხზე პატარა კოშკი ავივე დანამასტაკის ტოტებისა-გან, ირველივ ხავსი დავრვე, აგრეთვე ხეები, ბეგქონდა-რები და ნაირ-ნაირი ბურქები.

ყველაზე უკეთ აქა ვვრძობ თავს. სადამოობით ვზივარ ხოლმე და ატყვას მანამ გავცქერი, ვიდრე გული ისე არ დამიწყებს ცემას, თითქო ამოვარდნას ლამობსო. მაშინ ვი-ღებ მებადურის ავლადიდებას, ყურეში ვეშვები და ვთევ-ზაობ.

ან ვკითხულობ ვარდასულ დღეთა დიდებულ საზღვაო ბრძოლანე, რომელმაც ოდესღაც სალამინთან გადაიქუზა — გააფთრებულმა, მაგრამ ბრძნულად ჩატარებულმა შერკინე-ბამ, — და ვხარობ იმ ჭკუით, რომელმაც მოახერხა მომხრე-თა და მოწინააღმდეგეთა მძვინვარე ქაოსის ისე დამორჩი-ლება და წარმართვა, როგორც მხედარი ალაგმავს ხოლმე ბედაურს, და სირცხვილით ვიწვი ბრძოლებით მწირი ჩემი საკუთარი თავგადასავლის გამო.

ანდა ზღვას გადავცქერი და ცხოვრებაზე ვფიქრობ, მის აღმავლობასა და დაღმავლობაზე, მის მიერ მოგვრილ ნე-ტარებასა თუ მწუხარებაზე. და წარსული ხშირად ისე ხმი-ანობს ჩემში, თითქო ოსტატის ხელი აჟღერებდეს სიმებს და რაღაც იდუმალი განრიგით უნამებდეს ერთმანეთს კაკა-ფონიასა და ჰარმონიას.

დღეს მანც აქ, მაღლა, ყოფნას არაფერი არ შეედრება.

ორმა უუუუნაწვიმიანმა დღემ ჰაერი გააგრილა და დამაშვ-
რალი დედამიწა დაარწყულა.

ნიადაგი უფრო მწვანედ ახასხასდა და უფრო გაიდღეს
გული ხოდაბუნებმა. უკიდევანოდ გადაჭიმულა კოპწია დი-
დილოებშერჯული ოქროსფერი ყანა და ჭალის წიაღიდან
ზევით აღმართულა ათასობით იმედისადმძვრელი ნათელი,
პირმოცინარი მწვერვალი. ნაზად და ზვიადად დატალღულა
სივრცე მათი შორეული კონტურებით. კიბე-კიბე მიემარ-
თებიან მთები ერთიმეორის მიყოლებით, სულ მალლა და მალ-
ლა, მზემდე სწვდებიან. ეს მოწმენდილია. თეთრი შუქი
მხოლოდ ეთერშია გაბნეული და დღის ნათელში გაუბედავად
მოიპარება ვერცხლისფერ პაწია ღრუბლის მსგავსი მთვარე.

ჰ ი პ ე რ ი ო ნ ი ბ ე ლ ა რ მ ი ნ ს

დიდი ხანია ასე კარგად აღარ ვყოფილვარ. ისე ვუგდებ
ყურს ჯადოსნურ, დაუსრულებელ კეთილზმოვანებას ჩემში,
ვითარცა იუპიტერის არწივი — მუზების გალობას¹⁸. სული
და გული აუშდვრეველი მაქვს, ძლიერი და მზიარული ვარ;
გუნებაში ხუმრობითა თუ სერიოზულად ვეთამაშები ბედის-
წერას და სამ დას, წმინდა პარკებს. ღვთაებრივი სიჭაბუ-
კით აღსავსეა ჩემი არსება, მახარებს საკუთარი თავი და ყო-
ველივე, რაც ირგვლივ სუფევს. ვარსკვლავებით მოჭედი-
ლი ზეცის დარად უძრავიცა ვარ და მოძრაობით გამსჭვალუ-
ლიც.

დიდი ხანია მოველოდი ასეთ საზეიმო დღეს, რომ
კვლავ მომეწერა შენთვის. ახლა საამისო ძალა შემწევს,
ახლა ნება მიბოძე ყოველივე გაიმბო.

იმ შავბნელ დღეებში ერთმა ჩემმა კალავრიელმა¹⁹ ნაც-
ნობმა თავისთან მიმიპატიჟა: ჩემს მთიანეთში მეწვიე, —
მწერდა ის, — აქ თავს უფრო ლაღად იგრძნობ, ვიდრე საღ-
მე სხვაგან. ფიჭვნარებსა და ვიჟმაყ მდინარეებს შუა ლიმო-
ნის ჭაღები ჰყვავის, პალმები აღმართულან, ნორჩი ბალა-
ხი, ტუიები და კურთხეული ვაზი ხარობსო. ამ კაცმა
მთაში ბაღი გააშენა და სახლი დაიდგა, რომელსაც ხეების
ტევრი ჩრდილს ჰფენს და გრილი სით ნაზად ელამუნება

ზაფხულის მცხუნვარე დღეებში. იქიდან ბარს ისე გადმოსცქვე-
რის კაცი, როგორც ფრინველი კედრის კენწეროდან; ზედავს
სოფლებს, მწვანე ბორცვებს და კუნძულზე მშვიდად მობალახე
ფარებს, რომლებიც შვილებივით ან ერთად წვანან დიდე-
ბული მთის კალთებზე შეფენილნი, ან ერთად სვამენ
წყალს კეუოვანი ნაკადულებიდან.

ამ მოწვევამ ცოტაოდენ გამომაფხიზლა. აპრილის ერთ
შვენიერ ლაჟვარდოვან დღეს ჩავჯექი ნავში და გზას გაუ-
დექი. ზღვა არაჩვეულებრივად ლამაზი იყო, ხოლო ჰაერის
ისეთი გამჭვირვალე და მსუბუქი, როგორც მაღლა მთებ-
შია ხოლმე. ტალღებზე მონანავე პაწია ხომალდით უკან
მოვიტოვეთ ხმელეთი, — ასე ანებებენ ხოლმე თავს ნუგბარ
კერძს, როს წმინდა ზედაშეს ჩამოასხამენ.

ზღვისა და ჰაერის ეშხთან უძლურია უგუნებობა, მეც
დავმორჩილდი: არას დაგიდევდით — არც საკუთარ თავს,
არც სხვებს; არაფერს არ დავემბედი, არაფერზე არ ვფიქ-
რობდი და რწევისაგან რულმოკიდებულს ჩემი თავი ქარო-
ნის⁵⁰ ნავში წარმომედგინა. ო, რა ტკბილია, როს დავიწ-
ყების ფიალას დაეწაფები...⁵¹

ჩემი მხიარული მენავე სიამოვნებით გამიბამდა მასლა-
ათს, მაგრამ ერთობ სიტყვაძუნწი გამოვდექი.

ხან მარჯვნივ იშვერდა ხელს, ხან მარცხნივ. ცისკიდურ-
ზე ლურჯად მოციაგე რომელიმე კუნძულზე მიმითითებდა,
მაგრამ მე ერთს თუ შევავლებდი თვალს და ისევ ჩემს სა-
ამურ ოცნებებში ვიძირებოდი.

ბოლოს, როდესაც შორს გარინდებული მწვერვალები და-
მანახვა და მითხრა, მალე კალავრიას მივადგვებითო, უფრო
განამახვილე ყურადღება და მთელი არსებით დავმორჩილდი
იმ ჯადოსნურ ძალას, რომელმაც ანაზდეულად ასე ტკბი-
ლად, სათუთად და იღუმალად დამიწყო ლაციცი. ფართოდ გა-
ხელილი თვალებით, გაკვირვებული და გახარებული გავ-
ცქეროდი საიდუმლოებით მოცულ შორეთს. ოდნავ მითრ-
თოდა გული და აი, უეცრად მენავეს უნებლიეთ მხარში
ვწვიდი და მეგობრულად შევძახე:

— მაშ, ეს უკვე კალავრიაა?

ხოლო როდესაც მან დასტურის ნიშნად მხოლოდ შემომ-

ხედა, სინარულისაგან აღარ ვიცოდი, რა მექნა. როცა ნაზირზე გადავედი, უჩვეულო სინაზით მივესალმე ჩემს მეგობარს. უტკბესი ჩქროლვით ვიყავ ატანილი.

ნაშუადღევს მოვისურვე მაშინვე დამეთვალეირებინა კუნძულის ერთი ნაწილი, ვერ აგიწერ, ისე მიზიდავდნენ ტყეები და საიდუმლოებით მოცული ხეობები, თან სანდომიანი დღევ ყველას გარეთ ეპატიჟებოდა.

და ისე თვალსაჩინო იყო, რომ ყოველი სულდგმული რაღაც უფრო მეტს მიეღობოდა, ვიდრე დღიური საზრდოა, რომ თვით ფრინველებსა და ცხოველებსაც კი თავიანთი დღესასწაული აქვთ.

ეს მართლაც წარმტაცია სანახაობა იყო! როგორც ბაღები დედის ალერსიან დაძახებაზე: აბა, სად არის ჩემი ყველაზე საყვარელი შვილი? — ყველანი მისკენ გამოქანდებიან ზოლმე და დედის კალთას თავს აფარებენ, ზოლო ყველაზე პაწია კი აკვნიდან უწვდის ხელებს, ასევე ყოველი სულდგმულიც მოხტუნაობდა, მოფრინავდა, მოილტვოდა და დვთაებრივი ჰაერისაკენ; ზოჭოები და მერცხლები, მტრედები და ლაკლაკები მხიარულად დანავარდობდნენ აღმა და დაღმა. ზოლო ისინი, ვინც დედამიწაზეა მიჯაჭვული, თითქო დაფრინავდნენ, ისე მოაბიჯებდნენ, ქარივით დაჰქროდა თხრილებზე ცხენი, შველი კი ლაღად ევლებოდა ღობეებს. ზღვაში თევზები ზევით მოიწევდნენ და წყლიდან მაღლა ხტებოდნენ. ყველას გულზე ეფონებოდა მშობლიური ჰაერი, ყველას ფეხზე აყენებდა და თავისკენ ეწეოდა.

ადამიანებიც გარეთ გამოდიოდნენ და სასწაულებრივად აღიქვამდნენ მათრობელა ჰაერის ჭავლს, რომელიც შუბლზე ნაზად ურბევდა მათ კულულებს, რომელიც აცხრობდა მზის სხივთა კონის მცხუნვარებას. დილებს იხსნიდნენ, გულს იღებდნენ და მკერდს სიოს უშვერდნენ, სუნთქავდნენ უფრო ლაღად და უფრო ფაქიზად განიცდიდნენ მსუბუქი, კამკამა და ალერსიანი ჰაეროვანი ზღვის მოკარებას, რომელშიც ცხოვრობდნენ და იღვწოდნენ.

ო, ალალო დაო იმ მძლავრი სულისა, რომელც ჩვენში ბუდობს და ცეცხლივით გიზგიზებს, — წმიდათაწმიდა ეთერო!

კიდევ კარგი, რომ სადაც კი წავალ, ყველგანმყოფი და უკვ-
დავი მუდამ თან მსდევ!

მაგრამ ყველაზე დიდებულად ბავშვებს უცვლიდა ნირს
ზენა სტიქიონი: ერთი უდარდელად ღიღინებდა, მეორის
ბავიდან თითქო თავისთავად იღვრებოდა რომელიღაც
გაუწყობელი სიმღერის ჰანგი, მესამის ნორჩი ყელი საზეი-
მო ყიჟინას გამოსცემდა, ვინ იზმორებოდა, ვინ დახტო-
და, ვინ კიდევ ჩაფიქრებული დაეხეტებოდა.

და ეს ყოველივე შვებისა და კეთილდღეობის ერთი სა-
ერთო ენა იყო, ერთობლივი პასუხი განხლდით გამკაპა ეთე-
რის ხვევნა-აღერსზე.

ენით აუწერელი ლტოლვითა და სიმშვიდით ვიყავ ალსაგ-
სე. რაღაც უცხო ძალა განმაგებდა. „კეთილო სულო, —
ვამბობდი გულში, — საით მიმიხნობ? ელისეიონში მიქაბნი,
თუ სადმე სხვაგან?“

ტყეში მივდიოდი აღმართ-აღმართ, მოჩნრიალე ღელეს
გასწვრივ, წყალი კლდეებიდან ჩამოწანწკარებდა და უდარდე-
ლად მილიკლიკებდა კენჭებზე. ხეობა თანდათან ვიწროვდე-
ბოდა, ბოლოს ბნელ გასასვლელად იქცა და იმ მღუმარე
უკუნეთში შუადღის თბოლი სხივიდა ლიცლიცებდა...

აქ... ნეტავი შევძლო ლაპარაკი, ჩემო ბელარმინ! ნე-
ტავი შევძლო დინჯად ავიწერო ყველაფერი!

ლაპარაკიო? სიხარულს მიჩვეული არა ვარ, ამიტომ
მწყურია ლაპარაკი!

თუმცა ნეტართა სასუფეველში სიჩუმეა დავანებული და
ვარსკვლავების მიღმა ხომ გულს ავიწყდება თავისი ნუკვა,
თავისი ენაც.

აი, მე კი წმინდად შემოვინახე! პალადიონის⁵² მსგავსად
ჩემში დავატარებდი ღვთაებრივ ხატებას, რომელიც მაშინ
მომეკლინა, და თუნდაც ბედის ჩარხის ტრიალმა კვლავ ამი-
ტაცოს, ერთი უფსკრულიდან მეორეში გადამანარცხოს, მთე-
ლი ძალ-ღონე და აზრები ჩემი მოაშთოს, ეს ერთადერთი,
ვიდრე სული მიდვას, მაინც იცოცნლებს და იბატონებს ჩემ-
ში, — მარადიული, შეუბღალავი სისპეტაკით იკაშვამებს...

ჩემო სიცოცხლე, ოდეს პირველად დავინახე, ლაღად
იწექი, თითქო ვიღაცას ჩამოესხა შენი სხეული; სულზე უტ-

კბესო, შენც თვალი მომკარ, წამოიწიე და წამოდექი, ხორც-სავსეცა და ტანკენარც. ღვთაებასავით მშვიდი იყავ და სახეს შენსას ჯერ არ გასცლოდა ის მხიარული აღტყინება, ჩემი მოსვლით რომ დაგირღვიე!

ო, ვისაც თუნდ ერთხელ ჩაუხედავს მის მწყაზარ თვალში, ვისთვისაც თუნდ ერთხელ განუხვნია მას თავისი ტკბილი ბაგენი, განა ის კიდევ სხვა რამეზე ილაპარაკებს?

ჰოი, სიმშვიდეც მშვენიერების! ღვთაებრივო სიმშვიდეც! ვისაც თუნდ ერთხელ დაუცხრია შენი ეშხით იჭვნეული სულის თავისი და მძვინვარება ამა ცხოვრების, იმას, შენს გარდა, მეტი აბა რაღა უშველის?..

ოქროპირობა აქ აღარ ძალმიძს, მაგრამ ხომ დგება წუთები, ოდეს საუკეთესო და მშვენიერი ისეთნაირად წარმოგვიდგება, თითქოს ღრუბლების ბლონდი ჰბურავდეს და სრულქმნილების ზეცას მხოლოდ მოტრფიალის ალლო განსჭვრეტდეს. ჰოდა, ბელარმინ, წარმოიდგინე შენ ის ასული, ჩემთან ერთად მუხლთ მოიყარე მის წინაშე და ჩემი ნეტარებაც მაშინ განსაჯე! მაგრამ გახსოვდეს: მე მომადლებული მქონდა ის, რასაც შენ მხოლოდ გუჟანით ხვდები, მე საკუთარი თვალთ ვინილე, რასაც შენ მარტო ბურანში ხედავ.

ზოგჯერ იტყვიან: ვხარობდითო! ო, დამიჯერეთ, ჯერ თქვენ არ უწყით არაფერი სინარულისა! ჯერ მისი ლანდის ლანდიც არ მოგვლენიათ! ო, წადით და ცისფერ ეთერზე კრინტს ნუღარ დასძრავთ, თქვე ბრმებო, თქვენა!

თურმე შეიძლება ისეთნი გავზნდეთ, როგორიც ბავშვია. კვლავ შეიძლება დაგვიბრუნდეს ოქროს ხანა უმანკობის, ხანა მშვიდობისა და თავისუფლების, კვლავაც მივაგნოთ დედამიწაზე ამ დიდ სინარულს, დიდ ნავთსაყუდელს!

განა არ ბერდება აღამიანი, განა არ სჭკნება, განა მოწყვეტილ ფოთოლს არა ჰვავს, რომელიც თავის ტოტს ვედარასოდეს დაუბრუნდება, ქარი კი ფოთოლს აღმა-დაღმა დააქანებს, ვიდრე მიწას მიაბარებდეს?

და მანც გაზაფხული კვლავ დგება მისთვის!

ნუ დაიტირებთ, როს სრულყოფილი დაიყვავილებს! სულ მალე იგი კვლავ აყვავდება! ნუ დაღონდებით, თუ დაღუძმდე-

ბა მელოდია თქვენი გულისა! კვლავ გამორჩდება ხელი, რო-
მელიც მას ახლებურად აახმიანებს!

აბა, რა ვიყავ? განა დაწყვეტილ სიმთა ბგერას არ წავა-
გავდი? სულ ოდნავ უღერდა ჩემში რაღაც, მაგრამ ეს უფრო
მოპაკედავის კვენესა თუ იყო, გედის სიმღერა გულისმომწყ-
ვლელი! სამგლოვიარო გვირგვინს დაეწნავდი, თუმც მეზამ-
თრიის გარდა, მე არ გამაჩნდა სხვა რამ ყვაველი.

ჰოდა, ახლა სად გაქრა სასაფლაოს მღუმარება, უკუნი
ლამე და სიმარტოვე ჩემი ცხოვრების? სადღაა მისი უბადრუ-
კი წარმავალობა?

თუმც დუხჭირია და ეული ჩვენი ცხოვრება. აქ, დაბლა,
ისე ვარსებობთ, როგორც მალაროში ალმასის თვალი. ვერ
გავვიგია, აქ როგორ გავჩნდით, და ჩვენც ვკითხულობთ, რომ
როგორმე გზა გავიკვლიოთ, კვლავ მალლა მოვხვდეთ.

იმ ცეცხლივით ვართ, გამხმარ ტოტში ან კაჟში რომ სძი-
ნავს; ვიბრძვით და ვიდვწით, ყოველ წამს ვლამობთ ბოლო
მოვეუღოთ შავბნელ ტყვეობას. მაგრამ, აი, მოდიან ისინი
და მოგვაგებენ სანაცვლოს საუკუნოვან მედგარ ბრძოლისა,
მოდიან გააზატების წამები, ოდეს ღვთაებრივი თვითვე აფეთ-
ქებს თავის დილეგს, ოდეს შეშას ალი ავარდება და გამარ-
ჯვებულნი აგიზგიზდება ნაცრის ზეგარდმო, — ვაგლან! —
გვავეწყდება რა ჩვენი ტანჯვა, ჩვენი მონობა, ასე გვგონია,
რომ ჩვენი ბორკილახსნილი სული ზარ-ზეიმით უკან უბრუნ-
დება მზის ციხე-დარბაზებს.

ჰ ი პ ე რ ი ო ნ ი ბ ე ლ ა რ მ ი ნ ს

ოდესღაც ბედნიერი ვიყავ, ბელარმინ! და განა იგივ არ
მეთქმის ახლაც? განა მაშინაც ბედნიერი არ ვიქნებოდი, ის
წმინდა წამი, როცა სატრფო პირველად ვნახე, უკანასკნელიც
რომ ყოფილიყო?

მხოლოდ და მხოლოდ ერთხელ შემხვდა ის ერთადერთი,
რომელსაც ასე დაეძებდა ეს ჩემი სული, — ცხადლივ ადვიქვი
სრულყოფილება, რომელიც ჩვენ ვარსკვლავების მიღმა გა-
დაგვაქვს და ჟამთა დინების აღსასრულის იქით გვგონია.

აქ იყო იგი, უზენაესი, ადამიანის ბუნებით და საგანთა არსით შემოფარგლულ ამ წრებრუნვაში.

ადარ ვკითხულობ; სად არის ახლა; ამქვეყნად იყო და კიდევაც შეიძლება დაბრუნდეს უკან — ამჟამად მხოლოდ უფრო დრამადაა შიგ ჩამალული. ადარ ვკითხულობ, როგორი იყო — მე ვნახე იგი და შევიცანი.

ჰოი, თქვენ, უზენაეს სრულყოფილებას და სიკეთეს რომ დაეძებთ ცოდნის წიაღში, ყოველდღიურ ორომტრიალში, გარდასულ დროთა უკუნეთში ანდა მყობადის ლაბირინთებში, სამარხებსა თუ ვარსკვლავთა მიღმა! უწყით კია მისი სახელი? სახელი იმის, რაც ერთიცაა და ყველაფერიც! მშვენიერება ეწოდება მას.

უწყით კია, რა გწადიათ? მე ჯერ არ ვიცი, მაგრამ ახლა დვთაების ახალ საუფლოს წინასწარა ვგრძნობ და მას მიველტვი, თან მივიყოლებ სხვებსაც ისევე, როგორც მდინარე მიაქანებს შენაკადებს ოკეანისკენ.

ხოლო შენ, შენ გზა მიჩვენე, სათავე მიეც ყოველივეს! ის დღეები კი, როს არ გიცნობდი, სულ აღარაფრად არ მიმაჩნია.

ო, დიოტიმა,⁵³ დიოტიმა, ქმნილებაგ ზეცის!

ჰ ი პ ე რ ი ო ნ ი ბ ე ლ ა რ მ ი ნ ს

დავივიწყოთ, რომ დრო არსებობს, და ნუღარ ითვლი ცხოვრების დღეებს!

რას წარმოადგენს საუკუნე იმ წამის მიმართ, როს ორი სული ასე შესტრფის და შეჰხარის ერთიმეორეს.

ჯერაც თვალწინ მიდგას ის სადამო, როცა ნოტარამ პირველად მიმიყვანა მის სახლში სტუმრად.

დიოტიმა ახლოს ცხოვრობდა მთის ძირას, რამდენიმე ასეულ ნაბიჯზე ჩვენგან.

დედამისი გონიერი და სათუთი ქალი გახლდათ, ძმა — სადა, მხიარული ყმაწვილი და ორივენი გულითადად ამტკიცებდნენ სიტყვითა და საქმით, რომ დიოტიმა იყო სახლის ნამდვილი დედოფალი.

აჰ, მისი იქ ყოფნა ყოველივეს სიწმინდისა და სილამა-

ზის არილსა სძენდა! რისთვისაც არ უნდა შეემეფლო თვალი, რასაც არ უნდა შევხებოდი — მის ფიანდაზს, ბალიშსა თუ პაწია მაგიდას — ყველაფერი იღუმალ კავშირში იყო მასთან. ზოლო როდესაც პირველად მომმართა სახელით, როდესაც ისე მომიახლოვდა, რომ გარინდებულმა მისი უმანკო სუნთქვა შევიგრძენ...

ერთმანეთთან ძალზე ცოტას ვლაპარაკობდით. გვერცხვინებოდა სიტყვა ყოველი, მუსიკის ჰანგად გადაქცევა გვენატრებოდა, ციურ გალობად შერწყმა გვწყუროდა.

და ან კი რაზე უნდა გველაპარაკნა? ერთუროს ვხედავდით ჩვენ მარტოოდენ. საკუთარ თავზე ლაპარაკს კი ვერიდებოდით.

ბოლოს ამ დედამიწის ცხოვრებაზე ვიწყეთ ბაასი. ასეთ ბალღური აღტყინებით მისთვის ჯერ ჰიმნი არ უმღერიათ.

სიამეს გვეგვრიდა, გულში ჭარბად მოზღვავებულ გრძობებს როდესაც მის კეთილ დედას გუზიარებდით. მაშინვე შევბას ვიგრძობდით ზოლმე, ვით მსხმოიარე ხეები, ზაფხულის ნიავი ნაყოფით დახუნძლულ ტოტებს რომ შეურხევთ ზოლმე და დამკრახულ ვაშლებს მდელს დააწვიმებს.

დედამიწას ჩვენ ცის ყვავილს ვეძახდით, თავად ცას კი — სიცოცხლის უსაზღვრო ბადნარს. ასე ვამბობდით: როგორც ვარდები ოქროს მტვრიანებით განიხარებენ, ასევე ძლევა მოსილი ნათელი მზისაც შევბასა ჰგვრისო დედამიწას თავისი სწივებით; საარაკო სულდგმულიათ მიწა, — განვავგრძობდით ჩვენ, — თანაბრად ღვთაებრივი, გულიდან მძვინვარე ცეცხლს აფრქვევს თუ ანკარა წყალი ვადმოსჩქეფს სათუთად, მარად სვებედნიერი, ნამის წვეთებით იკლავს წყურვილს თუ საავდრო ღრუბლებით, რომელთაც თავისდა საამებლად შემოკრებს ზოლმე ცათა შინა, მარად ერთგული მიჯნური მზის ღვთაებისა, მისი ერთგული ნახევარი, რომელიც შესაძლოა თავდაპირველად უფრო მჭიდროდ იყო მასთან გადაჯაჭვული, მაგრამ ყოველის შემძლე ბედისწერამ ჩამოაშორა, რათა დედამიწა მარად მზის ძებნაში იყოს, ხან უახლოვდებოდეს, ხან შორდებოდეს და სინარულსა და მწუხარებაში დამწიფდეს უზენაეს მშვენიერებად — სრულიქმნეს.

ასე ვამბობდით, ჩვენი საუბრის შინაარსი მე ვადმოვეცი,

მაგრამ რა არის ლიტონი სიტყვა, თუ თან ცნოველმყოფელი სული არ ანლავს?

ბინდი ჩამოწვა. განშორების უამმა დარეკა. „ღამე ნებისა, ანგელოსის თვალნო, მწყაზარნო! — გავივლე გულში. — და შენ, პირმშვენიერო წმინდა ჩვენებავ, კვლავ მომეკლინე ადრე და მალე შენი სიმშვიდით და სინატიფით!“

ჰ ი პ ე რ ი თ ნ ი ბ ე ლ ა რ მ ი ნ ს

ორიოდე დღის შემდეგ ჩვენთან ამოვიდნენ. ბაღში გავი-სეირნეთ ყველამ. დიოტიმა და მე, ფიქრში ჩაძირულნი, დავ-წინაურდით. წამდაუწუმ თვალზე ცრემლი მადგებოდა ნეტა-რებისაგან, რაკი ჩემი ანგელოსი ასე მორჩილად გვერდით მომყვებოდა.

ბოლოს თხემის პირას გავჩერდით და აღმოსავლეთის უსაზღვრო სივრცეს მზერა მივაპყარით.

დიოტიმას თვალები გაუფართოვდა, სიოს ლამუნისაგან სანდომიანი სახე ნელინელ, თითქოს ყვაფილის კოკორი იშ-ლებოაო, გაებადრა და სულის მეტყველ ანარეკლად გადაექცა; საროსტანნიანი ფაქინად იდგა, ისე მსუბუქად, ვით დედოფა-ლი. ოდნავ ეხებოდა ფეხებით მიწას, თითქო სადაცაა ღრუბ-ლებში აფრინდებოა.

ო, რა სიამოვნებით ავიტაცებდი, როგორც არწივი განი-მედეს⁵¹, და გადავევლებოდი ზღვას და კუნბულებს!

ანლა კიდევ უფრო წინ წადგა ფეხი და ფრიალო კლდი-დან გადაიხედა. სიამოვნებდა საზარელი უფსკრულის თვა-ლით გაზომვა, შავად დაქუფრულ ტყეებსა, ტინის ლოდებსა და კეყოვან ნაკადულებს შორის ამოჩრილი ხის ნათელი კენ-წიროების ჭვრეტა.

მოაჯირი, რომელსაც იგი დაეყრდნო, ცოტათი დაბალი იყო. ამიტომ გავბედე და შევაშველე ხელი მომნიბლავ ასულს, როს იგი წინ გადაიხარა. აჰ, მწველმა, მთრთოლარე ნეტა-რებამ დამიარა მთელ ტანში, გრძნობის მორევში ჩავიძირე; თავბრუ მესხმოდა და ხელები ნაკვერცხლებივით მიხურდა, როცა შევეხე.

მერედა, რა საამური იყო მის გვერდით შინაურულად

დგომა, ბალდური სინაზით იმაზე ზრუნვა, არ გადავარდესო, და თანატყობობა მისი აღტაცებით!

აბა, რაღაა ის ყოველივე, რაც ადამიანს ათასეული წლების მანძილზე უმოქმედია და უფიქრია, ტრფობის ერთ წამთან შედარებით? განა იგი ბუნების ყველაზე ღვთაებრივი და მშვენიერი ნიჭი არ არის? მისკენ მივყავართ ცხოვრების ზღურბლის ყოველ საფეხურს, მისგან წამოსულნი მისკენვე მივდივართ.

ჰ ი ჰ ე რ ი ო ნ ი ბ ე ლ ა რ მ ი ნ ს

ოღონდაც მისი სიმღერა დამავიწყა, ოღონდაც აღარასოდეს არ გამაგონა მისი სულის სიღრმიდან მომდინარე ხმის ჟღერა ჩემს გაუთავებელ ზმანებებში.

წყალზე ამაყად მოცურავე გედს ვერ შეიცნობ, ვერა, იმ გედში, რულმოკიდებული რომ ზის ნაპირთან.

ასევე მხოლოდ მაშინ ვწვდებოდი ჩემი მღუმარე მიჯნურის სულსა, როცა სიმღერას წამოიწყებდა, — სიტყვებს იგი უხალისოდ თუ მიმართავდა.

მაშინ, მხოლოდ მაშინ გამოკრთოდა ხოლმე ზეციური მიუკარებლობის მიღმა მისი მეფური სიღიაღე, მისი სიტურფე; მაშინ იღვრებოდა კოკობ ვარდივით ნაზი ბაგიდან ხან მუდარა და მოფერება, ხანაც ბრძანება, — გარდუვალი, ვით ღმერთთა ნება-სურვილი. მერედა, გულიც როგორ ეპასუხებოდა ამ ღვთაებრივ ხმას, რა შეხმატკბილებული ჩანდა ამ კეთილშობილ ჰანგებში ცხოვრების მთელი სიღიაღე და სიღუბჭირე, სიხარული და მწუხარება.

როგორც ფრთამალი მერცხალი იჭერს ფუტკარს, ისე მისი ხმაც ატყვევებდა ყოველ ჩვენგანსა.

სიხარული ან აღტაცება კი არ გვეუფლებოდა, არამედ ზეციური სიმშვიდე.

ათასჯერ მითქვამს მისთვის და ჩემთვის: უზენაესი მშვენიერება ამავგ ღროს უზენაესი სიწმინდეც არის-მეთქი. ისიც ასეთი იყო ყოველ მხრივ. ასეთი იყო მისი სიმღერაც, მისი ცხოვრებაც.

ჰიპერიონი ბელარმინს

ყვაველებში გული მისი ისე ლაღობდა, თითქო თვითონაც ერთი იყო იმათთაგანი.

ყველას სახელით იხსენიებდა, სიყვარულით შესციცინებდა და არქმევდა ახალ, უფრო ლამაზ სახელებს; ზუსტად იცოდა, როდის დგებოდა ამა თუ იმ ყვაველისათვის უბედნიერესი უამი სიცოცხლის.

როდესაც მდელოზე ან ტყეში ვსეირნობდით, ამ წყნარ ქმნილებას, ნეტარებისაგან ოდნავ დაბნეულს, თვალი და ხელი მუდამ დაკავებული ჰქონდა, როგორც იმ უფროს დას, რომელსაც მისი საყვარელი პაწიები ეხვევიან და ყოველი მათგანი შესთხოვს: ყველაზე უწინ მე მომესალმეო.

ამასთანავე თავს როდი იწონებდა, არ კეკლუცობდა, — ეს იყო მისი თანდაყოლილი თვისება.

არის ერთი მარადიული ჭეშმარიტება და იგი ყველგან ვლინდება: რაც უფრო უმანკო და მშვენიერი სული აქვს ადამიანს, მით უფრო გულითადად ცხოვრობს იგი სვებედნიერ სხვა ქმნილებებთან, უსულოებს რომ უწოდებენ.

ჰიპერიონი ბელარმინს

ათასგზის გულიანად გამცინებია იმ ხალხზე, ვისაც ჰგონია: ამაღლებულმა სულმა არამც და არამც არ უნდა იცოდეს, როგორ მზადდება ბოსტნეულის შეჭამანდიო. დიოტიმამ კი თავის დროზე და არცთუ უგულოდ იცოდა ხოლმე კერის ხსენება და, რა თქმა უნდა, არაფერია იმ კეთილშობილ ასულზე კეთილშობილი, რომელიც ყველას სასიკეთოდ კერაში ცეცხლს არ აქრობს და მსგავსად დედა ბუნებისა ნუგბარ კერძებს ამზადებს ხოლმე.

ჰიპერიონი ბელარმინს

აბა, რას წარმოადგენს ქვეყნად ხელოვნური განსწავლულობა, რას წარმოადგენს ადამიანის ნააზრვეი, რომელიც თავს იწონებს მოწიფულობით, გონის იმ ძალდაუტანებელ დაკვესებასთან შედარებით, რომელმაც არც კი უწყის, რაც თვითონ უწყის ან რა არის თავად.

ვის არ ურჩევნია ვაზიდან ახლად მოწყვეტილი სავსე მტევნანი გამომშრალ ჩამიჩს, რომელსაც სოვდაგარი ყუთებში წინებას და სადღაც გზავნის? რა არის წიგნის სიბრძნე ანგელოსის სიბრძნესთან შედარებით?

დიოტიმა თითქო ყოველთვის ძალზე ცოტას ლაპარაკობდა, მაგრამ ბევრს კი ამბობდა.

ერთხელ, გვიან საღამოს, შინ ვაცილებდი; ნამიან ღრუბელთა მომცრო ჩრდილები მდელოზე სიზმრებით მიცურავდნენ; ნეტარი ვარსკვლავები ტოტების მიღმა სმენადგადაქცეული სულებით გადმოგვექეროდნენ.

იშვიათად თუ დასცდებოდა ბავიდან: ვიშ, რა კარგიაო! — თუმცა მის სათნო გულს უყურადღებოდ არ ჩრებოდა არც ფოთლის ჩურჩული, არც წყაროს დუდუნი.

ამჯერად კი მაინც წარმოთქვა:

— ოჰ, რა კარგია!

— იქნება ჩვენდა საამებლად არის შექმნილი ეს ყოველივე! — ვუთხარი ისე, ბავშვი რომ იტყვის — არც ზუმრობით და არც გულისყურით.

— მესმის, რასაც ამბობ, — მომიგო მან. — მაგრამ მე უფრო ის მიყვარს, როს ქვეყნიერება ერთ ოჯახად წარმოვიდგება, სადაც ერთი მეორეს უბამს მხარს, თანაც ისე, რომ არც კი ფიქრობს, რატომ იქმს ამას, სადაც ყველა ერთმანეთის სანუგეშოდ და სასიხარულოდ ცხოვრობს, რადგან გული ერთხით საამისოდ.

— სასიხარულო, ამაღლებული რწმენაა! — შევძახე მე. ქალწული სდუმდა.

— მაშ, ჩვენც ამ ოჯახის შვილნი ვყოფილვართ, — წამოვიწყე ისევ მე ბოლოს, — ვართ და ჩვენ კვლავაც ასე ვიქნებით.

— მარად ვიქნებით, — დასძინა მან.

— ვიქნებით კია? — ჩავვეკითხე.

— ეს ბუნებისათვის მიმინდვია, — განაგრძო ასულმა, — განა ყოველდღე მას არ ვენდობი?

ო, იმ წამს დიოტიმად ყოფნა ვინატრე, როცა წარმოთქვა მან ეს სიტყვები! თუმცა, რაცა თქვა, შენ არ იცი, ჩემო ბელარმინ, შენ არ გინახავს და არც ვსმენია!

— შენ მართალი ხარ, — შევძახე მე. — მარადიული მშვენიერება, ბუნება, ვერ იტანს ხარვეზს, ისევე როგორც ვერაფერ ზედმეტს ვერ იტანს. მისი სამკაული ხვალ სხვაგვარი იქნება, ვიდრე დღეს არის. მაგრამ უიმისოდ, რაც საუკეთესოა ჩვენში, უჩვენოდ იგი ვერ გასძლებს, განსაკუთრებით კი უშენოდ. ჩვენ გვწამს, რომ მარად ვიქნებით, რადგან ჩვენი სული გრძნობს ბუნების მშვენიერებას. ბუნებას ბიწი შეეპარება, აღარ იქნება ღვთაებრივი და სრულყოფილი, თუკი ოდესმე შენ დაგკარგავს. ის შენს სიყვარულს არ იმსახურებს, თუკი იმედს არ გავიმართლებს.

ჰ ი ჰ ე რ ი ო ნ ი ბ ე ლ ა რ მ ი ნ ს

ასეთი უდრტივინველი, ასე ღვთაებრივად კმაყოფილი, მე სხვა არავინ მინანავს.

ჩემი მღელვარე გული ისე ელაცვიცებოდა ამ ზეციური ასულის სიმშვიდეს, როგორც ოკეანის ტალღა სამოთხისებურ კუნძულთა ნაპირებს.

მისთვის საბოძვარი არა გამაჩნდა რა, გარდა გაშმაგებული წინააღმდეგობებითა და ჭრილობასავით მტკივნეული მოგონებებით აღსავსე სულისა; მისთვის საბოძვარი არა გამაჩნდა რა, გარდა ჩემი უსაზღვრო სიყვარულისა, რომელშიც ათასი საზრუნავი და დარდი, ათასი ბობოქარი იმედი ერია; ის კი ჩემს წინაშე იდგა, როგორც ნირუცვლელი მშვენიერება, ძალდაუტანებელი, მომდიმარი სრულყოფილება და მოკვდავთა მთელი საწადელი, მთელი ოცნება, — აჰ, ყოველივე ის, რასაც გენია ოქროთი დაფერილ ცისკრის საათებში წინასწარ შეტყვევებს მაღალ სფეროებზე, ამ წყნარ ასულში იყო განსახიერებული.

ჩვეულებრივ იტყვიან ხოლმე: მარტოოდენ ვარსკვლავთ მიდმა ცხრება ბრძოლათ და მხოლოდ მყობადში, საიქიოს აღგვიტევაშენ სიხარულის კეთილშობილ ღვინოს, რომელიც ცხოვრების დუდილის შედეგად დადგება, მას შემდეგ, რაც ჩვენი ღურღო და თხლე დაბლა დაიღვექებაო. დედამიწაზე კი უკვე აღარსად ეძებენ სულმნათათა სიმშვიდეს. მე კი სხვა ჯიცი. მე უფრო მოკლე გზით ვიდოდი. ვიდექი მის წინაშე

და ვისმენდი, ვუჭვრეტდი ზეციურ სიმშვიდეს — ქაოსის დრტვინვაში ურანია მევლინებოდა.

რაოდენ ხშირად დაუშოშმინებიავარ მომჩივანი მე ამ ხატებას, რაოდენ ხშირად აულაგმავს მას ქარტიხილი ცხოვრებისა და სულიერი ვნებათა დელვა, როს მე, სანეტარო ჭვრეტით გართულს, მის გულში ისე ჩამიხედია, როგორც წყაროში იყურებიან, რომლის ზედაპირს ურუანტელი გადაურბენს ცის შეხებისაგან: ვერცბლისფერ წვეთებს ხომ ის აპკურებს წყაროს ზევიდან!

ეს ასული ჩემი ლეთე იყო, ჩემი წმიდათაწმიდა ლეთე. მისი სულიდან ვსვამდი დავიწყებას. ამიტომ იყო, რომ მასთან უკვდავს ვემსგავსებოდი და, თითქო ავი სიზმრებიდან გამოფხიზლებული, ვახარებული ვტუქსავდი თავს და მეცინებოდა იმ ბორკილებზე, მანამდე რომ ასე მთრგუნავდა.

ო, მასთან ბედნიერი, სანაქებო კაცი ვიქნებოდი!

მასთან! მაგრამ ეს არ მოხდა და ახლა დავძრწი მე უგზო-უკვლოდ, მინდა დავძლიო ის, რაც ჩემს წინაა, რაც ჩემში და ჩემს გარეთაა, მაგრამ არ ვუწყვი, რა მოვუხერხო ჩემს თავსა და ყოველივე დანარჩენს.

ჩემი სული იმ თევზს წააგავს, თვის სტიქიონიდან ქვიშრობზე რომ ვადმოვარდნილა, ხტის და ფართხალებს, ვიდრე მცხუნვარე დღე სულ არ მოაშთობს.

აჰ, ნეტავ რაიმე საქმე მოიძებნებოდეს ჩემთვის ამქვეყნად! რაიმე სამუშაო, ან თუნდაც ომი იყოს — მაშინვე მოვსულიერდებოდი!

თქმულების თანახმად, ორ ჩვილ ბიჭუნას, რომლებიც დედას მკერდიდან აართვეს და უდაბნოში დატოვეს, ძუ მგელმა აწოვა ძუბუ⁶⁵.

გული ჩემი ეგზომ იღბლიანი როდია.

ჰ ი პ ე რ ი ო ნ ი ბ ე ლ ა რ მ ი ნ ს

ათასში ერთხელ თუ ვახსენებ. როცა კი ვბედავ მე მის ხსენებას, თავს ვაიძულებ, დავივიწყო მისი ხატება. თან თავს ვიტყუებ — თითქო გარდასულ დროში ცხოვრობდა, თითქო ვადმოცემით ვიცი მხოლოდ ცოტაოდენი რამ ამ

ასულზე, თუ მინდა, რომ მისმა ცოცხალმა ხატებამ მთლიანად არ დამატყვევეოს, სულ არ დავილიო აღტაცებისა და ტყვილისაგან, სული არ ამომხდეს სინარულისა და მწუხარებისაგან.

ჰიპერონი ბელარმინს

ამაო ეს ყველაფერი. მე ჩემს თავს ამას ვერ დავუმალავ. რასაც კი არ უნდა შევაფარო თავი ჩემი ფიქრებით — ზევას თუ უფსკრულს, დროთა დასაბამსა თუ აღსასრულს, თვით იმასაც კი რომ ჩავგეკონო, ვინც ჩემი უკანასკნელი ნავსაყუდელი იყო, ვინც უწინ ჩემს ყოველ სადარდებელსა და საზრუნავს ნთქაჯდა, ვინც უწინ თავისი ცეცხლის ალით ბუჯავდა ჩემში ცხოვრების სიამესაც და სიავესაც, თვით მასთან ჩაკონებულსაც კი, დიდებულ და იღუმალ მსოფლიო სულთან ჩაკონებულსაც კი, — მის სიღრმეებში ისე ვიძირები, ვით უძირო ოკეანეში, — ამიტანს ხოლმე მე ტყბილი ძრწოლა, ტყბილ სამსალასავით გამაბრუებელი, მომაკვდინებელი ძრწოლა იმის გამო, რომ დიოტიმას სამარე ჩემთან ესოდენ ახლოა.

გესმის? გესმის? დიოტიმას სამარე!

თან გული ჩემი ხომ ასე დაშოშმინდა და სიყვარული კი ჩემს მკვდარ სატრფოსთან ერთად დავმარხე.

შენ იცი, ჩემო ბელარმინ, დიდი ზანია აღარაფერი მომიწერია დიოტიმაზე. ხოლო როს გწერდი, მგონია, მშვიდად ვიყავი მაშინ.

ჰოდა, ახლა რაღას ვიქმ?

აი რას: მივდივარ ნაპირზე და შორეთაში ვიყურები, კალავრიას გავცქერი, სადაც ის განისვენებს.

დაე, ნურავინ ნუ მათხოვებს ნავს, დაე ნურავინ ნუ შემობრალეებს და თავის ნიჩაბს ნუ შემომთავაზებს, ნუ დაემხმარება სატრფოს სამარე მოვინახულო!

დაე, თუნდაც ეს მაღლიანი ზღვაც ნურასოდეს ნუ დაწყნარდება, რომ ტივი არ შევკრა და ისე არ გავცურო. მე დაინც გადავეშვები ბობოქარ სტიქიონში და ტალღას შევეგედრები დიოტიმას ნაპირზე გამრიყოს!

ძვირფასო ძმაო! ათასგვარი ფანტასტიკური გამოწავლ-
ნით ვინუგეშებ გულს, ნაირ-ნაირ ბანგსა ვსვამ და ღიახაც
უკეთესი იქნებოდა საუკუნოდ განთავისუფლება, ვიდრე
ღრობით ტვირთის შემსუბუქება, მაგრამ ვის არ ემართება
იგივე? მე ამითაც კმაყოფილი ვარ.

კმაყოფილიო? ეჰ, ეს ხომ საუცხოო იქნებოდა, ეს ხომ
გადარჩენას დაედრებოდა, მაშინ როდესაც ვერა ღმერთიც
ვერ გადამარჩენს.

კარგი! კარგი! ყველაფერი გავაკეთე, რაც კი ძალმიძდა!
მე მოვითხოვ, რომ ბედისწერამ სული ჩემი უკან მიბრუნოს!

ჰ ი პ ე რ ი ო ნ ი ბ ე ლ ა რ მ ი ნ ს

განა ის ჩემი არ იყო, განგების დანო,⁵⁵ განა ის ჩემი
არ იყო? ანკარა წყაროებს მოვუხმობ მოწმიდ, უმანკო ხე-
ებს, ყურს რომ გვიგდებდნენ, დღის სინათლესა და კამკამა
ეთერს! განა ის ჩემი არ იყო, ჩემთან შერწყმული სიცოცხ-
ლის ყოველ აუღერებაში?

მოიძვევება კიდევ არსება, მას რომ ჩემებრ კარგად შეიც-
ნობდა? სხვა რომელ სარკეში ირეკლებოდა ასე სრულქმნი-
ლად მისი ბადრი სახის სხივთა არილი? განა საკუთარმა სი-
ლამაზემ მაშინ არ შეაკრთო სიამით აღსავსე, როს ჩემმა
აღტყინებამ საცნაურჰყო მისთვის ეს სილამაზე? აჰ! განა
მოიძვევება კიდევ გული, რომელიც ისე მანლობელი იქნებოდა
მისთვის, როგორიც ჩემი იყო, აღავსებდა მას და თვითონაც
აღსავსე იქნებოდა მისი სიტუროფით, ჩარჩო იქნებოდა მის-
თვის, ისეთივე ჩარჩო, როგორიც წამწამებია თვალისათვის?

ჩვენ ერთი ყვავილი ვახლდით, ჩვენი სულები ერთმანეთ-
ში ცოცხლობდნენ, მსგავსად ყვავილისა, თაფლობის ყამს
რომ დახურულ ჯამში ინახავს თვის ფაფუკ სიამეს.

და მაინც დავკარგე იგი, საჩემო გვირგვინი მიწას მიბარდა!

ჰ ი პ ე რ ი ო ნ ი ბ ე ლ ა რ მ ი ნ ს

ვიდრე რაიმეს გავიგებდით, ერთმანეთისა ვიყავით უკვე.
ერთმანეთისა ვიყავით მაშინ, როს მის წინაშე მღუმა-
რედ ვიდექ, ნეტარებისაგან დატყვევებული, სულით და გუ-

ლით ვალმერთებდი და მთელს ცხოვრებას ჩემს გაბრწყინებულ თვალებს ვატანდი, მხოლოდ და მხოლოდ მას რომ ხედავდნენ, მხოლოდ და მხოლოდ მას რომ აღიქვამდნენ და ისიც ნაზი ჭოჭმანით მაცქერდებოდა, რადგან ვერ გაეგო, სად რიალებდნენ ჩემი აზრები, — ერთმანეთისა ვიყავით მაშინ, როს სიხარულით და სილამაზით ატაცებული, თვალს ვადევნებდი, სანუკვარ ხელსაქმეს როგორ უჯდა, და სული ჩემი ისე დასტრიალებდა და ელაცვიცებოდა მის ყოველ ოდნავ შესამჩნევ მოძრაობასაც კი, როგორც ფუტკარი მოქანავე რტოებს, ხოლო როდესაც შემდეგ უწყინარ ფიქრებში წასული ჩემსკენ ანაზდად შემობრუნდებოდა და ჩემი აღტყინებისაგან შეჩქვრიფებული ლამობდა არ შეემჩნია ეს აღტყინება, კვლავ თავის საყვარელ სამუშაოს უბრუნდებოდა, იქ ეძიებდა ხოლმე სიმშვიდეს და ჰპოვებდა კიდევ...

ერთმანეთისა ვიყავით მაშინ, როს იგი საოცარი გამჭრიახობით აღმოაჩენდა ყოველ ჰარმონიას, ყოველ დისონანსს ჩემი სულის სიდრმეში, — აღმოაჩენდა უმაღვე, ხელად, მე კი თვითონაც ჯერ არ მქონდა იგი აღქმული; როს შემამჩნევდა დაუყოვნებლივ, სახე თუნდ ოდნავ რომ მომღრუბლოდა, ბაგეზე კაეშნის ან სიამაყის ნატამალი რომ გამჩენოდა ანდა ნაპერწყალს რომ გაეელვა ჩემს თვალებში; როს ყურს უგდებდა ჩემი გულის მოზღვაგებას ან უკუქცევას და ზრუნვით აღსავსე წინასწარ გრძნობდა ჭმუნვის საათებს, მაშინ როდესაც ჩემი ჭკუა-გონება თავშეუკავებელ ენაშნეობაში იხარჯებოდა; როს საყვარელი არსება, უფრო სანდოდ, ვიდრე სარკე ნებისმიერი, ჩემი სახის ყოველ ცვლილებას მამცნობდა და ხშირად, ჩემი ცვალებადი გუნება-განწყობილებით შეფიქრიანებული, მეგობრულად მაფრთხილებდა და მიჯავრდებოდა, ვით ბალღს ნებიერს...

აჰ, როცა შენ, უმანკო ასულო, თითებზე ითვლიდი კიბის საფეხურებს ჩვენი მთიდან ქვევით მიმავალი, შენი სახლისკენ, როცა იმ საცალფეხო გზებს მიჩვენებდი, სადაც სეირნობდი, ადგილებს, სადაც გჩვეოდა ჩამოჯდომა, და მიამბობდი, როგორ აღამებდი დღეებს, ხოლო ბოლოს დასძენდი ხოლმე: ახლა ასე მგონია, მუდამ გვერდით მყავდიო...

განა უკვე მაშინაც არ ვიყავით ჩვენ ერთმანეთის?

ჩემს გულს აკლდამას გუშენებ, რათა შიგ ჰპოვოს სავანე; პარკს ვიქსოვ აბრეშუმის ჭიასავით, რადგან ირგვლივ ზამთარი სუფევს; სანეტარო მოგონებებში ვეხვევი, რათა როგორმე ქარიშხლისაგან თავი დავიცვა.

ერთხელ მე და ნოტარა — ასე ერქვა ჩემს მეგობარს, ჩემსა მასპინძელს — რამდენიმე ამხანაგთან ერთად, რომლებსაც კალაგრიასში ჩვენსავით ობროდების სახელი ჰქონდათ გაფარდნილი, დიოტიმას ბაღში ვისხედით, აყვავებული ნუშის ხეების ქვეშ, და ლაპარაკი მეგობრობაზე ჩამოვარდა.

მე ნაკლებად ვერეოდი საუბარში, ბოლო ხანებში გავურბოდი ისეთ რაიმეზე ლაპარაკს, რაც გულთან ასლოს მიაქვს ადამიანს, — დიოტიმამ მიმაჩვია სიტყვაძუნწობას...

— აი, ჰარმოდოსისა და არისტოგიტონის⁵⁷ დროს კიდევ არსებობდა ქვეყნად მეგობრობა! — შესძახა ბოლოს ერთმა მათგანმა.

ამ შეღებვილმა ისე გამახარა, დუმილი აღარ შემეძლო უკვე. ასე მიგუგე:

— დაფნის გვირგვინი მომიცია მაგ სიტყვების წარმოთქმისათვის! ნუთუ მართლა შეგნებული გაქვს, ნუთუ შენ იცი, როგორი იყო არისტოგიტონისა და ჰარმოდოსის მეგობრობა? მომიტევე, მაგრამ ფიცავარ ეთერს, უნდა არისტოგიტონი იყო, რომ იგრძნო, როგორ უყვარდა არისტოგიტონს, ხოლო მეზისაც კი არ უნდა ეშინოდეს იმ კაცს, ვინც ისურვებდა ჰარმოდოსის სიყვარულით შეჰყვარებოდა ვინმეს, რადგან აღარაფერი არ გამგებია, თუ ეს მრისხანე ჭაბუკი სიყვარულში მინოსივით⁵⁸ უღმობელი არ იყო. ცოტას თუ დაუჭერიხ ამგვარი გამოცდა. ნახევარდმერთებთან მეგობრობა ისევე ძნელია, როგორც ტანტალოსივით⁵⁹ დმერთთა სუფრასთან ჯდომა. მაგრამ ამასთანავე მთელ დედამიწის ზურგზე იმაზე დიდებული არა არის რა, როდესაც მათებრ ამაყი წყვილი ასე მორჩილებს ერთიმეორეს.

ჩემი სასოებაც, ჩემი ნუგეშიც მარტოობის ჟამს სწორედ ის არის, რომ ოდესმე კვლავ აჟღერდება ამადლებული ასეთი

ჰანგი და ალბათ კიდევ უფრო ამადლებულ ჰანგსაც მოვის-
მენტო უამთა დინების მსოფლიო სიმფონიაში.

სიყვარულმა შვა ცხოველმოქმედი ადამიანებით აღსავსე
ათასწლეულები; მეგობრობა ხელაწლა ადლორძინებს მათ.
ბავშვობის ჰარმონიიდან წარმოიშენენ ოღესლაც ხალხები;
სულის ჰარმონია მისცემს დასაბამს მსოფლიოს ახალ ისტორი-
ას. ადამიანებმა მცენარეული არსებობის ბედნიერებიდან
დაიწყეს და შემდეგ იზარდნენ, იზარდნენ მანამ, სანამ
სიწიფეს არ ვიადწიეს. იმ დროიდან მოვიდებულნი
კი განუწყვეტლივ დუდილში არიან, როგორც შინაგანად,
ისევე გარეგნულად. ასე რომ, ამჟამად კაცთა მოდგმა, უსაზ-
ღვროდ დაშლილი, ქაოსს წააგავს. ამიტომ ვისაც კიდევ
შერჩენია გრძნობის უნარი და თვალის ჩინი, — თავბრუ ებ-
ვევა; მშენიერება კი გაურბის კაცთა ცხოვრებას, ზევით
ვადდის სულის საუფლოში; იდეალად იქცევა ის, რაც
ბუნება იყო და თუ ქვევით ხე უკვე გამხმარი და დაფუჭუ-
როებულია, კენწირო მაინც ნორჩი აქვს და მწვანედ ხასხა-
სებს მზის ათინათში, როგორც ოღესლაც მთელი ხე ჭაბუკო-
ბისას. იდეალად იქცა ის, რაც ბუნება იყო. ამ იდეალში,
ამ განახლებულ დვთაებაში სცნაურს ყოფენ თავიანთ თავს
მხოლოდ ცოტანი და ისინი ერთნი არიან. რამეთუ რაღაც
საერთო აქვთ და მათგან, მათგან მიევევა დასაბამი კაცობ-
რიობის არსებობის მეორე ერას... საკმარისი ვთქვი, რა-
თა ნათელმეყო, რასაც ვგულისხმობ.

უნდა გენახა, დიოტიმა როგორ წამოხტა, ორივე ხელი
გამომიწოდა და წამოიძახა:

— მე გავივე, საყვარელო, ყველაფერს მივიხვდი.

სიყვარულმა შვა სამყარო, მეგობრობა მას ხელშეორედ
დაბალებს.

ო, მაშინ თქვენ, მომავალო, ახლო დიოსკურებო, მა-
შინ ცოტათი დაახანეთ, როცა იმ ადგილს ჩაუვლით, სად
ჰიპერიონი განისვენებს, დაახანეთ, დავიწყებული კაცის
ნეშტთან ზემთაგონებით და წარმოთქვით: „ჩვენინი იქნე-
ბოდა, ახლა რომ ჩვენთან იყოს“.

ეს გავიგონე, ჩემო ბელარმინ! ეს განვიცადე და მაინც
ჩებაცოფლობით არ ვისწრაფებ სიცოცხლეს განა?

ღიახ! ღიახ! წინასწარ მომეზლო, მე უკვე ვიცხოვრე. მეტი სინარულს კი მხოლოდ ღმერთი თუ აიტანდა, მე ვერ ავიტან.

ჰ ი პ ე რ ი ო ნ ი ბ ე ლ ა რ მ ი ნ ს

შენ მეკითხები: როგორ გრძნობდიო თავს იმ ხანებში? მე იმ კაცს ვგავდი, ყველაფერი რომ წაავო და ყველაფერი კი უნდა მოეგო.

ხშირად წამოვსულვარ თუმცა დიოტიმას ხეთა ჩეროდან გამარჯვებით შეზარხოშებული, ხშირად იძულებული ვყოფილვარ სასწრაფოდ გავცლოდი იქაურობას, რათა არ გამეცა ჩემი ფიქრები, ისე ძალუმაღ ბობოქრობდა ჩემში სინარული და სიამაყე, ყოვლისმომცველი აღმაფრთოვანებელი რწმენა იმისა, რომ მე დიოტიმას ვუყვარდი.

მაშინ ყველაზე მაღალ მთებზე ავდიოდი, იქაურ ნიაგთან, და ჩემი სული იმ არწივის დარად, რომელსაც დაჭრილი ფრთა მოუშუშდა, ლაღად დაჰქროდა სივრცეში, თავს ევლებოდა ხილულ სამყაროს, თითქო მისი საბრძანებელი ყოფილიყოს; საოცარია ზოგჯერ ისე ავენთებოდი ზოლმე სინარულისგან, რომ მეგონა, ჩემს სახმილში ოქროსავით იწმინდებოდა და გადამდნარი ერთმანეთს ერწყმოდა ყველაფერი, რაც კი რამ არსებობდა ამ დედამიწაზე, და ჩემიანად რაღაც ღვთაებრივი შენადნობი წარმოიქმნებოდა; ახლა როგორ ავიტაცებდი ზოლმე ბავშვებს და როგორ ვიხუტებდი მთრთოლარე მკერდზე, როგორ ვესალმებოდი ყვავილებსა და ხეებს! სასწაულმოქმედის ძალას ვნატრობდი, რომ მფრთხალი ირმები და მიუკარებელი ჩიტუნები ტყისა ერთ ჯალაბაღ შემომეკრიბა ჩემს გულუხვ ხელთა ირგვლივ, ისეთი ნეტარებითა და სიშმაგით მიყვარდა ყველა სულდგამული!

მაგრამ დიდხანს როდი გრძელდებოდა ასე. როგორც შუქი, ერთბაშად ჩაქრებოდა ზოლმე ეს ყოველივე ჩემში და დამუნჯებული, დამწუხრებული, აჩრდილივით ვიჯექი და ვეძებდი ჩემს გამქრალ სიცოცხლეს. ჩივილი და მოთქმა არამსურდა, მაგრამ არც დამშვიდება არ მინდოდა. თავიდან ვიშორებდი იმედს, როგორც ხეიბარი ყავარჯენს, რომელმაც თავი მოაბეზრა. მრცხვენოდა ტირილისა, მრცხვენოდა

საერთოდ ჩემი არსებობისა, მაგრამ ბოლოს მაინც სიამაყეს ცრემლები ნთქავდა და სატანჯველი, რომელსაც ადრე სიამოვნებით არ გავამჟღავნებდი, ახლა მესალბუნებოდა და მეც მას შვილივით გულში ვინუტებდი.

არა, — გაიძაბოდა გული, — არა, ჩემო დიოტიმა, მტკივნეული არ იქნება ჩემთვის! მშვიდობით იყავ, მე კი ჩემი გზით წავალ. ნუ დაირღვევ მყუდროებას, შუქურვარსკვლავო, თუნდაც შენს ფერხთით, დაბლა, ყველაფერი დუღდეს და წყვდიადი სუფევდეს!

ო, ნუ დააჭვინობ შენს კოკობ ვარდს, კურთხეულო, ღვთაებრივი ახალგაზრდობის! ამქვეყნიურ სივსებაზეში ნუ დააბერებ მშვენებას შენსას! სულზე უტკბესო! ჩემს სიხარულს ხომ ის შეადგენს, რომ შენში მუდამ უღრუბლო ცაა დავანებულები. არ განიძარცვო, არა და არა! შენ სიყვარულის სიღუბნით არ უნდა ნახო!

მერე კი ისევ მისკენ დავეშვებოდი, მზად ვიყავ ნიავს შევკითხოდი ან შემკითხავა ღრუბლის ქულების ქარავანზე, რა მეწეოდა ცოტა ხნის შემდეგ! ახლა როგორ მიხაროდა, თუ გზაში ვინმე შუბლგახსნილი შემომხვდებოდა და სალამს როყოფდა არ მომახლიდა.

ხოლო თუ ტყვიდან გოგონა გამომეგებოდა და მარწყვს ისეთი სახით შემომთავაზებდა, თითქო ჩუქება სურდა და არა გაყიდვა, ანდა ალუბლის მოსაკრეფად ხეზე ასული ვლენი ზემოდან ჩამომიხებდა: პირს ხომ არ გაისველებოთ, — ეს ყოველივე კეთილი ნიშანი იყო ცრუმორწმუნე ჩემი გულსთვის!

თუ ამასთანავე იმ ბილიკიდან, რომლითაც დაბლა მე ვეშვებოდი, დიოტიმას სახლი ჩანდა და ღია იყო ერთი ფანჯარა, მაშინ ხომ შევებით აღვივსებოდი.

ვინ იცის, იქნებ ეს-ეს არის ფანჯარიდანაც იცქირებოდა.

და აი, უკვე მის წინ ვიდექ სულგანაბული, ვბარბაცებდი, გადაჭდობილი ჩემი ხელები მთრთოლარე მკერდზე მქონდა მიკრული, რომ გულისცემა ჩემი დამეცხრო და როგორც ტალღებს მოცურავე შეეჭვიდება, ისე იბრძოდა და იღწეოდა

გონება ჩემი — უსაზღვროდ დიად სიყვარულს რომ არ წავე-
ლევო.

— აბა, ახლა რაზე ვილაპარაკოთ? — ესლა შევძელი წარ-
მომეთქვა. — ზოგჯერ ბევრს ცდილობ ადამიანი და ვერ პო-
ულობ ისეთ საგანს, რაზეც შენს აზრებს შეაჩერებდი.

— რაო, ისევ ზეცისკენ გაგირბიან? — მომიგო ჩემმა დი-
ოტიმამ. — მაშინ მათ ფრთებზე ტყვია ჩამოჰკიდე, ან კი-
დევ სულაც ძაფს გამოვავამ, როგორც ბიჭები — ფრანს, რომ
ხელიდან არ გაგვიფრინდნენ.

ტურფა ასული ცდილობდა ხუმრობით ეშველა ჩემთვისაც
და თავისთვისაც. თუმც მანინცდამანინც ვერას ხლებოდა.

— დიას, ასეა! — კვერი დაფუკარ მეც. — როგორც გე-
ნებოს, როგორც საჭიროდ მიიჩნით... თუ გინდა, რამეს
წაგიკითხავ. თუმც შენი ბარბითი ალბათ გუშინდელს აქეთ
ისევ აწყობილია, თანაც წასაკითხი არაფერი მაქვს...

— რამდენჯერ აღნითქვი, — შენესიტყვა იგი, — ვიამ-
ბობ, როგორ გცხოვრობდი, ვიდრე ერთმანეთს გავიცნობდით.
ახლა ხომ არ შეასრულებ შენს დანაპირებს?

— მართალი ხარ-მეთქი, მიფუგე. გულმა სიხარულით აი-
ტაცა ეს მისი თხოვნა და მეც ვუამბე ყველაფერი, ვითარც
შენ მოგიტხრობ. ვუამბე ადამასზე, სმირნაში განმარტოე-
ბით გაცარებულ დღეებზე, ალაბანდასა და მასთან განწორე-
ბაზე. აგრეთვე ჩემი სულის ამოუცნობ სენზე კალაჯრიაში
გაღმოსვლამდე...

— ახლა კი იცი შენ ყველაფერი, — მშვიდად დავძინე
ბოლოს, — ამიერიდან უფრო სულგრძელად მომიკიდები. ახ-
ლა კი იტყვი, — დაფუმატე დიმილით, — ნუ დასცინით
თქვენ ამ გულკანს, რაკი ის კოჭლობს⁶⁰. ღმერთებმა იგი
ორგზის ჩამოაგდეს ციდან მიწაზე.

— გაჩუმდი, — მომაძახა გულამომჯდარმა და ცრემლებს
თვისას ცხვირსახოცი შეაგება, — გაჩუმდი-მეთქი, სასაცი-
ლოდ ნუ აიგდებ შენს ხვედრს და შენს გულს. ვინაიდან მე
მესმის მისი და თან შენზე უკეთაც კი, საყვარელო, ჩემო
საყვარელო ჰიპერიონ! შენი შეველა ძალზე ძნელია.

— იცი კია, — განაგრძო მან უფრო ხმამაღლა, — იცი
კია, რა გაწუხებს ან საკუთრივ რა გაკლია, ან რას ეძიებ, —

ვით აღფეოსი რომ ეძებდა თვის არეთუსას,⁶¹ რასა ჰგოდებ ჭი-
რის უფალივით ღრმად მგლოვიარე? ის, რასაც დასტირი,
ახლაბან კი არ აღგვილა. ზუსტად ვერც იტყვი, როდის
იყო აქ, როდის განქარდა, მაგრამ იყო კი, ახლაც არის,
იგი შენშია! შენ უკეთეს ხანას ეძიებ, უფრო სრულყოფილ
ქვეყნიერებას. მეგობრებშიც სწორედ ამ წარმიტაც სამყარო-
სა სცემდი შენ თავყვანს, მათთან ერთად წარმოადგენდი შენ
ამ სამყაროს.

აღამასში ამობრწყინდა იგი და მასვე გაჰყვა, ხელმეო-
რედ კი ალაბანდაში იხილე მისი ათინათი, უფრო კაშკაშა
და მცხუნვარე, ამიტომაც შუალამე ჩამოდვა შენს სულში,
როს დაკარგე ეს მეგობარიც.

ახლა ხომ გესმის, სასოწარკვეთილებაა მდე რატომ მი-
გიყვანა თვით უმცირესმა დაეჭვებამ ალაბანდაში? რად უკუ-
აგდე მეგობარი, რაკილა იგი ღმერთი არ იყო?

დამიჯერე, შენ ცალკეული აღამიანები არა გჭირდება,
სამყარო გჭირდება მთელი. ყველა იმ ოქროს ხანის დაკარ-
გვა, რომელთაც ერთიანად, ერთ ბედნიერ წამად აღიქვამ-
დი, საუკეთესო ეპოქათა ყველა მოაზროვნის გონიერება,
ყველა ძლევამოსილი დევგმირის ძლევამოსილება შენთვის
ერთადერთ აღამიანს უნდა მოეცა! ახლა ხომ გესმის, რა
ღარიბი ხარ? და რა მდიდარი? რატომ ხარ ზოგჯერ ასე
ამაყი და ზოგჯერ კი ასე ტანჯული? ასე საშიშრად რატომ
გცვლის ხოლმე სინარული და კაემანი?

იმიტომ, რომ ყველაფერი გაქვს კიდევ და არც არაფერი
გაგანია, იმიტომ, რომ ოქროს დღეთა ხილვა, რომლებიც
ოდესმე უნდა დადგნენ, შენ გეკუთვნის, მაგრამ დღეები
ჯერ არ დამდგარან; იმიტომ, რომ სამართლიანობისა და
სილამაზის საუფლოს მოქალაქე ხარ, ღმერთი ღმერთთა შო-
რის იმ მშვენიერ ზმანებებში, რომელნიც დღისით-მზისით
გხვევენ ხოლმე ბურანში, ხოლო როს ფინიზლები, ხედავ,
რომ ამჟამინდელი საბერძნეთის მიწა-წყალზე ხარ.

ორჯერო, ამბობ? ორჯერ კი არა, სამოცდაათჯერ ენარ-
ცხები ციდან მიწაზე. გითხრა? მაშინებს კიდევ მე შენი ზვედ-
რი: ჩვენი დროების საწყაულით არსებობა გაგიჭირდება.
შენ ბევრ რამეს სცდი, ბევრს შეეცდები, მაგრამ...

ო, დმერთო ჩემო! სამარე ალბათ იქნება შენთვის უკანასკნელი თავშესაფარი.

— არა, დიოტიმა, — შევძახე მე, — არა, დმერთმანი, არა! ვიდრე თუნდ ერთ ჰანგი მაინც უღერს ჩემთვის, ვერ შემაშინებს ვარსკვლავთქვეშეთში საგოდებლის ღრმა მღუმარება; ვიდრე მზე ანათებს და დიოტიმა, არ იარსებებს ჩემთვის წყვილიადი.

დე, გლოვის ზარმა დარეკოს თუნდაც ყველა სიქველის გარდასვლის გამო! მე ხომ შენ ვისმენ, შენი გულის სიმღერა მელვრება სულში, შენ, სატრფოვ ჩემო, მე უკვდავებას მაშინაც ვპოვებ, როს ყველაფერი ჭკნება და ქრება!

— ო, ჰიპერიონ, — აღმოხდა ქალწულს, — აბა, რას ამბობ!

— მე იმას ვამბობ, რაც უნდა ითქვას, მე აღარ ძალმიძს, მე აღარ ძალმიძს ამდენ ნეტარების, შიშისა და ჭმუნვის დაფარვა! ო, დიოტიმა! დიახ, შენ იცი, უნდა იცოდე, დიდი ხანია ატყობ უთუოდ — დავიღუპები, თუ ხელი არ გამომიწოდე.

შეცბა დიოტიმა, სახე აელეწა.

— ნუთუ შენ ჩემში, ნუთუ ჩემში ებებ დასაყრდენს? მაშინ მე მინდა, ცხოვრებაში პირველად მინდა უბრალო მოკვდავ ქალიშვილზე მეტი შევიძლო. მაგრამ მე შენთვის მხოლოდ ისა ვარ, რაც ძალმიძს ვიყო.

— ო, მაშ ყველაფერი ყოფილხარ ჩემთვის! — წამოვიძახე.

— ყველაფერიო? ცბიერო პირმოთნევ? მაშ კაცობრიობა? ბოლოს და ბოლოს, ხომ მხოლოდ ის გიყვარს?

— კაცობრიობა? — ვუთხარ პასუხად. — ვისურვებდი, რომ კაცობრიობას დიოტიმა ხატად დაესვას, შენი გამოსახულება თავის დროშებზე დაეხატოს და ასე ეთქვას: ამიერიდან ღვთაებრივმა გაიმარჯვოსო! ანგელოსნო ცათა! რა დღე გათენდებოდა!

— წადი ახლა, — დასძინა მან, — წადი და ზევას აღუვლინე ფერისცვალება შენი! მე კი შიგნით მრევ. ხომ მართალია, რომ წაზვალ ახლა, ჰიპერიონ, ჩემო ძვირფასო? დავემორჩილე. ვინ არ დაყრიდა ნეტავი ფარ-ხმალს? წა-

მოვედ, მაგრამ ასეთი გრძნობით მისგან არასდროს არ წა-
მოვსულვარ. ჩემო ბელარმინ! ვგრძნობდი სიხარულს, მყუდ-
როებას ამა ცხოვრების, ღვთაებრივი მსდევდა სიმშვიდე;
ჯადოსნურს, ციურს, ამოუცნობ სიხარულს ვგრძნობდი.

სიტყვების ხარჯვა აქ ამაოა და ვინც ამ განცდის აღსაქ-
მელად მთხოვს შედარებას, მას უსათუოდ არ ექნება ეს
სიხარული არსად განცდილი. ერთადერთი, რაც ამგვარი სი-
ხარულის გამოხატვას შესძლებდა, დიოტიმას სიმღერა გახ-
ლდათ, თუკი მისი ხმა საშუალოდ, არც მაჟორულად და
არც მინორულად არ იჟღერებდა.

ო, ლეთეს პირას თავდახრილო ძეწნებო! დაისით შეფაკ-
ლულნო ბილიკნო ელისეიონის ტყეებში! შროშანებო, ველ-
ზე ნაკადულებთან მოჯარულნო! ვარდის გვირგვინებით შემ-
კულნო ბორცვებო! მწამს თქვენი ამ კურთხეულ წამს და
ვეუბნები მე ჩემს გულს ასე: იქ მოიძვეებენ კვლავ დიო-
ტიმას და მასთან ერთად ყველა სიამეს, რაც კი დაკარგე.

ჰ ი ჰ ე რ ი ო ნ ი ბ ე ლ ა რ მ ი ნ ს

ისევ და ისევ ჩემს ნეტარებაზე მინდა მოგიტხრო.

მსურს გული ჩემი გარდასული სიხარულით მანამდე
ვაწრთო, სანამ ფოლაღივით მტკიცე გახდება; მსურს მა-
ნამდე გამოვიბრძმედო, სანამ უძლეველი შევიქნებოდე.

ეჰ, მოგონება ხშირად მახვილივით სულსაც კი მიწყლავს,
მაგრამ მანამდე არ შევეშვები მახვილით თამაშს, სანამ ამ
მოწყვლას არ მივეჩვევი, მანამდე მექნება მე ხელი ცეცხლ-
ში, სანამ ისევე იოლად ავიტან, თითქო თითები ცეცხლში
კი არა, წყალში მქონოდეს მე ჩაყოფილი.

კრთომა აღარ მსურს, დიახ! მინდა ძლიერი ვიყო! მსურს
აღარაფერი აღარ დავუმალო ჩემს თავს, მსურს ყველა ნე-
ტარებათაგან უნეტარესს მოვუხმო საფლავიდან.

ძნელად იწამებ, რომ კაცს ყველაზე მშვენიერისა ეში-
ნოდეს, მაგრამ ასეა.

აბა, ვინ მოსთვლის, რამდენჯერ გავტყვევივარ მე ასეთ
წამებში მოგონებათა ამ მომაკვდინებელ სიტკბობას და მათ-
თვის თვალი ამირიდებიან, ვით ბაღლს — ელვისათვის! და

მინც სამყაროს უბე წალკოტში ჩემს სიხარულზე სანუკვა-
რი არა ჰყვავის რა, და მინც არც ცასა და არც დედამიწაზე
ჩემს სიხარულზე კეთილშობილი არა ხარობს რა.

მაგრამ მარტო შენ, ჩემო ბელარმინ, შენებრ წმინდა ღა
თავისუფალ სულისა პატრონს მოფუთხრობ ამას. სულ არ
ვაპირებ ვაძლვიჩინო მე ის გულუხვობა, რასაც მზე იჩენს
თვისი სხივების გამობრწყინებით: არ მინდა ჩემი მარგალი-
ტები ხეპრე ბრბოს წინაშე მიმოვაბნო.

რაც უფრო მეტი დრო გადიოდა იმ გულითადი საუბრის
შემდეგ, სულ უფრო მეტად ვედარ ვცნობდი მე თავს საკუ-
თარს. ვგრანობდი, რომ მე და დიოტიმას შორის იყო რა-
ღაც წმიდათაწმიდა საიდუმლო.

მიკვირდა, ვოცნებობდი. ისეთი განცდა დამეუფლა, თით-
ქო შუადამით სათნო სული მომვლინებოდეს და თვის რჩეუ-
ლად მას ავერჩიე.

ო, რა უცნაურად აგვერევა ხოლმე ერთმანეთში ნეტა-
რება და კაეშანი, როდესაც საცნაური ხდება, რომ სამუ-
დამოდ ვეთხოვებით შეჩვეულ ყოფას.

მას შემდეგ ვედარც ერთხელ ვერ მოვახერხე დიოტიმას
ნახვა პირისპირ. სულ მუდამ ვინმე ჩვენ ხელს გვიშლიდა,
ერთურთს გვაშორებდა და სამყარო დიოტიმასა და ჩემს შო-
რის ისე ჩადგებოდა, ვით უსასრულო სიცარიელე. ექვსი
დღე ისე გაილია, რომ სული ჩემი კბილით მეჭირა, დიო-
ტიმაზე კი არაფერი მე არ ვიცოდი. მეჩვენებოდა, თითქო
ირგვლივ მყოფნი ადუნებდნენ ყველა ჩემს გრძნობას, თით-
ქო მთელ ჩემს გარეგნულ ცხოვრებას ძირშივე კლავდნენ, რა-
თა ჩემი ცხრაკლიტულში გამომწყვდეული სული ვერასვზით
ვერ გაჭრილიყო სატრფოსთან.

თუ დავუწყებდი მე თვალით ძებნას, მზერას წყვილადი
დამიბურავდა. თუკი რამის თქმას მოვინდომებდი, მეჩხირე-
ბოდა ყელში სიტყვები.

აჰ! ზოგჯერ ღამის გული გაერღვია ჩემთვის ენით უთქ-
მელ წმინდა საწადელს და მძლეთა მძლე სიყვარული ხშირად
ისე ბორგავდა შიგ, როგორც ტყვექმნილი ტიტანი. ასე გამ-
ძაფრებით, ასე ხელაღებით ჯერ არასოდეს ამხედრებულა
სული ჩემი ბედისწერისა ბორკილთ წინააღმდეგ, იმ რკი-

წისებური, უღმობელი კანონის წინააღმდეგ, რომელიც გვთიშავს და დაცალებულთ არ-გვანებებს ჩვენს მოტრფიალე ნაბეგართან ერთ სულად შერწყმას.

ამიერიდან ვარსკვლავიანი ღამე იქცა ჩემს სტიქიონად. დაისადგურებდა თუ არა მღუმარება, ისეთი, როგორიც მიწის წიადშია, სადაც ოქრო ღვივდება, მაშინ დგებოდა უმ-შვენიერესი დრო სატრფიალო.

მაშინ იყენებდა გული ჩემი შეთხზვის უფლებას და მიამბობდა, როგორ თამაშობდა ჰიპერიონის სული სათნო დიოტიმასთან ციურ ელისეიონში, ვიდრე მიწაზე ჩამოვიდოდა⁶². ღვთაებრივი ყრმობის ჟამს, წყაროს კეთილხმოვან ლიკ-ლიკში და ისეთ ლამაზ რტოთა ქვეშ, როგორსაც ჩვენ აქ, დედამიწაზე, მდინარის მოციგლივე ოქროცუტრვილ ზედაპირზე არეკლილთ ვხედავთ.

და ვით წარსული, ისე გაიხსნებოდა ზოლზე ჩემში მყოფადის კარიბჭენი.

მე და დიოტიმა დავრიალებდით სივრცეში, მერცხლები-ვით მოვმთაბარებოდით სამყაროს ერთი გაზაფხულიდან მეორისაკენ, ვსერავდით მზისა ვრცელ საუფლოს და მის მიღმაც მივფრინავდით, ცის სზვა კუნძულებისკენ, სირიუსის ოქროს ნაპირებისკენ, არქტუროსის⁶³ ჯადოსნური ტრამალებისკენ...

ო, განა სასურველი არ არის, აი ასე, სატრფოსთან ერთად, ერთი ფიალიდან შესვა ყველა სიამენი ამა ქვეყნისა!

სანეტარო ძილისპირულით გაბრუებულს, რომელსაც თვითონ ვუმდეროდი მე საკუთარ თავს, მომხიბლავ ზმანებებში ჩამეძინებოდა ზოლზე.

ზოლო როგორც კი აისის სხივი კვლავ აღანთებდა მიწის ცხოვრებას, ზეცას ავხედავდი და ვეძიებდი ღამის ჩვენებებს, მაგრამ ისინი ქრებოდნენ უმაღლ, ვით მშვენიერი ვარსკვლავთა გუნდი და მარტოდენ სულის კაეშანი მიდასტურებდა მათ არსებობას.

და მეც ვნადვლობდი: თუმცა კი ვფიქრობ, სულმნათნიც ასე ნადვლობენ ზოლზე. სიხარულის მაცნე იყო ეს კაეშანი, ბინდბუნდი იყო გარიჟრაჟის წინ, რის შემდეგადაც

განთიადის ურიცხვი ვარდი წითლად, ალისფრად აგიზგიზ-
დება...

ახლა კი ზაფხულის დღის პაპანაქებას ყველანი დედაბუ-
ღიანად მრუმე ჩრდილებში შეერევა. დიოტიმას სახლთანაც
სიცარიელე და სიჩუმე სუფევდა, ხოლო ფანჯრებში ეჭვიან-
ნი ფარდები ეღობებოდნენ მზერას.

სულით და გულით მასთან ვიყავი. ნეტა სადა ხარ, —
ვფიქრობდი ჩემთვის, — ნეტა სად გპოვებ მე მარტოსული,
ტურფა ქალწულო? ჩაფიქრებული სივრცეს ვასცქერი? ხელ-
საქმე განზე გადაგიდგია, პაწია ხელზე თავდაყრდნობილს
იდაყვი მუხლზე დაგიბჯენია და სანუკვარ ფიქრებს მისცემი-
ხარ?

დაე, ნურაფერი ნუ დაურღვევს სიმშვიდეს ჩემს მტრედს,
როს ტკბილ ოცნებით გულს იყოლიებს, დაე, ნურაფერი
შეეხება ამ დამკრახულ მტევანს და ნაზ მარცვლებს მაცოცხ-
ლებელ ცვარ-ნამს ნუ მოაცლის!

ასე თხზავდა ჩემი ფანტაზია, მაგრამ იმ დროს, როდესაც
ფიქრში დიოტიმას შინ წარმოვიდგენდი, ფეხებს სხვა-
გან მივყავდი და ვიდრე გონს მოვეგებოდი, დიოტიმას ბადის
მიღმა აღმოვჩნდი, წმინდა ტყის თაღებქვეშ, სადაც იგი
პირველად ვნახე. ეს რა ხდებოდა? ამ ტევრში ხომ ხში-
რად დავსერიწობდი, სათითაოდ ვიცნობდი ამ ხეებს, უწინ
რომ სიმშვიდეს მგვრიდნენ, ახლა კი ვიყავ გათანგული რა-
ღაც ძალისგან, თითქო დიანას⁶ საჩრდილობელში შემედ-
გას ფეხი და სიკვდილი უნდა მიმეღო, რამეთუ მე ღვთაე-
ბა ვიხილე.

თან გზას განვაგრძობდი. ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე
უფრო და უფრო საკვირველი მიპყრობდა გრძნობა. გაფრენა
მწადადა, ისე მიმიწევდა წინ ჩემი გული, მაგრამ ფეხები
ტყვიასავით დამძიმებოდა. სული გაჰყროდა მიწიერ სხეულს
და წინ მისწრებდა. აღარაფერი აღარ მესმოდა, თვალთ და-
მიბნეულდა, ყველაფერი ატორტიმანდა, ერთურთს შეერწყა.
სულით კი ჩემით დიოტიმასთან ვიყავი უკვე. ხისა კენწერო
ალიონის შუქს ეფიცებოდა, მაშინ როდესაც ქვედა ტო-
ტები ჯერაც ცივ ბინდში გახვეულიყო.

— აჰ, ჩემო ჰიპერიონ! — ანაზღეულად ხმა შემომესმა და მეც უმაღლ იქით გავქანდი:

— ჩემო დიოტიმა! ო, ჩემო დიოტიმა!

მერმე ენა წამერთვა, სუნთქვა შემეკრა, გრძნობა დაკარგე.

განქარდი, განქარდი, მოკვდავო სიცოცხლე, დუზჭირო ყოფავ, სად მარტოსული მოგროვილ გროშებს თვალდაჭყეტილი უყურებს, ითვლის! ღვთაება მოგვიწოდებს, რომ ვეზიაროთ ჩვენ მის სინარულს!

აქ შეწყდა წამით ჩემი სიცოცხლე, მოკვდი, ხოლო როდესაც კვლავ გონს მოვედი, ღვთაებრივი ქალწულის მკერდზე მესვენა თავი.

ო, სიყვარულო ცხოველმყოფელო! ტურფა ყვავილივით რარტიგ ლაღად გაიფურჩქნე დიოტიმაში! თითქო კეთილ გენიათა სიმღერით რული მოეკიდაო, ისე მომესვენა მხარზე მისი მომნიბლავი პატარა თავი. ნეტარების ღიმილი აღბეჭდვოდა მას მშვიდ სახეზე და ეთერივით გამჭვირვალე მზერა მოეპყრო ჩემთვის, მიცქერდა ისე სვებედნიერი და გულუბრყვილოდ გაკვირვებული, თითქო ეს-ეს იყო სულ პირველად ნახა ქვეყანა.

დიდხანს ვიდექით ასე, აღარ გვანსოვდა თავი აღარც ერთს, სათუთი მზერით ვჭვრეტდით ერთმანეთს, და არ გვესმოდა, რა მოგვდიოდა, ვიდრე ბოლოს ჩემში დაგუბებულმა სინარულმა ცრემლებად და აღტაცების შეძახილებად არ გადმოხეტქა, ენაც ამოვიდგი ისევ, და ისევ ჩემი ვარინდებული სატრფო გონს მოვიყვანე.

ახლა მიდამოსაც თვალი შევაგლეთ.

— ო, ჩემო ძველო მეგობრებო, კეთილო ხეებო! — წამოიძახა დიოტიმამ, თითქო დიდი ხანი არ ენახა ისინი და წარსულ დღეთა სიმარტოვის მოგონებამ საყვარლად დაუქუფრა სინარული სახეზე — სულ ოღნავ, აი, ჩრდილმა რომ გადაურბინოს ქალწულებრივ სპეტაკ თოვლს, წითლად შეფაკლულსა და აღეწილს დაისის მხიარულ სხივთა არილში.

— ციურო ანგელოსო! — შევაპანე მე. — ვის შეუძლია

ბოლომდე ჩაგწვდეს? ვის შეუძლია განაცხადოს, რომ ბოლომდე ვაგიგო?

— ნუთუ შენ გიკვირს, რომ ასე ვეტრფი? — შემეკითხა მე დიოტიმა. — საყვარელო! გულზნებადო და თავმდაბალო! ნუთუ იმათგანი ვარ, ვისაც არ ძალუძს შენი ირწმუნოს? განა არ შეგიცან, განა ღრუბლებში მთარველი სული არ გავარჩიე? შენ თუნდაც ისე გაეხვიო საბურველში, რომ საკუთარ თავს შენ თვითონვე ვეღარ არჩევდე, მაინც მოგიხმობ ღაღადისით; მაინც...

თუმც ის ზომ აქ არის, ის გამოვიდა უკვე ღრუბლებიდან, ვითარც ვარსკვლავი, ჩამოიშორა მათი პირბადე და ახლა აქ დგას, ვით გაზაფხული; უკუნ მღვიმიდან გადმოხეთქა, ვით ბროლივით კამკამა წყარომ; ეს პირქუში ჰიპერიონი კი აღარ არის, გულმწუხარე და შმაგი... ო, ჩემო, ჩემო მზეჭაბუკო!

სიზმარში მეგონა თავი. მაშ, როგორ დამეჯერებინა სიყვარულის ეს სასწაული? როგორ დამეჯერებინა? სინარულისაგან ზომ აღბათ სულს განვუტევებდი.

— ღვთაებრივო! — ასე შევძახე. — ნუთუ ამას მე მეუბნები? ნუთუ ძალგიძს ჩემი გულისთვის საკუთარი თავი უარყო, მოკრძალებულ სათნოებავ, წმინდა ასულსო? ნუთუ ძალგიძს ჩემით ასე განიხარებდე? ო, ახლა ვხედავ, ახლა ის ვუწყვი, რასაც ზშირად გუმანით ვგრძნობდი: ადამიანი სამოსელია, რომელშიც ზოგჯერ დმერთი ეხვევა, ეს ის თასია, რომელშიც ზეცა ნექტარს ასწამს, რათა თვის პირმშოს საუკეთესო სასმელიც კი გაასინჯვინოს...

— დიახ, დიახ, — გამაწყვეტინა მან ემოსნების დიმილით, — შენი დიადი სეხნია, ციური ჰიპერიონი განსახიერდა შენში.

— ნება მომეცი, — გავიძახოდი, — ნება მომეცი შენი ვიყო, ნება მომეცი ჩემი თავი დავივიწყო და მთელი სულითა და გულით მხოლოდ შენსკენ მოვილტვოდე — მხოლოდ შენი უსაზღვროდ სანეტარო ჭვრეტით ვართული! ო, დიოტიმა! ასე ვმდგარვარ უწინ ღვთაების ბუნდოვანი ხატების წინაშე, რომელიც თავისთვის შექმნა ჩემმა სიყვარულმა — ჩემი განმარტოებული ზმანებების კერპის წინაშე; ერთგულად ვა-

საზრდობედი, საკუთარ სულს შთაბერავდი და ჩემი გულის სასოებით ვახალისებდი, ვათბობდი, მაგრამ თვითონ სანაცვლოდ არაფერს მაძლევდა, იმის გარდა, რაც თავაჯ ჩემგან ჰქონდა მიღებული, და ოდეს განვიძარცვე, ასევე განძარცული მიმატოვა. ჰოდა, ახლა?! ახლა შენ მყავხარ მკერდში ჩაკრული და შენი გულის ფშვინვას ადვიტვამ, ვგრძნობ, ჩემს თვალეზში როგორ იღვრება ეგ შენი მზერა, მშვენიერი აწმყო შემოღის ჩემში, ყოველ ძარღვში მოედინება და მეც ტოლს არ ვუღებ, უზენაეს მშვენიერებას ვეზიარები და აღარა ვთრთი... დიან, დიოტიმა, მე მართლაც ის აღარა ვარ, რაც უწინ ვიყავ! შენი ჯუფთი გავხდი და ახლა ღვთაება ღვთაებას ისე ეთამაშება, როგორც ბაღლები ეთამაშებიან ერთმანეთს...

— მაგრამ ცოტათი კი უნდა დაწყნარდე, — მითხრა დიოტიმამ.

— მართალი ხარ, ჩემო სულიკო! — შევძახე მხიარულად. — თორემ გრაცეებს⁶⁵ ვეღარ ვიხილავ; თორემ მშვენიერების ზღვაში ვეღარ გავარჩევ მის პაწია სათუთ ჩქერალებს. ო, ოღონდ მადროვე და მე უთუოდ ვისწავლი ისე გიყურო, რომ არაფერი გამომეპაროს!

— ფარისეველო! — დასძინა მან. — ჩემო საყვარელო ფარისეველო, სადღეისოდ ეს უკვე კმარა! ოქროსფრად შედებილმა სადამოს ღრუბელმა წასვლა მანიშნა. ო, ნუ დალონდები! ეგ ხალასი სიხარული შემოინახე შენთვის და ჩემთვის! დაე, ხვალამდე უღერდეს იგი, უგუნებობით მას ნუ ჩაიკლავ! გულის ყვავილები რუღუნებას საჭიროებენ. მათი ფესვები ყველგანაა, თუმც ვახარებით, ისინი მარტო კარგ ტაროსში გაიხარებენ. მშვიდობით, ჰიპერიონ!

თან ხელები გამაშვებინა. კვარჩვით ავენთე, როდესაც მივხვდი, რომ დიოტიმა წავიდოდა, თვალსა და ხელს შუა გამიქრებოდა მისი სიტურფე.

— ცოტაც მოიცა, — დაფუძახე და მისკენ გავქანდი, ურიცხვ კოცნაში ჩავატანე სული და გული.

— ღმერთო! — აღმოსდა მას. — რა მოგველის! ამან დამაცხრო.

— მაპატიე, ზეციურო! — წავხდულუნე. — მივდივარ.

ღამე მშვიდობისა, დიოტიმა! ცოტა კიდევ იფიქრე ჩემზე!

— ამის პირობას გაძლევ, — მომადანა მან, — ღამე მშვი-
ღობისა!

ჰოდა, ბელარმინ, მეტს ადარაფერს ვიტყვი. ეს ჩემი
ჭირთამთმენი გულისთვისაც კი ერთობ ბევრი იქნებოდა.
გვრძნობ, რომ შეძრწუნებული ვარ... მაგრამ მინდა გარეთ
გავიდე, ყვავილებსა და ხეებს შორის ვიხეტიალო, შეიძლე
იწვე ვანვერთხმები და ვილოცებ, რომ ბუნებამ ასეთივე
სინძვიდე მეც მომანიჭოს.

მ ი პ ე რ ი თ ნ ი ბ ე ლ ა რ მ ი ნ ს

ჩვენი სულელები ამიერიდან სულ უფრო ლაღად და ლამა-
ზად თანამყოფობდნენ, და ყოველივეს, ჩვენშიაც და ჩვენს
გარეთაც, ახლდა სუფევად დიად თანხმობის. ძველი სამყა-
რო მომკვდარიყო და ახალი ჩვენი იწყებოდა, ისეთი განსუ-
ლიერებული და ძლიერი, მოსიყვარულე და იოლი გამხდარი-
ყო ყოველივე. ათასხმიანი გუნდის შეხმატკბილებული ჰანგე-
ბის დარად ჩვენც და ყველა ცოცხალი არსებაც, ერთ საერთო
სანეტარო ფერხულში ჩაბმულნი, უსაზღვრო ეთერში დავ-
რიალეობდით.

ჩვენი საუბრები ლაჟვარდოვანი მდინარეებივით მოედ-
ნებოდნენ, რომლებშიც ჟამიდან ჟამზე ოქროს ქვიშრობი გა-
იწლავებს ხოლმე, ხოლო ჩვენი ღუმილი მთის მწვერვალების
წდუმარებას წააგაფდა, რომელნიც დიად და უდაბურ სიმაღ-
ლეში აწვდილან, სად ელვა-ჭექაც ვედარ აღწევს და სადაც
მხოლოდ ღვთაებრივი დაპქრის ნიაფი, გულმამაც ყარობს რომ
შეურხევს ოდნავ კულულებს.

რა საოცარი გვეუფლებოდა წმიდათაწმიდა ჩვენ მწუხარე-
ბა, როს განშორების ჟამი დარეკდა და ჩრდილს მოაფენდა
ჩვენს აღტყინებას! გულისსწორს ასე ვეტყოდი ხოლმე:

— კვლავ მოკვდავნი ვართ ჩვენ, დიოტიმა!

ის კი მომიგებდა:

— მოკვდავება მარტოოდენ მოჩვენებაა, ვით ათინათი
ფერთა, თვალს რომ გვიჭრელებს, რადგანაც დიდხანს ჩვენ
მწეს ვუყურეთ!

აჰ! რა სანუკვარი იყო სიყვარულის წინიანობა: სააღერ-
სო სიტყვები, ზრუნვა, გრძნობათა მოძალეობა, სიმკაცრე
და შემწყნარებლობა!

როგორ გულთმისნებივით განვჭვრეტდით ხოლმე ურ-
თიერთს და რა უსაზღვრო რწმენით ვადიდებდით ერთიმე-
ორებს!

ღიას, ადამიანი მზება; ყოვლისმხედველი, ყოვლისგარ-
დამქმნელი, როდესაც უყვარს, ხოლო როს არ უყვარს,
ბნელ სენაკსა ჰგავს, სად ჭრაქი ხრჩოლავს.

მე როდი უნდა ვლაპარაკობდე, უნდა დავივიწყო და დავ-
ღუმდე.

მაგრამ მაცდური ალი იქამდე მახლეებს, ვიდრე შიგ
შევგარდებოდე და ქინქლასავით დავიწვებოდე.

ერთხელ ამ გაცხოველებულ სანეტარო და თავდადებულ
მიჯნურობაში შევნიშნე, რომ დიოტიმა სულ უფრო და
უფრო ჩუმი ხდებოდა.

გამოკითხვა დაუწყე, ვემუღარებოდი, მაგრამ ეს, რო-
გორც ჩანდა, კიდევ უფრო მაშორებდა მე დიოტიმას. ბო-
ლოს შემევედრა: ნურაფერს მკითხავ, შინ წადი და როცა
კვლავ შევხვდებით ერთმანეთს, სხვა რამეზე მელაპარაკეო.
ამან მეც დამამუნჯა და თუმცა ესეც ძალზე მტკივნეული
იყო ჩემთვის, გამოსავალი ვერ მომიეძინა.

ისეთი გრძნობა მქონდა, თითქო რაღაც ამოუცნობმა
ფათერაკმა ანაზღეულად ჩვენი სიყვარული სასიკვდილოდ
გასწირა, თითქო ჩემს ირგვლივ ცხოვრება დაიშრიტა და
მელა დაგრჩი ჩემს სატანჯველთან ერთად.

თუმცა მრცხვენიადა კია საკუთარი თავის: მე, რასაკ-
ვირველია, ვიცოდი, რომ შემთხვევითი რამ ვერ დაეუჯღე-
ბოდა დიოტიმას გულს, მაგრამ გამოცანა მაინც გამოცა-
ნად რჩებოდა და ჩემს განებივრებულ უნუგეშო სულს ვა-
მუდმებით ხილული, დაუფარავი სიყვარული სწყუროდა;
დაფლული საუნჯე მისთვის დაკარგული საუნჯე იყო. ეჰ,
სვეტლანერს იმედით საზრდოობა ვადამავიწყდა. იმხანად
სულსწრაფი ბავშვივით ვიყავი, რომელიც ხეზე ვაშლის
დანახვაზე ტირის, დაკარგული ჰგონია, რადგან ხელი არ
მიუწვდება. მოსვენება დავკარგე, ისევ და ისევ ვემუღარე-

ბოდი, ხან გაშმაგებით და ხან მოკრძალებით, ხან ნაზად და ხანაც მრისხანედ, სიყვარულმა მთელი თავისი ყოვლის-შემძლე და სადა მჭევრმეტყველებით შემაიარა და აი... ო, ჩემო დიოტიმა! როგორც იქნა, გამოგტყუე სანუკვარი აღი-არება! იგი ახლაც ჩემთან არის და ჩემთან იქნება, ვიდრე სიყვარულის ტალღა უკან არ დამაბრუნებს ჩვენს ძველ სამშობლოში, ბუნების წიაღში, მეც და ყოველივეს, რაც კი ჩემშია.

უმანკოს მანამდე არ სცოდნოდა, რა ძალუმი გრძნობით ჰქონდა გული აღსავსე და თავის საგანძურით გულუბრყვილოდ შემკრთალს მკერდში ღრმად ჩაემარნა იგი; ხოლო როდესაც გამომიტყდა, — ჰოი, წმინდაო მიამიტობავ! — თვალცრემლიანი გამომიტყდა, რომ ერთობ ძლიერ ვუყვარდი და რომ ყველაფერს დაემშვიდობა, რასაც უწინ ელოლიავებოდა, — ო, როგორ უკიჟინებდა თავის თავს.

— მე ვუღალატე მისს, ვუღალატე ზაფხულსა და შემოდგომას, დღესა და ღამეს ვეღარ ვარჩევ, აღარც ცისა ვარ და აღარც მიწის, მხოლოდ ერთს ვეკუთვნი, ერთს, მაგრამ მისის ყვავილობაც, ზაფხულის მცხუნვარებაც და შემოდგომის სიუხვეც, დღის ნათელი და ჭმუნვა ღამის, ცა, დედამიწაც ამ ერთშია ჩემთვის გაერთიანებული, ისე ძალიან მიყვარს მე იგი!

ახლა როგორი გატაცებით მათვალისწინებდა, როგორ მენგოდა ლამაზი მკლავებით, მიკოცნიდა შუბლსა და ბაგეს, თამამი და ალალღი სიმართლით შეპყრობილი! აჰ, ნეტარებისაგან ფერმიხდილს როგორ ჩამოუვარდებოდა ხოლმე ღვთაებრივი თავი ჩემს მკერდზე, ტკბილ ტურებს მომაკარებდა ნართოლარე გულზე და მისი სანუკვარი ფშვინვა შიგ სულის კლიტეში მატანდა. ო, ბელარმინ, გრძნობა მერთმევა და გონებას ვკარგავ.

ვხედავ, ვხედავ, რითაც უნდა დამთავრდეს ეს ამბავი. ტალღებმა საჭე იმსხვერპლეს, ხომალდიც ისე აუტაცებიათ, როგორც ბაღს აიტაცებენ ხოლმე ფეხებიდან, და სადაცაა კლდეს მიანარცხებენ.

ზოგჯერ დიადი წამი დარეკავს ცხოვრებაში. ჩვენ ასეთ წამებს ისე შევყურებთ, როგორც მყობადისა და ნამყოს ბუმბერაზულ ხატებებს, ქვევიდან ზევით, მათთან ვაჟკაცურ ბრძოლაში ვებმევით და თუ არ შევდრკებით, ძმადნაფიცებივით გვეკიდებიან და აღარ გვანებებენ თავს.

ერთხელ სხვებთან ერთად ვისხედით ჩვენთან, მთაში, ამ კუნძულის ძველი ნაქალაქარის ერთ-ერთ ლოდზე და სიტყვა ჩამოვარდა იმაზე, თუ როგორ ჰპოვა აქ ლომგულმა დემოსთენემ⁶⁶ აღსასრული, როგორ ამჯობინა ნებაყოფლობითი წმინდა სიკვდილი, რითაც გაიაზატა თავი და მაკედონელთა ბორკილებსა და ხანჯლებს გადაურჩა.

— დიადმა სულმა ეს ქვეყანა, ვითომც აქ არაფერიას, ისე მიატოვა, — შესძახა ერთ-ერთმა.

— რატომაც არა? — განვაცხადე მე. — აქ აღარაფერი არ დარჩენოდა. ათენი ალექსანდრეს ფენქვეშ გაეგო ხასასავით და ქვეყნიერებაც დევნილი ირემივით სულის ამოხდომამდე ჰყავდა მიყვანილი დიად მონადირეს.

— ო, ათენი! — წამოიძახა დიოტიმამ. — რამდენჯერ დავლონებულვარ, როცა იქით გამიხედია და ცისფერ ბურჯსში ოლიმპიონის⁶⁷ აჩრდილი წარმოჩენია!

— მერედა, შორს არის ათენამდე? — შევეკითხე მე.

— ერთი დღის სავალი იქნება, — მომიგო დიოტიმამ.

— ერთი დღის სავალი და მე კი არ ვყოფილვარ! — წამოვიძახე მე. — ნუღარ გადავდებთ, ყველანი ერთად წავიდეთ.

— ძალიან კარგი! — კვერი დამიკრა მე დიოტიმამ. — ხვალ ზღვა წყნარი იქნება, თანაც ახლა ჯერ კიდევ ყველაფერი გაფურჩქნილია და მწვანედ ხასხასებს. ასეთ მომლოცაობას მარადი მზე და უკვდავ დედამიწაზე სიცოცხლის ჭვრეტა მოუხდება.

— მაშ, ხვალ! — ვთქვი მე და მეგობრებიც დაგვყაბულდნენ.

სისხამ დილით გავედით ნავსადგურიდან, მამლის ყივილმა გამოგვაცილა. აისის კამკამა, ცინცხალ ჰაერში ბრწყინავდა ქვეყანა და ჩვენც სახეები გვიბრწყინავდა. ჩვენს

გულში სვებედნიერ სიჭაბუკეს დაესადგურებინა. სიცოცხლე ჩვენში ისე დულდა და გადმოდიოდა, როგორც ოკეანის ახალშობილ კუნბულზე, რომელზედაც პირველი ვანაფხული იწყება.

უკვე კარგა ხანი იყო, რაც დიოტიმას ზეგავლენით ჩემი სული შედარებით გაწონასწორდა; დღეს ეს ამბავი უფრო საცნაური იყო ჩემთვის, მთელ ჩემს დაქსაქსულ მთვლემარე ბალებს ერთ ჰარმონიულ ცენტრში მოეყარათ თავი.

ძველ ათენელთა სიღიაღეზე ვლამპარაკობდით, საიდან ნომდინარეობს და რაში გამოიხატება იგი.

ერთმა თქვა: ჰავას უნდა უმაღლოდნენო, მეორემ: ხელოვნებასა და ფილოსოფიასო, მესამემ: რელიგიასა და სახელმწიფო წყობილებასო.

— ათენელთა ხელოვნება და რელიგია, ფილოსოფია და სახელმწიფო წყობილება, — შევესიტყვე მე, — ყვავილებია და ნაყოფი ხისა და არა მისი ნიადაგი და ფესვები. შედეგს მიზეზად მიიჩნევთ.

ხოლო იმან, ვინც მეუბნება: ჰავას უნდა უმაღლოდნენო, დაე გაიხსენოს, რომ ჩვენც იმავე ჰავაში ვცხოვრობთ.

ათენელი ხალხი, რა მწრიაც უნდა აიღოთ, უფრო შეუფერხებლად ვითარდებოდა, გარედან თავსმონვეული ზეგავლენისაგან უფრო თავისუფალი იყო, ვიდრე სხვა რომელიმე ხალხი დედამიწისა. დამპყრობელს არ დაუსუსტებია, ომში გამარჯვებებს არ შეუზარხოშებია, უცხო ღმერთების მსახურებას არ გაუბრიყვებია, ნაადრევად არ დაბრძენებულა და ამით ნაადრევად არ მომწიფებულა, სიყრმის უამს თავის ნებაზე იყო მიშვებული, როგორც ალმასის მწარდი თვალი. თითქმის არაფერი ისმის მასზე პისისტრატესა და ჰიპარქეს ეპოქამდე⁶⁸. ნაკლებად მონაწილეობდა ტროის ომში, რომელშიც, როგორც სათბურში; ერთობ ადრე ვადვივდა და ცხოვრებას შეუდგა ბერძენ ხალხთა უმრავლესობა. რაიმე უჩვეულო ხვედრი როდი აყალიბებს ჭეშმარიტ ადამიანს. დიადი ბუმბერაზები არიან ასეთი დედის შვილები, ან მშვენიერი არსებანი, რაც იგივეა, მაგრამ ნამდვილი ადამიანები ისინი ვერასოდეს ვერ გახდებიან, ან თუ გახდებიან — მხოლოდ მოგვიანებით, როდესაც წინააღმდეგობათა შო-

რის ბრძოლა იმდენად გამძაფრდება, რომ ბოლოს და ბოლოს დაწავება აუცილებელი გახდება.

უზვად გაფურჩქვნაში ლაკედემონი⁶⁹ წინ უსწრებს ათენელებს და იგი სწორედ ამის გამო უფრო ადრეც დაიშლებოდა და ვაცამიტვერდებოდა, ლიკურგოსი⁷⁰ რომ არ გამოჩენილიყო და თავნება ბუნება წვრთნითა და აღზრდით არ აელაგმა. მაგრამ ამიერიდან სპარტელში უკვე ყველაფერი ჩამოყალიბებული იყო, მისი ყველა დიდებული თვისება მოპოვებული იყო გულმოდგინეობისა და თავდადების ფასად, და თუ გარკვეული თვალსაზრისით სპარტელთა უბრალოებაზე შეიძლება ლაპარაკი, ეს ზომ, რა თქმა უნდა, სრულებითაც არ იყო ხალასი ბავშვური უბრალოება. ლაკედემონელებმა ერთობ ადრე დაარდვიეს ბუნებრივ აღდგენაზე დაფუძნებული წესრიგი, გადაგვარდნენ და ამიტომაც წვრთნაც ერთობ ადრე უნდა შემოდებულიყო მათთან, რადგან ყოველგვარი წვრთნა და ხელოვნური ზემოქმედება ნაადრევია, თუ ადამიანის ბუნება ჯერ სათანადოდ არ მომწიფებულია. სრულქმნილი ბუნება ბავშვებში მანამდე უნდა ცოცხლობდეს, ვიდრე სკოლას მიაბარებდნენ, რაჟა ბაღლობის ხატებამ შემდგომ გზა უჩვენოს სკოლიდან კვლავ სრულყოფილი ბუნებისაკენ.

სპარტელები დაუმთავრებელ ქვნილებებად დარჩნენ სამარადისოდ; ვინაიდან იმისაგან, ვინც სრულყოფილი ბავშვი არასოდეს არ ყოფილა, ბნელია სრულყოფილი ადამიანი დადგეს.

რა თქმა უნდა, ცამ და დედამიწამაც თავიანთი წილი მიუზღვეს ათენელებს, ისევე როგორც ყველა ბერძენს; არც სიდატაკე მოუზვევიათ მათთვის თავზე და არც სიუხვე. სწიგები ციდან ცეცხლოვან დელგმად როდი ეფრქვეოდათ მათ და დედამიწაც როდი ანაზებდა და აბრუებდა ალერსითა და გულუხვი საჩუქრებით, ვით უფუნური დედა იქმ! ზოგჯერ.

ამას დაემატა აგრეთვე თებევსის⁷¹ საოცრად დიდი ქმედება, ნებაყოფლობით რომ შეზღუდა თვისი სამეფო ძალაუფლება.

ო, როს ასეთი სათესლე მარცვალი ხალხს გულში ჩაუვარდება, აუცილებლად თქროს თავთავთა ოკეანე აღმოცენ-

დება და მართლაც, ნათლად ჩანს, რაოდენ დიდხახს ღვივის და იძლევა მოსავალს იგი ათენელებში.

მაშ ასე, ერთხელ კიდევ: იმ გარემოებამ, რომ ათენელები იძულებითი ზეგავლენისგან ესოდენ თავისუფლად იზრდებოდნენ და ესოდენ ზომიერი საკვებით საზრდოობდნენ, აქცია ისინი შესანიშნავ ადამიანებად, სწორედ ეს იყო ამის მიზეზი!

აკვნიდანვე დაეხსენით ადამიანს, ხელს ნუ შეუშლით! ნუ გამოსდევნით მისი არსების დახშულ კვირტიდან, მისი სიყრმის ვიწრო კარვიდან! ერთობ მცირედს ნუ გაუკეთებთ, თორემ უთქვენოდაც იოლად წავა და ასე და ამგვარად თავისგან გამოგარჩევთ, ერთობ ბევრს ნუ გაუკეთებთ, თორემ ან თქვენს ძალას ვერ შეიგრძნობს, ან საკუთარს და თავისგან გამოგარჩევთ. მოკლედ, აცალეთ ადამიანს მხოლოდ მოგვიანებით შეიტყოს, რომ სხვა ადამიანებიც არსებობენ, რომ მის გარდა, მოიპოვება კიდევ რაღაც სხვა, ვინაიდან მარტო ამ გზით გახდება იგი ადამიანი. ადამიანი კი ღმერთია, თუკი ის ადამიანია, და თუ ღმერთია, მაშინ ის მშვენიერია.

— საოცარია! — შესძახა მეგობართაგან ერთმა.

— ჯერ არასოდეს ასე ღრმად არ გამოგიხატავს ჩემი სულისკვეთება, — დასძინა დიოტიმამ.

— სწორედ შენგანა მაქვს შეძენილი, — მივუგე მე. შემდეგ კი განვაგრძე: — ასე იქცა ათენელი ხალას ადამიანად და ეს ასეც უნდა მომხდარიყო. მშვენიერი გამოვიდა ბუნების ხელიდან, სულითა და ხორციით მშვენიერი, როგორც სჩვევიათ ხოლმე თქმა.

კაცობრიული ღვთაებრივი მშვენიერების პირმშოა ხელლოვნება, რაშიც ღვთაებრივი ადამიანი თავის თავს აღორძინებს და იმეორებს. საკუთარ თავს სურს ჩასწვდეს და ამიტომ თავისივე მშვენებას ხელოვნების მეშვეობით თვალიწინ წარმოიდგენს. ასე შექმნა ადამიანმა ღმერთები თავისთავის; ვინაიდან თავდაპირველად ადამიანი და მისი ღმერთები ერთნი იყვნენ. ეს მაშინ, როცა მარადიული მშვენიერება არსებობდა თავისდა შეუცნობლად. მე მისტიკურ

ამბებს ვლახარაკობ, მაგრამ ისინი რეალობას როდი არიან მოკლებულნი...

ღვთაებრივი მშვენიერების პირმშო — ხელოვნებაა. ასე იყო ათენელებთან.

მეორე შვილი კი რელიგიაა. რელიგია მშვენიერების ტრფიალი გახლავთ. ბრძენს საკუთრივ იგი უყვარს, უსასრულო, ყოვლისმომცველი; ხალხს კი — მისი პირმშონი, ღმერთები, რომლებიც ათასგვარი გამოსახულებით გვევლინებიან. ასე იყო ათენელებთანაც. და მშვენიერების ასეთი სიყვარულის გარეშე, ასეთი რელიგიის გარეშე, ყოველი სახელმწიფო გამხმარი ჩონჩხია, უსიცოცხლო და უსულგულო, ხოლო ყოველგვარი აზრი და საქმე — უკენწერო ხე, თავწაცლილი სვეტი.

ის, რომ ბერძნებთან და განსაკუთრებით კი ათენელებთან მართლა ასე იყო, ის, რომ მათი ხელოვნება და რელიგია ღვიძლი შვილები იყვნენ მარადიული მშვენიერებისა — სრულქმნილი ადამიანის ბუნებისა და ისინი მხოლოდ სრულქმნილი ადამიანის ბუნებიდან შეიძლებოდა წარმოშობილიყვნენ, ნათლად ჩანს, თუკი მათი წმინდა ხელოვნების ქმნილებებსა და რელიგიას იმ აუმიღვრეველი თვალთ შევხედავთ, რომლითაც უცქერდნენ ისინი ამ ქმნილებებს, უყვარდათ და პატივს სცემდნენ მათ.

ხარვეზებსა და ხელისმოცარვას ყველგან შეხვდებით, მაშასადამე, აქაც კი ნახავთ. მაგრამ უეჭველია ისიც, რომ მათი ხელოვნების ქმნილებებში მაინც მომწიფებულ ადამიანს ხვდებით მეტწილად. აქ ვერ იხილავთ ვერც წვრილმანით გატაცებას, ვერც ისეთ უსაშველო გადაჭარბებას, როგორსაც ვხვდებით ეგვიპტელებთან და გოთებთან⁷², აქ ადამიანური განჭვრეტაა, ადამიანური სახეები. ესენი ნაკლებად იჭრებიან ზეგრძობადისა და გრძობადის უკიდურეს სამანებში. სხვებზე უფრო მათი ღმერთები რჩებიან მშვენიერი ადამიანური უშუალობის ჩარჩოებში.

ხოლო როგორცაა სიყვარულის საგანი, ისეთივეა თავად სიყვარულიც: არც ერთობ მონური და არც ერთობ წრეს გადასული.

ასე რომ, ათენელთა სულიერი სილამაზიდან გამომდინარეობდა მათი თავისუფლებისაკენ სწრაფვაც.

ეგვიპტელი უმტკივნეულოდ იტანს მტარვალის თვითნებობას, ჩრდილოეთის პირმშო კი — ზიზღის გარეშე კანონის მტარვალობას, დაკანონებულ უკანონობას; რამეთუ ეგვიპტელს დედის საშოდანვე დაჰყვება თაყვანისცემისა და გაღმერთების მიდრეკილება, ხოლო ჩრდილოეთში იმდენად არ სჯერათ ხალასი, თავისუფალი, ბუნებრივი ცხოვრებისა, რომ ცრუმორწმუნოებრივი ფანატიზმით ებლაუჭებიან კანონიერებას.

ათენელი ვერ იტანს თვითნებობას, ვინაიდან არ სურს თავისი ღვთაებრივი ბუნება შებღალოს, მაგრამ კანონიერებასაც ყველგან არ საჭიროებს და ამიტომაც ზოგჯერ მასაც ვერ ურიგდება. დრაკონული კანონები⁷³ არ გამოადგება, მას ფაქიზი მოპყრობა სურს და მართალიც არის.

— კეთილი! — გამაწყვეტინა ერთ-ერთმა. — ეს მესმის, მაგრამ ასეთი პოეტური და რელიგიური ხალხი ფილოსოფოსი ხალხიც როგორ იყო, ვერ გაშიგია.

— უფრო მეტიც, — ვუთხარი მე, — პოეზიის გარეშე ისინი ფილოსოფოს ხალხად ვერასოდეს ვერ იქცეოდნენ!

— კი, მაგრამ, — შემესიტყვა ის, — რა ესაქმება ფილოსოფიას, მეცნიერების ამ ცივსა და ამადლებულ დარგს, პოეზიასთან?

— პოეზია, — მივუგე მე ჩემს სიმართლეში დარწმუნებულმა, — მეცნიერების ამ დარგის თავი და ბოლია. იგი, როგორც მინერვა იუპიტერის თავიდან,⁷⁴ უსასრულო ღვთაებრივი ყოფიერების პოეზიიდან იშვება და ანდენადვე ყოველივე, რაც მასში შეუთავსებელია, ბოლოს მაინც პოეზიის საიდუმლოებით მოცულ წყაროში ერთიანდება.

— რა პარადოქსებით ლაპარაკობს ეს კაცი! — დასძინა დიოტიმამ. — მაგრამ მე მაინც გუშანით ვუგებ. ისე კი, საუბრის საგანს გადავუხვიეთ. ათენ⁷⁵ე ვლაპარაკობდით.

— ადამიანი, — წამოვიწყე მე ისევ, — რომელსაც სრული, ხალასი მშვენიერება ცხოვრებაში ერთხელ მაინც არ განუცდია შინაგანად, როდესაც სულიერი ძალები ცისარტყელას ფერებივით ათინათებენ, რომელსაც არასოდეს არ

შეუტყვია, რომ მარტოოდენ აღმაფრენის უამს ივანებს ჩვენ-
ში სრული შინაგანი ჰარმონია, — ასეთი ადამიანი ფილოსო-
ფიაში სკეპტიკოსიც ვერ გახდება, მისი გონი დამანგრევე-
ლიც ვერ იქნება, აშენებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.
ვინაიდან, დამიჯერეთ, სკეპტიკოსი მხოლოდ იმიტომ ჰპო-
ვებს მთელს ჩვენს ნააზრევში წინააღმდეგობებსა და ნაკლო-
ვანებებს, რომ უნაკლო მშვენიერების ჰარმონიას იცნობს,
რომელსაც აზრით ვერასოდეს ვერ ჩასწვდება. ხმელა პურს,
რომლითაც მას ადამიანის გონება უმასპინძლდება, მხოლოდ
იმიტომ იწუნებს, რომ ფარულად დამერთებთან ნადიმობს.

— მეოცნებევ! — აღმოხდა დიოტიმას. — აი, თურმე შენც
რატომ იყავ სკეპტიკოსი. კარგი, მაგრამ ათენელები?

— სადაცაა მათი ჯერიც მოვა, — მივუგე მე, — ჰერაკ-
ლიტეს დიადი გამოთქმა — *εν διαφρασει εαυτα* (თავის თავ-
ში განსხვავებული ერთიანობა)⁷⁵ — მარტოოდენ ბერძენს
შეიძლებოდა დასცდენოდა, ვინაიდან ეს არის მშვენიერების
არსი და ვიდრე იგი მიკვლეული არ იყო, ფილოსოფიაც არ
არსებობდა.

ახლა უკვე შეიძლებოდა დანარჩენის განსაზღვრა: მთლი-
ანი უკვე არსებობდა. ყვაველი გაიფურჩქნა. ახლა მისი დანა-
წევრებაც შეიძლებოდა.

მშვენიერების ფენომენი ამიერიდან საცნაური იყო ადა-
მიანთათვის, ცნოვრებაშიც არსებობდა და წარმოსახვაშიც,
უსასრულო ერთიანობაში გამოვლენილი.

უკვე შეიძლებოდა მისი დაშლა, დანაწილება გონებაში
და დანაწილებულის კვლავ მთლიანობაში წარმოდგენა, ამ
გზით უზენაესი მშვენიერებისა და უზენაესი სიკეთის არსის
სულ უფრო და უფრო ღრმად შემეცნება და შეცნობილის კა-
ნონად შერაცხვა ადამიანის ცნობიერების სხვადასხვა სფერო-
სათვის.

ახლა ხომ ხედავთ, ფილოსოფოსი ხალხი მაინცდამაინც
ათენელები რატომ უნდა ყოფილიყვნენ?

ევვიპტელს ეს არ ძალუბდა. ვინც ცასთან და დედამიწას-
თან სიამტკბილობაში არ ცნოვრობს, ანუ შერწყმული არ
არის იმ სტიქიონთან, რომელშიც ცოცხლობს, ის ბუნებით
შინაგან ერთიანობასაც მოკლებულია და, რაც არ უნდა იყოს,

მარადიულ მშვენიერებას ბერძენივით იოლად მაინც ვერ აღიქვამს.

ვით მისებრ შესანიშნავ დესპოტს შეჰფერის, აღმოსავლეთი თავის მკვიდრთ მიწასთან ასწორებს ძლიერებითა და ბრწყინვალეებით; ვიდრე ადამიანი სიარულს ისწავლის, ჯერ უნდა მუხლთ მოიყაროს, ვიდრე ენას აიდგამს — ილოცოს უნდა, ვიდრე მისი გული წონასწორობას მოიპოვებს, თაყვანისცემაში უნდა გაიწაფოს და ამიტომაც, ვიდრე მისი ჭკუა-გონება იმდენად მომაგრდება, რომ იყვავილოს და ნაყოფი მოისხას, ბედისწერისა და ბუნების ღადარი სულ ერთიანად ბუგავს მის ძალებს. ეგვიპტელი უკვე მანამდე განწირული, ვიდრე მთლიანად ჩამოყალიბდება, და ამიტომ მთლიანობისა არა უწყის რა, მშვენიერებისა არა უწყის რა და შენიღბულ ძალას, შემაძრწუნებელ გამოცანას მიიჩნევს უზენაეს არსად. მუნჯი, პირქუში ისიდაა⁷⁶ მისთვის თავი და ბოლო, ცარიელი უსასრულობა, და აქედან ჭკვიანური არა გამოსულა რა. თვით ყველაზე ამადლებული არარაობიდანაც მარტოოდენ არარაობა წარმოიშვება.

ჩრდილოეთი კი, პირიქით, თავის შვილებს აიძულებს ერთობ ადრე ჩაიკეტონ თავიანთ თავში, და თუ მგზნებარე ეგვიპტელი სულსწრაფად ლამობს ქვეყნად გაიჭრას, ჩრდილოეთის სული თვისა თავში უფრო ადრე უკუიქცევა, ვიდრე ქვეყნად გასაჭრელად მოემზადება.

ჩრდილოეთში უკვე მანამდე სწავლობენ განსჯას, ვიდრე გრძნობები მოუმწიფდებოდეთ. უკვე მანამდე აგებენ ყველაფერზე პასუხს, ვიდრე გულუბრყვილობის ხანას მშვიდობიანად ყავლი გაუვიდოდეს; უნდა კეთილგონიერი გაზდე, შეგნებული და თავის თავში დარწმუნებული, ვიდრე ადამიანად იქცეოდე, — დარბაისელი ბრძენკაცი, ვიდრე ბავშვობას განვლიდე; მთლიანად ადებული ადამიანის ერთობლიობას — მის მშვენიერებას გაფურჩქვნასა და მომწიფებას არ აცლიან, ვიდრე ყმაწვილი ყალიბდება და ვითარდება. ლიტონი ჭკუა, შიშველი გონი მარადიული მეუფენი არიან ჩრდილოეთისა.

მაგრამ არასოდეს ლიტონი ჭკუიდან ჭკვიანური რამ არ წარმომდგარა და არც ლიტონი გონებიდან გონივრული რამ.

ჭკუა სულის მშვენიერებას მოკლებულია. იგი იმ მუყაით

ქარგალსა ჰვავს, დაუმუშავებელი ხე-ტყით ნაკვეთის შემო-
ღობვა რომა აქვს დავალებული და ერთიმეორის მიყოლებით
ლურსმავს გაჩორკნილ ძელებს, — ბადისათვის, რომლის
გაშენებასაც ოსტატი აპირებს. ჭკუის მთელი მუშაობა საჭი-
როებაზეა დაფუძნებული. იგი უაზრობისა და უსამართლო-
ბისაგან გვიცავს, წესრიგს ამყარებს, მაგრამ თავი დაცვა
უაზრობისა და უსამართლობისაგან, ეს ჯერ კიდევ არ ნიშ-
ნავს, რომ ადამიანური სრულყოფის უზენაეს საფეხურზე
დგახარ.

გონი სულისა და გულის მშვენებას მოკლებულია, რო-
გორც მოურავი, რომელიც ბატონმა შინაყმათა მეთვალყუ-
რედ დააყენა. მან ყმებზე უკეთ როდი იცის, რა გამოვა ამ
გაუთავებელი მუშაობიდან და მხოლოდ გაჰყვირის: აბა ჰა,
განძერითო — და ლამის არც კი სიამოვნებს, როდესაც მუშა-
ობა ჩაღდება, რადგან მაშინ ვისღა უნდა უკიჟინოს, მისი
დანიშნულება კი ბოლოს და ბოლოს ხომ ამით ამოიწურება.

ლიტონი ჭკუიდან ფილოსოფია არ წარმოსდგება, ვინაიდან
ფილოსოფია უფრო მეტია, ვიდრე მოცემულის შეზღუდული
შემეცნება.

ლიტონი გონიდანაც ფილოსოფია არ წარმოსდგება, ვი-
ნაიდან ფილოსოფია უფრო მეტია, ვიდრე სწავლასხვა მონა-
ცემთა გაერთიანებასა და დაპირისპირებაში უსასრულო წინ-
სვლის ბრმა მოთხოვნა.

მაგრამ როდესაც ვაშკაშებს ღვთაებრივი *ev diaφειδις
εαυτω* — მშვენიერების იდეალი მიზანსწრაფული გონებისა,
იგი ბრმად როდი მოითხოვს და კარგად უწყის, თუ რატომ,
რისთვის მოითხოვს.

როს მშვენიერების მზე ეფინება გონებას მისი მუშაკო-
ბის ჟამს, ვით მაისის დღე მხატვრის სახელოსნოს, იგი თუმ-
ცა ოცნებას არ ეძლევა და სადაც სამუშაოს თავს არ ანებებს,
მაგრამ ხალისით ფიქრობს უქმე დღეზე, როდესაც ახალგაზ-
რდულად ივლის გაზაფხულის სნიფვენილ გზებზე.

ამ ლაპარაკში ვიყავ, რომ ატიკის სანაპიროს მივადექით.

ძველ ათენს იმდენად მოეცვა ჩვენი გრძნობა-გონება, რომ
დალაგებულად მსჯელობა მაინცდამაინც აღარც შეგვეძლო
და ახლა მე თვითონ მიკვირდა ჩემი ნათქვამი:

— ნეტავ როგორ მოგხვდით ხრიოკ მწვერვალებზე, რომლებზედაც ეს-ეს არის მიხილეთ? — წამოვიძახე მე.

— ყოველთვის ასე ხდება, — მომიგო დიოტიმამ, — როდესაც კარგად ვგრძნობთ თავს, მოზღვავებული ძალა გამოსავალს ეძებს. ქორფა კრავები, დედის რძით რომ გაძღვებიან, ერთმანეთს ანცად ერჩოლებიან.

აბლა ლიკაბეტოსზე⁷⁷ ავდიოდით და მიუხედავად იმისა, რომ გვეჩქარებოდა, დროდადრო ვჩერდებოდით, ფიქრში ჩაძირულნი და რაღაც ჯადოსნურის მოლოდინში.

კარგია, რომ ადამიანს ასე უჭირს მისთვის ძვირფასის სიკვდილი დაიჯეროს და ალბათ ჯერ არავინ წასულა მეგობრის საფლავზე ქვეშეცნეული იმედის გარეშე, იქნებ მართლაც ცოცხალი ვნახო. მე შეიმძრა ძველი ათენის მშვენიერმა ფანტომმა, თითქო დედაჩემის ხატება მეხილოს, მზეგადასულთა საუფლოდან დაბრუნებული.

— ო, პართენონო, — შევძახე მე, — ქვეყნიერების სიამაყე! შენს ფერხთითაა განრთხმული ნეპტუნის საბრძანებელი,⁷⁸ ვითარცა მოთვინიერებული ლომი, და ბალღებივით შემოგჯარვიან სხვა ტაძრები, აგერ მჭევრმეტყველთა საკრებულ აგორა და აკადემოსის ჭალა⁷⁹...

— არა, მაინც როგორ იცი ხოლმე გარდასულ დროებში გადაჭრა, — მითხრა დიოტიმამ.

— ნუ მომაგონებ იმ დროებას! — შევესიტყვე მე. — დვთაებრივი იყო ცხოვრება მაშინ და ადამიანიც ბუნების შუაგულში იდგა. გაზაფხული, რომელიც მაშინ ათენის სანახებში ჰყვავდა, ქალწულის მკერდზე მიბნეულ მინდვრის ყუავილს წააგავდა და ამომავალ მზეს სირცხვილის ალმური ედებოდა, როდესაც დედამიწის დიდებულებას სჭვრეტდა.

ჰიმეტოსისა და პენტელეს⁸⁰ მარმარილოს ლოდები მოიწევდნენ გარეთ თავიანთი მთვლემარე აკვნიდან, როგორც შვილები დედის კალთიდან და ფორმას იძენდნენ, სული ედგმებოდათ ათენელთა ფაქიზ ხელებში.

ბუნება თაფლს უძღვნიდა ადამიანს, ულამაზეს იებს, ტუიებსა და ზეთისხილს.

ბუნება ქურუმი იყო, ადამიანი კი მისი ღმერთი... სიცოცხლის ყოველი გამოვლინება, ყოველი სახე, ყოველი ჩქამი

მარტოოდენ ადტაცებული გამოძახილი იყო ნეუფისა, რომელსაც ბუნება ეკუთვნოდა.

მხოლოდ ადამიანს ადიდებდა ბუნება, მხოლოდ მას სწირავდა ისწევრპლს.

და ადამიანიც ღირდა ამაღ, მას შეეძლო შეჯღარიყო წმინდა სახელოსნოში, შეყვანობულის თვალთ ეწვრიტა მის მიერვე შექმნილი ღვთაებრივი ქანდაკებისათვის და მუწლუბზე მოხვეოდა, ანდა ამაღლებული ფიქრებით მოეკლა ღრო სმენად გადაქცეულ შევირდთა შორის კონცხზე, სუნიონის მწვანე მწვერვალზე, მხარეთაზე წამოწოლილს, ან კიდევ სტადიონზე სირბილში ეასპარეზა, კათედრიდან ჭეჭა-ქუზილის ღმერთივით წარმოევილინა წვიმა და მზის სხივები, ელვა და ოქროსფერი ღრუბლები...

— ო, გაიხედე ერთი! — უცბად დამიძახა დიოტიმამ.

მე გავიხედე და ბლივს გავუბეღე სანახაობის სიღიაღეს.

როგორც ვეება არმადის დაღუპვის შემდეგ, როდესაც გრიგალი ჩადგება, ზღვაოსნები გაიქცევიან, ხოლო შემუხვრილი და ნირშეცვლილი ფლოტის ნარჩენები ქვიშრობ ნაპირზე გამოირიყება, ისე გადაიშალა ათენი ჩვენს წინაშე. დაობლებული სვეტები ისე აშვერილიყვნენ, როგორც ტოტემშემოცვლილი ხეები ტყეში, რომელიც სადამოს ჯერ კიდევ წევანედ ხასხასებდა და დამე კი ხანძარმა გადაბუგა.

— სწორედ აქ სწავლობ ადამიანი, — წარმოთქვა დიოტიმამ, — ღუმლით შეხვდე შენს საკუთარ ხვედრს, გინდა ბედნიერს, გინდა უბედურს.

— აქ სწავლობ კაცი, — ჩამოვართვი სიტყვა, — ღუმლით შეხვდე შენ ყოველივეს. იმ მომენტით, რომელთ ეს ყანა მომკეს, თავიანთი ბედლები რომ გავესოთ ჭირნახულით, მაშინ არაფერი არ დაიკარგებოდა და მე ნაწვერალში თავთავებს მკრეფელობასაც დავჯერდებოდი, მაგრამ ვინმე დაპურდა კია მოწეულით?

— მთელი ევროპა, — მომიგო მეგობართაგან ერთ-ერთმა.

— ო, როგორ არა! — შევძახე მე. — მათ დაითრიეს სვეტები, ქანდაკებები და ერთმანეთს აჩეჩებდნენ კარგ ფასად. კეთილშობილ ქმნილებებს დიახაც აფასებდნენ, მაგრამ რო-

გორც ეჯნოტიკურ იშვიათობას, როგორც აფასებენ თუთიყუ-
შენსა და მიაიმუნებს.

— მაგას ნუ ამბობ! — შემესიტყვა ისე ის. — და თუ
ნათ მართლაც არ ძალუბთ მთელი ამ მშენიერების სულით
განიმსჭვალონ, ალბათ იმიტომ, რომ მისი არც წადება შე-
იბლება და არც ყიდვა.

— კარგი ერთი! — შევძახე მე. — ეს სული ჯერ კიდევ
ნაშინ დასამარდა, ვიდრე ატიკას მოთარეშენი გადაქელავ-
დნენ. გარეული მხეცები მხოლოდ მას შემდეგ ბედავენ ქალა-
ქის კარიბჭეებსა და ქუჩებში შესვლას, როცა სახლები და
ჭაბრები დაცარიელდება.

— ვისაც ეს სული კიდევ გააჩნია, — გვანუგეშა დიოტი-
მამ, — მისთვის ათენი ახლაც აყვავებული ხეხილივით დგას.
მნატვარი წარმოდგენით იოლად შეავსებს ტორსს.

მეორე დღეს დილადრიან გავემართეთ ღირსშესანიშნა-
ობათა დასათვალიერებლად, ვნახეთ პართენონის ნანგრევები,
ადგილი, სადაც ბახუსის ბველი თეატრი იყო, თენესის ტა-
ძარი, თექვსმეტი სვეტი, რომლებიც ისევე დგანან და ოდეს-
დაც ოლიმპიელი ჰევისის ტაძარს ამკობდნენ; მაგრამ ჩემზე
ყველაზე უფრო ძველმა კარიბჭემ იმოქმედა, რომლითაც ოდეს-
დაც ძველი ქალაქიდან ახალში გადადიოდნენ და რომლის
ქვეშაც ყოველდღე ათასობით მშენიერი ადამიანი გადიოდა
და შენვდურთ სალამს უძღვნიდა. ახლა აღარც ძველ ქალაქ-
ში გადიან ამ ჭიშკრით და აღარც ახალში, უტყვი და უკაც-
რიელი დგას იგი დამშრალი შადრევანივით, რომლიდანაც
ოდესდაც ალერსიანი დგაფუნით გადმოსჩქეფდა ანკარა და
ცივი წყალი.

— აჰ, — წარმოვთქვი მე, როდესაც იქ დავებტებო-
დით, — კაცმა რომ თქვას, ბედისწერა დიდებულ თამაშს ეწე-
ვა, როდესაც ტაძრებს ამხოებს და მათ ნამუსრევს ბალებს
ანებებს აქეთ-იქით გასაფანტავად, როდესაც ღმერთების და-
სახიჩრებულ გამოსახულებებს მერხებად ხდის ვლენის ქო-
ნის წინ, ხოლო საფლავის ძეგლებს მობალახე პირუტყვის
განსაცხრომელად აქცევს. ამგვარი მფლანგველობა უფრო მე-
ფურია, ვიდრე კლემპატრას ყინიანობა, გამდნარი მარგალი-

ტები რომ დალია.⁸² მაგრამ მაინც რა დასანანია მთელი ეს სიღიბდე და მშვენიერება!

— ჩემო კეთილო ჰიპერიონ! — შესძახა დიოტიმამ. — ის დროა, რომ აქედან მიდიოდე. ფერი წაგივიდა და თვალებიც ჩაცვივნილი გაქვს. ამაოჯ იმტვრევ თავს, ევ ვერას გიშველის. წავიდეთ აქედან! მწვანე სანახებს მივაშუროთ! ფერად-ფერად მონახსასე სიცოცხლეს! იქ იგრძნობ შვებას.

და ჩვენ მახლობელი ბაღებისაკენ გავწიეთ.

დანარჩენები გზაში ორ ინგლისელ სწავლულს გამოეჯა-პარაკნენ, რომლებიც ათენის სიძველეთა შორის მოსაგაფლს იწვედნენ, და ვეღარ დავძარი ადგილიდან. მათ ხალისით გამოვეთხოვე.

სული ამირქროლდა, როდესაც ანაზად კვლავ მარტო დავრჩი დიოტიმასთან. მან გაიმარჯვა ათენის წმინდა ქაოსთან დიდებულ ბრძოლაში. დიოტიმას წყნარმა ფიქრებმა ისე იოლად გაართვა თავი ნანგრევებს, როგორც ზეციური მუზის ღირა განაგებდა შეუთავსებელ სტიქიონებს. როგორც მთვარე ღრუბელთა რიდეს, ისე განერიდა მისი სული მშვენიერ კაემანს. ეს ზეციური ქალწული სევდა-ნაღველში იმ ყვავილეს ჰგავდა, რომელიც დამე ყველაზე საამბურ სურნელს აფრქვევს.

ჩვენ შეუჩერებლივ მივდიოდით, სულ უფრო და უფრო შორს და ბოლოს აღმოჩნდა, რომ არცთუ ამოდ გვევლო.

ო, ანგელეს ჭალებო,⁸³ სადაც ზეთისხილის ხე და კვიპაროსი ერთმანეთს ერურჩულებიან, ძეგობრულად ერთმანეთს ჩეროს სთავაზობენ და აგრილებენ, სადაც ოქროსფერი ლინონი მუქწვანე ფოთლებში ელვარებს, დამკრახული მტევანი ღაღად გადმოკიდებულა ღობეზე, ხოლო მწიფე ნარინჯი ზეღწევაზე გღია და ნაპოვნი ჩვილივით გიღიმის! სურნელით მოცულო, მივარდნილო ბილიკებო! მყუდრო ადგილებო, სადაც ტუიის ბურქი კამკამა ნაკადულში არეკლილი შემოგვცინის! თქვენ ვერასოდეს ვერ დაგივიწყებთ.

მე და დიოტიმა ერთნაზს ვსეირნობდით დიდებული ხეების ქვეშ, ვიდრე ჩვენს წინ ვრცელი და ნათელი მდელი არ გადაიშალა.

აქ ჩამოვსხედით. სანეტარო ღუმელი ჩამოვარდა. ჩენი გრძნობა და გონება ამ ასულის ღვთაებრივ ტანს ისე დას-

ტრიალებდა, როგორც პეპელა ყვავილს, გულიდან სიმძინი-
ლი მომენსნა, აღტყინებული ჭვრეტის სინარულით ვიყავ
ძოცული.

— მოგეფონა გულზე, გრძობასაყოლილო? — მკითხა
დიოტიმამ.

— დიახ, დიახ, სწორედ ასეა, — მივუგე მე. — რაც და-
გარგულად მიმარნდა, ის მაქვს. რაზეც ვწუხდი, პირისაგან
მიწისა აღიგავა-მეთქი, ის ჩემს წინაშეა. არა, დიოტიმა! მა-
რადიული მშვენიერების წყარო ჯერ არ დამშრალა.

ერთხელ უკვე მითქვამს შენთვის, რომ აღარც დმერაუბი
და აღარც ადამიანები აღარ მჭირდებიან. მე ვიცი, რომ ზეცა
გაუდაბურდა, გაუჰაცრიელდა, ხოლო დედამიწა, რომელზედაც
ოდესღაც მშვენიერი ადამიანური სიცოცხლე სჩქეჰდა, ლამის
ჭიანჭველების ბუდედ იქცეს. მაგრამ კიდევ მოიპოვება აფგი-
ლი, სადაც ჯერ კიდევ შემომცინის ძველი ზეცა და ძველი დე-
დამიწა. ვინაიდან შენს გვერდით ზეცის ყველა ღვთაება და
დედამიწის ყველა ღვთაებრივი ადამიანი მავიწყდება.

რა მენადვლება, თუნდაც წყალს წაუღია მთელი დედამი-
წა, მე მხოლოდ ჩემი სანეტარო კუნძული ვიცი.

— არსებობს სიყვარულის ხანა, — მითხრა დიოტიმამ
აღერსიანი სერიოზულობით, — ისევე როგორც აკვანში წო-
ლის სვებედნიერი ხანაც არსებობს, მაგრამ თვითონ ცხოვრე-
ბა გვდევნის მერე ამ აკვნიდან.

— ჰიპერიონ! — საზეიმოდ გაისმა მისი ხმა და თან
მგზნებარედ ხელი ჩამჭიდა. — ჰიპერიონ! მე მგონია, უფრო
დიად საქმეთათვის ხარ დაბადებული. ნუ დაიკნინებ თავს!
შენთვის შესაფერი მასალის ნაკლებობა გაფერხებდა. გული
კი არ გითმენდა და ეს გიღებდა ბოლოს. როგორც ნორჩ მო-
ფარიკავეებს ემართებათ ხოლმე, ერთობ ნაადრევად გაღადი-
ოდი შეტყევაზე, ვიდრე მიზანში ხეირიანად ამოიღებდი და
ხელს მოიმარჯვებდი. ხოლო ვინაიდან, რაც ბუნებრივია, შენ
მეტ ჩხვლეტებს იღებდი, ვიდრე ახვედრებდი, მფრთხალი გაზ-
დი და ეჭვი გეპარებოდა საკუთარ თავსა და ყველაფერში; ვი-
ნაიდან იმდენადვე მგრძნობიარე ხარ, რამდენადაც ფიცხი. მაგ-
რამ ამით არაფერი არ დაგიკარგავს. ასე აღრე რომ მომწიფე-
ბულაყო შენი სული და მოქმედების უნარი, მაშინ შენი გონე-

ბა ის არ იქნებოდა, რაც არის; მოაზროვნე ადამიანი არ ვახდებოდრი, ტანჯული და დაუდევარი ადამიანი რომ არ ყოფილიყავი. დანიჯერე, ასე ხალასად ვერასოდეს ვერ შეიგრძნობდი, რას წარმოადგენს მშვენიერი ადამიანური წონასწორობა, ასე მბაფრად რომ არ განიცდოდე შენ მის დაკარგვას. შენმა გუჴმა როგორც იქნა სიმშვიდე ჰპოვა. მინდა ეს ვიწმუნო. ეს გასაგებია ჩემთვის. მაგრამ ნუთუ მართლა ფიქრობ, რომ უკვე ბოლოში ვახვედი? ნუთუ ვსურს შენი ტრფობის ზეცავი ჩიკიეტო და ქვეყანა, რომელსაც სჭირდება, გვაჴვისა და სუსხის კერბად დაბლა მიატოვო? შენ როგორც სინათლის სხივი, როგორც მაცოცხლებელი წვიმა უნდა დაეშვა ხოლმე მოკვდავთა საუფლოში, უნდა გაუნათო ნათ, ვიღ აპოლონმა, შეარყიო, შესძრა დეჴამიწა და სიცოცხლე მოუვლენო, ვით იჴპიტერმა,⁸⁴ თორემ შენი ზეცის ღირსი შენ ვერ იქნები. ვთბოვ, ერთხელ კიდევ გაიარე ათენში და ამჴურად ადამიანებსაც შეხედე, რომლებიც იქ ტრიალებენ ნანგრევთა შორის: ველურ ალბანელთ და ბაღღებივით გუჴუბრყვილო, კეთილ ბერძნებს, რომლებიც მზიარული ცეკვითა და წმინდა თქმულებით ინუგეშებენ თავს, რაკი სამარცხვინო უდელი აწივთ... განა შეგიძლია თქვა: მრცხენია ამ მასალისათ? ჩემი აზრით, იგი ჴერ კიდევ გამოდგება დასამუშავებლად, ძალგობს განა გული არ უჩვენო ამ საპყართ? ცუდები როდი არიან, შენთვის როდი დაუშავებიათ რამე!

— რა შემიძლია მათთვის მოვიმოქმედო? — შევძახე მე.

— უბოძე ის, რაც შენშია, — მომიგო დიოტიმამ, — უბოძე...

— მეტს ნუღარას იტყვი, ნუღარას იტყვი, დიდსულოვანო! — შევძახე მე. — თორემ ისე გამოვა, რომ დამიყოლიე, თორემ ისე გამოვა, რომ ძალით მაიბუღო!..

თუ უფრო ბედნიერი არ ვახდებიან, გაკეთილშობილდებიან მაინც! მაგრამ არა! ვახედნიერდებიან კიდევ. უნდა აღიმართონ, სააშკარაოზე გამოვიდნენ, როგორც ახალგაზრდა მთები ზღვის წიაღიდან, როდესაც მიწისქვეშა ცეცხლი ზევით უბიძგებთ.

თუმცა მარტო ვარ და უსახელოდ მივდივარ მათთან, მაგრამ ერთადერთ კაცურ კაცსაც უფრო მეტი ძალა არ შესწევს,

ვიდრე ასობით იმათთაგანს, ვინც კაცის მხოლოდ ნატამალა?

წმინდაო ბუნებავ! შენ იგივე ხარ ჩემშიაც და ჩემს გარეთაც. მაშ, არცთუ ძნელი უნდა იყოს შეერწყმა იმისა, რაც ჩემს გარეა, იმ ღვთაებრივთან, რაც ჩემშია. განა ფუტკარი არ ახერხებს თავის პატარა საუფლო შექმნას? მაშ, მე რატომღა ვერ უნდა შევქმლო იმის დარგვა და გახარება, რაც ადამიანთ ასე სჭირდებათ?

რამ? არაღნა სოვდაგარმა⁸⁵ ყურანის თესლი ვადააბნია და მოწაფეთა მთელი ლაშქარი წამოიზარდა, უკიდვანო ტყის დარი, და ნუთუ ის ხოდაბუნი არ დაპურდება, სადაც ჩველი ჭეშმარიტება ისევ ბრუნდება ცხოველმყოფელი და განახლგაზრდავეთულ-განახლებული?!

მაშ, დაე, ძირეულად შეიცვალოს სულ ყველაფერი! კაცობრიობის ფესვებიდან ახალი ქვეყნის ყლორტიმა იფეთქოს! დაე, ღვთაება ახალთახალი განაგებდეს კაცობრიობას, კაცთა წინაშე ახალ მყობადის ალიონი ათინათებდეს.

სახელოსნოში, ბინებში, თავყრილობებსა და ტაძრებში — ყველგან ყველაფერი იყოს სხვაგვარად!

მაგრამ ჯერ სასწავლებლად უნდა წავიდე. ხელოვანი ვარ და მჭირდება დახელოვნება, წარმოსახვაში ვძერწავ ქმნილებებს, მაგრამ გაუწაფავი ხელი ჯერ არ მემორჩილება...

— წადი იტალიაში, — მითხრა დიოტიმამ, — გერმანიაში და საფრანგეთში... რამდენი წელი დაგჭირდება? სამი, ოთხი... მე მგონი, სამი იკმარებს, შენ ხომ ზანტი არა ხარ და მარტოოდენ უღიადესსა და უმშვენიერესს ეძიებ...

— ჰოდა, მერე?

— მერე ჩვენი ხალხის აღმზრდელი ვახდები და, იმედა, დიდი ადამიანიც. ხოლო როდესაც შემდეგ აი, ასე გულში ჩაგიკრავ, მაშინ მომეჩვენება, რომ მართლაც ნაწილი ვარ არაჩვეულებრივი ადამიანისა და ისე აღტყინებით ვიპეივებ, თითქო შენი უკვდავების ნახევარი გერუქებინოს, როგორც პოლიდეკემ არუქა კასტორს!⁸⁶ ო, მე ვიამაყებ შენით, ჰიპერიონ!

ერთხანს ვღუმედი. ენითუთქმელი სიხარულით ვიყავ ადსავსე. — შეიძლება განა კმაყოფილი იყო იმ დროს, როდესაც გადაწყვეტილება მიიღე, მაგრამ მის შესრულებას კი ჯერ

არ შესდგომიხარ? — წამოვიწყე ისევ ბოლოს. — არსებობს განა სიმშვიდე გამარჯვებების წინ?

— ეს გმირის სიმშვიდეა, — მითხრა დიოტიმამ, — არსებობს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ღმერთების განჩინებასავით ერთსა და იმავე დროს აღთქმაც არის და აღსრულებაც. ასეთია შენი გადაწყვეტილებაც.

უკან ისე ვბრუნდებოდით, როგორც პირველი ხევენაკოცნის შემდეგ: ყველაფერი უცხო და ახალი იყო.

ახლა ისე ვიდექი ათენის ნანგრევებზე, როგორც გუთნის დედა ნასვენ მინდორზე. „მშვიდობა შენდა, — ვფიქრობდი მე, როდესაც ზომალღმე ვბრუნდებოდით, — მშვიდობა შენდა, მთვლემარე ქვეყანა! შენი მკერდიდან იფეთქებს სიცოცხლე და ნორჩი სიმწვანით ახასხასდება, ყლორტებს ზეჯისკენ გაიწვდის ლოცვა-კურთხევის მისაღებად. მალე ამაოდ აღარ დაიშრიტებიან წვიმისაგან ღრუბლები, მალე მზე კვლავ ჰპოვებს თავის ძველ ამქარტ.

შენ ხალხს კითხულობ ბუნებავ? შენ ჰგოდებ, როგორც ქნარის სინები, რომელთაც მხოლოდ შემთხვევის ძმა — ქარი აუღერებს, რადგან ოსტატი, ვინც ის ააწყო, აწ აღარ არის? ხალხი მოვა, ბუნებავ, შენი ხალხი! განახლებული მოდგმა შენც გაგაახლებს, დაგიბრუნებს ახალგაზრდობას, და შენც სასძლოსავით გახლები მისი, თქვენი კავშირი, ძველთაძველი და სულიერი, კვლავ განახლდება შენთან ერთად.

ერთი, ერთადერთი მშვენიერება იქნება მხოლოდ; კაცობრიობა და ბუნება ერთ ყოვლისმომცველ ღვთაებაში შედუღაბდება.

მეორე ტომი

„ისა სჯობია, ქვეყნად სულაც არ დაიბადო, მაგრამ თუ შაინც მზის ნათელი იხილე უკვე — უკან დაბრუნდე, საიდანაც მოხვედი, ისევ ადრე და შალე“.

სოფოკლე⁸⁷

პირველი წიგნი

პირიონი ბელარმინს

ატეიკიდან დაბრუნების შემდეგ წელიწადის უკანასკნელი, მშვენიერი დროთი ვტკბებოდით.

გაზაფხულის ღვიძლ ძმაღ გვესაბებოდა შემოღვომა, სა-
თუთი სითბოთი აღსავსე, ეს იყო ნამდვილი დღეობა ტრფო-
ბის გარდასულ სიამეთა და სატანჯველთა მოსაგონებლად.
ჭკნობაშეპარული ფოთლები დაისისფრად შეფაკლულიყვნენ.
მხოლოდ ფიჭვი და დაფნა იდგნენ მარადმწვანე სამოსელში
გამოწყობილნი. კამკამა ჰაერში გარინდებულიყვნენ გაღა-
საფრენად გამზადებული ფრინველები, დანარჩენები კი ვე-
ნახებსა და ბაღებს შესეოდნენ და მხიარულად ალაფობდნენ
იმას, რაც ადამიანებს გადარჩენოდათ. ცას გადაეკარა და დღის
ნათელი ჩქერალივით იღვრებოდა დედამიწაზე. ყოველი
რტოდან იღიმებოდა მზე, წმიდათაწმიდა, კეთილი მზე, რო-
მელსაც არასოდეს ისე არ ვახსენებ, რომ სინარულისა და
მადლიერების გრძნობით არ გავიმსჭვალო, რომლის ერთ გა-
მონედვასაც კი ღრმა კაეშანიც განუქარგებია ჩემთვის, უგუ-
ნებობისა და დარღისაგან განუწმენდია ეს ჩემი სული.

მე და დიოტიმა კიდევ დავდიოდით ჩვენს საყვარელ ბი-
ლიკებზე და ყველაფერი ადრე განცდილ სანეტარო წუთებს
გვაგონებდა.

ვინსენებდით გასულ მაისს; მაშინ რომ ვნახეთ დედამი-
წა, ჩვენ ის ისეთი არასოდეს არ გვინახავსო, — ასე ვამბობ-
დით. ნირშეცვლილი, იგი ხეხილის ყვავილთა ვერცხლისფერ

ღრუბელს ჰგავდა, სიცოცხლის მოკისკისე ალს, დაცლად უბეში მატერიისაგან.

— აჰ! მაშინ ყოველივე ისე აღსავსე იყო სიხარულით და სასოებით, — შესძახა ერთხელ დიოტიმამ, — ისე ძალუმიად იზრდებოდა და თანაც ისე იოლად, ისე მშვიდად და არხინანად, როგორც ბაღლი, თავისთვის რომ თამაშობს და სხვას არაფერს ნადვლობს.

— ამაში, — გამოვეხმაურე მე, — ბუნების სულს ვხედავ, ამ განელეებულ ცეცხლში, ამ დინჯ, მაგრამ მეღვარ დაშურებაში.

— მერედა, ბედნიერთათვის რა საამურია ეს სიღინჯე, — წარმოთქვა დიოტიმამ. — გახსოვს? ხიდზე ვიდექით ერთხელ საღამოს, დიდ ავდრის შემდეგ და ჟანგისფერი ნაკადი მთისა ისარკივით მიექანებოდა ჩვენს ქვევით, მაგრამ იქვე მახლობლად მშვიდად ხასხასებდა ტყის მწვანე ტყვარი და წიფლნარის ღია ფერის ფოთლები თითქმის არ ირხეთდნენ. როგორ გვიხაროდა, რომ ეს ცხოველმყოფელი სიმწვანე ისევე არ მიექანებოდა, როგორც ღვართქაღი და წარმტაცი განაჯახული ისევე არ გვიფრთხობდა, როგორც მოშინაურეცული ჩიტი, მაგრამ ახლა ისიც გაგვიფრინდა, ცხრა მთას იქით გადაიკარგა.

ორივეს გაგვეღიმა ამ სიტყვებზე, თუქცა უფრო უნდა დავდონებულყავით.

ჩვენი ბედნიერებაც ასევე უნდა გამოვცვლოდა ხელიდან და ჩვენ ამას წინასწარ ვგრძნობდით.

ო, ბელარმინ! ვის შეუძლია თქვას, მიტკიცედ ვდგავარო, თუკი თვით მშვენიერებაც იმისთვის მწიფდება, რომ ბედისწერის კერძი გახდეს, თუკი თვით ღვთაებრივამაც კი ქელი უნდა მოიხაროს და ყველა მოკვდავთან ერთად მოკვდავება გაიზიაროს!

ჰ ი პ ე რ ი ო ნ ი ბ ე ლ ა რ მ ი ნ ს

ერთხანს კიდევ დავყოვნდი ტურფა ასულთან მისი სახლის წინ, ვიდრე მწუხრის წყნარ ბინდბუნდში დამის მნათობი არ ამოვიდა. მერმე ნოტარას ბინაში დავბრუნდი ფაქრით

მოცული, გნირულ ცხოვრებას მოწყურებული, მოზღვავებუ-
ლი ენერგიით ატაცებული, როგორც ყოველთვის დიოტიმას
ხვეწა-აღერსის შემდეგ. ალაბანდას წერილი მოსულიყო.

„იწყება, ჰიპერიონ! — მიწერდა იგი. — რუსეთმა ომი გა-
მოუცხადა პორტას. რუსების ფლოტი არქიპელაგისაკენ მი-
ემართება.* ბერძნები თავისუფლებას მოიპოვებენ, თუ აჯან-
ყდებიან და სულთნის ეფურატისაკენ განდევნაში წილს დაი-
ღებენ. ბერძნები თავისას გაიტანენ, ბერძნები თავისუფლებას
მოიპოვებენ და მე სულითა და გულით მოხარული ვარ,
რომ ისევ რაღაც საქმე გამიჩნდა. განსენებაც აღარ მსურს,
აქამდე რა შავ ღღეში ვიყავი, მაგრამ ახლა ჟამნა დარეკა.

თუ ისევ ის ჰიპერიონი ხარ, ჩამოდი! კორონის წინა
სოფელში ვარ, თუ მისისტრას⁸⁸ მხრიდან ჩამოხვალ. გორაკზე
ცხოვრობ, თეთრ სახლში, ტყის პირას.

იმ ხალხს, ჩემთან რომ გაიცან სმირნაში, ჩამოვშორდი.
შენ სწორად მოიქეცი, რომ მათ არ აჰყევი. ფაქიზმა ალდომ
არ გიმტყუნა.

მინდა კვლავ გიხილო ამ განახლებულ ცხოვრებაში.
აქამდე ქვეყანა ერთობ ამაზრზენად მიგანდა, რომ მისთვის
გული ვადაგეშალა. მონური სამსახური არა გსურდა, ამიტომ
სულ აღარაფერს არ აკეთებდი. დაუსაქმებლობით კი სევდა
ნოგებალა და მეოცნებე გახდი.

ჭაობში ცურვა არა გსურდა. ჰოდა, ჩამოდი, ჩამოდი
აქ და გაშლილ ზღვაში გადავეშვათ!

რა ნეტარება იქნება, ჩემო ერთადერთო საყვარელო მე-
გობარო!“

ასე მიწერდა. თავდაპირველად შევცბი. სახე აჭეწვა
სირცხვილისაგან. გული ისე მიღუღდა, ვითარც ცხელი წყლის
წყაროს სათავე. ერთ ადგილას ვეღარ ვჩერდებოდი, იმდე-
ნად მტკივნეულად განვიცდიდი, რომ ალაბანდამ დამასწორო,
მაჯობა სამუდამოდ. მაგრამ ამასთანავე ახლა უფრო ახლოს
მიმქონდა გულთან ჩემი მომავალი საქმიანობა.

„ერთობ გავზარმაცდი, — გავიძახოდი გუნებაში, — ერ-
თობ მშვიდობისმოყვარე, არამქვეყნიური და ზანტი გავხდი!

* 1770 წელს (აეტ. შენიშვნა).

აღაბანდა მარჯვე მესაჭესავით გასცქერის ქვეყანას. აღაბან-
და გულმოდგინეა და ტალღაში ნადავლს ეძიებს, შენ კი
გულზელი დაგიკრეფია. შენ გინდა სიტყვებით გახვიდე
ფონს და მსოფლიო მაგიური ფორმულებით მოაჯადოვო? შე-
ნი სიტყვები ფიფქებსა ჰგავს, არაფერში რომ არ გამოდგე-
ბა. ისინი ნწლოლოდ გაუმეჭვირვალს გახდიან ჰაერს, შენი შე-
ლოცვანი ნორწმუნეებზე თუ მოქმედებს, ურწმუნოებს კი
წენი არ ეპატი... დიან! უწყინარობა შესაფერის ღროს შე-
იძლება კარგიც კი იყოს, მაგრამ უწყინარობა უღროს
ღროს ანაწრწენია, ვინაიდან მაშინ სიძნელეს ნიშნავს!..
მაგრამ ჰარმოდოს! შენს ტუიას ვბაძავ, შენს ტუიას, რო-
მელშიაც მახვილი იმალებოდა.⁸⁹ უქმად აღარ მსურს ღრო
გავფლანგო, თვით ძილიც კი ჩემთვის მინდა წეთივით იყოს,
რომლითაც ცეცხლის ალი საწრდობს. არ მინდა მყუ-
რებლად დავრჩე, როცა მოქმედებაა საჭირო, არ მინდა
აქეთ-იქით დაგყალბებდე და ახალ ამბავს ვკითხულობდე:
როდის დაიდგაშს-მეთქი აღაბანდა გვირგვინს დაფინსას.

ჰ ი ჰ ე რ ი თ ნ ი ბ ე ლ ა რ მ ი ნ ს

დიოტიმა ისე გაფითრდა, როდესაც აღაბანდას წერილს
კითხულობდა, რომ გულმა რეჩნი მიყო. შემდეგ მაშინვე
დინჯად და დაბეჯითებით დამიწყო დარწმუნება, არ გადა-
მედგა ასეთი ნაბიჯი. შემდეგ ბევრი ვილაპარაკეთ, შევეკა-
ნათეთ კიდევ ერთმანეთს.

— ო, თქვე მოძალადეებო! — წამოიძაბა მან ბოლოს. —
მაშინვე რომ უკიდურეს ღონისძიებებზე გადადიხართ, გან-
სოცდეთ ნემესიდა!

— ვინც უკიდურესად იტანჯება, უკიდურესობა მიეტი-
ვება.

— მიეტივება თუ არ მიეტივება, შენ საამისოდ არ ხარ
წობილი.

— შენ ასე გგონია, — მიფუფე მე, — ისედაც ბევრი და-
გაყოფნე. ო, მზადა ვარ ატლანტის ტვირთი ავიკიდო, ოღონ-
დაც სიყმაწვილის ვალები გავისტუმრო. ნუთუ მოვალეობის
გრძნობა არა მაქვს? ნუთუ სიპტიციე არა მაქვს? ო, გამიშ-

ვი, დიოტიმა! სწორედ იქ, ასეთ საქმეში უნდა მოვიპოვო ყოველივე.

— ეგ ცარიელი პატივმოყვარეობაა! — წამოიძახა დიოტიმამ. — სულ ახლახან უფრო თავმდაბალი იყავი, სულ ახლახან არ ამცობდი, სასწავლებლად უნდა წავდიდო?

— ჩემო საყვარელო სოფისტო! — შეეძახე მე. — მაშინ ხომ სულ სხვა რამეზე გვექონდა ლაპარაკი. იმისათვის ახლაც არ გამოვდგები, რომ ჩემს ხალხს დვთაებრივი მშვენიერების ოლიმპოსაკენ წავუძღვე, სად მარად ცინცხალი წყაროებიდან ჭეშმარიტება და სიკეთე გადმოსჩქექუს. მაგრამ მანკილის ხმარება ვისწავლე და ამჟამად სხვა არაფერია საჭირო. იდეათა ახალი კავშირი ჰაერში ვერ იარსებებს, მშვენიერების წმინდა თეოკრატია უნდა თავისუფალ სახელმწიფოში სუფევდეს, ამ სახელმწიფოს კი ადგილი სჭირდება დედამიწაზე და ჩვენ უთუოდ დავიპყრობთ მისთვის ამ ადგილს.

— დაიპყრობ და დაგავიწყდება, თუ რისთვის დაიპყარ! — მომახალა დიოტიმამ. — ძალით შექმნი, თუ საქმე კარგად წავიდა, თავისუფალ სახელმწიფოს და მერმე იტყვი, რისთვის შევექმენიო. ეჰ, იმ მშვენიერ ცხოვრებას, რომელიც ამ სახელმწიფოში უნდა გაფურჩქნულიყო, წირვა გამოუვა, იგი თვით შენშიაც კი განქარდება! გაშმაგებული ბრძოლა გატეხავს, კეთილს სულო, დაგაბერებს, ქველო გონებავ! და ცხოვრებისგან მოქანცული ბოლოს იკითხავ: „ნეტა რა იქნა სიჭაბუკის იდეალები?!“

— ეს საშინელებაა, დიოტიმა, — შეეძახე მე. — შიგულში მომახვედრე, შენ მბორკავ იმით, რომ სიკვდილისა მეშინია, რომ ასე განუზომლად მიყვარს სიცოცხლე. მაგრამ არა, არა და არა! მონური სამსახური გიღებს კაცს ბოლოს, სამართლიანი ომი კი სულს სიცოცხლით აღადგებს. ოქრო მაშინ იძენს მზისფერს, როს ცეცხლში ამოავლებენ! მარტო ბორკილების დამსხვრევა უბრუნებს ადამიანს ახალგაზრდობას! მარტო ის იხსნის, თუ აღსდგება და გველგეულას გასრისავს — მუცელზე მხოხავ ამ საუკუნეს, ჩანასახშივე რომ მხამავს ბუნების ყოველ მშვენიერ ქმნილებას! მაშ, დავბერდები არა, დიოტიმა, თუ საბერძნეთს ვავანთა-

ვისუფლებ? დავებრდები, გავსაცოდავებ, უღიმღამო აღამიანად ვიქცევი? ო, ასეთი იყო ალბათ მარაოონთან გამარჯვების მაცნე ის ჭაბუკი ათენელიც, პენტელეს მწვერვალზე რომ შედგა ფეხი და იქიდან ატივის ველებს გადმოხედა, ალბათ ასე იყო დვთის მადლს მოკლებული, უპირი და შინაგანად ცარიელი!

— კარგი, ვარწმინდი, საყვარელო! — შესძანა დიოტიმამ. — კრინტსაც აღარ დავძრავ. უნდა წახვიდე, უნდა წახვიდე, გულზევიადო აღამიანო! თუ ასე განიწყვე, მე რა ძალა მაქვს, ან რა უფლება.

თან ცხარე ცრემლით ტიროდა და მე ბოროტმოქმედივით ვიდექი მის წინაშე.

— მომიტევე, დვთაებრივო! — შევძახე მე და მუხლებზე დავეცი. — ო, მომიტევე, რომ სხვაფრივ არ ძალიძმს! მე კი არ ვირჩევ, კი არ ვმსჯელობ, არამედ რაღაც ძალითა ვარ გათანგული და არც კი ვიცო, მართლა მე თვითონ თუ ვდგამ ამ ნაბიჯს.

— ამას შენი სავსე გული გკარნახობს, — მომიგო მან, — რომელსაც რომ არ დაემორჩილო, შეიძლება დაიდუპო, მაგრამ აყოლაც ხშირად იგივეთი სრულდება. სჯობია, წახვიდე — ეს უფრო ვაჟაკურია. შენ ამოქმედე, მე კი მინდა ჩემს ხვედრს გავუძლო.

ჰიპერტონი ბელარმინს

ის იყო და ის, დიოტიმა საოცრად გამოიცვალა.

მე განარებული თვალყურს ვადევნებდი, როგორ იფურჩინებოდა ჩვენი გამიჯნურების შემდეგ სიცოცხლის მანამდე დაფარული სიკისკასე მის გამონედვასა და საალერსო სიტყვებში და ჩემს დანახვაზე რაოდენ ხშირად გარდაიქმნებოდა ხოლმე მისი გენიალური სიმშვიდე გაცისკროვნებულ ადტაცებად.

მაგრამ, როგორ გვეუცხოება ხოლმე ტურფა ქმნილება, როს იგი პირველი ყვავილობის შემდგომ, ცხოვრების აისის შემდგომ, შუადღის ბენიტიდან გადაიხრება. უწინდელ საენეტარო ბაღს მწვლად ჰპოვებდით დიოტიმაში, ისეა. ამბულეებული და ტანჯული გახდა იგი.

ო, რამდენჯერ განვრთხმულვარ ჩემი მჭობუნვარე კერპის წინაშე და მგონებია, მის გამო გულგასენილს ცრემლებში ამომხდება-მეთქი სული, მაგრამ განცვიფრებული წაპოვ-მღვარვარ და ძალთა ახალი მოწლავაება მიგრძენია. თვა-ლებში ცეცხლი უელადა მკერდში მბორგავი კოცონისაგან. ველარ იტევდა სანმილს ნატვრითა და ტანჯვით აღსავსე გულში; ანიტომ იყო ამ ასულის აზრები ასე თამამი, ამაღ-ლებული. რადაც ახალი სიღიაღე შეიძინა, თვალსაჩინო ბა-ლაუფლებს მობოგა ყველაზე, ვისაც გრძნობის უნარი შეს-წევდა. ზენაარი არსება გახდა. მოკვდავთა მოღვმას აღარ ეკუთვნოდა.

ო, ჩემო დიოტიმა, აბა, რა ვიცოდი მაშინ, რას მოასწა-ვებდა ეს ყოველივე?

პ ი პ ე რ ი ო ნ ი ბ ე ლ ა რ მ ი ნ ს

ჭკვიანი ნოტარაც გაიტაცა ამ ახალმა გეგმებმა; გაფლე-ნიან მომხრეებს გიშოვნო, აღმითქვა, იმედი მაქვს, კო-რინთოს ყელს დავიკავებთ და ეს იგივე იქნება, მთელ სა-ბერძნეთს რომ ლაგამი ამოვდოთო. მაგრამ ბედისწერამ ყო-ველივე სწვაფრივ განაგო და ნოტარას ზრახვა უფრო აღრე განადა ფუჭი, ვიდრე იგი თვის ჩანაფიქრს ხორცს შეასხამ-და.

მანვე მითხრა ტენოსზე არ წავსულიყავი, არამედ პირ-დაპირ პელაგონისით დავშვებულიყავ, თანაც რაც შეიძლება შეუმჩნევლად. მამაშენს გზიდან მისწერეო, — მეუბნებოდა ის. — ფრთხილი მოხუცი უკვე გადადგმულ ნაბიჯს უფრო მოგიტევებს, ვიდრე ჯერ არ გადადგმულის ნებას მოგცემდე-სო. ასე როდი მჩვეოდა, მაგრამ ჩვენ ხომ ხალისით ვწი-რავთ საკუთარ გრძნობებს, როდესაც თვალწინ დიადი მი-ზანია გადაშლილი.

— მეეჭვება, — განაგრძობდა ნოტარა, — რომ ასეთ საქ-მეში მამაშენმა რაიმე დახმარება აღმოგიჩინოს. ამიტომ მე გაგიმართავ ხელს, რათა ერთხანს მაინც თავი გაიტანო და იმოქმედო, რა მდგომარეობაშიც არ უნდა აღმოჩნდე. თუ როდესმე შესძლებ, უკან ჩამასესხებ, თუ არა და ჩემი და

შენი ვის გაუყვია. ფულის აღებისა ნუ შეგრცხვება, — და-
უმატა მან ღიმილით, — თვით ფებოსის რაშებიც კი მარტო-
ოდენ ჰაერით როდი ცოცხლობენო, მოგვითხრობენ პოე-
ტები.

ქ ი პ ე რ ი ო ნ ი ბ ე ლ ა რ მ ი ნ ს

დადგა დღევ განშორებისა.

მთელი დილა ნოტარას ბაღში გავატარე, მაღლა, ჰამთ-
რის გრილ ჰაერზე, მარადწევანე კვიპაროსებსა და კეჯა-
რებს შორის. ნიშნად ვიყავი. სიჭაბუკის დიადი ძაღნი მა-
სულდგმულეზენ და სატანჯველი, რომელსაც გუნანით წი-
ნასწარ ვგრძნობდი, დრუბელივით მაღლა-მაღლა მიმტყ-
ნებდა.

დიოტიმას დედამ ნოტარა, ნე და კიდეც რამდენიმე ჩემი
მეგობარი შინ დაგვაპტივა. ეს ბოლო დღე ჩვენთან ერთად
გატარეთო. ამ კეთილ ადანიანებს ღიად ახარებდათ ნე
და დიოტიმას გამიჯნურება, მათ არ ვამოჰპარვიათ ეს ღვთა-
ებრივი ძალა, ჩვენს სიყვარულს რომ ასულდგმულეზდა.
ჰოდა, ახლა, განშორების წამს, უნდოდათ ჩემთვის გზა
დაელოცათ.

დაბლა ჩავედი. ჩემი გულსწორი კერასთან დამხვდა. ამ
დღეს დიასახლისის საქმიანობას ისე ეკიდებოდა, როგორც
რალაც წმიდათაწინა მღვდელმსახურებას. საწლი დაეღაგე-
ბინა და მოერთო, თან მიწედ არაუნ გაეკარებინა. თუკი რამ
ყვავილი შემორჩენილიყო ბაღში, ყველა დაეკრიფა. ვარდები
და ყურძენიც ეშოვნა, თუმცა ჰამთრის პირი იყო.

ჩემს ფეხის ხმას სცნობდა და ვიდრე კიბის ავიგლიდი,
წყნარად გამოვიდა შესაგებებლად. ფერმკრთალი დაწვები
კერის ალისაგან ალექოდა და ჭკვიან, ფართოდ გახულილ
თვალეებში ცრემლი უბრწყინავდა. შენიშნა, როგორ შეცვ-
ბი.

— შედი, ჩემო საყვარელო, — მითხრა მან, — დედაჩე-
მია მანდ და მეც ახლავე მოვალ.

ოთახში დიოტიმას დედა იჯდა. კეთილშობილმა ქალმა
ლამაზი ხელი გამომიწოდა და თან დასძინა:

— მოდი, ჩემო შვილო, მოდი! ჯანრისხებულნი კი უნდა ვყო შენზე, რადგან შვილი წამართვი, და მასთან ერთად ჭკუა-გონებაც. რაც მოგეპრიანება, იმას იქმ და ახლა მიდიხარ კიდევ. მაგრამ შეუხდეთ, ზეციურნი ძალებო, თუ უსამართლო რამა აქვს გულში, ხოლო თუ მართალია, ო, მაშინ ნუ და-აყვანებთ, შემწეობა აღმოუჩინეთ ჩემს საყვარელ ვაჟს!

მინდოდა რაღაც მეთქვა, მაგრამ სწორედ ამ დროს ნოტარა და დანარჩენი მეგობრები შემოვიდნენ, ხოლო მათ დიოტიმაც შემოჰყვა.

ერთხანს ვდუმდით. პატრის ვდებდით მგლოჯიარე სიყვარულს, რომელსაც ყოველ ჩვენგანში დაევაწებინა. გვეშინოდა არ შეურაცხვეყო ლაპარაკითა და ზნეობა აზრებით. ბოლოს, რამდენიმე გაგვირით ნათქვამი სიტყვის შემდეგ, დიოტიმამ მთხოვა რამე ნომეთხრო ავისსა და კლეომენეზე.⁹⁸ ხშირად აღტყინებითა და კრძალვით ახსენებ ამ დიდსულო-ჟან ადამიანებს და ამბობ, უთუოდ ისინიც, პრომეთესავით ნახევრად ღმერთები იყვნენ და მათი ბრძოლა სპარტის ხვედრთან უფრო გამირულია, ვიდრე რომელიმე ბრწყინვალე მითოსიო. ამ ადამიანთა გენია საბერძნეთის დაიხია, ისევე როგორც თებევსისა და ჰომეროსის გენია ცისკარიაო მისი.

მეც მოგუყვები და როცა თხრობა დავამთავრე, ყველამ უფრო ძლიერად და ამადლებულად იგრძნო თავი.

— ბედნიერია ის, — შესძახა ერთ-ერთმა მეგობარმა, — ვის ცხოვრებაშიც ერთიმეორეს ენაცვლება გულს სიამე და ბრძოლა ფიცხელი.

— დიან! — შეეხმაურა მეორე. — სწორედ ის ვახლავს მარადიულად ახალგაზრდობა, როცა ყოველთვის გყოფნის ძალა ამ თანაშისთვის, როცა ვერ გცვითავს ვერც შრომა და ვერც ნეტარება.

— ო, როგორ მინდა მეც მოვდოდე, — მომმართა დიოტიმამ.

— განა კი ცუდია, რომ შენ აქ რჩები, დიოტიმა! — მივუგე მე. — ქურუმმა ქალმა ტაძარი არ უნდა მიატოვოს. შენ აქ წმინდა სახმილს იცავ, მყუდროდ ინახავ იმ სილამაზეს, რასაც უკან დაბრუნებული მე ისევ ვპოვებ.

— შენ მართალი ხარ, ჩემო საყვარელო, ასე სჯობია,

— წარმოთქვა მან, მაგრამ თან ხმა აუთრთოლდა და ეთერ-
რევით გამჭვირვალე თვალეებზე თავსაფარი აიფარა, რათა
ცრემლები და აღელვება სხვათა მზერისთვის გადაემალა.

ო, ბელარმინ, გული კინადამ არ გამერღვა, რადგან
ჩემს გამო შეეფაკლა წითლად ღაწვები.

— მეგობრებო, — წამოვიძახე, — ეს ანგელოსი შემინა-
ხეთ. ვითომც ყველაფერი დამეკარგოს, თუ ამას დავკარგავ.
ჰოი, ზეცაო! გაფიქრებაც კი მიჭირს, რას ჩავიდენდი, ეს
რომ აღარ მყავდეს.

— დამშვიდდი, ჰიპერიონ! — გამაწყვეტინა ნოტარამ.

— დამშვიდდიო? — შევეკითხე მე. — ო, თქვე კაი ხალ-
ხნო! თქვენ ის გადარდებთ, თქვენი ბაღი თუ გაიხარებს და
მოსავალი თუ იქნება, შეგიძლიათ გენახზე ილოცოთ და მე
კი ისე უნდა წაგიდე, რომ არაფერი არ შეგთხოვოთ ჩემს ნა-
ნინანატრზე, ერთადერთზე, ვისაც ჩემი სული მორჩი-
ლებს?

— არა, ჩემო კეთილო, — შემესიტყვა გულარუყებული
ნოტარა, — იმას როდი ვამბობ, უსურვილოდ გამოეთხოვე-
მეთქი! არა, ვფიცავ თქვენი სიყვარულის ღვთაებრივ უმან-
კობას! და, რა თქმა უნდა, მეც ჩემი მხრით დავლოცავთ!

— რა კარგი მომავონე, — წამოვიძახე სწრაფად, — აი,
ვინ უნდა დავლოცოს, ჩვენმა ძვირფასმა დედამ; თქვენთან
ერთად ისიც უნდა მოწმე იყოს... მოდი, დიოტიმა! დედა-
შენმა უნდა აკურთხოს ჩვენი კავშირი, ვიდრე ის მშვენიერი
თემი, რომლის დაარსებასაც სასოებით ველით, ჩვენ შეგ-
ვაუღლებს.

და თან ცალ მუხლზე დავიჩოქე, თვალეგაფართოებულ-
მა, გაწითლებულმა და საზეიმოდ მომღიმარმა დიოტიმამაც
დაიჩოქა იქვე, ჩემს გვერდით.

— დიდი ხანია, ო, ბუნება, — წარმოვთქვი მე, — ჩვენი
ცხოვრება შენსას შეერწყა და სიყვარულმა ჩვენი საკუთარი
სამყარო ისეთივე ღვთაებრივად ახალგაზრდა გახადა, რო-
გორც შენ ხარ და არიან შენი ღმერთები მარად.

— შენს ჭალებში დავებეტებოდით, — განაგრძო დიოტი-
მამ, — და შენ გემსგავსებოდით; შენს ნაკადულებთან ვისხე-
დით და შენ გემსგავსებოდით, მთებს მიღმა სივრცეებს ვესწ-
ყ. ფ. ჰოლდერლინი

რადლოდით შენს შვილებთან, ვარსკვლავებთან ერთად, ვითარცა ისწრაფვი შენ.

— როს შორს ვიყავით ერთმანეთისაგან, — ისევ დავიწყე, — როს აღტყინების მყობადი ჰანგი ქნარის ტიტინივიო ყრუდ ჩაგვესმოდა, როს ერთმანეთი ვპოვეთ, განგვიფრთხა ძილი, ყოველმა სიმმა გაიღვიძა ჩვენი არსების და ანმინდა მჩქეტარ სიცოცხლის მძლავრ აკორდებად, — მაშინ, ღვთაებრივო ბუნებავ, ნიადაგ შენებრნი ვიყავით და ახლაც, როდესაც ერთმანეთს ვცლილდებით, სინარული კვდება, მაინც შენებრნი ვართ, ტანჯვით აღსავსენი და, მიუხედავად ამისა, კეთილნი. ამიტომ გვინდა სპეტაკმა ბაგემ დაგვიდასტუროს, რომ ჩვენი სიყვარული წმინდაა და მარადიული, ვითარცა შენა ხარ.

— გიდასტურებთ, — წარმოთქვა ღედამ.

— გიდასტურებთ, — აჰყვნენ დანარჩენებიც.

ამით სათქმელი ამოვწურეთ. გული მომეცა. ვიგრძენ, მზად ვიყავ გამოსათხოვებლად.

— ახლა კი წავედი, ჩემო კარგებო! — ვთქვი და ყველას სიცოცხლე წარეხოცა საზიღან.

დიოტიმა მარმარილოს ქანდაკებასავით უძრავად იდგა და მე ვიგრძენი, როგორ ჩამიკვდა ხელში მე მისი ხელი. ყველაფერი დავსამარე ჩემს ირგვლივ, მარტოსულივით ვიდექ და რეტი მესხმოდა ამ უსაზღვრო სიჩუმისაგან, რომელშიც ჩემი მჩქეტარე სიცოცხლე დასაყრდენს ველარ ჰპოვებდა.

— ეჰ, თქვე კაი ხალხო, მე ცეცხლი მიკიდია და თქვენ კი ყველანი გულისციფად დგახართ! — შევძახე მე. — ნუთუ მზლოდ აღვიღის ღმერთებს ესმით ჩემი?... დიოტიმა! შენც ჩუმად ხარ და არც კი მიყურებ! ო, ნეტავი შენ, რომ არ მიყურებ!

— წადი, — ამოიოხრა მან, — წასვლა სჯობს წამსვლელისა; წადი, გულისსწორო!

— ჰოი, სანუკვარ ბაგეთაგან გადმოღვრილო ტკბილო მელლია! შევძახე მე და ისე გავჩერდი, როგორც მლოცველი სათაყვანო კერპის წინაშე. — ტკბილო მელლია! ერ-

თხელ კიდევ გახმიანდი; ერთხელ კიდევ შემომანათე, ლამაზ თვალების კამკამა სხივო!

— ასე ნუ მელაპარაკები, საყვარელო! — დასძინა მან. — უფრო მტკიცედ მითხარი რამე, უფრო ვაჟაკურად გეჭიროს თავი!

მინდოდა მხნეობა მომეკრიბა, მაგრამ თითქო სიწმარში ვიყავ.

— ვაიმე, — აღმომხდა მე, — აღბათ უკან დაბრუნება არ მიწერია, გემშვიდობებით!

— ასე დიოტიმას ხელში შეიკლავ, — დამიყვირა ნოტარამ, — ვერ ხედავ, რა წყნარად არის, შენ კი მთლად თავგზა გაქვს აბნეული.

გადავხედე დიოტიმას და ცხარე ცრემლები წასკდა თვალთავან.

— მაშ, მშვიდობით, დიოტიმა! — შევძახე მე. — მშვიდობით იყავ, ზეცავ ჩემი სიყვარულისა! გავმაგრდეთ, ძვირფასო მეგობრებო! ძვირფასო დედა, მე სიხარულიც მოგიტანე და მწუხარებაც. მშვიდობით იყავით! მშვიდობით!

ბარბაცით წამოვედი, მარტო დიოტიმამ განომაცვილა.

შესადამოვდა და ვარსკვლავებით ცა მოიჭედა. წყნარად ვიდექით მათი სახლის ქვეშ. მარადისობას დაევანებინა ჩვენში და ჩვენს ზეგარდმო. ნაზად, თითქო ეთერი ელამუნებო, მომეხვია მე დიოტიმა.

— შლეგო, განა რა არის განშორება? — საიდუმლოდ წამჩურჩულა მან და თან უკვდავის ღიმილი შემომავება.

— ახლა მეც სხვაგვარად მეჩვენება სულ ყველაფერი, — ვუთხარ პასუხად, — და არ ვუწყვი, ამ ორიდან სიწმარო რომელია: ჩემი ტანჯვა თუ სიხარული.

— ორივე, — შემესიტყვა ის, — და ორივე სიკეთეა.

— სწორუბოვარო! — შევძახე მე. — ჩემს სათქმელს ამბობ. ვარსკვლავიანი ცა ვვამცნობს ხოლმე ერთურთის ამბავს: ის იყოს ჩვენი შუამავალი, ვიდრე ჩვენი ბავნი სდუმან.

— იყოს, — წარმოსთქვა მან დინჯად, ისეთ კილოზე, რომელიც მანამდე არც მსმენოდა მისგან... მორჩა და გათავდა. მწუხრის ბინდბუნდში გაქრა მისი ხატება და აღარ ვიცი,

მართლა ის იყო, როდესაც უკანასკნელად მივიხედე და მიმ-
ქრალმა ლანდმა ერთი წამით გაიელვა ჩემს თვალწინ კიდეც,
ხოლო შემდეგ კი ღამის წყვდიადში გაუჩინარდა.

ჰ ი ზ ე რ ი ო ნ ი ბ ე ლ ა რ მ ი ნ ს

ნეტავ რას გიამბობ, რას ვიმეორებ ჩემს სატანჯველს
და რა ხელს ეწერე ჩემს მოუსვენარ სიჭაბუკეში? განა არ
კმარა ერთხელ გავლა მოკვდავის გზისა? რად ვიმღვრე
სულსა, ნეტავ რატომ არ დავდუძლები?

იმიტომ, ჩემო ბელარმინ, რომ სიცოცხლის ყოველი
ამოსუნთქვა ძვირფასია ჩვენთვის; იმიტომ, რომ ხალასი
ბუნების ყოველი გარდაქმნა ამავე დროს მისი მშვენიერების
განსახიერებაც არის. განა ჩვენი სული, თუკი მოკვდა-
ვის გამოცდილებას განუდგება და განმარტოებით იცხოვრებს
წმინდანით მშვიდად, ფოთლებისაგან განძარცულ ხეს არ
დაემსგავსება? ან კულულებმოკვეცილ თავს? ძვირფასო
ბელარმინ! ერთხანს დავისვენე. ბალღივით ვცხოვრობდი სა-
ლამინის წყნარ ბორცვთა შორის, აღარ მახსოვდა არც ბე-
დისწერა და არც ადამიანთა მისწრაფებანი. მას შემდეგ
ბევრ რამეს სხვა თვალთ ვხედავ და ახლა იმდენად მშვი-
დად ვარ, რომ ძალმიძს დინჯად ვადევნო თვალი კაცთა
ცხოვრებას. ო, მეგობარო! ბოლოს და ბოლოს გონება ჩვე-
ნი ყველაფერთან ისევ გვარიგებს. თუმცა შენ ამას არ ირ-
წმუნებ, მით უფრო ჩემგან. მაგრამ, ჩემი აზრით, მარ-
ტო წერილებითაც კი უნდა შეგენიშნა, რომ ჩემი სული ღლი-
თი ღღე სულ უფრო და უფრო წყნარდება და მომავალშიც
იმდენჯერ გაგიმეორებ ამ სიტყვებს, ვიდრე სავსებით დაი-
ჯერებდე.

აი დიოტიმასა და ჩემი ბარათები, რომლებსაც ერთმა-
ნეთს ვწერდით კალავრიიდან ჩემი გამგზავრების შემდეგ. ეს
მიმოწერა ყველაზე ძვირფასია, რასაც მე განდობ. იგი ყვე-
ლაზე ცხოველმყოფელ სურათს გვიხატავს ჩემი ცხოვრების
მაშინდელ დღეთა. ომის ღრიანცელს აქ ნაკლებად გაიგონებ,
სამაგიეროდ ჩემს შინაგან ცხოვრებას მოვითხრობენ ბარა-

თები, და შენც ხომ სწორედ ეს გაინტიერესებს. ეჰ, ხომ უნდა შეიტყო, როგორ ვუყვარდი. ამას კი მე ვერასოდეს ვერ აგიწერდი, ამის გამოხატვა მარტოოდენ დიოტიმას ძალუძს.

ჰ ი პ ე რ ი ო ნ ი დ ი ო ტ ი მ ა ს

ჩემო დიოტიმა, მკვდრეთით აღვდექი განშორებით განცდილი სიკვდილის შემდეგ, მოვმაგრდი, როგორც ძილის შემდეგ და სული ჩემი მხნეობას იკრებს.

ამას ეპიდავრიის მთების⁹¹ ერთ-ერთ მწვერვალზე ვწერ. შორს, დაბლა, ბურუსში შენი კუნძული გამოკრთის, დიოტიმა! აგერ იქ კი ჩემი საასპარეზოა, სადაც უნდა გავიმარჯვო ან ბრძოლის ველზე დავეცე. ო, პელოპონესო! ო, ევროტასისა და ალფეოსის ჩქერალებო! მანდ აღსრულდება სპარტის ტყეებიდან არწივივით გამოიჭრება ქვეყნის ძველი გენია და მოფარფატე ფრთების დარად გაშლის ჩვენს ლაშქარს.

ჩინა სულს საგმირო საქმენი სწყურია, დიოტიმა, და სიყვარულით არის აღსავსე, მზერა ჩემი საბერძნეთის ველებს ევლება, თითქო მისნური ბალა გამაჩნდეს ბრძანება გავცე: ნანგრევებიდან აღსდექით-მეთქი, ქალაქნო ღმერთთა!

ეტყობა, რომელიდაც ღმერთმა დაიგანა ჩემში, რაღვან განშორებას თითქმის არა ვგრძნობ. როგორც ნეტარი აჩრდილნი ლეთეს ნაპირებზე, ისე ლაღად ცხოვრობს ამჟამად სული ჩემი შენს სულთან ერთად, ტკბება ციური თავისუფლებით და ბედისწერა ვეღარ განაგებს სიყვარულს ჩვენსას.

ჰ ი პ ე რ ი ო ნ ი დ ი ო ტ ი მ ა ს

ამჟამად პელოპონესის გულში ვიმყოფები. ქოხში, რომელშიც დღეს ვათევ ღამეს, ერთხელ უავე გამითევია, როდესაც თითქმის ჯერ კიდევ ბიჭუნა ამ ადგილებში ადამასთან ერთად დავხეტებოდი. რა ბედნიერი ვიდექი მაშინ სახლის წინ, მერხზე, და ყურს ვუგდებდი შორეული ქარავნის ზანზალაკთა წკარუნს, ან კიდევ მახლობლად მოდგაფუნე შად-

რევანს, რომლის ვერცხლისფერი ნაკადიც აუზში იღვრებო-
და აყვავებული აკაციების ქვეშ.

ახლაც ისევ ბედნიერი ვარ. ისე დავდივარ ამ მხარეში,
როგორც დოდონეს ჭალაში,⁹² რომელშიც მუხების შრიალი
სახელსა და დიდებას წინასწარმეტყველებდა. ერთთავად
მხოლოდ საგმირო საქმეებს ვხედავ, გარდასულთ, მომა-
ვალთ, თუნდაც დილიდან საღამომდე ღია ცის ქვეშ ვიხეტი-
ალო. დამიჯერე, ვინც ამ ქვეყანას შემოივლის, მაინც
აიტანს უღელს მის ქედზე და პელოპიდა⁹³ არ გახდება, — ან
უგულოა, ან ჭკუანაკლები.

მაინც რამდენი ხანი ეძინა ამ ქვეყანას, მაინც რა ნელა
მოედინებოდა დრო ამ დუხჭირ მცონარეობაში, თითქო ჯო-
ჯოხეთის მღვრიე და უტყვი მდინარე ყოფილიყოს!

მაგრამ ახლა ყველაფერი მზად არის. შურისგებას მოწ-
ყურებული მთიელები ისე განაბულან, როგორც მთებში
ჩაწოლილი საავდრო ღრუბელი, რომელიც მხოლოდ გრი-
ვალის ამოვარდნას ელოდება, რომ კვლავ დაიძრას. დიოტი-
მა! ეგება მათთვის ღვათების სული ჩამაბერინო, ეგება
მათთვის გულითადი სიტყვა მათქმევიყო, დიოტიმა!
ნუ გეშინია! არცთუ ისეთი ველურნი არიან. მე კარგად ვიცი
გაუთლელი მათი ბუნება! გონებას ჰქირდავენ, მაგრამ აღ-
ფრთოვანებას მხარში უღებიათ. ვინც მთელი სულითა და
გულით იღვწის, არასოდეს იგი არ სცდება. მას ტვინის
ჭყლეტა არა სჭირდება, ვინაიდან ისეთი ძალა არ არსებობს,
მას წინ გადუდგეს.

ჰ ი მ ე რ ი ო ნ ი დ ი ო ტ ი მ ა ს

ხვალ ალაბანდასთან ვიქნები. მსიამოვნებს კორონის
გზის გამოკითხვა და ამას საჭიროზე უფრო ხშირად ვიქმ,
ვნატრობ, ნეტავი მზისთვის წამართმევიანა ფრთები და ალა-
ბანდასთან გამაჩინა-მეთქი, მაგრამ ამასთანავე გზაში და-
ყოვნებაც მეხალისება და ჩემს თავს ვეკითხები: ნეტავი რო-
გორი დამხვდება-მეთქი.

მეფური ბუნების ჭაბუკია! აჰ, რატომ დავიბადე მე უფ-
რო გვიან, რატომ ერთ აკვანში არ დავგარწიეს! ვერ შევ-

ჩივივით იმ განსხვავებას, რაც ჩვენს შორისაა. ო, რატომ ვცხოვრობდი მწყემსი ბიჭივით უქმად ტენოსზე და მარტო-ოღონ თუ ვოცნებობდი მის სადარ ხალხზე, მაშინ როს იგი ვაცხარებულნი საქმიანობდა, ბუნებას ეზიარებოდა და უკვე მაშინ ერკინებოდა ზღვას, ჰაერს და ყველა სტიქიონს. განა მეც არ მიველტვოდნი საგმირო საქმეთ?

მაგრამ მინდა დავეწიო, მინდა სწრაფად ვიშოქმედო. დმერ-თმანი, მოწიფული ვარ მუშაობისათვის და თუ სულ მალე თავი არ ვიხსენ გამალებული საქმიანობით, ჩემი სული გააფ-თრებით ამხედრდება საკუთარი თავის წინააღმდეგ.

ზენაარო ქალწულო! როგორ არ გავქრი შენს წინაშე? როგორ შეიყვარე ჩემნაირი უმოქმედო აღამიანი?

შ ი პ ე რ ი ო ნ ი დ ი ო ტ ი მ ა ს

უკვე მასთან ვარ, ძვირფასო დიოტიმა!

ლაღად ძვერს გული, სისხლმა ძარღვევში სრბოლას უმა-ტა! ეჰ, მომავალი ისე მიზიდავს, ვითარც ვვიზიდავს ღრმა და კამკამა წყლის ნაკადი, რომ გადავეშვათ ცივ სტიქიონში და მის წიაღში მხურვალე სისხლი გავვიგრილოთ. მაგრამ ეს ფუჭი ლაპარაკია. ჩვენ ერთმანეთისათვის კიდევ უფრო ძვირფასნი ვართ, ვიდრე ოდესმე, მე და ჩემი ალაბანდა. ცალ-ცალკე ყოფნით უფრო დამოუკიდებელნი გავმხდარვართ. მაგრამ მანაც უწინდებურად ჩვენს წინაშე ცხოვრების მთე-ლი სისავსე და სიღრმე გადაიშალა.

ო, რა მართალნი იყვნენ ძველი ტირანები, როდესაც კრძალავდნენ ისეთ მეგობრობას, როგორიც ჩვენია! მაშინ ნახევარდმერთივით ძლიერი ხდები და შენს სარბიელზე არამ-ზადობას ვეღარ ითმენ!

სალამო იყო, როს პირველად მასთან შევედი. ალაბან-დას განზე გადაედო სამუშაო და, ჩაფიქრებული, ფანჯარას-თან, მთვარის შუქით განათებულ კუთხეში იჯდა. მე ბნელ-ში ვიდექ და მან ვერ მიცნო, — მზერა გულგრილად შემო-მაგება. დმერთმა უწყის, თუ ვინ ვეგონე.

— აბა, როგორ არის საქმეები? — შემეკითხა ის.

— არა უშავს რა! — მივუგე მე.

მაგრამ თავის მოკატუნება ამაო იყო. ჩემს ხმაში დაფარული ყიჟინა გაისმა.

— ამას ვის ვხედავ! — თქვა და წამოხტა. — ნუთუ შენა ხარ?

— რაღა თქმა უნდა, მე ვარ, რამ დაგაბრმავა! — შევძახე და გადავეხვიე.

— ო, ახლა, — აღმოხდა ალაბანდას ბოლოს, — ახლა ყველაფერი სხვაგვარად იქნება, ჰიპოგრიონ!

— მეც ასე ვფიქრობ, — მივუხე მე და გახარებულმა ხელი ჩამოვართვი.

— მაშ, ისევ გახსოვარ, — განაგრძო ალაბანდამ ცოტა ხნის შეძღვევ, — ისევ ძველებური სისპეტაკით გწამს ალაბანდასი? დიდსულოვანო! ისე კარგად აღარსად მიგრძნია თავი, მაშინ რომ ვიყავ, შენი სიყვარულის შუქით გაცისკროვნებული.

— როგორ? — შევძახე მე. — ნუთუ ამას ალაბანდა ამბობს? ამაყად ვერა თქვი, ალაბანდა, მაგრამ ამ დროებისთვის ნიშნეულია, რომ ძველი გმირული ხასიათის კაცი მოწყალეებასავით ითხოვდეს პატივს, ხოლო მხურვალე ადამიანურ გულს თბოლივით ენატრებოდეს თუნდ ერთი წვეთი სიყვარულისა.

— ძვირფასო ყმაწვილო! — შემესიტყვა ის. — მეც სწორედ უკვე ძველი კაცი ვარ. ცხოვრება ყველგან ისე ღუნედ მიედინება და თანაც იმ ბერიკაცების ამბავიც, რომლებთანაც გასაწვრთნელად მინდოდა სმირნაში მიმებარებინე...

— ო, რა მწარეა, — დავძინე მე, — ამ კაცსაც რომ შეხედა სიკვდილის ქალღმერთმა, იმ უსახელომ, რომელსაც ადამიანები ბედისწერას ეძახიან.

ლამპარი შემოიჩანეს და ხელახლა დავუწყეთ ერთმანეთს. შეფარვით, მაგრამ სიყვარულით თვალიერება. ძვირფას მეგობარს სახე ძალზე გამოსცვლოდა იმ იმედიან დღეთა შემდეგ. შემოხედვისას, როგორც შუადღის მზე გაცრეცილცაზე, ისე უელავდნენ დიდრონი, მარად მკვირცხლი თვალები დამჭკნარ სახეზე.

— ჩემო კეთილო! — შესძახა ალაბანდამ განაწყენებული მეგობრის კილოზე, რადგან შემამჩნია, რომ ვათვალიერებდი.

— რა გულდაწყვეტილი მიყურებ! კმარა-მეთქი, კეთილლ ჭაბუკო! თავდაც ვიცი, რომ შევიღახე. ო, ჰიპერიონი ძალზე მენატრება რაიმე დიადი და ჭეშმარიტი მოვიმოქმედო და ვიმედოვნებ, შენთან ერთად მე შევძლებ ამას. მთელი თავით მალლა დგახარ ჩემზე, უფრო თავისუფალი და ძლიერი ხარ, ვიდრე ყოფილხარ ოდესმე და აკი ხედავ, ეს ამბავი მე სულითა და გულით მახარებს. მე გამომშრალი მიწა ვარ და შენ შხაპუნა წვიმასავით მომეკვლინები... ო, რა კარგია, რომ შენ აქა ხარ!

— ჩუმად იყავი, — ვუთხარი მე. — თორემ ლაპარაკით თავგზას ამიბნევ, ამასთანავე საკუთარ თავზე სულ არაფერი არ უნდა გვეთქვა, ვიდრე ცხოვრებას ვეკვეთებოდეთ; ჯერ მოქმედება არ დაგვიწყია.

— სწორედ რომ მართალს ამბობ, — მზიარულაჲ შესძახა ალაბანდამ. — როცა მონადირის ნესტვი დასჭექს, მაშინდა გრძნობ კაცი თავს მონადირედ.

— მერედა, მალე დადგება ეს დრო? — შევეკითხე მე.

— მალე, — შესძახა ალაბანდამ, — და გარწმუნებ, ძმაო, რომ მაგარ ცეცხლს გავაჩაღებთ. ეჰ! დაე, მისი ალი კოშკის თავს მისწვდეს და ანძაზე რვალის აფქიო დაადნოს, დაე, იმდენ ხანს იგიზგიზოს და იბობოქროს, ვიდრე მთელი ნაგებობა გაიბზარება და დაემხო! ოდონდ მოკავშირეებს ნუ დამიწუნებ. მშვენივრად ვიცი, რომ კეთილი რუსები სიამოვნებით გამოგვიყენებდნენ საზარბაზნე ზორცად, მაგრამ ეს არაფერი! როგორც კი ჩვენს ბრგე სპარტილებს შემთხვევა მიეცემათ იგრძნონ, რანი არიან ანდა რა ძალუბთ, როგორც კი პელოპონესს დავიპყრობთ, ჩრდილოეთ პოლუსს მაშინვე პირში შევქირქილებთ და ჩვენს ცხოვრებას ჩვენებურად მოვაწყობთ.

— ჩვენებურად მოვაწყობთ, — აყვევი მეც, — ახალ, ღირსეულ ცხოვრებას მოვაწყობთ. ვინა ვართ განა — ჭაობში შობილი მოციალე შუქი თუ სალამინთან გამარჯვებულთა შთამომავალნი? ისეთი რა მოხდა? როგორ იქეცი პირფარეშად, თავისუფალო ბერძნულს სულო? როგორ დაკნინდი აგრერიგად, ჩვენი მამების ნათლო თაობავ, იუპიტერის და აპოლონის წმინდა ხატება აკი ასლი იყო შენი

ოდესღაც. მაგრამ ყური დამიგდე, იონიის ზეცავ! ყური დამიგდე, მშობელო მიწავ! რომელიც ნახევრად შიშველი მათხოვარვით ძველი დიდების ფალასფულასითღა იფარავს ტანს, მე მეტს ვეღარ მოვითმენ ამას!

— ო, მზეო, ჩვენო გამზრდელო! — შესაბა ალაბანდამ. — შენ ნახავ, ჩვენი სიმაძაცე ღვაწლში როგორ იმატებს, როგორ გამოსჭედს რკინასავით ჩვენს წამოწყებას ბედისწერის უროს დარტყმები.

ერთიმეორეს ვადფრთოვანებდით.

— და ყველა ლაქას მოვიცილებთ, — დავძინე მე, — ყოველ უბეშ ფარსს, რომლითაც ჩვენმა საუკუნემ ისე წაგვბილწა, ბრბო რომ კედლებს წაბილწავს ხოლმე!

— ოჰ, შესაბა ალაბანდამ, — კარგია ომი სწორედ ამიტომ...

— სწორია, ალაბანდა, — დავუდასტურე, — ისევე, როგორც ყოველი დიადი საქმე, რომელშიაც ადამიანს ძალა და გონება ეხმარება და არა ყავარჯენი ან ფრთა ცვილისა. მაშინ გავიძრობთ მონის ტანსაცმელს, რომელზედაც ბედისწერამ თავისი დამლა ამოშანთა...

— მაშინ ჩირადაც აღარ ჩავაგდებთ ამასა და თავსმოხვეულ ამბებს, — წამოიძაბა ალაბანდამ, — ზიზილ-პიპილეების გარეშე, ბორკილებაცრილნი გავწევთ ჩვენი მიზნისაკენ, შიშველნი, როგორც მორბენალნი ნემეაში ასპარეზობისას.

— იმ მიზნისაკენ, — შევძახე მე, — სადაც ახალგაზრდა თავისუფალი სახელმწიფო ირიჟრაჟებს და საბერძნეთის მიწიდან მშვენიერების პანთეონი მკვდრეთით აღსდგება.

ალაბანდა ერთხანს სდუმდა. სახე ვარდისფრად ვადვივებოდა, მხრებში გაშლილიყო და უფრო მაღალი ჩანდა, როგორც მცენარე წვიმის შემდეგ.

— ო, სიჭაბუკევე, სიჭაბუკევე! — შესაბა მან. — მაშინ დავეწაფები შენს წყაროს, მაშინ მომწყურდება სიცოცხლე და სიყვარული. როგორ მახარებ, დამეულო ცავ, — განაგრძო მან შეზარხოშებულებით და თან ფანჯარასთან მივიდა, — ვაზის ფანჩატურავით გადმომდგომია შენი კამარა და ვარსკვლავები დახუნძლულან, როგორც მტევნები.

ჰ ი ჰ ე რ ი ო ნ ი დ ი ო ტ ი მ ა ს

ჩემი ბედი, რომ გახურებულ მუშაობაში ვარ, თორემ სისულელეს სისულელეზე ჩავიდინდი, ისე სავსეა ჩემი სული, ისე მაჯადოებს ეს არაჩვეულებრივი ამაყი კაცი, რომელსაც, ჩემს ვარდა, არავინ უყვარს, და რომელიც მხოლოდ ჩემს წინაშე თუ მოიხრის ქედს, თუკი საერთოდ ძალუძს ვინმეს წინაშე ქედი მოიხაროს. ო, დიოტიმა! ალაბანდამ იტირა და ბაღლივით მთხოვდა მიმეტყუებინა ის, რაც სმირნაში დამიშავა.

მერედა, განა ვინა ვარ, ჩემო კარგებო, რომ ჩემიანებს გიწოდებო, რომ თავს უფლებას ვაძლევ ასე ვთქვა: ჩემები არიან-მეთქი, რომ დამპყრობელივით ჩავმდგარვარ თქვენს შორის და ნადავლივით გულში გიხუტებო.

ო, დიოტიმა! ო, ალაბანდა! კეთილშობილო, მშვიდო, დიადო ქმნილებებო! რა სრულყოფილებას უნდა მივადწიო, თუკი არ მსურს ჩემი ბედნიერებისაგან, თქვენგან ოცნებულ გიქნა?

ის იყო, ამ ბარათსა გწერდი და შენი წერილიც მივიღე, საყვარელო.

არ დაიდარდო, სულო, არ დაიდარდო! დაზოგე თავი, დაიცავი კაემნისაგან, სამშობლოს მომავალ დღესასწაულთათვის! დიოტიმა! ბუნების მგზნებარე ზეიმთათვის დაზოგე თავი და დმერთთა მხიარულ დღეობათათვის!

განა არ ხედავ უკვე საბერძნეთს?

ო, განა არ ხედავ, გახარებულნი ახალი მეზობლებით, როგორ უღიმიან ზვეიდან მარადიული ვარსკვლავები ჩვენს ქალაქებსა და ჭალებს, უხუცეს ზღვას კვლავაც როგორ აგონდება მშვენიერი ათენელები, როს ნაპირზე მხიარულად მოსეირნე ჩვენს ხალხსა ხედავს, და გიჟმაჟი ტალღებით ისევ ბედნიერება მოაქვს ჩვენთვის, როგორც ოდესღაც თავის რჩეულთათვის?

სულით მდიდარო ასულო! შენ ახლაც ასე ლამაზი ხარ! მაშ, როცა საღი ჰავით ისაზრდოებ, მაშინ როგორი სიტურფით გაიფურჩქნები?

რაც წახვედი, მეტწილად შინ ვიყავ ჩაკეტილი, საყვა-
რელო ჰიპერიონ! მარტო დღეს გავედი გარეთ.

თებერვლის სათუთ ჰაერზე სასიუცხალო ბალები მო-
ვიკრიბე და რაც შევკრიბე, სულ ჭენ გიგზავნი. ძალზე მე-
სალობუნა ზეცის სითბო და სივისკასე და — რასაც მე ასე
განვიცდი — მცენარეული სუქყაროს სანეტარო განახლება,
ხალასი და მარად ერთი და იგივე; აქ ყველაფერი ისუდრება
და მერმე ისევე ხარობს თავ-თავის დროზე.

ჰიპერიონ, ო, ჩემო ჰიპერიონ! რატომ ჩვენც ასე
უჩუმრად არ განვვლით ჩვენი ცხოვრების გზას? ზამთარი და
გაზაფხული, ზაფხული და შემოდგომა წმიდათაწმიდა სიტყ-
ვებია. ჩვენ კი მათ არა ვცნობთ. განა შეცოდება არ არის,
თუ დავნადვლიანდებით გაზაფხულის უამს? მაშ, რატომ-
და ვეძლევიტ ხოლმე ჩვენ მწუხარებას?

მომიტივე! მიწის შვილები მარტოოდენ მზით სულდგმუ-
ლობენ; მე კი შენით მიდგია სული, მე სხვა რამ მახარებს
და რაა გასაკვირი, დადონებითაც სხვა რამ მადონებდეს?
მაგრამ მაქვს კი საბაბი? ნუთუ მაინც უნდა ვინადვლო?

ჩემო ვაყვაცო! ჩემო საყვარელო! რად უნდა დავჭკნე,
როცა შენ ბრწყინავ? გული რისთვის უნდა ვავიწვრილო,
როცა შენ გითრთის გამარჯვების წყურვილისაგან ყოველი
ძარღვი? უწინ რომ შემეტყო, ვიდაც ბერძენი ჭაბუკი აპი-
რებს თავისი კეთილი ხალხი სამარცხვინო ხვედრისაგან იხს-
ნას და მის მშობელ დედას, მშვენიერებას, უკან დაუბ-
რუნოსო, რარიგ შევიშმუშნებოდი, ბავშვობის ძილიდან
გამორკვეული და გაოცებული, რარიგ გამიტაცებდა ამ ძვირ-
ფასი მოყმის ხატება! ჰოდა, ახლა, როს ის ჭაბუკი მო-
მეგლინა, როს ის ჩემია, როგორღა ვტირი? ო, ქალის
ჭკუა! განა ცხადში არ ხდება ეს ყოველივე? განა ის მზე-
ჭაბუკი ჩემი არ არის? ო, სვებენიერი ხანის აჩრდილნო!
ო, სანეტარო მოგონებებო!

ისეთი გრძნობა მაქვს, თითქო გუშინ იყო ის ჯადოსნუ-
რი საღამო, როს წმინდანით სპეტაკი, უცხო მოყმე მე მო-
მეგლინა, როს მწუხარე გენიასავით შემობრწყინდა ის ტყის

ჩეროში, სად უდარდელი გოგონა იჯდა, ახალგაზრდული ოცნებით გართული... იგი მაისის სიოს თან მოჰყვა, იონიის ჯადოსნური მაისის სიოს, რომელმაც იგი კიდევ უფრო მომხიბლავი გახადა ჩემთვის: მას კუთვულებად თმა დაუშალა, კოკობ ვარდივით გაუპო ბაგე. კაემანი წარუხოცა, ღიმილი მოჰფინა და ჰოი, სხივნო ზეცისა! მისი გაცისკროვნებული თვალებიდანაც გამოკრთოდით თქვენ, ამ მომხიბვლელი ტბებიდან, სადაც უპეტა ჩრდილში მარადიული სიცოცხლე ციგ-ლიგებს, ღელავს!..

კეთილს დმერთებო! როგორ დამშვევინდა, როცა მან მზე-რა მე მომაპყრო! ლამის ერთი მტკაველით გაიზარდა ეს ჭაბუკი, ოდნავ დაძაბული იდგა და მხოლოდ საყვარელი მკლავები დაეშვა მორცხვად, იტყოდით, ხელები სულაც არ სჭირდებო! შემდეგ თვალები მაღლა აღაპყრო მან აღტყინებით, თითქო ზეცაში ავფრინდი და იქ აღარ ვიყავ. მაგრამ აჰ! მაშინვე ისევ აღმიქვა მასთან მყოფი, გულითადად, მომხიბლავად გამიღიმა, გაწითლდა და ცრემლებისაგან ამღვრეულ თვალებში ფეხოსის მზერამ გაიელვა, რომლითაც მეკითხებოდა: „ეს შენა ხარ? მართლა შენა ხარ?“

ნეტავი რად იყო ჩემთან შეხვედრისას ასე სათნო, ასე აღსავსე ცრუმორწმუნოებრივი სიყვარულით? თავჩაქინდრული რად მოვიდა? ეს ღვთაებრივი მზეჭაბუკი რად იყო ასე გულგასენილი? მისი გენია ერთობ მაღლიანი გახლდათ, რომ მარტოსული დარჩენილიყო, ხოლო ქვეყანა ერთობ ღუბჭირი, რომ მისი გაეგო. ო, რა საამო სახე ჰქონდა, სიღიადითა და ტანჯვით ნაქარგი! მაგრამ ამჟამად შეიცვალა სულ ყველაფერი, მის სატანჯველს ბოლო მოედო! საქმე გაუჩნდა, დავრდომილი და სნეული ის აღარ არის!..

ობვრითა და ვაებით დავიწყე ეს ბარათი, სატრფოვ ჩემო, ახლა კი ხალასი სიხარული ვარ! ამრიგად, შენზე ლაპარაკი მახედნიერებს. და აი, ნახავ, ასე იქნება მარად. მშვიდობით!

კეთილად აღვნიშნეთ შენი დღეობა, ჩემო მშვენებავ! შოვასწარით, ვიდრე შეხლა-შემოხლა დაიწყებოდეს. ღვთა-ებრივი დღე იყო. სათუთმა გაზაფხულმა გადმოიქროლა და ამობრწყინდა აღმოსავლეთიდან, შენი სახელი გამოგვტყუა, ისევე როგორც ხეებს ყვავილი, და ტრფობის მთელი სანე-ტარო ხვაშიადი აღმოხდა სულსა. ჩვენდაგვარი სიყვარული ჩემს მეგობარს ჯერ არასოდეს არ მოვლენია და მე მით ვი-ყავ აღტაცებული, რა ყურადღებით მისმენდა მუდამ ეს გულ-ამაყი ვაჟკაცი და თვალანთებული, გონებადაძაბული ლა-მოხდა შენი სახე და ხასიათი წარმოედგინა.

— ოჰ, — წამოიძახა ბოლოს ალაბანდამ, — მაშ, ღირს კიდევაც ბრძოლა ჩვენი საბერძნეთისთვის, რაკი მის მიწა-წყალზე ასეთი ყვავილები კიდევ ხარობენ!

— რა თქმა უნდა, ჩემო ალაბანდა, — ვუთხარი მე, — ჩვენ სიხარულით მივდივართ საბრძოლველად, ზეციური ცეცხლი გვეწევა საგმირო საქმეებისაკენ, რადგან ასეთ ქმნი-ლებათა ხილვით ანაღვარდული სულისკვეთებით ვიმსჭ-ვალებით. ასეთ დროს ხომ წვრილმან მიზნებს აღარ ასდევ ადამიანი, თავს აღარ იტკივებ მიეთხოვით და სულს არ ივიწყებ, თასის ეშხით აღარ სვამ დვინოს; ჩვენ მხოლოდ მაშინ დავისვენებთ, ალაბანდა, როდესაც გენიის ნეტარება საიდუმლო აღარ იქნება, მხოლოდ მაშინ, როდესაც ყვე-ლას თვალები ისე გაუცისკროვნდება, როგორც ტრიუმფის თაღწეში მომავალთ, როდესაც კაცობრიული სულისკვეთება, ამდენ ხანს რომ გამქრალი იყო, ამობრწყინდება შეცდომე-ბისა და ტანჯვა-წამების მიღმა, და გამარჯვებით აღტყინ-ებულნი მოშობლიურ ეთერს მიესალმება. აჰ! მომავალში ჩვე-ნი ხალხი მარტო დროშით არ უნდა იცნონ, ყოველმხრივ უნ-და განახლდეს იგი და ძირფესვიანად გარდაიქმნეს; სერიო-ზული უნდა ჰქონდეს მას სიხარული და სახალისო სამუშაო! თვით უმცირესი ყოველდღიური საქმეები ნუ გაკეთდება უსულგულოდ და უღმერთებოდ! ჩვენმა სიყვარულმა და სი-ბოღვილმა, ჩვენმა ყოველმა სიტყვამ უნდა გააწილოს სულ-

მდაბალთა სამყარო და არაფერმა, თუნდ ერთი წამითაც კი, არ უნდა მოგვაგონოს დუხჭირი წარსული!

ჰ ი პ ე რ ი ო ნ ი დ ი ო ტ ი მ ა ს

ვუღკანი სადაცაა ამოქმედდება. თურქები კორონსა და მოდონში⁹⁴ არიან გარემოცულნი და ჩვენ ჩვენი მთიელებით პელოპონესისავენ მივებართებით.

ჩემს უგუნებობას ბოლო მოედო, დიოტიმა, და სუულით უფრო მტკიცე და ჩაუქი გავხდი მას შემდეგ, რაც ვაზურებულ საქმიანობაში ვარ; წარმოგიდგენია, ახლა დღის განრიგიც კი მაქვს.

მზის ამოსვლით იწყება იგი. გარეთ გამოვდივარ და ტყეებს მივაშურებ, სადაც ხეების ჩრდილში ჩემი ლაშქარი დანებს ათევს, ვესალმები ათასობით ნათელ თვალს — დიდხელი ნეომრები ჩემს გამოჩენაზე თვალებს ახელენ და მეგობრულად შემომცქერიან. ჯარი, რომელიც იღვიძებს! მისი ბადალი არა ვიცი რა, ქალაქებისა და სოფლების მთელი ცხოვრება მასთან შედარებით ნაყარია მზოლოდ ფუტკარისა.

აღამიანი ვერ უარჰყოფს, რომ ის ოდესღაც ბეჰნიერი იყო ტყის ირემივით. უთვალავი წლის შემდეგაც გენობტრება ის პირველყოფილი ხანა, როს თვითეული აღამიანი დემოთივით დააბიჯებდა დედამიწაზე, ვიდრე რაღაცამ — არ ვიცი, სახელდობრ რამ — თვინიერი განადა იგი და ვიდრე ქვის კედლებისა და მკვდარი ხის ნაცვლად საწყაროს სუულით, წმინდა ჰაერით იყო ყველგან გარემოცული.

დიოტიმა! ხშირად უცნაური გრძნობა მეუფლება, როდესაც ჩემს უდარდელ მეომრებთან შემოვლაზე ვარ და ისინიც, თითქო მიწიდან ამოიზარდნენო, ერთიპეორის მიყოლებით ფეხზე დგებიან და ალიონის შუქზე იზმორეზიან, ბოლო ერთად შექურჩულ მებრძოლთა შორის კოცონის ალი ტუაცა-ტკუცით მაღლა მიილტვის, გვერდით დედა უზის შეციფნული ჩვილით ხელში, ზედ კოცონზე კი ნუგბარი კერძი დუღს. ცხენები გრძნობენ დღის მოახლოებას, ფრუტუნებენ და ჭიხვინებენ, ტყე ბუბუნებს ზარზეიმა საომარი მუსიკისაგან, ირგვლივ იარადი ელავს, ჩხარუნებს... მაგრამ

ეს მხოლოდ ლიტონი სიტყვებია, ამგვარი ცხოვრებით მოგვ-
რილ სიხარულს კაცი ვერ აღწერს.

შემდეგ რაზმი მხიარულად იყრის თავს ჩემს ირგვლივ
და საოცარია, რარიგ მცემენ პატივს ყველაზე ხნიერნიც და
კერპჯიუტნიც, მიუხედავად იმისა, რომ ასე ახალგაზრდა
ვარ.

შინაურულ მასლაათს ვაბამთ და ზოგი ჰყვება, თუ რამ
გადახდენია ცხოვრებაში. გული მეკუმშება, ზოგიერთის
ხვედრს რომ ვისმენ. შემდეგ მე ვიწყებ უკეთეს მომავალზე
ლაპარაკს. თვალები უფართოვდებათ და უბრწყინავთ, როდე-
საც იმ კავშირს ვახსენებ, რომელმაც ჩვენ უნდა გავგაერთი-
ანოს და მათ წინაშე მომავალი თავისუფალი სახელმწიფოს
ამაყი ხატება ისახება.

ყველა ერთისათვის, -ერთი ყველასათვის! ამ სიტყვებში
საამური აზრია და ჩემს ხალხს სულ უფრო და უფრო იტა-
ცებს იგი, თითქო ეს იყოს ღმერთების მცნება. ო, დიოტიმა!
როდესაც ხედავ, იმედი როგორ ალბობს განრიოკებულ ბუნე-
ბას კაცისას, როგორ ძალუმაღ იწყებს ცემას მისი მაჯა და
ახალი გეგმები მოღუშულ შუბლს როგორ უხსნის და უცის-
კროვნებს, როდესაც დგახარ რწმენითა და სიხარულით ატა-
ნილ ხალხში, ეს ხომ უფრო მეტია, ვიდრე ზეცის, დედამიწის
და ზღვისა ჭვრეტა.

მერმე შუადღემდე იარადის ხმარებასა და მწყობრად სია-
რულში ვავარჯიშებ. მხიარული გუნებ-განწყობილება მათ
სწავლაში ეხმარება, მე კიდევ მათს წვრთნაში. ხან მიჯრილ,
მაკედონურ მწყობრში დგანან და მხოლოდ მკლავს ამოძრა-
ვებენ, ხანაც სწივებივით იშლებიან და მედგრად იბრძვიან
ცალკეულ ჯგუფებად — მარჯვედ იყენებენ ძალას შექმნილი
მდგომარეობის შესაბამისად და ყველა თვითონ არის საკუ-
თარი თავის მხედართმთავარი. შემდეგ ისევ სამშვიდობოზე
იყრინან თავს და იარადით ასე როკვის დროს, გინდ იმოძრაონ,
გინდ ერთ ადგილზე იდგნენ, მუდამ მათაც და მეც ტირანის
მსახურნი და ნამდვილი ბრძოლის ველი გვიდგას თვალწინ.

შემდეგ, როდესაც მზე მაგრად დააჭერს, ტყის ტევრში
საბჭო იკრიბება, და საამურიც დინჯად და გამჭვრიახად დიადი
მომავლის განჩინება. ჩვენ თავს ვიზღვევთ შემთხვევითობი-

საგან, ვჭედთ ჩვენს ბედ-იღბალს. წინააღმდეგობას ვირჩევთ ნებისმიერს, მოწინააღმდეგეს ვაიძულებთ ის ჩაიდინოს, რა-ზედაც ჩვენ მზადა ვართ, ანდა სიფრთხილეს ვირჩენთ, თავს ვიკატუნებთ, თითქო შევედრკით და მტერს ახლო ვუშვებთ, ვიდრე თავს მოგვიშვერდეს დარტყმებისათვის, ან კიდევ სწრაფი იერიშით ვაბნევთ და ეს გახლავთ ჩემი პანაცეია.⁵⁵ მაგრამ უფრო გამოცდილი აქვინი არაფრად არ ავლებენ ასეთ ყოვლისგანმკურნებელ წამლებს.

რა კარგია მერე, საღამოთი, მზისგან წითლად შეფერილ ბორცვებზე ალაბანდასთან ერთად სახალისოდ იორდა ცხენების ჭენება და მწვერვალებზე სულის მოთქმა, სადაც ნიაფი ფაფარს უწეწავს ბედაურებს და ფოთლების ალერსიანი შრიალი ერევა ჩვენს საუბარში, ვიდრე სპარტის სივრცეებს გავცქერით — ჩვენს საპრძოლო ნადავლს! ხოლო როდესაც უკან დაბრუნებულნი ერთად ვაბნევართ ღამის საამურ სიგრილეში, თასებიდან სურნელი გვცემს და მთვარის შუქი ჩვენს მწირ ვახშამს ანათებს, ჩვენ კი ვდუმვართ პირმოღმარნი, წინაპართა ისტორია ერთბაშად ღრუბელივით ავარდება ხოლმე წმიდათაწმიდა ნიწა-წყლიდან, რომელზედაც დავაბიჯებთ, და რა სანეტაროა, ასეთ წუთებში რომ ხელს გართმევთ ერთიმეორეს!

მერე ალაბანდა ლაპარაკს იწყებს იმ კაცზე, ვისაც ჩვენი საუკუნის მოწყენილობა აწამებს, ლაპარაკობს უცნაურად ჩახლართულ გზებზე, რომელთაც ავლება ცხოვრება იმის შემდეგ, რაც პირდაპირი გზა ჩაიკეტება. მაშინ მაგონდება ჩემი ადამასი, მისი ყარიბობა, მისი მისწრაფება, შეეღწია აზიის გულში... და მაშინ მინდა, რომ დაგუძახო: — ეგ მხოლოდ გაჭირვებისაა, ჩემო ძველო და კეთილო მეგობარო! მოდი და აქ ააგე შენი ახალი ქვეყანა! ჩვენთან ერთად ააშენე! რამეთუ ჩვენი ქვეყანა შენიც არის.

და შენიც, დიოტიმა, ვინაიდან ის შენი ასლია. ო, ნეტავ შეგვეძლოს შევექმნათ ის, რასაც შენ განასახიერებ შენი ელისეიონის სადარი სიმშვიდით!

საწყერ ზედიზედ გავიშარჯვეთ ცვირე ჰერმოლეში, სად მტორები მტერს მეხვიით თავზე დაატყდნენ და ყველა ერთად შემშუსრავ ცეცხლის გენხად იქცა. ნავარინი⁶⁶ ჩვენია და ახლა მისისტრას ციხე-სიმაგრესთან ვდგავართ, რომელიც ძველი სპარტის გადმონაშთია. დროშა, ალბანელთა რაზმს რომ წავართვი, ქალაქის წინ, ერთ ნანგრევზე ავაფრიალე. სიხარულისაგან თურქული ჩალმა ევროტასში გადავაგდე და მას შეიძლევა თავზე მუზარადი მხურავს ბერძნული.

ახლა ისე მწყურია შენი ნახვა, ჩემო გოგონი! შენი ნახვა, ხელებში ხელის ჩაჭიდება და მათი გულში ჩაკვრა, რომელსაც შეიძლება სულ მალე უდიდესი სიხარული ელის! სულ მალე, — შეიძლება ერთ კვირაშიც კი, — გავანთავისუფლებთ ძველ, კეთილშობილ, წმიდათაწმიდა პელოპონესს!

ო, მაშინ, ჩემო საუნჯევ, მასწავლე სათნოება! მაშინ ჩემს მბორგავ გულს ასწავლე ლოცვა! ისე კი, უნდა ვღუძდე, რადგან, აბა, რა გავაკეთე? კიდევ რომ მქონდეს გაცეთებული, რაზეც ლაპარაკს მოვისურვებდი, — ჯერ რაინდენია მისაღწეველი! მაგრამ რა ვქნა, რომ ჩემი ფიქრით მე წინ ვუსწრებ დროის მსვლელობას? ნეტავ პირიქით იყოს, ნეტავი დრო და საქმე ფიქრზე უმალ მიფრინავდნენ წინ და ფრთხილმა გამარჯვებამ თვით იმედსაც კი გადაუსწროს.

ჩემს ალაბანდას ნეფესავით გაბადრია სახე. რაინდენჯერაც კი შეძომხედავს, მის მხერაში მომავალი სამყარო შემომცინის და ეს ერთგვარად მაინც აშოშინებს ჩემს სულწასულობას.

დიოტიმა! მე არ გავცვლიდი ამ მომავალ ბედნიერებას თვით ძველი საბერძნეთის უმშვენიერეს ხანაზეც კი და ჩვენი ყველაზე მცირე გამარჯვება უფრო მახარებს, ვიდრე მართონი, თერმოპილე და პლატეა⁶⁷. განა მართალი არა ვარ? განა ამ გულსათვის გამომრთელების ვინაზე შეიძღვარი ავადმყოფის სიცოცხლე უფრო ძვირფასი არ არის, ვიდრე სიცოცხლე ჯანმრთელი კაცისა, ვინც ავადმყოფობა არ იცის რა არის? ახალგაზრდობა მხოლოდ მაშინდა გვიყვარს, როს ყველი გა-

უდის, და მხოლოდ მაშინ ვართ სულითა და გულით ბედნიერნი, როცა დანაკარგი უკან გვიბრუნდება.

ევროტასის პირას დგას ჩემი კარავი და ნაშუადღევს როს თვალს ავანჯელ, მდინარის მხცოვანი ღმერთი ბუტბუტით მომიხმობს ხოლმე, ნეც დიმილით ვკრეფ ნაპირზე უღაფილებს, მათ მოდიფლიფე ტალღებში ვისვრი და მდინარეს ვეუბნები: — კარგ ნიშნად მიიღე მარტოსული! მაჟე შენს ირგვლივ ძველი ცხოვრება აღორძინდება.

დიოტომა ჰიპერიონს

მივიღე შენი ბარათები, ჩემო ჰიპერიონ, რომელთაც ვზიდან ვწერ. ძალზე ნაღველებს ყველაფერი, რასაც მიაბობ და თუნცა ასე მიყვარხარ, დროდადრო მაინც შენზარავს ხოლმე, როს წარმოვიჯგენ, რომ ნაწი ჭაბუკი, ჩენს ფერხთით რომ ტირილდა ერთ დროს, მენე ვაჯვალად მომეფლინება.

ბერება, სიყვარული არ დაგავიწყდება?

მაგრამ რას ვამბობ! შენი გზით იარე და ნეც მოყვები. ასე მგონია, ჩემი შეტულება შენ რომ შეგეპლოს, მე ამაშიაც შენ ჭოგებაღვედი, ბალას დავატანდი ჩემს საკუთარ თავს და შევბოჟლებდი. ასეთნაირად ჩვენი სულები მაინც ერთმანეთის მსგავსი დარჩებოდნენ. ეს ფუჭი სიტყვები როდია, ჰიპერიონ.

მე თვითონაც ახლა სულ სხვა ვარ, ვიჯრე ვიყავი უწინ. ქვეყანას უღრუბლო მზერით აღარ ვუცქერი და ყოველ სულდგმულს უღარჯელად როდი შევხარი. ჩენს თვალებს მხოლოდ ვარსკვლავთა ვაბადონი იზიდავს კიდეც. სანავიეროდ უფრო სიამოვნებით ვიგონებ ვარდასულ დროთა დიად მოაზროვნებს და იმას, როგორ დაასრულეს მათ მიწიერი სარბიელი; კეთილშობილმა სპარტელმა ქალებმა კი ჩემი გული მოინადირეს. თან არ ვივიწყებ ახალ მცბომოლთაც, იმ მძლეთა მძლეთებს, რომელთა დრო და ჟამი ახლა დადგა. პელოპონესიდან ხშირად მომესმის ზათქი მათი გამარჯვებების, და მე მათ ბუბუნს უფრო და უფრო მკაფიოდ ვარჩევ. ხშირად ვხედავ, ჩანჩქერივით როგორ ეშვებიან ისინი ეპიდაურიის ტყეებში და მათი იარადი შორიდან ელავს მზის შუქზე,

რომელიც ჰეროდლივით თანასდევს მათ, ჰიპერიონ! და შენც მოეშურები ჩემსკენ, კალავრიაში, სალამს უძღვნი ჩვენი ტაფობის სავანეებს — მყუდრო ტევრებს, სალამს მიძღვნი მე და კვლავ უკან მიჰქრინარ, რადგან საგმირო საქმენი გიზ-
მობენ; იქნებ გგონია, ის მაშინებს, რითი დამთავრდება ეს ყოველივე? ჩემო საყვარელო, ზოგჯერ მართლაც ამი-
ტანს შიში, მაგრამ უფრო დიადი აზრები ცეცხლის ალივით ანელეებენ მის სუსსს...

კარგად იყავი! საქმე ისე დაგვირგვინე, როგორც შენ-
მა სულმა გიკარნახოს! ეცადე, ომი ერთობ არ გაჭიანურ-
დეს, მშვიდობის გულისათვის, ჰიპერიონ, მშვენიერი, ახა-
ლი, ოქროს მშვიდობის გულისათვის, როდესაც, როგორც შენ ამბობ, ჩვენს უფლებათა დაცვარში ბუნების კანონე-
ბი ჩაიწერება და როდესაც თავად სიცოცხლე, თავად ღვთა-
ებრავი ბუნება, რომელიც ვერავითარ დავთარში ვერ
ჩაიწერება, საზოგადოების გულში დაივანებს. მშვიდობით.

ჰ ი პ ე რ ი ო ნ ი დ ი ო ტ ი მ ა ს

უნდა დაგეშოშმინებინე, ჩემო დიოტიმა! უნდა გეთქვა,
შეტისმეტად არ ავჩქარებულოყავ, ნაწილ-ნაწილ გამომეძალა
ბედისწერისათვის გამარჯვება, როგორც ძუნწ მოვალებებს
თანხას სცინცლავენ ხოლმე. ო, გოგონი! ერთი ადგილის
ტკეპნა ყველაფერზე უარესია. სისხლი მიშრება ძარღვებ-
ში, ისე მწყურია წინ ვაჭრა და იძულებული ვი ვარ აქ უქ-
მად დავრჩე, მებალყედ ვიდგე და ვიდგე ყოველ ცისმარე ღღეს.
ჩვენს ლაშქარს იერიშზე გადასვლა სწადია. მაგრამ ამან
შეიძლება უფრო გაახელოს ისედაც ფიცხი მეომრები, შეიძ-
ლება წარხოში აუფარდეთ თავში და მაშინ მოგჭამა ჭირი
ჩვენმა იმედებმა, თუ სიშმავე აზვირთდა და დისციპლინისა
და სიყვარულის სადავეები დაგლიჯა.

არ ვიცი, შეიძლება ეს მხოლოდ რამდენიმე ღღე ვაგრ-
ძელდეს კიდევ, მისისტრა უნდა დაგვნებდეს, მაგრამ მინდა
კნა იგი უკვე უკან გვექონდეს მოტოვებული. ჩვენს ბანაკში
ჰაერი ისე შეხუთულია, როგორც მეხის ჩამოვარდნის წინ.
მომთინებას ვკარგავ და არც ჩემი მეომრები მომწონან. რა-
ღაც საზარლად აზირებულან.

თუმცა რა ჭკვიანი კაცის საქმეა, უგუნებობის ასე აყო-
ლა და თან არა ღირს განა ცოტა განწვალდეთ, ოღონდაც ძვე-
ლი ლაკედემონი ავიღოთ.

ჰ ი პ ე რ ი ო ნ ი დ ი ო ტ ი მ ა ს

მორჩა, დიოტიმა! ჩვენებმა ძარცვა-გლეჯა და ხოცვა-
წლექა განართეს, განურჩევლად ხოცადუნენ ყველას; ჩვენს
უდანაშაულო თანამომძიებესაც კი, მისისტრელ ბერძნებს,
ხოლო ვადარჩენილნი უმწეოდ დაეხეტებთან და მათი გატან-
ჯული, უსიცოცხლო სახეები ცასა და დედანიწას მოუბმობენ
ბარბაროსებზე შურის საძიებლად, რომელთა მეთაურიც მე
ვიყავ.

აბა, მიდი ახლა მათთან, თუ ვაჟყავი ხარ, და შენი
კეთილი საქმე უქადაგე! მაშინვე არ მომეგებებიან გულგა-
დახსნილნი!

ისე კი, მეც ჭკუის კოლოფი ვარ. ხომ ვიცოდი ჩემი
მეომრების ამბავი. ამ ყაჩაღთა ჯგროს მეშვეობით ელისფ-
იონის დანგრევა ჭეშმარიტად უჩვეულო განზრახვა იყო.

არა! წმინდა ნემესიდას ვფიცავ, რომ ახია ჩემზე და
ამიტომ მინდა მოვითმინო, იქამდე მოვითმინო, ვიდრე ტკი-
ვილი გონების უკანასკნელ ნატამალსაც წამართმევდეს.

იქნებ გვონია, გაშმაგება მალაპარაკებს? საპატრიო
ჭრილობა მაქვს, რომელიც ერთ-ერთმა ჩემმა თანამოაბჯრემ
მომაყენა, როდესაც იმ საშინელ ამბებს წინ აღვუდექი. შმა-
გად რომ ვიყო, სახვევებს მოვიგლეჯდი და როგორც ჯერ
არს, ჩემი სისხლით მოვრწყავდი ამ მრავალტანჯულ მიწას.

ამ მრავალტანჯულ მიწას, რომელიც მსურდა შეემოსა
წმინდა ჭალებით და მოძერტო ბერძნული ცხოვრების ყველა
ყვაველით.

ო, ეს მშვენიერი იქნებოდა, ჩემო დიოტიმა!

უილაჯოს მიწოდებ?! ძვირფასო გოგონი, ერთობ მოზ-
ღვადა უბედურება. ყოველი მხრიდან აქეთ მოიწევენ მძვინ-
ვარე ურდოები, შავი ჭირივით მოსდებიან ძარცვა-გლეჯა
მორეას⁸ და ვინც მახვილს ხელსაც კი არ ჰკიდებს, მას სდევ-
ნიან, ჰკლავენ და თან გაათრებულნი გაიძახიან: თქვენი
თავისუფლები სათვისი ვიბრძვიით. ამ გაველურებულ ბრბო-

ში სჯულთნის მიერ ნოსყიდულნიც ურევინ და ისინიც, რასაკვირველია, ამასვე სჩადიან.

ეს-ეს არის შევიტყვე, რომ ჩვენი უკეთური ლაშქარი დაშლილა. ეს ლაჩრები ტრიპოლისასთან³⁹ ალბანელთა რაზმს გადაჰყრიან, რომელიც რიცხვით მათ ნახევარს თუ შეადგენდა, მაგრამ ვინაიდან სათარეშო და ასაკლები არაფერი იყო, ეს გარეწობები ყველანი გამოქცეულან. რუსები — მათმა ორპოცმა ჩაუქმა ჯარისკაცმა ჩვენთან ერთად გამოლაშქრება გაბედა — მარტონი უმკლავდებოდნენ თურქე ერთხანს, მაგრამ ყველანი დაუხოციათ.

ამრიგად, ისევ მარტო დავრჩი, როგორც უწინ, ჩემს ალბანდასთან ერთად. მას შემდეგ, რაც ჩემმა ერთგულმა მეგობარმა მისისტრაში ბრძოლისას დამინახა, რომ დაჭრილი დავეცი და სისბლნი ვცურავდი, ყველაფერი დაივიწყა: იმელები, განარჯვების წყურვილი, სასოწარკვეთილება; გააფთრებული დაერია მოთარეშეებს, ვითარცა შურისმგებელი ღმერთი, შემდეგ კი ფრთხილად გამომიყვანა სამშვიდობოს და თან ცრემლებით მინამავდა ტანსაცმელს. ალბანდაც იმ ქობში დარჩა, რომელშიც მას შემდეგ ვიწეკი, და ახლა ეს განსაკუთრებით მახარებს, რადგან ლაშქარს რომ გაჰყოლოდა, ტრიპოლისასთან თავს წააგებდა.

ამიერიდან რა ამბები დატრიალდება, არ ვიცი. ბედი ბნელით მოცული განსაცდელისაკენ მიმაქანებს და ახიცაა ჩემზე. შენგან კი სირცხვილი მღეგნის და ვინ უწყის, რამდენი ხნით?

ეჰ, მე საბერძნეთი აღვითქვი და ნაცვლად ამისა ჩემს ჩვილს ისწენ. ნუგეში ეც საკუთარ თავსა!

მ ი პ ე რ ი ო ნ ი დ ი ო ტ ი მ ა ს

დანა პირს არ მიხსნის.

სიამოვნებით ლაპარაკობ, ჩიტივით ყლურტულებ, ვიდრე ქვეყანა მისის სიოსავით გელამუნება; მაგრამ შუადღესა და საღამოს შორის შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს, თუმაცა კაცმა რომ თქვას, განა რა დავკარგე?

დამიჯერე და განსოვდეს, სულის სიღრმიდან გეუბნები

ამას: ენა ზღვივები ფუფუნებაა. საუკეთესო ხომ მუდამ თვითმყოფადია და სიღრმეში იმალება, როგორც მარგალიტები ზღვის ფსკერზე. ისე კი, კაცმა რომ თქვას, მე მინდოდა მომეწერა, რომ ვინაიდან ნაბატს ჩარჩო უნდა ჰქონდეს, — ასეა იმთავითვე მიღებული, — ხოლო ვაჟკაცს ყოველდღიური სამუშაო, მსურს ერთხანს რუსების ფლოტში ვიშასურო კიდეც, რადგანაც ბერძნებთან აღარაფერი არ მესაქმება.

ო, ძვირფასო გოგონი, ჩემს ირგვლივ უკუნეთია ჩამოწოლილი!

მ ი შ ე რ ი თ ნ ი დ ი ო ტ ი მ ა ს

ვყოყანობდი, ვიბრძობდი, ნაგრამ ბოლოს და ბოლოს, დაე, ასე იყოს.

ვხედავ, რაც არის საჭირო და რაბან ვხედავ, ასეც იქნება. ცუდად ნუ განიგებ! ნუ შემაჩვენებ! სწვა გზა არა მაქვს, უნდა გირჩიო, რომ მიმატოვო, ჩემო დიოტიმა.

შენთვის უკვე აღარაფერს არ წარმოვადგენ, სათნო ასულ! გული დამეშრიტა და თვალითაც ცოცხალს ვეღარაფერს ვეღარა ვხედავ; ბაგე შეიხანმა და მკერდშიც უკვე აღარ მიჩქვებს სიყვარულის ტკბილი ჩქერალი.

ცრთმა დღემ წაიღო მთელი ჩემი ახალგაზრდობა; ევროტასთან დაიდგარა ცხარე ცრემლებად ჩემი ცხოვრება, აჰ, ევროტასთან, რომლის ყოველი ზვირთიც მოთქვამს ლაკედემონის ნანგრევების გვერდით ჩაგლისას ჩვენს უსაშველო თავლაფლანხანას. იქ, იქ მომცელა ბედისწერამ... შენ სიყვარული ნუთუ ისე უნდა მომმადლო, ვით მოწყალეა ეძლევა გლახანს?.. მე ისევე ვარ უსახელო, ვითარც მონა, უბადრუკი, გაძევებული, შერვენებული, ვით არამზადა მეთაბობე; და რომელიმე ბერძენი მორეაში აღბათ ოდესმე თვის შვილთა შვილებს ჩვენს საგმირო საქმეებს ისე მოუთხრობს, ვით მძარცველთა თავგადასავალს.

აჰ! ერთ რაწეს გიმაღავდი დიდხანს! მამაჩემმა საზეიმოდ შემრისხა, ერთხელ და სამუდამოდ დამითხოვა სახლიდან, სადაც ყრმობა გავატარე. ჩემთან შეხვედრა აღარ

სწაღია არც ამქვეყნად და არც საიქიოს, როგორც ის ამბობს. ასეთი პასუხი გამოინიჭავენა ბარათზე, რომლითაც ჩენი განზრახვა შევატყობინე.

ოღონდ ახლა თანაგრძნობამ არა და არ შეგაცდინოს. და-მიჯერე, ჩვენთვის ჯერ კიდევ ყველგან მოიძევება სინარტული. ჭეშმარიტი გულისტკივილი აღაფრთოვანებს. ვინც თავის სატანჯველს ფენით შესდგება, ის ამალღდება. და დიდებულია, რომ მარტოოდენ ტანჯვა გვაგრძნობინებს სულიერ თავისუფლებას. თავისუფლება! ვის ესმის ეს სიტყვა... იგი ღრმა მნიშვნელობის შემცველია, დიოტიმა. ასე საშინლად დამცირებული ვარ, ასე გაუგონრად შეურაცხყოფილი, სასოწარკვეთილი, ნიზანდაკარგული და პატივაცარილი, მაგრამ მაინც არის ჩემში რაღაც ძალა, შეუღანავი, რომელიც ტკბილი ჟრუანტელივით ნივლის ძვალ-რბილში, როგორც კი გაიღვიძებს ხოლმე.

თანაც ჩემი ალაბანდაც ისევ გვერდითა ცყავს. მასაც ჩემსავით დასაკარგავი აღარა აქვს რა. ჩემთან რომ ვტოვებ, ამით ზიანს როდი ვაყენებ. ეჰ, ეს მეფური ჭაბუკი ბარე უკეთესი ზვედრის ღირსი იყო! ახლა ისეთი თვინიერი და წყნარი ვახდა. ამის შემყურეს ხშირად ლამის გული გამისკდეს. მაგრამ ერთმანეთით გვიდგას პირში სული. როდი ვეუბნებით რამეს ერთიმეორეს. ან კი რა უნდა ვუთხრათ? მაგრამ მაინც დიდი სიკეთება, რომ წვერილმანი სამსახურით შევბასა ვგვრით ურთიერთს.

აგერ ახლა სძინავს და ძილში კმაყოფილი იღიმება ამ ჩვენი ძნელბედობის მიუხედავად. საწყალი! აბა, რა იცის, რასა ვიქმ, თორემ რას გამიშვებდა! „დიოტიმას უნდა მისწერო, — მოითხოვდა ის ჩემგან, — უნდა უთხრა, რომ სასწრაფოდ აიყაროს და ერთად რომელიმე თქვენთვის მისაღებ ქვეყანაში გადაიხვეწოთ“. მაგრამ მან არ უწყის, რომ გული, რომელიც სასოწარკვეთილებისაგან ისეა გატეხილი, როგორც მისიცა და ჩენიც, სატრფოსათვის არარაობაა. არა! არა! ჰიპერიონთან შენ ვერასოდეს ვერ ჰპოვებ სიმშვიდეს, იძულებული ვახდები უღალატო და სწორედ ამას მინდა გადავარჩინო.

ასე რომ, მშვიდობით, სულზე უტკბესო, მშვიდობით!

ნეტავ შემიძლოს ვითხრა: აქეთ წამოდი ან იქით წადი, იქ ცხოვრება დულს და გადმოდის-მეთქი; ნეტავ შემიძლოს მივითითო თავისუფალი ქვეყანა, სილამაზით აღსავსე და განსულიერებული ქვეყანა, და ვითხრა: იქით გასწიე, ხსნა იქ არის-მეთქი! მაგრამ — ო, ზეცავ! — ეს რომ ბაღში მივსულიყავი, მაშინ მეც სხვა ვიქნებოდი და არც შენთან გამოთხოვება დამჭირდებოდა... გამოთხოვება? აჰ! ველარ ვიგებ, რას ჩავდივარ. ვფიქრობდი, თავშეკავებული და წინდახედული ვარ-მეთქი. ახლა კი თავგზა მიხედავ და გული ლამის საგულედან ამომივარდეს — მოუსვენარი ავადმყოფივით ბორბაღის მკერდში. ვაგლახ, ჩემს უკანასკნელ სიხარულს მე თვითონ ვუღებ ბოლოს! მაგრამ უნდა მოხდეს, რაც მოსახდენია და ჩემი შინაგანი ბუნების ვიშვილი აქ ამათა. ჩემი ვაღია შენს წინაშე, ასე მოვიქცე და თან ისედაც ხომ იმისათვის ვარ დაბადებული, რომ უსამშობლოდ და მიუსაფრად ვიხეტიალო. ო, დედამიწავ! ო, ვარსკვლავებო! ნუთუ ვერსად ვერ ვპოვებ თავშესაფარს ბოლოს და ბოლოს?

ერთხელ კიდევ ვისურვებდი შენს მკერდზე დაკონებას, სადაც არ უნდა ყოფილიყავი! ერთხელ კიდევ აგრეკლილიყავ შენს კამკამა თვალებში! შენს ბავს დავწადებოდი, სანატრელო, ერთ უთქმელო მშვენიერება! შემივსება შენი წარმტაცი სიცოცხლის წმინდა ბადაგი... მაგრამ ნუ მისმენ, გვედრები, ყურს ნუღარ მიგდებ! მე ვიტყოდი, მაცდური ვარ-მეთქი, ეს რომ ყურად იღო. შენ მიცნობ, მიგებ და იცი, დიდ პატივს დამდებ, თუ სინანულს არ მოჰყვები, თუ ყურს არ მათხოვებ.

მეტი აღარ ძალიმიძს, მეტის უფლება აღარა მაქვს... რაღა ქურუმის სიცოცხლე, თუკი დეიწითი აღარა ჰყავს? ო, ჩემი ხალხის გენიავ! ო, საბერძნეთის სულო! უნდა ქვესკნელში ჩავეშვა, უნდა მკვდრების სასუფეველში დავიწყო ძებნა.

შ ი ჰ ე რ ი ო ნ ი დ ი ო ტ ი მ ა ს

გამოგიტყდები, დიდხანს ველოდი, მენატრებოდა, იმედი მიქონდა, რომ შენ გულითად გამოსათხოვარ სიტყვებს

ჯამიეტეზელი, მაგრამ სდუმხარ. თუმც ესეც შენი მშვენიერი სულის ენაა, დიოტიმა.

ხომ მართალია, წმიდათაწმიდა აკორდები ამის გამო არ შეწყდებიან? ხომ მართალია, დიოტიმა, თუნდ ჩაქრეს ნაზი მთვარის შუქი ჩვენი ტრფობისა, კვლავაც სულ მუღამ ივიაგებენ ფარსკვლავები მის მაღალ ცაზე? ო, ჩემი უკანასკნელი სიხარულიც ხომ ის არის, რომ განუყრელნი ვართ, თუმცა შენგან ჩქამიც ვერ აღწევს ჩემამდე, თუმცა ჩვენი სამური სიყმაწვილის დღეთა ლანდიც კი აღარასოდეს არ დაბრუნდება!

დაისისაგან წითლად შეფერილ ზღვას გავცქერი, მკლავებს ვიწვდი იმ მხარეს, სადაც შენ ცხოვრობ, ჩემგან შორს, და სული ჩემი კვლავ თბება სიყვარულის და ახალგაზრდობის სიამით.

ო, დედამიწავ, ჩემო აკვანო! რამდენ ნეტარებას, რამდენ ტანჯვას განვიცდიო, როს შენ გეთხოვებით.

თქვენ, იონიის მშვენიერო კუნძულებო, და შენც, ჩემო გალაცრია, შენც, ჩემო ტენოს, ყველანი თვალწინ მიდგახართ, თუმცა შორსა ხართ ჩემგან, და ჩემი სული ნიავთან ერთად თქვენსკენ მოჰქრის მოდგაფუნე ზვირთების თავზე; და თქვენც, თეოსისა და ეფეოსის ნაპირებო, იქვე, შორიანლო, ბინდბუნდში რომ ძლივს სჩანხართ, სადაც მე ოდესღაც, იმედთან დღეებში, დავეხეტებოდი ალაბანდასთან ერთად, თქვენ უწინდებური თვალით გიყურებო, მინდა თქვენს ნაპირზე გამოვცურო, თქვენს მიწას ვემთხვიო, მკერდით გაფათხო და უტყვ ნიადაგს ტკბილი დუღუნით გამოვესალმო, ვიდრე შორეთში ვაფრინდებოდე.

ვაგლახ, ვაგლახ, რომ უკეთესობა არაფერს არ ეტყობა ვაცთა მოდგმაში, თორემ სიამოვნებით დაფრჩებოდი ამ საუკუნო პლანეტაზე. მაგრამ მე ძალმიძს შეველიო კიდევ დედანიწას, თუმცა შესაძლებელ სამყაროთაგან იგი ყველაზე სრულყოფილია.

— ო, შვილო, ეგებ მზის ნათელმა მოგვათმენინოს მონობა, — უთხრა დედამ პოლიქსენეს¹⁰⁰ და ამაზე ლამაზად სიცოცხლის სიყვარული ვერ ამეტყველდებოდა. მაგრამ სწორედ მზის ნათელია, მონობას რომ უკუმაგდებინებს. ისაა,

რომ პატივპყრილ მიწაზე აღარ მარტყრებს და კურთხეული სხივები ისე მიწიდავენ, როგორც მშობლიური მხარისაკენ მიმავალი ბილიკები.

ღიღი ხანია ბედისწერის ურჩი სულის სიდიადეს უფრო ცხოველმყოფლად შევივრბნობ, ვიდრე სხვა რამეს; ზოგჯერ საკუთარ თავში ჩაფლულს მარტოსუღივით მიცხოვრია დიღე-ბულაღ. მიჩვეული ვარ გარეგანი ამბები ისე ჩამოვიბერ-ტყო, როგორც თოვლის ფიფქები; მაშ, რატომღა უნდა ვუფრთხოდე ეგრეთ წოდებულ სიკვდილს? განა ათასგზის არ განვთავისუფლებულვარ გუნებაში? მაშ, რატომღა უნდა გადავდო ამის აღსრულება სინამდვილეში? ნუთუ ყმები-ვითა ვართ მიჯაჭვულნი მიწაზე, რომელსაც ვხნავთ? ნუ-თუ შინაურ ფრინველებს ვგევართ, რომლებიც ეზოდან ვერ გარბიან, რადგან საკენკს იქ უყრიან? არა, ჩვენ ორბის მართვეებსა ვგევართ, მამა ბუდიდან რომ გარეკავს, რათა თვალშეუღვამი ეთერში ეძიონ ნადავლი.

ხვალ ჩვენი ფლოტი ბრძოლაში ებმება და შეტაკება დაიხატვ ცხარე იქნება. ამ შერკინებას განბანვად მივიჩნევ, მინდა მტვერი ჩამოვირეცხო; ჰოდა, ვპოვებ კიდეც, რასაც ვეძიებ; ისეთი სურვილი, როგორიც ჩემია, აღრე და მალე ახლებს ზოლმე. ამრიგად, ბოლოს ერთ რამეს მაინც მივალ-წევ ჩემი ლაშქრობით და ვნახავ, რომ კაცთა შორის გარჯა ამჟამად არ იკარგება.

სათნო სულო! მინდოდა მეუბოგა: შენდობა მითხარი, როს ჩემს საფლავზე მოხვალ-მეთქი. მაგრამ აღბათ ზღვაში გადაჰაგვებენ და მეც არ მიმძიმს, როცა წარმოვიდგენ, რომ ჩემი ნეშტი იქ ჩაიძირება, სადაც თავს იყრიან ჩემი საყვარელი წყაროები და მდინარეები, საიდანაც საავდრო ღრუბელი აღის მალლა და ჩემს საყვარელ მთა-ბარს არწყულეპს, ხოლო ჩვენ? ო, დიოტიმა! დიოტიმა! როდის ვიხილავთ ჩვენ კვლავ ერთმანეთს?

ეს შეუძლებელია და მთელ ჩემს არსებას აღშფოთება იპყრობს, როდესაც ვფიქრობ, რომ ერთმანეთს ვკარგავთ. ათასეულ წლებს ვიბეტიალებდი ვარსკვლავებში, ყველა ფორმაში განვსახიერდებოდი, ყოველი სულდგმულის ენას ვისწავლიდი, ოღონდ შენ ერთხელ კიდეც შეგზვედროდი ოდეს-მე. მაგრამ ვგონებ, ისგავსი ისგავსსა უმაღვე პპოვებს.

დიდსულოვანო! შენ თავს გაართმევ ამ განშორებას და ამიტომ უფლება მომეც გზას გაფუდგე! სალამი გადაეცი დედაშენს! მოიციტხე ნოტარა და დანარჩენი მეგობრები!

ნიესალმე ხეებსაც, რომელთა ჩეროში პირველად შეგხვდი და გიჟმაჟ ნაკადულებსაც, რომელთა ნაპირას დავსერიწნობდი, ანგელეს ლამაზ ბაღნარებსაც და დაე, საყვარელო, ჩემი ხატება შემოგხვდეს იქ. მშვიდობით.

მეორე წიგნი

ქიპერიონი ბელარმინს

თითქო საამურო სიზნარში ვიყავ, როდესაც შენთვის გადავწერე ჩემი და დიოტიმას ბარათები. ახლა კი ისევ შენა ვწერ, ჩემო ბელარმინ, და სულ უფრო და უფრო ქვევით ჩამყევნარ ჩემი ტანჯვა-ვაეპის ჯურღმულებში, ხოლო მერმე — ჩემს გულისწორთავან უკანასკნელო! — ერთად ამოვიდეთ იმ ადგილას, სადაც ახალი დღის განთიადი შემოგვანათებს.

ბრძოლა, რომელზედაც დიოტიმას ვწერდი, დაიწყო. თურქთა ზონალებმა კუნბულ ქიოსსა და აზიის ნაპირს შუა სრუტეში შეაფარეს თავი და ჩესმეს ყურეში იდგნენ.¹⁰¹ ჩემი ადმირალი თავისი ზონალებით, რომელზედაც მეც ვიყავ, ფლოტილიის საბრძოლო განლაგებიდან წინ გაიჭრა და თურქთა მეწინავე გემს შეუტია. მძვინვარე წყვილი ისე ფიცხად ეკვეთა ერთურთს, ორივე გემმა რყევა დაიწყო. ეს იყო შურისმგებლური, საშინელი შენლა-შემონლა და ზონალები მალე გემსართავებით გადაიხლართნენ. ბრძოლა თანდათან გააფთრებულ ხელჩართულ შეტაკებად გადაიქცა.

სიცოცხლის ღრმა შეგრძნებით გავიმსჭვალე ისევ. სითბომ დამიარა მთელ ტანში და სახსრებში გავიშალე. იმ მომაკვდავივით, ჩემი აგონიის ჟამს უკანასკნელად რომ შეიგრძნობს შვებას, ჩემს სულსაც კვლავ დაუბრუნდა ძალები. და აი, იმით გამწარებულმა, რომ უკეთეს ზვედრს ვერ ვეწიე და ძალით ვეკვლევინებოდი ამ ბარბაროსთა ზროვას, ბრაზისაგან ცრემლმორეული, სწორედ იქით გავქანდი, სადაც უთუოდ სიკვდილი მელოდა.

სულ ახლოს მივიჭერი მტერთან. რუსებიდან, რომლებიც ჩემს მხარდამხარ იბრძოდნენ, თვალის დახამხამებაში აღარავინ დარჩა ცოცხალი, მედა ვიდექი ფეხზე ამაყად და ისე ვთავაზობდი ბარბაროსებს ჩემს სიცოცხლეს, როგორც

გლახას მიუგდებენ ხოლმე ვასაკითხს, მაგრამ ისინი არ მეტანებოდნენ, ისეთი რიდით მიმზერდნენ, როგორც ადამიანს, რომლის ხელის ხლებაც შეცოდებაა, და სასოწარკვეთილს, როგორც ჩანდა, ბედიც მიწყალობდა.

ბოლოს ერთ-ერთმა მათგანმა, რომ აღარ დაგეხსენ, თავდაცვის მიზნით მომიქნია და ისე გამარტყა, რომ იქვე ჩავიგეცე. მას შემდეგ აღარაფერი მახსოვს, ვიდრე ისევ გრძნობას არ მოვედი პაროსზე,¹⁰² სად ნავით გადამიყვანეს თურქე.

მსახურისაგან, რომელმაც ბრძოლიდან გამოცივანა შემდეგომ შევიტყვე, რომ შეტაკების მოთავე ორივე ხომალდი დაშინვე აფეთქდა, როგორც კი მან დასტაქართან ერთად ნაღმი გადამიყვანა და პაროსისკენ ექენით პირი. რუსებმა ცეცხლი წაუკიდეს თურქთა გემს, ხოლო ვინაიდან ხომალდები ქიმებიით იყვნენ ერთმანეთზე მიბჯენილნი, ცეცხლი მათ გემსაც მოედო.

შენ იცი, როგორც დამთავრდა ეს საშინელი ბრძოლა. ასე სპობს-ნეტქი ერთი შხამი მეორეს, შევძახე მე, როდესაც გავიგე, რომ რუსებს თურქთა მთელი ფლოტი გადაუწვიათ,— ასე ანადგურებენ-ნეტქი ტირანები თავიანთ თავს.

შ ი პ ე რ ი ო ნ ი ბ ე ლ ა რ მ ი ნ ს

ბრძოლის შემდეგ ექვსი დღე ცოცხალ-მკვდარი ვიწქეტი სიკვდილის მსგავს ბურანში ვახვეული. ჩემი სიცოცხლე უკუნ ღამეს ჰგავდა, რომელსაც დროდადრო ტკივილები ელვასავით მსჭვალავდა. პირველი, ვინც გრძნობაზე მოსულმა შევიცან, ალაბანდა იყო, როგორც ვადმომცეს, იგი ერთი წამითაც არ მომშორებია, თითქმის სულ მარტოდმარტო მივლიდა, საარაკო რუდუნებითა და სინაზით ზრუნავდა ათასგვარ წვერილმანზე, რითაც უწინ თავს არ იწუხებდა; ხშირად ესმოდათ თურმე, ჩემს საწოლთან მუხლმოყრილი როგორ გაიძახოდა:

— ო, იცოცხლე, ჩემო ძვირფასო, რომ მეც შევიძლო სიცოცხლე!

ეს ბედნიერი გამოდვიძება იყო, ბელარმინ! თვალი გა-

ვახილე, სინათლე აღვიქვი ისევ და ჩემი დიდებული მე-
გობარი გავარჩიე, რომელიც თვალცრემლიანი იდგა ჩემს-
წინაშე — უხაროდა, რომ კვლავ ვხედავდით ერთმანეთს.

ხელი გავუწოდე და ამ გულწვიადმა კაცმა, სიყვარული-
საგან ატაცებულმა, დამიკოცნა იგი.

— ცოცხალია, — შესძახა მან, — ო, ბუნებავე, მხსნელო!
მადლიანო ყოვლის მკურნალო! შენ როდი მიატოვე საბრა-
ლო წყვილი მეგობრებისა, უსამშობლონი, გზააბნეულნი!
ო, არასოდეს არ დამავიწყდება, ჰიპერიონ, როგორ აფეთქ-
და ჩემს თვალწინ შენი ხომალდი, როგორ აყირადა გრუხუ-
ნით და მეზღვაურები მძვინვარე ალში ვახვია. ლანის ჭკუ-
იდან შევიშალე, როცა გადარჩენილებში ჰიპერიონი არ
აღმოჩნდა, მე ვეღარ მაცნობოდა ბრძოლის მრისხანე ზათ-
ქიც. მაგრამ მალე შევიტყე შენი ამბავი და როგორც კი
მტერს ანგარიში გავუსწორეთ, მაშინვე შენსკენ გამოვქანდი.

ნეტავ გენახა, როგორ მიჯრთხილდებოდა! რა ფაქიზი
სიყვარულით ვყავდი გარემოცული საამო ზრუნვის ჯადოს-
ნურ რკალში! როგორ უსიტყვოდ, მხოლოდ თაგისი დიადი
სიდინჯის მაგალითზე მასწავლიდა წუთისოფლის ტრიპლის
უშურველად და ვაჟკაცურად გაგების ხელოვნებას!

ჰოი, მზეჭაბუკნო! თქვენ ლაღო სუღნო! ალაბანდას
დაკარგვით ბევრი რამ გამოგვეცალა ხელიდან. ნას შეძღვე-
რაც ის აღარ არის, ამოდ ვლამობდი დანაკარგის შევსებას,
ამოდ ვეცდებოდი ცხოვრებას; ასეთი ხალასი რომაული
ხასიათი ვეღარსად ვპოვე. ლადი, გამჭირახი, მამაცი, კე-
თილშობილი! თუ ვაჟკაცია ვინმე, სწორედ ის იყო! ხოლო
როდესაც სამეგობროდ და სათნოდ განეწყობოდა, მაშინ ხომ
დიდებულ მუხას ემსგავსებოდა, რომლის დაქუფრულ კენ-
წეროში დაისის სხივი თამაშობს და ფოთლები წვიმის წვე-
თებს იბერტყავენ დღისით გადატანილი ავღრის შემდეგ.

ჰ ი პ ე რ ი ო ნ ი ბ ე ლ ა რ მ ი ნ ს

ეს იყო შემოდგომის მშვენიერ დღეებში, როდესაც ნა-
ხევრად მორჩინილი პირველად მივედი ფანჯარასთან. ცხოვ-
რებას დაშოშმინებული ვუბრუნდებოდი და ჩემი სული უფ-

რწ უკრადლებიანი გახდა. უნატიფესი ხიბლი მეღამუნებოდა ზეციდან და სათუთად, თითქო ხენილის ყვავილთა წვი-
მაო, იღვრებოდა დაბლა მზის კამკამა სხივები. წელიწადის
ამ დროს რაღაც დიადი, წყნარი, ფაქიზი სული ახლავს და
სრულქმნის სიმშვიდემ, სიმწიფის ნეტარებამ, მონანავე
რტოებიდან რომ იფრქვეოდა, ისე მომიცვა, თითქო ახალ-
ვაზორლობა დაბრუნებოდეს, — სიჭაბუკის ასეთ განახლებას
ძველები ელისეიონში იმედოვნებდნენ ხოლმე.

დიდი ხანი იყო, რაც სპეტაკი სულით არ დავმტკბარიყავ
ქვეყნიერების ბალღური ყოფით და ახლა ისევ ამეხილა თვა-
ლი, გვლავ ხედვის სიხარულით გავიმსჭვალე, — კურთხე-
ული ბუნება უცვლელი დარჩენილიყო, მისი მშვენება არ
შერყვნილიყო. ცრემლები ისე მცვიოდა მის წინაშე, თითქო
სამსწვერპლოზე ზვარაკს ვწირავდი და ცოდვებს ვინანიებ-
დი, — ჩემი განწმენდილი გული თრთოლით აღწევდა თავს
ძველ უგუნებობას.

— ო, მცენარეთა წმინდა სამყაროვ! — შევძახე მე. — სულ
რაღაცას ვესწრაფვით, სულ რაღაცას ვიგონებთ და შენ კი
აქ გვეცხვარ! ჩვენ ვიღვწით, გვინდა მშვენიერება შევექმ-
ნათ ჩვენი ხრწნადი ძალებით და გვერდით კი შენა ხარობ!
ხომ მართალია, ალაბანდა? ადამიანი იმისთვის შეიქმნა,
რომ ყოველდღიურ ზრუნვაში იყოს, სხვა დანარჩენი თავის-
თავად მოგვარდება. და მაინც ვერ დამივიწყნია, რომ გა-
ცილებით მეტი მინდოდა.

— ბვირფასო, იმას დასჯერდი, რაცა ხარ! — დასძინა
ალაბანდამ. — და შენს წყნარ ყოფას ნულარ აიმიღვრევ სევ-
და-ნაღველით.

— მეც სიმშვიდე მწყურია, — მივუგე მე, — მინდა მთე-
ლი ჩემი გეგმები, ჩემი მოთხოვნები ვალში გაცემული თამა-
სუქებივით გავანადგურო. მინდა სპეტაკად შევინახო თავი,
როგორც ამას ხელოვანი იქმს, შენ შეგიყვარო, უწყინარო
ცხოვრებავ, ჭალისა და წყაროს ცხოვრებავ! შენ დავდებ შა-
ტივს, ო, მზის ნათელი! შენით დავიცხრობ გულს, მშვენი-
ერო ეთერო, ვარსკვლავებს რომ სულს უღვამ, აქ ამ ხეებსაც
ელამუნები და ჩვენს მკერდშიაც ატან! ო, ახირებავ კაცისა!
მე გლახაკივით ვიხრდი ქედს და ბუნების მღუმარე ღმერ-

თები კი, რომელთაც ამდენი სიკეთე აქვთ, ყოველი მხრიდან შემომსქქეროდნენ! შენ გელიმება, ალაბანდა? ო, რაოდენ ზმირად გაგლიმებია ასე ჩვენი მეგობრობის პირველ ხანებში, როს ნორჩი ყმაწვილი, ახალგაზრდული სიფიცხით ატაცებულნი, რას არ ვლაცობოდი შენს წინაშე და შენ კი ისე იდექ, ვითარცა ტაძრის უტყვი სვეტი მსოფლიოს ნანგრევებში და იძულებული იყავ მოგეთმინა, როს ჩემი სიყვარულის ურჩი ყლორტები გარს გეხვეოდნენ... ჰოდა, ახლა ხედავ? თითქო რიდე ჩამომეხსნა თვალებიდან და ცოცხლად წარმომიღვა გარდასული ოქროს ხანა.

— ეჰ! — შესძახა ალაბანდამ. — რა სერიოზულად ვუცქერდით ცხოვრებას, რა სიზარულით ვეწაფებოდი!

— როცა ტყეში ვნადირობდით, — გამოვეხმაურე მე, — ან ზღვის ტალღებში ვბანაობდით, როცა ვმღეროდით, ვსვამდით, ხოლო დაუნისა ჩრდილში მზის ელვარება სხივი, ღვინო კამკამებდა, გვიბრწყინავდა თვალები და დიმილი გვეფინა ბაგებზე — ეს იყო სწორედ უბაღლო სიცოცხლე და ამ ჭაბუკურ ბედნიერებას ჩვენი სულისკვეთება კიდევ უფრო აცისკროვნებდა.

— ამიტომაც, რომ ერთმანეთს არ მივატოვებთ, — მითხრა ალაბანდამ.

— ო, მიმიძივს, მაგრამ ერთ რამეში უნდა გამოგიტყდე, — შევესიტყვე მე. — დამიჯერებ, რომ წასვლა მსურდა? შენგან წასვლა! სიკვდილს ვეძიებდი განგებ! განა ეს უგულობა არ არის? განა სიგიჟე არ არის? ჰოდა, ახლა ჩემი დიოტიმა?! უნდა მიმატოვო-მეთქი, მივწერე, ხოლო შემდეგ კიდევ ერთ ბარათში ბრძოლის კვირაძალს...

— მისწერე, რომ ამ ბრძოლაში გასურდა სიცოცხლეს გამოსალმებოდნი? — შესძახა მან. — ო, ჰიპერიონ! იქნებ ბოლო ბარათი ჯერ არც მიუღია? უნდა სასწრაფოდ მისწერო და შეატყობინო, რომ ცოცხალი ხარ.

— ალაბანდა, ძვირფასო, რა კარგი ნუგეშია! ახლავე მივწერ და ჩემს მსახურს ვავატან. თუკი რამ მახადია, ჯილდოდ ადევთუქვამ, ოღონდ იჩქაროს და კალავრიაში დროზე ჩავიდე...

— ხოლო მეორე ბარათს, რომელშიც განშორებაზეა ლა-

ბარაკი, ნისი კეთილი სუული გაიგებს და მოგიტყუებს კიდევ, — დაუნატა ალაბანდა.

— მომიტყუებს? — აღმოჩნდა მე. — ო, სასოებავ! დიახ, მაშატიებს, თუ მიწერია იმ ანგულსთან ბედნიერება!

— შენ კიდეც იქნები ბედნიერი, ჯერ კიდევ წინა გაქვს ცხოვრების ყველაზე მშვენიერი ხანა. ჭაბუკი გპირია, ვაჟკაცი — დენტი, თუ ასეთი რამის გადატანა ძალუძს.

სასოცრად ინათლა ჩემს სულში, ეს სატყუები რომ გაგიგონე.

უჩუნირად ირბოდნენ ხის კენწეროები; როგორც ყვავილები მრუხე მიწიდან, ისე აღმოცენდნენ ვარსკვლავები დანის კალთაზე და ზეციურმა გაზაფხულმა წინდათაწმიდა სიხარულით გაჟმონციაგა.

მ ი პ ე რ ი ო ნ ი ბ ე ლ ა რ მ ი ნ ს

რამდენიმე წუთის შენდეგ, ის იყო დიოტიმასთან ბარაკის მიწერას ვაპირებდი, რომ გახარებული ალაბანდა ისევ შემოვიდა ჩემთან.

— წერილია, ჰიპერიონ! — მომამახა მეგობარმა, ნე შევკრთი და მისკენ გავქანდი.

„რამდენი ხანია,“ ისე ვარ, — მწერდა დიოტიმა, — რომ შენგან არაფერი ვიცი! იმ ავბედით დღეზე მწერდა მისისტრიდან და მაშინვე გიპასუხე, მაგრამ ყველაფერი იმას მოწმობს, რომ ის წერილი არ მივიღია. სულ წაღე ანის შემდეგ ისევ გამომიგზავნე მოკლე და სევდიანი ბარათი: რუსების ფლოტში სამსახურს ვაპირებო; კვლავ გიპასუხე, მაგრამ ეტყობა, ესეც არ მიიღე. ამოღე ვიცდინი მისიდან ზაფხულის ბოლომდე, ვიდრე რამდენიმე დღის წინ წერდელი არ მოვიდა, რომელითაც მატყობინებდი, რომ ხელი უნდა ავიღო შენზე, საცვარელო!

იმედი გქონდა ჩემი, გწამდა, რომ ეს ბარათი არ შეურაცხებოდა. ანან სულითა და გულით განახარა, თუმცა მწუხარებით ვარ დაზაფხული.

სულთ მაღალო, რომელსაც ბედი არ გიწერია! ერთობ კარგად მესმის შენი. ო, განა სრულიად ბუნებრივი არ არის,

რომ აღარავინ არ გასურს გიყვარდეს, ვინაიდან შენი უპირობო დიადი სურვილები დასამარდა? განა იძულებული არ გახდები საჭმელზე უარი თქვა, თუკი წყურვილისაგან სიკვდილი გელის?

მალე მივხვდი, რომ ყველაფერი ვერ ვიქნებოდი შენთვის. განა შემებლად შენთვის ნოკვდაობის ხუნდები ანებსნა? განა შემებლად ცეცხლის ალი განენელებინა შენს მკერდში, რომლისთვისაც წყარო არ სჩქევს და ვაზი არ ხარობს? განა შემებლად ენეების ყველა სიამენი ერთი ფიალით ნოკერთინა?

შენ კი ეს გასურს, ეს გჭირდება და სხვაფრივ არ ცალვადს. შენ თანამედროვეთა უსაზღვრო უსუსურობამ დაგდუბა.

ვინც შენებრ შეეურაცხყოფილია ეთელი სულითა და გულით, ის ცალკეული სიხარულით ვერ მოილხენს; ვინც შენებრ იგრძნო ყოფიერების უხამსი აჩარათობა, მხოლოდ სულის ამადლებულ სფეროში თუ განიხარებს; ვინც შენებრ შეხვდა სიკვდილს, მარტოოდენ ღმერთებთან თუ იპოვის შეგებას.

ბედნიერია ყველა, ვისაც შენი არ ესმის! ხოლო ვისაც შენი ესმის, მან წილი უნდა დაიდოს შენს სიღიაღესა და უსასობაში.

მე გვანი ისეთად, როგორცა ხარ. ცნობისმოყვარეობა; სიცოცხლის გარიყრაყს რომ სჩვეია, მიბიძგებდა შენებრ უფროსად ემნილებისაკენ. ერთი უთქმელად მიზიდავდა შენი სათუთი სული და ბაღდაური უფარდლობით ვეთამაშებოდი შენს სახიფათო სახმილს. ჩვენი სიყვარულის სიამენი გაცნობდნენ, მაგრამ მხოლოდ იმისათვის, ბოროტო მამაკაცო, რომ შენადეგ უფრო დაუდგარი განდარყავი. ცრუობის სიხარული მეც მაშოშმინებდა, მანუგებებდა, მაიძულებდა დამევიწყა, რომ არსებითად შენი ნუგეშისცემა შეუძლებელი იყო და რომ მას შემდეგ, რაც მოტრფიალე გულში ჩაგხედე, მეც ცოტა მაკლდა შენნაირი გავმზდარიყავი.

ათენში, ოლიმპიონის ნანგრევებზე, ხელახლა ამიტანა ამ გრძნობამ. მანანდე კი ზოგჯერ, უდარდლოობის წუთებში, დიხსაც მიფიქრია: ჭაბუკის გულგასენილობა არცთუ ისე სერიოზულია და უღმობელი-მეთქი. ისე იშვიათია, რომ ადა-

მიანი ცხოვრებაში პირველი ნაბიჯის გადადგმისთანავე ასე ერთბაშად, ასე ძირისძირობამდე, ასე სწრაფად და ღრმად განიმსჭვალოს მისი ეპოქის სვე-ბედით და ამ შეგრძნების ამოპირკვა შეუძლებელი იყოს, ვინაიდან არც იმდენად ტლან-გია, რომ ხელის ერთი აქნევით მოიშოროს თავიდან და არც ისე სუსტი, რომ გამოიტიროს. ეს, ჩემო ძვირფასო, ისე იშვი-ბთად ხდება, რომ ჩვენ თითქმის არაბუნებრივად გვერვებება.

ჰოდა, მაშინ, ნათლთმოსილ ათენის ნანგრევებში, მე თვითონ შევპრწუნდი: ისე როგორ შეიცვალა დროება, რომ ახლა მკვდრები დაიარებიან მაღლა, დედამიწაზე, ხოლო ცოცხლები, ღმერთკაცები, სანაძიებში წვანან-მეთქი; ჰოდა, მაშინვე იგივე აზრი შენც ისე ცხადად და ნათლად გამოგება-ტა სახეზე, რომ სამარადისოდ ვირწმუნე შენი სიმართლე. ამავე დროს ჩემს თვალში უფრო დიადიც გამოჩნდი. რაღაც იღუმალის ძალით დაჯილდოებულ არსებად მესახებოდი, ღრმა, ჯერ გაუმცლადანებელი მნიშვნელობის მქონე ქმნილებად, ერთ-ბადერთ მრავლისადმთქმელ ჭაბუკად მიგულებოდი. „ვისაც ასე მკაფიოდ ჩაესმის ბედისწერის ხმა, მას უფლება აქვს თავისი ხმაც ომახიანად შეაგებოს ბედ-იღბალს, — ვეუბნებო-დი ჩემს თავს, — რაც უფრო ამოურწყავია მისი ტანჯვა-ვა-ება, მით უფრო ამოურწყავია მისი ძლიერებაც“. შენგან, ძხოლოდ შენგან ველოდებოდი ყველა სატკივრის განკურნე-ბას. წარმოვიდგენდი, როგორ მოგზაურობ, როგორ იღვწი. ო, როგორ მენატრებოდა ფერისცვალება, გარდაქმნები! შენგან ხელახლა დაფუძნებული სკოლის განაბულ მოსწავლეთა თავ-ზე კვლავ მწვანედ ხასხასებდა აკადემოსის ჭალა და როგორც ოდესღაც, ახლაც წმინდა სიტყვებს ისმენდა ილისოსის ნე-კერძხალი.¹⁰³

მალე შენს სკოლაში ჩვენი ჭაბუკების გენიამ წინაპართა სერიოზულობა შეიძინა და მისი წარმატალი თამაშობანი მუღმივმა მიზანსწრაფვამ შესცვალა, რადგან მას უკვე რცხვენოდა საკუთარი თავის, ტყვეობად მიანდა ფარვანა-სავით ფარუატი.

ვინც უწინ ცხენის ჭენებას დასჯერდებოდა, ახლა მხე-დასთმთავარი გახდა; ვინც უწინ თავს შეიქცევდა მდარე სიმ-ღერთ, ახლა ნამდვილი ხელოვანია. ეს იმიტომ, რომ აშკა-

რა ბრძოლაში დაანახვე ემირთა ძალები, სამყაროს ძალები; შენი გულის ამოცანა მიეც ამოსახსნელად; ასე ისწავლეს ჭაბუკებმა დიადის ერთიანობაში წარმოდგენა, ისწავლეს ბუნების შთაგონებული თამაშის გაგება და ოინბაზობა დაივიწყეს... ჰიპერიონ! ჰიპერიონ! განა მეც, უასაკო, მუზად არ მაქციე? ასე ემართებოდათ სხვებსაც.

ო, აწ ისე იოჯაჯ როდი სცილდებოდნენ ერთნანეთს გუღლია ადამიანები, ესე კი აღარ ირეოდნენ, როგორც გრიგალის ჟანს ქვიშა უჯანჯოში. ახალგაზრდები და მოზუნციები აღარ დასცინოდნენ ერთმანეთს, უცხოელს მასპინძლობა აღარ აკლდა და თანაშენამოღლენი ურთიერთს აღარ ემიჯნებოდნენ, საჭრფო აღარ იწინდებდა საჭრფოს; შენს წყაროებზე სულიერდებოდნენ ისინი, ბუნებავ. ო, შენი წინდა სიამენით ხალისდებოდნენ, რომელნიც იღუმალად მოედინებინ შენი წიაღიდან და სულს გვიღორძინებენ; ღმერთები კვლავ ლხენით უვსებდნენ ადამიანებს სულს, უფრთხილდებოდნენ მათ გრძნობებს და იცავდნენ ყოველ მეგობრულ ვაგშირს. ვინაიდან შენ, ჰიპერიონ, ბერძნებს თვალის ჩინი დაუბრუნე, რათა მჩქეფარე სივლიცხლე ეხილათ, აღფრთოვანება აუგიზგიზე, რომელიც მათში იხე სთვლემდა, როგორც ფიჩხში ცეცხლი. გსურდა ბუნებისა და მისი სპეციაკი შეიღების წყნარი და მარადი აღტყენება ეგრძნოთ. ოჰ, ამიერიდან ადამიანები მშვენიერ სამყაროს ისე როდილა ევიდებოდნენ, როგორც მგოსნის ლექსს უგინი, რომლებიც სიტყვებს უწებენ პოეტს — სასარგებლოდ მიაჩნიათ ისინი. სასწაულმოწმედ მაგალითად იქეცი შენ, ცხოველმოფელო ბუნებავ, ბერძენთათვის და კაცთა მუშავობა, მარად ჭაბუკ ღმერთთა მიერ გადავივებული, ბედნიერებად იქცა, ზეიმად იქცა და ჰელიოსის ნათელი საომარ მუსიკაზე ჰეპრად უკეთ მოუხმობდა ჭაბუკ გმირებს საგმირო საქმეებისავენ.

მაგრამ ჩუ! ჩუ! ეს ჩემი ყველაზე სანუკვარი ოცნება იყო — პირველი და უკანასკნელი ოცნება: ერთობ ამაყი ჰარსაიმისოდ, რომ მავ არანადათა ხროვასთან კვლავაც საქმე დაიჭირო. და სწორადაც იქცევი. თავისუფლებისაკენ მიუძღოდი და მათ კი ძარცვა-გლეჯაზე ეჭირათ თვალი. განარჯვებული შეიყვანე ლავდენონში, ხოლო ამ ურჩხულებმა

აკლეს თავიანთი ბველთაბველი ქალაქი, შენ კი, სასიქაღუ-
ლო ვაჟიშვილო, საკუთარმა მამამ შეგარჩენა! და ვერც ერთ
ტევრნი, ვერც ერთ მღვიმეში თავს სამშვიდობოზე ვერ იგრ-
ძნობ, აღარ დაგვდგომება საბერძნეთის მიწა-წყალზე, რო-
მელსაც როგორც წმიდათაწმიდას ეკიდებოდი, რომელიც ჩემ-
ზე უფრო გიყვარდა.

ო, ჩემო ჰინაერიონ! ის უწყინარი გოგონა აღარა ვარ მას
შემდეგ, რაც ეს ყოველივე გავიგე. აღშფოთებისაგან აღარ
იცინი, რა გიწამო, ამ მიწა-წყლისთვის ველარ შემიხედავს და
ერთთავად მითრთის შეურაცხყოფილი გული.

უნდა გავშორდეთ, მართალი ხარ. თანაც შვილებიც არ
შინდა შემიძინოს, არ მემეტებიან ამ მონათა ქვეყნისათვის.
ჯანა ჩემს თვალწინ არ ჭკნებოდნენ ნორჩი ნერგები აქაური
გვალვისაგან?

მშვიდობით იყავ, უებრო მზეჭაბუკო! იქით გასწიე, სა-
დაც ფიქრობ, რომ ღირს სული ზვარაკად შესწირო. ხომ
არსებობს ქვეყნად თუნდაც ერთი სარბიელი, ერთი სამსხვერ-
პლო, სადაც თავს დასდებდი. საწყენი იქნება, შენი კეთილი
ძალები სიზმარულ მოჩვენებასავით რომ განქარდეს. მაგ-
რამ როგორი აღსასრულიც არ უნდა გელოდეს, მაინც ღმერ-
თებთან უკუიქცევი, ბუნების წმინდა, ლალ და უბერებელ
ცხოვრებაში უკუიქცევი, საიდანაც წარმოსდგე. და შენი
ნატვრაც ხომ ნპოლოდ ეს არის, აგრეთვე ჩემიც“.

აი, რას იწერდა. სულით ხორცამდე შემპრა, შიშმა და
სიხარულმა ანიჭანა, მაგრამ თავს ძალა დავატანე და შევე-
ვაღე საპასუხო სიტყვები მომეძებნა.

„მაშ თანახმა ხარ, დიოტიმა? — მივწერე მე. — მაშ,
იწონებ ჩემს განდგომას? შესძელ გავგეო? ერთგულს სულო!
გეყო ძალა განშორებას შერიგებოდი, ჩემს პირქუში მიეთმო-
ეთსაც შერიგებოდი? სულგრძელო ქმნილებავ! ბუნების იღბ-
ლიანო პირნიშოვ! მსხვერპლად გასწიე საკუთარი თავი, სიყ-
ვარულისათვის უკუნეთში გადაიჩენე, ჩემი მოჭირნახულე,
ჩემი ტოლი და სწორი განდი მწუხარებაშიც და ამ თანად-
გომით აკურთხე იგი! პირმშვენიერო გმირო ასულო, განა რა
გვირგვინი შეიძლება იყოს შენი ღირსი?!

მაგრამ ახლა ვიკმაროთ გლოვა, საყვარელო! ჩემი უკუ-

სეთი განოიარე, ახლა აიღე და შენს სინათლეში წარმიტანე, შენს მშვენიერ სამყაროს დავუბრუნებ, გუჯუკეთილო! ო, ნეტავ შენი სიმშვიდე მარვენა კიდეც, ნეტარო ბუნებაა! შენი წყნარი ხატების წინაშე სანარაჯისოდ ჩაჰძინებოდეს ჩემს ქედნადლობას!

ხომ მარათლია, ჩემო ძვირფასო, ჯერაც ღწო არის ჩემი უკან დაბრუნებისა, ისეც მიმიღებ და გეყვარები უწინდებურად? ხომ მარათლია, გარდასულ დღეთა ბედნიერება ჩვენ სამხედროდ არ დავვიტარებ?

წერს გალაგელი. ამ მშობელ მიწას მეტისმეტად უმაღურად ვეკიდებოდი. ჩემი სიცოცხლე და სიყვარულის ყველა სიკეთეც, რომელსაც იგი უნვად მიძღვნიდა, მე უკუვაგდე, ვით ვასამრფელო ყურმიტორილ მონის, მაგრამ — ვაგლახ! — ათასჯერ უფრო უმაღურად შენ მოგეყვარი, წმინდა ქალწულო, შენ, რომელმაც მყუდრო სავანეში მიმიღე მფრთხალი და გატანჯული არსება, გათანგულ მკერდიდან სიყმაწვილის სუსტი შუნიდა გამოკრთოდა, როგორც ნავალ გზაზე კანტიკუნტად ამოსული ბალახის ღერო. განა შენ არ დამიბრუნე სიცოცხლე? განა შენი არ ვიყავ? მაშ, როგორ შეიმძლო... ო, იმეღია, ჯერ კიდეც არ იცი, ჯერ კიდეც ხელთ არა გაქვს ის ავბედითი წერილი, რომელიც ბოლო ბრძოლის წინ გამოგიჭავენე. მაშინ სიკვდილს ვაპირებდი, დიოტიმა, და მეგონა, საღვთო საქმეს ვაკეთებდი. მაგრამ როგორ შეიძლება ის საღვთო იყოს, რაც შეყვარებულთ ერთმანეთს აცილებს? როგორ შეიძლება ის საღვთო იყოს, რაც ჩვენი სათნო ცხოვრების ბედნიერებას ანგრევს? დიოტიმა! სიცოცხლე ჩემო, ხორცშესხელო მშვენიერებაა! საშაგიეროდ ახლა უკვე შინაგანად შენ დავამსგავსე: ბოლოს და ბოლოს მეც ვისწავლე დაღასება, მეც ვისწავლე გაფრთხილება ყოველივესი, რაც კეთილია და ალალი ამ ქვეყანაზე. ო, თუნდაც ძალმიძდეს ვადავსახლდე იქ, მაღლა, ზევსი ნოვოციხე კუნაულებზე, განა იმაზე მეტსა ვპოვებდი, რასაც ვპოვებ დიოტიმასთან?

ჰოდა, საყვარელო, ყური დამიგდე!

საბერძნეთში აღარ დამედგომება. შენ იცი. მამაჩემმა განვიცხვისას თან იმდენი გამომიგზავნა თავისი ჭარბი ქონებითან, რაც საკმარისია, ალბებისა თუ პირინეების რომე-

ლიმი კურთხეულ ხეობას რომ შევაფაროთ თავი და იქ ერთი მყუდრო სახლი და იმდენი ანწვანებული მიწა ვიყიდოთ, რამდენიც საშუალოდ მცხოვრებს დიახაც ეყოფა.

თუ თანახმა ხარ, ახლავე ჩამოვალ და ერთგულების ხელს გამოგიწვდით შენ და დედაშენს, ვეამბორებით კალაგრიის ნაპირს, ცრემლს შევიმშრალებთ და კორინთოს ყელის გავლით ადრიატიკის ზღვას მივაშურებთ, საიდანაც საიმედო ხომალდით განვაგრძობთ გზას.

ო, წამომყევი! ჩვენი გულის საიდუმლო მთების წიაღში დაიმარხება, როგორც პატიოსანი თვლები მადაროს ძარღვში; ცანღე აწვდილ ტყუთა ტევრში ისე ვიქნებით, ვით სვეტებიანი ტაძრის გუმბათქვეშ, სადაც უღმერთოთ არ შეესვლებათ; წყაროსთან ვისხდეთ და მის სარკეში ჩვენი სამყარო ვათვალიეროთ, ზეცა და სახლი, ბაღი და ჩვენი თავი. ნათელ დაწეში ზწირად ვივლით ჩვენი ხეხილის ჩეროებში და ყურს ზიგაპყრობთ სიყვარულის ღმერთს, ჩვენში რომ სუფევს, — ეს იმ დროს, როცა მცენარეები შუადღის თვლემიდან გონს მოდიან, თავს ზეილებენ და წყნარი ცხოვრება შენეული ყვავილებისა ხალისდება, რადგან ისინი ნაზ მკლავებს ნანში იბანენ, ხოლო ღამის ნიაფი ელამუნება მათ და სიგრილით მსჭვალავს. ზევით კი ზეცის მღვლო ჰყვავის თვის მოციაფე ყვავილებით და შორიანლო, დაისის ღრუბელთა ფთილების მიღმა, მთვარე გაუბედავად, ვით შეყვარებული, ასდევნებია ჭაბუკ მზესა და მის სავალ გზას იმეორებს... ჰოდა, მერმე ინათლებს კიდევ, როს ჩვენი ხეობა, თითქოს მდინარის კალაპოტი იყოს, თბილი შუქით აღივსება და მისი ოქროს ჩქერალი უჩუმრად ჩამოიღვრება ხეებში, ჩვენს სახლს გააცისკროვნებს. კოხტა ოთახები, შენი ხელით მორთულნი, კიდევ უფრო ლამაზნი გამოჩნდებიან, და შენც გამოხვალ მზის შარავანდელით მოსილი და მოხდენილი მიხრა-მოხრით დამილოცავ დღეს, საყვარელო, და აი, ვიდრე ამ სანეტარო დღითა ვტკბებით, ჩვენს თვალწინ სამსხვერპლო ცეცხლივით ჩადდება მიწის მუშაკობა და ჩვენც მივდივართ, რათა ჩვენი დღიური სამუშაოც, ჩვენი წილხვედრიც შევუკეთოთ აგიზვიზებულ კოცონს. განა არ იტყვი მაშინ: ბედნიერები ვართ,

ისევ ბუნების ძველ ქურუმებს ვგევართ, სათნოთა და დალ-
ხინებულთ, რომელნიც უკვე ღვთისძოსაფნი იყვნენ, ვიდრე
ქვეყნად ტაძრები გაჩნდებოდა.

განა არ კმარა, რაცა ვთქვი? ჰოდა, ანაა გადასწყვეტიტე
ჩემი სვე-ბედი, ძვირფასო ასულო, და თანაც მალე! ჩემდა
ბედად, ბოლო ბრძოლის შემდეგ ჯერაც მთლად მორჩინილი
არა ვარ და სამსახურიდანაც არ გადავმდგარვარ, თორემ რა
გამაჩრებდა, უთუოდ ჩამოვიდოდი, თავად შეგვიტებოდი
და ეს კი არ იქნებოდა კარგი, ძალდატანებასაგით განოვიდო-
და...

აჰ, დიოტიმს! საზარელი შლეგური აწრეცი ჭიუნვით მივ-
სებენ გულს, მაგრამ მინც... ვერა და ვერ წარმომიდგენია,
რომ ეს იმედიც შეიძლება დაიმსხვრეს.

ვაითუ ისე განდიდდი რომ ამქვეყნიურ ბედნიერებას ვე-
ლარასოდეს დაუბრუნდები? ვაითუ სულის მბოლავრნა სახ-
ნილმა, ტანჯვა-ვაება რომ გაგიჩადა, მთლიანად შეანთქას,
რაც კი შენში მოკვდავი იყო?

მე კარგად ვიცი: ვინც ამ ქვეყანას სულ იოლად აუჯან-
ყდება, ის იოლადვე მას ზავს დაუდებს. მაგრამ შენ, დიოტი-
მა, ჩვილი ბაღღვით უწყინარს, ოდესღაც ასე ბედნიერს
საკუთარი ამბალებული მოკრძალებით, შენ ვინ შეგარბებს,
თუ ბედისწერას შენ აუბებდრდი?

სულზე უტკბესო! ნუთუ აღარ შეიძლება, რომ მტლად
დაგედო? ნუთუ ვერავითარი გულის ძახილი ვეღარ მოგიხ-
მობს უკან, ადამიანური ყოფისაკენ, სადაც ასე სანუკვრად
იყავ გარინდებული, ვიდრე წრთას გაშლიდი? ო, მოდი, ო,
დარჩი ამ ნიჭურში! ეს აჩრდილთა ქვეყანა ბომ სიყვარულის
სტიქიონია და მხოლოდ აქ ჩამოიდგენთება კანენის ნანი შე-
ნი ზეციური თვალებიდან.

განა აღარ გახსოვს ჩვენი ოქროს ხანა? მომხიბლავი,
ღვთიური მელოდებით აღსავსე დღენი? განა მორიალით მათ
შესახებ არ მოგიტბრობენ კალაგრიის ტურფა ჭალები?

აი, ხედავ! რამდენი რამ დამედუბა და სასოებისგანად
განვიძარცვე. მარტოოდენ შენი სახე, ზეციური აზრით აღ-
სავსე, გადავარჩინე, ვით ფუძის ანგელოსის ხატი ხანძრისა-
გან, ჩვენი ცხოვრება რაც კი რამ გვექონდა, სულის სიდრმე-

შე შემივინახე. ნუთუ ახლა ესეც უნდა დავასამარო? ნუთუ მე უნდა გაუთავებლად და უმიზნოდ ვინტიკილო უცხოეთში სხვათა კარდაკარ? ნუთუ ამისთვის დავეწაფე ტრფობის სამსალას?

ო, არა და არა! შენა ხარ ჩემთვის პირველიც და უკანასკნელიც! ჩემი იყავ და ჩემად დარჩები“.

მ ი პ ე რ ი ო ნ ი ბ ე ლ ა რ მ ი ნ ს

მე და ალაბანდა ერთ-ერთ ბორცვზე ვისხედით და საამო მზეს ვეფიცებოდით. ჩვენს გარშემო ქარი ჩამოცვენელ ფოთლებს ათამაშებდა. ქვეყანა გარინდებულყოფო. მხოლოდ ჟამიდან ჟამზე ისმოდა ტყიდან, როგორ ეცემოდა მიწაზე გლეხკაცის მიერ მოჭრილი ხე და ჩვენს შორიანლო დუღუნით როგორ ეშვებოდა წყნარი ზღვისაკენ წვიმის დღემოკლე ნაკადული.

ჯავრი არაფრის არ მქონდა. ვიმედოვნებდი, რომ სულ მალე ვინილავდი ჩემს დიოტიმას, სულ მალე შევეუდგებოდი მასთან ერთად წყნარსა და ბედნიერ ცხოვრებას. ალაბანდამ ნათლად გამიფანტა ეჭვები, თვითონ ისე იყო დარწმუნებული. ისიც ნებარული ვაზდა, თლონდ სხვა აზრი ახლდა მის ასეთ გოჯას. მომავალი მას ვეღარ იმორჩილებდა. ო, მე კი ეს არ ვეცოდე. რაც სინარჯულს მიანიჭებდა, იმას ბოლო მოეღო და აუცილ ალაბანდას სრული უფლება მქონდა ცხოვრებაზე, ხოლო ბუნებითი იგი ძლიერბოსილი ხასიათისა იყო, მანაც უსაზრგებლოდ, უმოქმედოდ და მარტოსულად მიანდა თავი, მაგრამ არ იმჩინებდა და ისე იქცეოდა, თითქო დროის მოსაკლავად წამოწყებული თამაში წაეგო მხოლოდ.

ჰოდა, ის იყო, შიკრივი მოგვადგა: სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის ბრძანება მოგვიტანა, რასაც ორივე ვთხოვედი რუსეთის ფლოტის სარდლობას, რადგან საჩვენოდ ისეთი საქმე აღარაფერი იყო, რომელიც თავგამოდებად ეღირებოდა. ახლა, როცა მოვისურვებდი, მაშინ შემეძლო პაროსის დატოვება. თანაც უკვე იმდენად მოვიკეთე, რომ მგზავრობაც ძალმიძდა. აღარ მინდოდა დიოტიმას პასუხს დავლოდებოდი, მისკენ ისე მიმეჩქარებოდა, თითქო რომელიღაც დიერთი მაგდებ-

და კალავრდაში. ეს რომ გაიგონა, ალაბანდას ჟერი ცეცხლა და დაღონებულმა შემოწიბლა.

— ასე ეაღვილებოა ჩემს ჰიპოკრიტს თავისი ალაბანდას მიტოვება? — წარმოთქვა მან.

— მიტოვებ? — ჩავეციოხე მე. — ეს რომო?

— ო, ასეთები ხართ ნეოპიტები! — შესძახა მან. — განა ვერ ხედავ, რომ უნდა განვშორდეთ?

— აბა, რა ვიცი, — ნივსეც მე, — შენ ხომ არ უფრო ვითქვამს და თუ ხანდახან რაღაცას ვევაპირებოდა, რაც განშორებას მაუბიძრებინებდა, ამას ხალისით ვაწერდი ხოლმე შენს გუნებ-განწყობილებას, გრძნობათა მოზღვაებას...

— ო, რა კარგად ვიცნობ, — შესძახა მან, — ამ დეტაებრივ თამაშს ნოჰარბებულთ სიყვარულისა, რომელიც თვითვე უქმნის თავის თავს იმის საჭიროებას, რომ განიმუხტოს, და ნეტავი მღვ ასე მემართებოდეს, ჩემო კეთილო, მაგრამ აქ საქმე უფრო სერობა უნდა!

— სერობა უნდა? — შევძახე მე. — მერეა, რატომ?

— იმიტომ, ჩემო ჰიპოკრიტ, — ნიხრა მან წყნარად, — რომ არ მინდა ხელი შევიშალო მომავალ ბედნიერებაში, იმიტომ, რომ დიოტიმას სიხლოვეს უნდა გავფრბოდე. დამიჯერე, საშიშია შეყვარებულთა გვერდით ცხოვრება და ისეთი მცონარე ვუღია, რომელიც ამჟამად ჩემია, მნელად თუ ვაუპლებს ამას.

— აჰ, კეთილ ალაბანდა! — ფუთბარი დიმილით. — რა ცუდად იცნობ საუბარს თავს. შენ სუულაც არა ხარ უვილასა და შენი მედგარი სული ასე იოლად არ გადავა საზღვარს. ალბათ ცხოვრებაში პირველად ვინიანობ. აქ მე ავაღმყოფს მივლიდი და სრულად აშკარაა, რომ სანაგისოდ არა ხარ დაბადებული. ერთ ადგილზე ჯდომამ ნერთბალი გაგზადა...

— აი, ხედავ? — შესძახა მან. — ეგ არის სწორედ. განა თქვენთან უფრო ენეღათად ვიცხოვრებ? თანაც სხვა ქალი მინც იყოს! მაგრამ ევ ხომ დიოტიმას! განა სწავტრივ შევიძლია? განა ძალუძს ჩემს სულს მხოლოდ ნახევრად აღიქვას იგი? ასე შინაგანად მთლიანი და სრულქმნილი, ასე დეტაებრივად ნათიანი და განწყოფელი. დამიჯერე, ბაღლობა, შეეცადო ასეთ არსებას უჭვრეტდე და არ გიყვარდეს. რას

მომჩივრებიხარ, თითქოს ვერ მცნობდე? ამ ბოლო ხანს მე თვითონაც ვეღარა ვცნობ საკუთარ თავს, ეს მას შემდეგ, რაც ესოდენ ცოცხლად წარმომიდგა მისი ხატება.

— ო, რატომ არ ძალმიძს, რომ დაგიტოვო, — შევძახე მე.

— გაჩერდი! — მითხრა მან. — რას მანუგეშებ, ნუგეშით ვერას მიშველი. მარტოდმარტო ვარ, სულ მარტოდმარტო და ჩენი ცხოვრება ისე იცრება, როგორც ქვიშა ქვიშის საათში.

— დიდსულოვანო! — დავძინე მე. — ნუთუ უნდა დიდუპო?

— დამშვიდდი, — მომიგო მან, — მე უკვე მაშინ დავიწყე ჭკნობა, როცა სმირნაში ვპოვეთ ერთმანეთი. დიახ! მაგრამ აი, როცა ჯერ კიდევ გემის იუნგა ვიყავი, სულითა და ხორციით საღ-სალამათი და გამოწრთობილი უბეში საკვებითა და ვაჟაკური სამუშაოთი, როცა ქარიშხლიანი ღამის შემდეგ კამკამა ჰაერში ანძის წვერზე მოვექცეოდი, აფრიალებული დროშის ქვეშ, და მოციგლიგე უფსკრულის თავზე ზღვის ფრინველთ გეებედი თვალით, ან როცა საზღვაო ბრძოლაში ჩენი გაავებული ხომალდები ზღვას ისე სერავდნენ, როგორც გარეული ტახის ეშვები მიწას, და მე კი კაპიტნის გვერდით ვიდექი გულარხიანი გამომეტყველებით — მაშინ ვცოცხლობდი, ო, მაშინ ვცოცხლობდი! და დიდი ხნის შემდეგ, როცა ტენოსელი ჭაბუკი შემომხვდა სმირნაში, ზღვის პირას, სერიოზული, მოსიყვარული, და ჩემი გაყინული სული კვლავ გააღწო ამ ყმაწვილის მზერამ, ასწავლა სიყვარული და წმინდად შერაცხვა ყოველივესი, რაც ერთობ კარგია იმისათვის, რომ ხელყოფილ იქნეს; როდესაც ახალი ცხოვრება დავიწყე ამ ჭაბუკთან ერთად, უფრო მძლავრი სულიერი ძალები აღმეძრა წუთისოფლით დასატკბობად და მასთან საბრძოლველად, მაშინ ისევ ჩამესაზა იმედი... მაგრამ ვაი, რომ რასაც ვივლოვებდი და რაც გამაჩნდა, ყველაფერი შენთან იყო დაკავშირებული; დაგიახლოვე, ძალით ვცდილობდი ჩემს სვე-ბედს მეზიარებინე, დაგკარგე, ისევ გიპოვე, ჩენი მეგობრობა მთელ ჩემს სამყაროდ იქცა, ჩემს საუნჯედ, ჩემს დიდებად. ახლა ამასაც ბოლო მოედო, სამუდამოდ მოედო ბოლო და მთელი ჩემი არსებობა ფუჭი გამოდგა.

— მართლა ასე კია? — შევესიტყვე მე და ამოვიოხრე.

— ისევე მართლაა, როგორც მზეა ამქვეყნად, — შესძახა მან, — მაგრამ დავანებოთ ამას თავი. ყველაფერი უკვე მოგვარებულია.

— როგორ თუ მოგვარებულია, ჩემო ალაბანდა? — ჩავეკითხე მე.

— გეტყვი, თუ გინდა, — მითხრა მან. — არის ერთი რამ, რაც ბოლომდე ჯერ არასოდეს არ მითქვამს შენთვის. თანაც ორივენი გულის მოვიოხებთ, თუ გავიხსენებთ ცოტა ხნით წარსულს.

ერთხელ უმიწოდ დავეხეტებოდი ტრიესტის ნავსადგურში. უკვე რამდენიმე წელი იყო, რაც კაპერი,¹⁰¹ რომელწოდებაც მანამდე ვმსახურობდი, ჩაიძირა და მე რამდენიმე მეზღვაურთან ერთად ძლივს მივაღწიე სევილიის ნაპირს. ჩემი კაპიტანი ზღვაში დაიხრჩო, მე კი, საკუთარი სიცოცხლისა და ტანისამოსის გარდა, რომელსაც წურწურით ჩამოსდიოდა წყალი, აღარაფერი შემირჩა. ტანთ გავიხადე და ერთხანს მზეს მივეფიცხე, ტანსაცმელი კი ბურქებზე გავაშრე. შემდეგ ქალაქისაკენ მიმავალ გზას დავადექი. ვიდრე სევილიის კარბოჭეს მივადგებოდი, გარეუბნის ბაღებში მშინანებები დავინახე, მივედი და მხიარული ბერძნული სიმღერა ვუმღერე. სევდიანი მე არ ვიცოდი. თან სირცხვილისა და გულისტკივილისაგან ვიწოდი, რომ ასე საქვეყნოდ გამოვაძზეურე ჩემი უბედურება. თვრამეტი წლის ყმაწვილი ვიყავ, შმაგი და ამაყი, ჭირივით მძაგდა ადამიანთა თავშესაქცევ საგნად გახდომა.

— მომიტევეთ, — ვთქვი მე, როცა სიმღერას მოვრჩი, — გემი, რომელწოდებაც ვმსახურობდი, ეს-ეს არის ჩაიძირა და ჯერჯერობით არ ვიცი, რით ვემსახურო ადამიანებს. სიმღერაზე უკეთესი ვერა მოვიგონე რა.

ეს, როგორც შემემლო, ესპანურად წარმოვთქვი. მაშინ ერთი კარგი სახის კაცი მომიხლოვდა, ფული გამომიწოდა, გამიღიმა და ჩვენს ენაზე მითხრა:

— აი, ერთი სალესავი ჩარხი იყიდე ამით, დანების ლესვა ისწავლე და ხმელეთზე იარე.

რჩევა მომეწონა.

— მართლაც ასე ვიქმ, ბატონო, — მივუგე მე.

ახლა სხვებმაც გულუხვად დამასარუქრეს. წამოვედი და

ისე მოვიქცევი, როგორც იმ კაცმა ნირჩია. კარგა ზანს მღვთა-
ვად დავეხებოდი ესპანეთსა და საფრანგეთში.

რაც მაშინ შევიხსენებ, — ნონობის ათასგვარ გამოცლე-
ნაზე როგორ ავიწყლესა თავისუფლების სიყვარული და ათას-
ნაირ მძიმე ვასაჭირში როგორ გამოიმჩნეოდა სინამდვილე და
სადი აზროვნება, — ხშირად და ხალისითაც ნიანბნება შენ-
თვის.

ჩემს საჯარო ღვაწლებს უწყინარ ხეტიალში ვაღამებდი და
წინარუხად ვეწოდდი ხელოვნის ჭაპანს, მაგრამ ბოლოს ესეც
ჩამაშხამეს.

ხალხს ეგონა ვინიღებოდი, რადგან მაინცჯამანც არ
გნდილობდი ნებაბოს დავმგვანებოდი, ეჭვობდნენ, რომ ჩუმ-
ჩუმად რაღაც საშიშ საქმიანობას ვეწეოდი და, ასე გასინჯე,
ორჯერ შემიპყრეს კიდევ. ამან მიიძულა ხელი ანელთ მღვთა-
ობაზე და იმ მცირეოდენი ფულით, რისი შეგროვებაც შევ-
ძელი, სანშობლოს მივაშურე, საიდანაც ოდესღაც გამოვიქე-
ცი. უკვე ტრიესტში ვიყავ და დაღმაცის ვაფლით ვაპირებდი
გზის განგრძობას, მაგრამ მიმიე მოგზაურობისაგან ავად შე-
ვიქენი და ჩემი მცირე თანხა ამან შეიწირა. ასე რომ, ჯერაც
ნახევრად სწეული, დაღონებული დავაბიჯებდი ტრიესტის
ნავსადგურში და ერთბაშად ის კაცი არ გამოცეცხადა, რო-
მელმაც მაშინ სევილიის სანახებში იმდენი გულისხმიერება
გამოიჩინა! მას რატომღაც ძალზე გაეხარდა ჩემი ნახვა და
მითხრა, რომ ხშირად მიგონებდა, მერმე შემივკითხა: მას
შემდეგ რა გადაგხდაო. მეც ყველაფერი ვუთხრებ.

— ვხვდავ, ამოდ როდი გამიგზავნიხარ ბედისწერის შე-
გირდად, — შესძახა მან, — მოთმინება ვისწავლია, ახლა
შევიძლია შენც იმოქმედო თუ მოისურვებ.

მისმა ნათქვამმა, ნათქვამის კილომ, ხელის ჩამორთმევამ,
სახის განონეტყველებამ და თვალთა მზერამ — ყოველივე
ამან, თითქმის ღვთაებრივი ძალის ყოფილიყო, მთლად მონუს-
ხა ჩემი აზრება, რომლის აღგზნებაც ამდენი ტანჯვა-წვალე-
ბის შემდეგ უწინდებურზე იოლი იყო, და დავმორჩილდი მის
ნებისყოფას.

კაცი, რომელზედაც ვლაპარაკობ, შიპერიონ, ერთი იმთ-
განი იყო, სწინაში რომ ნახე ჩემთან. იმავე დანეს რადაც

საზეიმო თავყრილოჲაზე მიმიყვანა. ჟრუანტელმა დამიარა ტანში, როდესაც დარბაზში შევედი და ჩემმა მზღებელმა ვი-
დაც პირქუშ კაცებზე მიმიტოთა და მითხრა:

— ეს ნემესიდას კავშირია.

ვრცელი სარბიელით გაბრუებულმა, რომელიც ჩემს წი-
ნაში გადაიშალა, საზეიმოდ შევფიცე ამ ხალხს, რომ სი-
ცოცხლეს შევწირავდი, სულსაც არ დავიშურებდი მათი საქ-
მისათვის. ამის შენდევ კრება მალე დამთავრდა. დატეხულ-
იქნა, რომ რანდენიმი წელიწადში კვლავ შეიკრიბებოდნენ
სადმე სხვაგან, და ყოველი მათგანი მისთვის მიჩენილ, გზას
დაადგა, რომლითაც ამიერიდან უნდა ევლო ქვეყანაზე. მე იმ
ხალხს მიმამაგრეს, ვინთანაც რამდენიმე წლის შემდეგ მნახე
სმირნაში.

იძულება, რომლის მარწუხებშიც ახლა ვცხოვრობდი,
ხშირად მაწინებდა, თანაც კავშირის დიდ წარმატებებს მაინც-
დამაინც ვერა ვხედავდი, მოქმედება მწყურთოდა და წყურვილს
კი ვერ ვიკლავდი. მაგრამ მარტო ეს ვერ მანიჭულედა კავ-
შირს განდგომოდი. ეს შენით გატაცებამ ჩამადენინა ბოლოს.
ხშირად მიტეჟანს, შენ რომ წახვედი, თითქო უჰაეროდ და
უმზეოდ დავრჩი, ამიტომ სხვა გზა არ იყო: ან უნდა შენზე
ამელო ხელი, ანღა კავშირზე, და აი, ხედავ, რაც ვამჯობინე.

მაგრამ ადანიანის ყოველ მოქმედებას ბოლოს და ბოლოს
სამაგიერო მიიწღვება; მარტოდენ დიერთებსა და ბავშვებს
არ ერჩის ნენესიდა.

მე გულის დცთებრივ უფლებას მივეც უპირატესობა.
ჩემი საყვარელი მეგობრის გამო ფიცი ვავტებე. განა ეს სა-
მართლიანი არ იყო? განა ყველაზე კეთილშობილი სწრაფვა
ყველაზე თავისუფალიც არ უნდა იყოს? გულმა სიტყვაზე
დამიჭირა; მას მივანიჭე თავისუფლება და რაგორც ხედავ,
გულს ეს სჭირდება.

ერთხელ თუ აწყვეცი გენიას, მერე უკვე არავითარ ამქვეყ-
ნიურ ზღუდე-ფლებიჩს იგი აღარ სცნობს და ცხოვრების ყველა
სადავეს დაგაწყვეტინებს.

მოვალეობას ვუღალატე მეგობრის გულისთვის, მეგობ-
რობას ვუღალატებდი სიყვარულის გულისთვის, დიოტიმას
გულისთვის შენ მოგატყუებდი და ბოლოს თავსაც მოვიკლავდი

და დიოტიმასაც მოვკლავდი, ვინაიდან მე და ის ერთნი მანინც ვერ ვიწინებოდით. მაგრამ ასე არ უნდა მოხდეს. თუ ის უნდა ვზლო, რაც მოვიმოქმედე, ჩემი ნებით ვზლავ; მე თვით ავირჩევ მსაჯულენა; ვისთანაც დავაშავე, მათვე ჩავბარდები.

— შენს ამქრებაზე ლაპარაკობ, კავშირიდან რომ გყავდა? — შევძახე მე. — ო, ჩემო ალაბანდა, ნუ იქმ შენ ამას!

— რას მიზამენ? დიდი-დიდი, სიცოცხლე მომისწრათონ! — მომიგო ალაბანდამ. მერმე ნაზად ჩამჭიდა ხელი ხელში. — ჰიპერიონ! ჩემი საქმე წასულია და მხოლოდ ისლა დანერჩენია, რომ ღირსეულად დავასრულო ჩემი დღენი. გამიშვა! ნუ დამამცირებ და სარწმუნოდ მიიჩნე ჩემი სიტყვები! მე შენებრ კარგად ვიცე, რომ შევიბლო ხელოვნურად შემექმნა ჩემთვის არსებობის ილუზია, შემეძლო, რახან ცხოვრების ნაღიმი ვათავდა, ნახორხლებით შემექცია თავი, მაგრამ ეს ჩემი საქმე არ არის; ეს არც შენი საქმეა. აბა, მეტი რა გიჯობა? ვანა შენს ხვაშიადსაც არ ვამბობ? სუთთა ჰაერი მენატრება, ცინცხალი სიგრილე, ჰიპერიონ! ჩემი სული კიდემდე სავსეა, ბორცავს და ბველ სამანებში ვედარ ეტევა. ჰოდა, მაღე ხომ ზამთრის საუცხოოდ დღეებიც დადგება, როს თალხი ნიწა მარტოოდენ მუქი ფონია კაშკაშა ზეცის; მაშინ იქნება შესაფერისი დრო, მაშინ ხომ ისეჯაც სტუმართმოყვრულად დაგვციმციმებენ შუქის კუნძულნი!.. გიკვირს ვანა, რასაც მე ვამბობ? ჩემო ძვირფასო! გამოთხოვების უამს ყველანი მთვრალეებივით ლაპარაკობენ და საზეიმოდ უჭირავთ თავი. როს ხე ჭკნობას იწყებს, ვანა მისი ფოთლები აისის ფერებად არ იფაკლება?

— სულდიდო ქმნილებავ! — შევძახე მე. — შესაბრალები გჭირს კია რამე?

იმ თვალშეუდგამ სიმაღლეზე, რომელზედაც ის იდგა, შევატყვე, როგორ იტანჯებოდა. მე ასეთი გულისტკივილი ჩემს სიცოცხლეში არ განმეცადა. და მაინც, ო, ბელარმინ, მაინც ვგრძნობდი, რომ წილად მზვდა უდიდესი სიხარული, საკუთარი თვალით მემზირა და საკუთარი ხელით შევხებოდი დმერთთა სწორს.

— კეთილი, მოკვდი! — შევძახე მე. — მოკვდი! გული დიდებული გაქვს, ცხოვრება შენი ისე დამწიფდა, როგორც

ყურძნის მტევანი შემოდგომის ჟამს. წადი, სრულყოფილო! მეც თან წამოვყავებოდი, დიოტიმა რომ არა.

— ძლივს არ გათქმევინე! — შემესიტყვა ის. — შენ ამბობ ამას? რა ღრმა, რა შთაგონებული ბედა ყოველივე, როდესაც მას ჩემი ჰიპერიონი ეხება!

— მეფარისევლებს, კეთილს დმერთებს! — შევძახე მე. — რათა დაუფიქრებელი სიტყვა ერთხელ კიდევ დამაცდენინოს! და ეს იმიტომ, რომ ნება დავრთო სისხლიანი სამსჯავროს წინაშე წარსდგეს!

— არ გეფარისევლები, — მომიგო მკაცრად, — ნე უშულება მაქვს ის მოვინოქმედო, რაშიც ცდილობ ხელი შემეშალს. თანაც ყველას როდი ეძლევა ამის უფლება! პატივი ეცი შენ ამ უფლებას!

და თვალები ისე დააკვესა, რომ დმერთთა განჩინებასაც ვით მომნუსხა მისმა სიტყვებმა, დავირცხვინე, საწინააღმდეგო ვეღარა ვუთხარი რა.

„ასეთ რამეს ვერ ჩაიდენენ, — ვფიქრობდი თან ვუნებაში, — ვერ გაბედავენ. ერთობ უაზროა ასეთი დიდებულნი ადამიანი გასწირო, თითქო სამსხვერპლო ცხოველი იყოს“, — დავარწმუნე ჩემი თავი და დავმშვიდდი.

მონაპოვარი იყო ჩემთვის მასთან განმეორებით საუბარი ნაშუადმევს, მას შემდეგ, რაც ორიგენი საგზაოდ გავემზადეთ და ვიდრე გათენდებოდა, გარეთ გავედით, რომ ერთხელ კიდევ მარტონი ერთად ვყოფილიყავით.

— იცი თუ არა, — მითხრა მან სწავთა შორის, — მუდამ რატომ არაფრად არ ვადგებდი სიკვდილს? სიცოცხლეს მე არ აღვიქვამ, როგორც ღვთის ან მოკვდავს მიერ ბოძებულს. მე მგონია, რომ სიცოცხლე ჩვენშია და სამყაროსთან ასე მჭიდროდ მხოლოდ ჩვენი თავისუფალი მისწრაფება გვაკავშირებს.

— ასეთი რამ შენგან ვერ არ მსმენია, — შევესიტყვე მე.

— აბა, რა იქნებოდა, — განაგრძო მან, — აბა, რა იქნებოდა, ეს სამყარო, თავისუფალ არსებათა ჰარმონიული შეხმატკბილება რომ არ ყოფილიყო? ყოველი სულდღმეული იმთავითვე ინსტინქტური სინარულით რომ არ ცდილობდეს ერთიან მრავალხმიან ცხოვრებაში შერწყმას?

რა ვახევებული, რა ცივი იქნებოდა მაშინ ეს სამყარო! რა უსულგულო მექანიზმი იქნებოდა იგი!

— მაშ, უზენაესი ჭეშმარიტება ყოფილა იმის მტიკიცება, რომ თავისუფლების გარეშე ყოველივე მკვდარია, — შეეცისიტყვე მე.

— რასაკვირველია, — შესძახა მან. — განა თუნდ ბალახის ერთი ღერო მაინც ამოდის ისე, რომ სიცოცხლის საკუთარი ღვრიტა არ ჰქონდეს? ჰოდა, მით უფრო მე! აი, რატომაა, ღვირფასო, რომ ვინაიდან თავისუფლად ვგრბნობ თავს, ამ სიტყვის უზენაესი მნიშვნელობით, ვინაიდან დაუსაბამოდ შევიგრძნობ თავს, მჯერა: უსასრულო ვარ და ურღვევი. თუ გამომჭერწა მექონის ხელმა, მას უფლება აქვს, როცა უნდა მაშინ დაამსხვრიოს ეს ჭურჭელი, მაგრამ რაც შიგ სულდგმულობს, არ შეიძლება ვისიმე ქმნილება იყოს, ჩანასახშივე ღვთაებრივი ბუნებისაა, ხერხი და ღონე ვერ მიუდგება და ამიტომაც მოუწყვლელია, მარადიულია.

ყველას თავისი ზვაშიადი აქვს, საყვარელო ჰიპერიონ, თავისი იღუმალი აზრი და ფიქრი. ჩემი უკვე გაგიზიარე. ამასა ვფიქრობ მას შემდეგ, რაც აზროვნების უნარი შემწევს.

რამე ცოცხლობს, იმის აღგვა შეუძლებელია, ის ყველაზე მძიმე მონობაშია კი თავისუფლებას ინარჩუნებს, ერთიანობას ინარჩუნებს და თუნდაც შუაზე გააპო, მაინც მოუწყვლავი რჩება, თუნდაც ძვლებიც გადაუმტვრიო, მაინც ხელიდან გისხლტება გამარჯვებული მისი არსება... მაგრამ რიჟრაჟის ნიაგმა დაუბერა; ჩვენმა ზომალდებმა გაიღვიძეს. ო, ჰიპერიონ! შინაგანად უკვე დავძლიე ეს, მეყო ძალა, რომ სასიკვდილო განაჩენი გამომეტანა ჩემი გულისთვის და გაგყროდი, ჩემო გულის სწორო, სიცოცხლეე ჩემო! დანინდე და გამოთხოვებას ვადამარჩინე! აბა, ვიქაროთ! წამო!

ცივმა ყრუანტელმა დამიარა ამ სიტყვების გაგონებაზე.

— შენს ერთგულებას გაფიცებ, ალაბანდა! — შევძახე მე და მიხლებზე დავეცი მის წინაშე. — ნუთუ აუცილებელია? ნუთუ ეს აუცილებლად უნდა მოხდეს? უკეთურად გამაოგნე, თავბრუ დამახვიე. ძმაო, იმდენად გამომაცალე ჭკუა-გონება, რომ ვეღარც კი შეგვეკითხე, საით აპირებ?

— აღვიღს ვერ დავისახელებ, ამის უფლება არა მაქვს,

გულით კეთილთ! — ნომიგო მან. — მაგრამ შეიძლება ოდესმე კიდევ შევხვდეთ ერთმანეთს.

— შევხვდეთ? — შევესიტყვე მე. — მაშ, ერთი იმედით გავმდიდრებულვარ და ასე თუ გავრბეულდა, სულ უფრო მეტსა და მეტს შევიძენ. ასე რომ, ბოლოს ცარიელი იმედების ამარა დავრჩები.

— ძვირფასო! — მითხრა მან. — სჯობს გავჩუმდეთ, რაკი სიტყვებით ვერას გავაწყობთ! ვაუკაცურად განვშორდეთ ერთმანეთს! უკანასკნელ წუთებს ნუ ჩაიმიწარებ!

ამასობაში ნავსადგურსაც მივატანეთ.

— აი კიდევ რა, — მითხრა მან, როცა მის ხომალდს მივადექით. — სალამი გაჯაეცი შენს დიოტიმას! გიყვარდეთ ერთმანეთი! იყავით ბედნიერნი, კეთილშობილო სულებო!

— ო, ალაბანდა! — შევძახე მე. — რატომ არ შეიძლება შენს ნაცვლად მე წავიდე?

— შენი მოწოდება უფრო წარმტაცია, — ნომიგო მან. — იმას მიჰყევ! შენ დიოტიმას ეკუთვნი, ამიერიდან ის მშვენიერი ქმნილებაა შენი სამყარო... ეჰ! რაკი უნსხვერპლოდ არ არსებობს ბედნიერება, მე მიმსხვერპლე, ო, ბედისწერაც და მიჯნურთ სიხარულს ნუ წაართმევ!..

აქ გრძნობები მოეძალა, ხელიდან გამისხლტა და ხომალდზე გადახტა, რათა გამოთხოვება აღარ გაეჭიანურებინა. ეს წამი ისე განვიცადე, როგორც მეხის ჩამოვარდნა, რომელსაც ერთბაშად წყველიადი და სამარისებური სიჩუმე მოსდევს, მაგრამ ჩემმა უკვე შემუხსვრილმა სულმა კიდევ მოიკრიბა ძალა და ძვირფასი მეგობარი რომ როგორმე შემეჩერებინა, ხელები უნებლიეთ მისკენ გავიწვდინე და დავუძახე:

— ვაიმე, ალაბანდა! ალაბანდა!

მაგრამ ხომალდიდან მარტოოდენ ყრუდღა მომესმა:

— მშვიდობით!

მ ი პ ე რ ი თ ნ ი ბ ე ლ ა რ მ ი ნ ს

გემმა, რომელსაც კალავრიაში უნდა ჩავეყვანე, რაღაც მიწების გამო სადამომდე დაიგვიანა ნავსადგურიდან გასვლა, მაშინ როდესაც ალაბანდა დღითვე გაუდგა გზას.

დავრჩი ნაპირზე, გამოთხოვებით გულდაწყვეტილი და დამაშვრალი წყნარად გავცქეროდი ზღვას. საათი საათს მის-
 ლევდა. თვალწინ ჩამიარა მომაკვდავი სიჭაბუკის ტანჯვით
 აღსავსე დღეებმა და ფიქრი ჩემი გზაბნეული მწყაზარ მტრე-
 ღივით მყობადს დასტრიალებდა თავს. გული რომ ვაღამე-
 ყოლებინა, დიდი ხნის მივიწყებული ბარბითი ამოვიღე და
 ბედისწერის სიმღერა წამოვიწყე, რომელსაც ოდესღაც, ბედ-
 ნიერი და უდარდელი ყრმობის ჟამს, ჩემს ადამასთან ერთად
 ვმღეროდი ხოლმე.

მალა ჩონინებით, ნეტარო გენიებო,
 სინათლის ჩქერალებში, სათუთ ბილიკებზე;

კამკამა ზეფირი

გელამუნებათ,

ვით ქნარის წმინდა სიმებს

ქალწულის თითები.

ჩვილი ყრმის დარად ბედისწერისგან
 თავისუფალნი სუნთქავთ, ზეციურნი;

უბიწოდ დაუული

ფაქიზ კოკორში

ჰყავის მარადის

თქვენი სათნო სული

და სულმნათი თვალეზი

იმზირებიან

მარადიული გაშქვირვალებით.

ჩვენთვის კი არსად არის

მყუდრო სავანე,

ჰქრებიან, ეცემიან

ადამიანები,

ეული, ბრმად,

ჟამიდან ჟამზე,

ვით წყლის უხეფები —

ლოდიდან ლოდზე,

წლითიწლობით ქვევით, მრუმე ქვესკნელში.

ასე ვმღეროდი და თან ბარბითს ვაკვნესებდი. ის იყო
 სიმღერას მოვრჩი, რომ ნავსადგურში ნავი გამოჩნდა. მისივე
 შევიცან ჩემი მსახური, რომელმაც დიოტიმას ბარათი გად-
 მომცა.

„მაშ, ისევ ამქვეყნად იმყოფები? — მწერდა დიოტი-
 მა. — ისევ დღის ნათელს უჭვრეტ? მე კი უკვე ვფიქრობდი,
 რომ სადმე სხვაგან შეგეყრებოდი, ჩემო საყვარელო! ადრე
 ნივთი ის წერილი, რომელიც ჩესმის ბრძოლის წინ გამოგეგ-
 ზანა და მერე გენანა. ამიტომ მთელი ერთი კვირა მეგონა,

სიკვდილს ჩაუვარდა-მეთქი გაშლილ მკლავებში, ვიდრე შენი მსახური არ მოვიდა სასიხარულო ცნობით, — ცოცხალი არისო. ასე ფიქრობდი, მით უმეტეს, რომ ბრძოლიდან რამდენიმე დღის შემდეგ შევიტყვე, ხომალდი, რომელზედაც მე-გულებოდი, მეოპრებიანად დაიდუბაო.

მაგრამ შენ კვლავ მომაწვდინე შენი ტკბილი ზნა, მაისის სიოსავით კვლავ მომესალბუნა მიჯნურის საპო ენა და შენმა სანუკვარმა იმედმა, ჩვენი მომავალი ცხოვრების წარმტაცმა მოლანდებამ წამით მეც ამიყოლია.

ჩემო საყვარელო მეოცნებევ, ნეტავ შენებლოს არ გამოგაფხიზლო მაგ ზმანებიდან! ნეტავ შენებლოს გითხრა: მოდი და აღმიხდინე ის მშვენიერი დღეები, რონდებსაც აღნიტქვამ-მეთქი! მაგრამ უკვე გვიანაა, ჰიპერიონ, უკვე გვიანაა. სატრფო დაგიჭუნა, შენი წასვლის შემდეგ რაღაც შინაგანმა ცეცხლმა შემიღუსრა თანდათანობით და ძველი დიოტიმასაგან თითქმის აღარაფერი დარჩა. ნუ შეპრწუნდები! ბუნებაში ყველაჯერი იწმინდება და სიცოცხლის ყვავილებიც თანდათანობით ყველგან თავს აღწევენ უბემ მატერიას.

საყვარელო ჰიპერიონ, რას იფიქრებდი, რომ წელსვე მოისმენდი გედის სიმღერას ჩემსას.

გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა

ეს ამბავი შენი წასვლისთანავე დაიწყო ან, მგონი, გამოთხოვების დღეებიდანვეც კი. ჩემს სულში დაიბუდა რაღაც ძალამ, რომელიც მაკრთობდა, რაღაც შინაგანმა ცხოვრებამ მომიცვა, რომლის წინაშე მიწიერი ცხოვრება ისე უფერულდებოდა და ქრებოდა, როგორც დანის ლამპართა შუქი განთიადის ჟამს... უნდა გითხრა კი? დღეფოში ვინა-ტრიდი წასვლას¹⁰⁵ და ძველი პარნასის კლდეებში აღფრთოვანების ღმერთისათვის ტაძრის აგებას. მე, ახალ პოეთას,¹⁰⁶ მსურდა მისხური სიტყვებით აღმევინო დაუძლურებულნი ხალხები და ჩემმა სულმა უწყის, რომ ქალწულის ბაგე თვალეზს აუხეღდა ყველას, ვინც ღმერთებმა მიატოვეს, დაქუფრულსა და დადარულ შუბლს გაუხსნიდა მათ, იმდენად მძალადრი იყო ჩემში ცხოველმყოფელი სული! მაგრამ სულ უფრო და უფრო მეტად გვრძნობდი დაულას ჩემი ნოკვდავი

სხეულის ყოველ სახსარში და საშინელი სიმძიმე ქეჯს მახრეინებდა დაუნდობლად. ეჰ, ხშირად დავტიროდი ჩემს მყუდრო ფანჩატურში სიყმაწვილის ვარდებს! ისინი კი ჭკნებოდნენ და ჭკნებოდნენ და მარტოოდენ ცრემლებიდა უფაჟლავდნენ დაწვებს შენს გოგონას. ვხედავდი ისევ იმ ხეებს, ისევ იმ ფანჩატურს, — იქ იღვა ოდესღაც შენი დიოტიმა, შენი ბაღლი, ჰიპერიონ, შენი ბედნიერი თვალების წინაშე, ყვავილი ყვავილთა შორის, რომელშიც მიწიერი და ზეციური ძალები მშვიდობიანად ერწყმოდნენ ერთმანეთს. ახლა კი უცხოსავით დაეხეტებოდა იგი მაისის კოკრებში და მისი მესაიდუმლე კოპწია მცენარეები მას მეგობრულად უქნევდნენ თავს, მაგრამ გულმწუხარეს ველარაფერი ვერ ახარებდა. ისე კი, არც ერთისათვის შირი არ ამირიღებია, სათითაოდ ყველას გამოვეთხოვე: ჩემი სიყმაწვილის თამაშობათა მონაწილე ჭალებს, წყაროებს და მობიბინე ბორცვებს.

ეჰ, ხშირად ავდიოდი, ვიდრე საამისოდ ძალა შეიწვევდა, იმ მაღლობზე, სადაც ნოტარასთან ერთად ცხოვრობდი, — ეს ჩემთვის მძიმე ჯაფაც იყო და საამო მოთხოვნილგებაც. იქ შენზე ვესაუბრებოდი შენსავე მეგობარს, რაც შეიძლებოდა უდარდელად, რომ შენთვის რამე არ მოეწერა; მაგრამ სულ მალე გული ამომიჯდებოდა, თავს ველარ ვიკავებდი და გარეთ, ბაღში გავიძურწებოდი ხოლმე, მერე კი იმ ადგილს მივაშურებდი, კლდეს რომ გადაჰყურებს და მოაჯირითაა შემოზღუდული, საიდანაც ერთხელ მე და შენ გადავიბნდეთ და შორეთში გულგადაშლილი ბუნების წიაღს ვუჭვრეტდით. ეჰ, სწორედ აქ ვიდექე შენს მკლავებზე დაყრდნობილი, შენი მალული მზერით გარემოცული, ტრფობის პირველი ათრთოლებით გაფიცებებული და მწყურთა აზვირთებული სული ისე გადამედვარა ცხოვრების უფსკრულში, ვითარცა ზედაშე. აწ აქ უმწეოდ დავლასლასებდი და ნიავეს შევჩიოდი ჩემს უბედობას, თან მზერა ჩემი, ვით ჩიტი დამფრთხალი, აქეთ-იქით აწყდებოდა და ველარ ბედავდა დახანებას ამ მშვენიერ დეღამიწაზე, რომელსაც უნდა გავეყარო.

გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა

აი, რა დაემართა შენს გოგონას, ჰიპერიონ. ნუ იკითხავ, როგორ მოხდა ეს. ნუ შეეცდები ჩემი სიკვდილის გამოცანის ამოხსნას! ვინც ამგვარი ხვედრის მიზეზთა ჩაწვდომას განიზრახნავს, ის ბოლოს თავის თავსაც დასწყევლის და სხვებსაც შეაჩვენებს, თუმიცა ამაში კაციშვილს ბრალი არ მიუძღვის.

განა შეიძლება ვთქვა: შენზე დარდმა მომკლა-მეთქი? ო, არა და არა! ჩემთვის სასურველიც კი იყო ეს დარდი, იგი სიკვდილს, რომელსაც ჩემში ვატარებდი, აზრსა და მომხიბლობას ანიჭებდა; ახლა შემძლო საკუთარი თავისთვის მეთქვა: მიჯნურის პატივსაცემად ვლევ-მეთქი სულსა!..

ან შეიძლება ჩვენი სიყვარულით აღფრთოვანებამ ერთობ მომინწიფა სული და ამის გამო ახლა ანცი ყმაწვილივით ველარ ჩერდება სადა მშობლიურ სახლში? იქნებ გრძობათა სიუხვე იყო, მიწიერ ცხოვრებასთან რომ ვაძყარა? ან იქნებ შენი გამოისობით, დიდბუნებოვანო, იმდენად ქედმაღალი გავხდი, რომ მეტი ველარ გავუძელი ამ შეზღუდულ პლანეტას? მაგრამ თუკი ჩემს სულს ფრენა ასწავლე, რატომ იმასაც არ ასწავლი, როგორ დაგიბრუნდეს უკან? შენ გააჩაღე ეთერს დახარბებული ცეცხლი და რატომდა არ დამიცავი მისგან?.. ყური დამიგდე, საყვარელო! შენს მშვენიერ სულს ვაფიცებ, თავს ნუ დაიდანაშაულებ ჩემს სიკვდილში!

განა ძალგიძდა მე შეგეჩერებინე, თუკი ბედისწერამ შენც იგივე გზა მივიჩინა? ხოლო თუ გმირულად შეებმებოდე საკუთარ გულსა და ქადაგებას დამიწყებდი: მცირედიტაც დაკმაყოფილდი, ბალო, საუჯუნის ფეხის ხმას აჰყევით! — განა არ იქნებოდე არარაობა უპირველესი არარაობათა შორის?

გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა

მინდა პირდაპირ გითხრა, რასაც მე ვფიქრობ. შენი ცეცხლი ენთო ჩემში, შენი სული ვადმოსახლდა ჩემში; მაგრამ ეს ნაკლებად მავნებდა და მზროლოდ შენმა ბედისწერამ დაასამარა ჩემი ახალი ცხოვრება. შენი წყალობით სულმა ჩემში ერთობ იმძლავრა და მის დაოკებას ისევ შენ თუ შეიძ-

ლღებდი. მიწას წარსტაცე ჩემი ცხოვრება და შენვე შეგეძლო იგი მიწაზე მიგეჯახება, შეგეძლო ისე გამოგემწყვდია ჩენი სული შენს გაწლილ მკლავებში, ვითარც ჯადოსნურ წრტნი. ეჰ, ერთი შენი გულითადი შემოხედვაც კი შემაკა-
გებდა, ერთი შენი სატრფიალო სიტყვაც კი ისევ მხიარულ და ჯანნერთელ ბაღდად გადამაქცევდა; მაგრამ როდესაც შენ-
და საჯუთარმა ბედისწერამ უკიდურეს სულიერ მარტოობამ-
დე მივიყვანა, ისევე როგორც წყალდიდობა აიყვანს ხოლმე კაცს მთის უმაღლეს იწვევებზე, როდესაც საბოლოოდ ვირ-
წმუნე, რომ ბრძოლის ტაროსმა დილევი აგიფეთქა და ჩემი ჰინტონი მადლა აიჭერ პირვანდელ თაფისუჭლებში, ო, ნხოლოდ მაშინდა გადავწყვიტე და მალე აღვასრულე კი-
დეც, რაც გადავწყვიტე.

რამდენს ვლაპარაკობ. დიადი რომელი ქალი კი მღუმა-
რელ მოკვდა,¹⁰⁷ როს მისი ბრუტუსი და სამშობლო სანკვდრო-
სასიცოცხლო ბრძოლას ეწიენ. მაგრამ, აბა, ანაზე უკეთესს
რას გავავეთებ საუკეთესო დღეებში ჩემი ცხოვრების ბოლო
დღეობაგან? თანაც სულ მინდა რაღაც ვაგიზიარო. ჩუმი
იყო ჩემი ცხოვრება, სამაგიეროდ სიკვდილია მრავლისმეტყ-
ველი, ახლა კი კმარა!

გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა

ნხოლოდ ერთი რამ უნდა გითხრა კიდეც.

თითქო აუცილებლად უნდა დაღუპულიყავი, აუცილებ-
ლად უსასოობას უნდა მისცემოდი, მაგრამ შენ შენი სული
დაგიხსნის. შენ ვერც დაფნის და ვერც ტუჩის გვირგვინი¹⁰⁸
ვერ განუგეშებს; ამის უნარი მარტოოდენ შესწევს ოლიმ-
პოს, — ცოცხალს, უტყუარს, მარად ჭაბუკურად აღორძი-
ნებულს, შენს გრძნობებს რომ ესაღბუნება. მშვენიერი
სამყაროა ჩემი ოლიმპო: შენ იქ იცხოვრებ და სამყაროს
წმინდა ქმნილებებთან, ბუნების დიერთებთან ერთად მო-
ილხენ.

ო, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, მადლიანო, ერ-
თგულნო ჩემნო! დიერთებო ჩემნო, რომელნიც ვერ შეუცვ-
ნიხარტ, მაგრამ ძალზე კი ვისაკლისებენ! დიდი და პატარა!

მზე, დედამიწა და ეთერი, ყველა სულდგმულთან ერთად, თქვენს ირგვლივ თამაშობენ, გეთამაშებიან ანუ თქვენ ათამაშებთ მათ მარადიული სიყვარულით! ო, მიიღეთ ყოვლის მცდელი ადამიანები, მიიღეთ ლტოლვილნი ისევ თქვენს ღმერთთა ოჯახში, მიიღეთ ნიშბლიურ ბუნებაში, საიდანაც არიან გამოქცეულნი!..

გეცნო ეს სიტყვები, ჰიპერიოს? შენ მიეცი დასაბამი მათ, შენვე განახორციელებ და მხოლოდ მაშინდა დამშვიდდები.

მე კი იმდენი შევითვისე მათგან, რომ შევიძლია დალხინებულნი მოგვცდე ბერძენ ქალწულად.

დაე, სიკვდილისა იმ საბრალეებს ემინილეთ, რომელთაც თავიანთი უბადრუკი ჯანბირის გარდა, არა იციან რა, რომელნიც მარტოოდენ საჭიროებას მსახურობენ, გენიას კი მასხარად იგდებენ და შენ პატივს არა გცემენ, ბუნების მიამიტო ცხოვრებაგ! მათ საკუთარი უღელი ვადაქცევიათ მთელ სამყაროდ. საკუთარ მონურ შრომაზე უკეთესი არა იციან რა და ამიტომაც უფრთხიან ღვთაებრივ თავისუფლებას, რომელსაც სიკვდილი გვანიჭებს.

მე კი არ ვუფრთხი! მე ავმალღდი უბადრუკ ხუხულებზე, რაც ადამიანის ხელმა შეაკოწიწა და შევიგრძენი ბუნების ცხოვრება, რომელიც ყოველგვარ ნააზრევზე უფრო დიდია... თუნდაც მცენარედ რომ გადავიქცე, ისეთი რა მოხდება? მაინც ვიარსებებ. როგორ შეიძლება გავქრე სიცოცხლის წრებრუნვიდან, რომელშიც ყველას წილხვედრი მარადიული სიყვარული ყველა ქმნილებას აერთიანებს? როგორ შეიძლება გამოვეთიშო ჯაჭვს, რომელიც ყველა არსებას ერთმანეთთან აკავშირებს? იგი ისე იოლად არ წყდება, როგორც ახლანდელი ეპოქის დუნე კავშირები. ეს ხომ ბაზრობა არ არის, სადაც ხალხი თავს მოიყრის, იხმაურებს და ისევ დაიშლება ხოლმე. არა! ვფიცავ სულს, რომელიც გვაერთიანებს, ვფიცავ ღვთაებრივ სულს, რომელიც ყოველ ჩვენგანში თავისებურად ვლინდება და საერთოა ყველასათვის! არა და არა! ბუნებასთან კავშირში ერთგულება ოცნება არ არის. ჩვენ მხოლოდ იმიტომ ვაყრებით, რომ უფრო მტკიცედ გავერთიანდეთ, ღვთაებრივ თანხმობაში ვი-

ყოთ ყველაფერთან და საკუთარ თავთან. ჩვენ ვიხსოვებით იმისათვის, რომ ვიცოცხლოთ.

მე ვიარსებებ და არ ვკითხულობ, რა ვიქნები. ყოფნა, ცხოვრება — ეს საკმარისია, ეს ღვთიური მადლია და ამიტომაც ყოველგვარი სიცოცხლე თანაბარია იმ ღვთაებრივ სამყაროში, სადაც ბატონები და ყმები არ არიან. ბუნების ქმნილებანი ერთიმეორის გვერდით ცხოვრობენ, როგორც მოყვასი მოყვასთან; მათ ყველაფერი საერთო აქვთ: სული, სინარული და მარადიული სიჭაბუკე.

ვარსკვლავებმა მარადიულობა ამჯობინეს, სიცოცხლით აღსავსენი ისინი უჩუმრად მოძრაობენ მარად და სიბვრე არ იციან. ჩვენ კი სრულყოფილებას წარმოვადგენთ ცვალებადობაში; სინარულის დიად აკორდებს ცვალებად მელოდიებად ვანაწევრებთ. ვითარცა ქნარის დამკვრელნი მეუფეთა ტახტთან, ისე ვცხოვრობთ ჩვენ, თვითონაც ღვთაებრივნი, სამყაროს უტყუვ დმერთთა გვერდით და სიცოცხლის სწრაფმაგალი სიმღერით ვარბილებთ მზისა და სხვა დმერთების კურთხეულ სიმკაცრეს.

შეხედე სამყაროს! განა იგი საზეიმო მსვლელობას არა ჰგავს, რომლითაც ბუნება ყოველგვარ ხრწნაზე მარადიულ გამარჯვებას დღესასწაულობს? და განა თავისდა განსადიდებლად არ მოჰყავს სიცოცხლეს ოქროს ჯაჭვებით დამძიმებული სიკვდილი, როგორც ოდესღაც მხედართმთავარს დატყვევებული ხელმწიფეები? ხოლო ჩვენ, ჩვენ იმ ქალწულებსა და ჭაბუკებს ვგავართ, რომლებიც ნაირ-ნაირი სახიობითა და ჰანგებით, ცეკვა-თამაშითა და სიმღერით მისდევენ დიდებულ მსვლელობას.

ახლა ნება მომეცი გავჩუმდე. მეტის თქმა უკვე ზედმეტი იქნება. ჩვენ დიახაც შეგხვდებით ისევ...

მწუხარე ჭაბუკო! მალე, სულ მალე უფრო ბედნიერი იქნები, დაფნის გვირგვინი ჯერ წინა გაქვს, მაგრამ ტუიისა დაგიჭკნა უკვე, ვინაიდან ღვთაებრივი ბუნების ქურუმი უნდა გახდე და შენი დღეები — პოეზიის დრო-ჟამის კვირტი იშლება უკვე.

ო, ნეტავი შენი თავი დამანახვა და შენი მშვენიერი მოზავალი! მშვიდობით“.

მაშინვე მივიღე ნოტარას ბარათიც. აი, რას მწერდა:

„იმ დღეს, მას შემდეგ, რაც დიოტიმამ უკანასკნელი ბართი მოგწერა, იგი საოცრად დამშვიდდა, ხმას აღარ იღებდა. სულ რამდენიმე სიტყვა თუ გვითხრა და მათ შორის ისიც, რომ სიკვდილის შემდგომ ცეცხლზე დაწვა ერჩივნა დასაფლავებას და რომ მისი ფერფლი ლარნაკში უნდა ჩავვეყარა და ტყეში დაგვედგა იმ ადგილას, სადაც შენ, ჩემო ძვირფასო, პირველად შეხვდი. შემდგომ ამისა, რაკი სულ მალე ბინდი ჩამოწვა, ღამე იშვილობისა გვისურვა ყველას, თითქო დაძინებას აპირებსო და მშვენიერმა თავქვეშ ამოიდო მკლავები. განთიადამდე გვესმოდა მისი სუნთქვა. მერმე კი, როდესაც სრული სიჩუმე ჩამოდგა და ველარაფერი გავიგონე, ახლო მივედი და მივაყურადე.

ო, ჰიპერიონ! აბა, რაღა ვთქვა? ვათავებულებო და ჩვენი მოთქმა მას ველარ აღვიძებდა.

რაღაც საშინელი საიდუმლოა იმაში, რომ ასეთი სიცოცხლე უნდა მოკვდეს და გამოგიტყდები, მე თვითონაც ველარაფერი გამიგია და არც ალარაფერი მჯერა მას შემდეგ, რაც ასეთ ამბავს შევესწარი.

და მაინც მშვენიერი სიკვდილი სჯობია, ჰიპერიონ, ისეთ მთვლემარე ცხოვრებას, როგორიც ამჟამად ჩვენია.

ბუნების მოგერიება თუ მოგვიწევს, თორემ სხვა საქმე აღარ გვექნება მომავალში, თან მსოფლიო ამბები ვღეჭოთ, როგორც ბაღლები ღეჭავენ ხოლმე გამხმარ იის ფესვს,¹⁰⁹ ანითლა თუ შევიქცევთ თავს. დაბერება ახალგაზრდა ხალხს შორის სახალისოც კი მგონია, მაგრამ დაბერება იქ, სადაც ყველაფერი სიძველისაგან დამყაყებულ-დაჩაჩანაკებულია, — საშინელებაა, ამაზე უარესი არაფერი არ უნდა იყოს.

მე უფრო ვირჩევ, ჩემო ჰიპერიონ, არ ჩამოხვიდე. შენ რომ გიცნობ, შეიძლება ცნობას გადახვიდე. თანაც საშინოც არის შენი აქ გამოჩენა. ძვირფასო ჩემო, იფიქრე დიოტიმას დედაზე. იფიქრე ჩემზე და თავს გაუფრთხილდი!

უნდა გამოგიტყდე, ტანში მაყრიალებს, როდესაც შენს ბედ-იღბალზე ვფიქრობ. მაგრამ მაინც მგონია, რომ გვალ-ციანი ზაფხული ღრმა წყაროებს ევრას დააკლებს, ის მხოლოდ წვიმის თავთბელ ნაკადულს თუ დააშრობს, ყოფილა

ისეთი წამები, ჰიპერიონ, როდესაც რაღაც ზენაარ არსებად მომჩვენებინარ! ახლა გამოცდას ვადისარ და უნდა გამოჩნდეს, რაცა ხარ. მშვიდობით“.

ამას იწვირდა ნოტარა და შენ, ალბათ, გსურს შემიკითხო, ჩემო ბელარმინ, როგორა ვარ ახლა, როდესაც ყოველივე ამას მოგიფხრობ?

სწორუბოვარო! მე მშვიდად ვარ, ვინაიდან ჩემს ღვირთებზე უკეთესი ხვედრი არ მინდა. განა ყველაფერი არ იტანჯება? რაც უფრო სრულყოფილია ქმნილება, იტანჯება ნით უფრო მძაფრად! განა წმიდათაწმიდა ბუნება არ იტანჯება? ო, ჩემო ღვთაებავ! დიდხანს ვერ ვამცავ, რომ ასეთ ნეტარს ურვა ძალგიძდა. მაგრამ ნეტარება ტანჯვის გარეშე ძილია მხოლოდ და სიცოცხლევ არ არსებობს სიკვდილის გარეშე. ნუთუ გერჩივნა ჩვილი ბალდივით ყოფილიყავი მარად, მთვლემარე და არარაობის დარი? გამარჯვება არ განგეცადა? სრულქმნის ყოველი საფეხური არ გავგვლო? დიახ, დიახ! ტყვილი ღირსია კაცს გულწე აწივს და შენი მესაიდუმლე იყოს, ო, ბუნებავ! ვინაიდან მარტოოდენ მას მივყვართ ერთი ნეტარებიდან მეორისაკენ და სხვა თანამგზავრი არ გავაჩნია...

როგორც კი ისევ გონს ვიწყე მოსვლა, მაშინვე ვუპასუხებ ნოტარას. ბარათი სიცვილიდან გავუგზავნე, სადაც ჩამიყვანა ხომალდმა პაროსიდან:

„ვისმინე შენი, ჩემო ძვირფასო! უკვე შორსა ვარ და მინდა ცნობა მოგაწვდინო, მაგრამ სიტყვებს ვერ ვპოულობ — დიახაც უფლება მაქვს ამაში გამოგიტყდე. სულმნათნი, რომლებთანაც ახლა დიოტიმა იმყოფება, ბეჭის არ ლაპარაკობენ; ჩემს დამეშიაც, ჭირისუფლის უფსკრულშიაც, დაშრეტის პირზეა ჩემი სათქმელი.“

ლამაზი სიკვდილით მოკვდა ჩემი დიოტიმა; შენ მართალი ხარ; ესაა სწორედ, რაც სიცოცხლეს მიბრუნებს, მასულიერებს.

მაგრამ საჭყარო, რომელშიაც უკან ვბრუნდები, ის აღარ არის, რაც უწინ იყო. უცხო ყარბივით ვიქნები ამიერიდან, მსგავსი იმათი, ვინც დაუმარხავი ისევ ზევით ამოდის აქერონიდან, და თუნდაც ჩემს მშობლიურ კუნაულზე

მოგზადე, იმ წალკოტში, სადაც სიყმაწვილე ვავატარე და სადაც ახლა ნამა აღარ მიშვებს, მანც, ეჰ, მანც სტუმარით ვიწინები დედანიწაზე და ვეკავითარი დმერთი ვერ დანიბრუნებს წარსულს.

დიახ, ყველაფერი ვათავდა. ეს ერთობ ხშირად უნდა ვავამეორო მე გუნებაში, რათა მოვთოვო სული, დავაშოშინო, რომ სიფიცხისაგან რაიმე ბალღური სისულელე არ ჩადინოს.

ყველაფერი ვათავდა; და თუნდაც მეც შენებერ ტირილი შემიძლოს, იშვენიერო გლდმერთო, რომელმაც ოდესღაც აღონისი დაიტირე,¹⁰ ჩემი დოტომა მანც ვედარ დამიბრუნდებო და ჩემს გულისტქმას ძალა აღარა აქვს, რადგან მას ნხოლოდ ქარი თუ ისმენს.

ო, დმერთო! მე თვითონაც ხომ არარაობად ვიქეც და ყველაზე უბირ ხელოსანსაც შეუძლია მითხრას: შენზე ნეტი მაქვს ვაკეთებულო! ხომ შეუძლიათ მათ, სულით დატაკებს, ამით ინუგეშონ თავი, ჩადიმონ და მეოცნებეობა მიოჟინონ, რადგან ვერ ვანვანორციელე ჩემი საგმირო საქმეები, რადგან ხელები შეკრული მაქვს, რადგან ჩვენი დრო, მძვინვარე პროკრუსტესა¹¹ ჰგავს, რომელიც თავის მხნვერპლს ბავშვის აკანში აწვენს და რომ ჩასტიოს ამ დიხაც პატარა სარეცელში, ხელ-ფეხს აჭრის.

ნეტავ არ იყოს ასე ამათ შლეგ ბრბოში მარტოდმარტო შევარდნა და ასაკუწად თავის დადება, ან კეთილშობილ სისხლს არ ერცხვინებოდეს მონათა სისხლში შერევისა! ო, ნეტავ მოიძვევებოდეს დროშა, დმერთებო, რომლის მსახურებას აღაბანდა მოისურვებდა, ნეტავი იყოს თერმობილე, სადაც პატრით დავდვრიდი სისხლს, დავიცლებოდი ჩემში დავუბებუდი სიყვარულისაგან, რომელიც ამიერიდან აღარავის სჭირდება! თუმცა კიდევ უფრო უკეთესი იქნებოდა, ცხოვრება რომ შემიბლებოდა, ცხოვრება ახალ ტაბრებში, ჩვენი ხალხის ახლად შეკრებილ აგორაში დიადი სინარულით დიადი ვარამის ვაყურება; მაგრამ ამაზე აღარას ვიტყვი, რადგან ვტირი და ძალ-დონე მელევა, როგორც კი ამ ამბებს ვაჯინსენებ ხოლმე.

ეჰ, ნოტარა, ჩემი საქმეც ვათავებულება. საკუთარი თა-

ნი მეჯავრება, რადგან არ შემიძლია დიოტიმას სიკვდილში ბრალი არ დავიდო და ჩემი ახალგაზრდობის იდეებიც, რომელთაც ასე ვაფასებდი, ჩირადაც აღარ მიღირან. ვანა იმათ არ მოწამლეს ჩემი დიოტიმა?!

ჰოდა, აბა, მითხარი. სადღაა კიდევ ნავსაყუდელი? გუშინ ეტნაზე ვიყავი მაღლა და დიადი სიცილიელი¹² მომაგონდა, რომელიც ერთხელ, საათების თვლით თავგაბებრებული, სამყაროს სულს ჩასწვდა და სიცოცხლის თამამი წყურვილით ატანილი დიდებულ გენაში გადაეშვა; ცივ პოეტს ვულკანის ცეხლთან გათობა სჭირდებოდაო, — გაიქილიკა მაშინ ერთმა ოხუნჯმა.

ო, მეც რა სიამოვნებით მივცემდი საბაბს ასეთი დაცინვისათვის! მაგრამ გაცილებით იმაზე უფრო დიდი წარმოდგენა უნდა გქონდეს საკუთარ თავზე, ვიდრე მაქვს მე, რომ ასე დაუპატიჟებლად უბეში ჩაუფრინდე ბუნებას, თუმცა რაც გენებოს, ის უწოდე ამას, ვინაიდან, ღმერთმანი, ისეთ დღეში ვარ, რომ საგნებს სახელებს ვეღარ ვარქმევ და ყველაფერში ეჭვი მეპარება.

ჰოდა, ნოტარა, აბა მითხარი, სადღაა კიდევ ნავსაყუდელი?

კალავრიის ტყეებში? — დიახ! იქ, მწვანედ დაქუფრულ ტევრში, სადაც ჩვენი ხეები, ჩვენი სიყვარულის მოწმენი დგანან და მომაკვდავ ფოთლებს, დაისისფრად გაწითლებულთ, დიოტიმას ურნას აყრიან, ხოლო ლამაზი კენწეუროებით მისკენ იხრებიან, თანდათან ბერდებიან, ვიდრე თვითონაც წაიქცეოდნენ საყვარელ ფერფლზე, იქ, იქ შევძლებდი ალბათ ჩემი განწყობის შესაბამისად ცხოვრებას!

მაგრამ შენ მირჩევ, მოერიდო აქაურობას, რადგანაც ფიქრობ, რომ კალავრიაში საფრთხე მომელის და, როგორც ჩანს, ეს ასეც არის.

დიანაც ვიცი, ალაბანდასთან გამგზავნი. მაგრამ, აბა, ყური დამიგდე! ისიც გატეხილია! იავარქმნილია მტკიცე, ტანაყრილი მუხა და ბიჭბუჭები ახლა ნაფოტებს შეაგროვებენ და თავშესაქცევად კოცონს გააჩადებენ. ალაბანდა გაემგზავრა; მას მავანი და მავანი კეთილი მეგობრები ჰყავს, რომლებიც, დახმარების ხელს გაუწვდიან. ეს ის ხალხია,

რომლებსაც ძალზე ეხერხებათ შემწეობა აღმოუჩინონ იმას, ვისაც ცხოვრება გაუჭირდება. ალაბანდა მათ სანახავად გაეშურა. მერედა, რატომ? იმიტომ, რომ სხვა აღარაფერი დარჩენია, ან ყველაფერი თუ გსურს იცოდე, იმიტომ, რომ მის გულს ვნებათა დეღვა ღრღნის და იცი, ვის მიმართ? დიოტიმას ნიჰართ, რომელიც ცოცხალი ჰგონია, ჩემზე გათხოვილი და ბედნიერი... ჩემო საბრალო ალაბანდავ, ახლა დიოტიმა შენცა და მეც თანაბრად გვეკუთვნის!

ის აღმოსავლეთით გაემართა, მე კი ჩრდილო-დასავლეთით მივცურავ, რადგან შემთხვევამ ასე ინება...

ჰოდა, ახლა მშვიდობით! მშვიდობით იყავით ყველანი, ჩემო ძვირფასებო, ყველანი, ვინც გულში მისხედით! სიყრმის მეგობრებო, მშობლებო და თქვენც, ჩემო საყვარელო ბერძნებო, თქვენ, მრავალტანჯულნო!

ხოლო თქვენ, ნიავ-ქარებო, სათუთ ბაღდს რომ მასულ-დგმულულებდით, და თქვენც, დაქუფრულ დაფნის ტყეებო, ზღვისპირა კლდეო და მეფური სიღინჯით მობუზუნე ტალებო, დიადის ალღო რომ ჩამინერგეთ; ჰოი, თქვენც, სევდით აღსავსე მოგონებებო, კაეშანი რომ ჩამისახეთ, წმინდა გალავნებო, გმირ ქალაქებს რომ ერტყით ირგვლივ, ძველო კარიბჭენო, რომელთა გიხილავთ უამრავი მგზავრი რჩეული, ტაძრის სვეტნო და შენ, დმერთთა ნაცარტუტავ! ო, შენც, დიოტიმავ! და თქვენც, ველებო, ჩემი ტრფობის ფიანდაზებო, ნაკადულებო, მისი ტურფა სახის მნახველნო, ხეებო, რომელთა ქვეშ ის განიხარებდა, გაზაფხულებო, რომელთაც მოესწრო ჩემი სატრფო, ყვავილებით გარემოცული, ტურფა და სათნო, — ნუ მიმატოვებთ, ნუ მიმატოვებთ! მაგრამ თუ ესეც მიწერია, მაშინ თქვენც გაქრით, თქვენც განქარდით, უკეთუ კაცი უძღურია რამე შესცვალოს და წუეი სიცოცხლის, როს მოისურვებს, მაშინ ინთება და მაშინ ქრება.

ჰ ი პ ე რ ი ო ნ ი ბ ე ლ ა რ მ ი ნ ს

ასე მოვხვდი გერმანელებთან. ბევრს არ მოვითხოვდი, მოლოდინით კი, გაცილებით ნაკლებს მოველოდი. იქაივე კრძალვით მოვედი, როგორც სამშობლოდან გამოძევებული

უპიანათლო ოდიპოსი მივიდა ათენის კარიბჭესთან, სადაც იგი წმინდა ჭაღამ შეიფარა და სად მშენებნიერი სულის შექცევა-
ნენ...¹¹³

მე კი რაოდენ სხვანაირად წამივიდა საქმე!

ოდითგანვე ნაკბაროსები, მუყაითობისა და მეცნიერების წყალობით, თვით რელიგიის წყალობითაც კიდევ უარეს ბარბაროსებად გადაქცეულნი, რაიმე ღვთაებრივ გრძნობას სრულიად მოკლებულნი, წმინდა გრაციების საბედნიეროდ სულის სიღრმეცდევ გარყვნილნი, გინდა წრესგადასულობითა და გინდა უბადროუკობით ყოველი სულით ფაქიზი ადამიანის შეურაცხნიყოფილნი, გონებადანშულის და გადაგდებული ქოთნის ნამსავრეცებივით არაჰარმონიულნი, — ასეუნი იყვნენ, ჩემო ბელარმინ, მანუჯეშეპეულნი ჩემნი.

მეცახე სიტყვებითა, მაგრამ მაინც ვაძნობ, რადვან სიმართლეთა: ვერ წარმომიღგენია იქეთი ხალხი, რომელიც ვერმანელებზე უფრო დაქუცმაცებული იქნებოდა. ხელოსნებს ხედავ, მაგრამ ადამიანებს ვერა; ხედავ მოაზროვნეებს, მაგრამ ადამიანებს ვერა, ხედავ მღვდელმსახურებს, მაგრამ ადამიანებს ვერა; ხედავ ბატონებსა და ყმებს, ბიჭუნებსა და დარბაისელ ხალხს, მაგრამ ადამიანებს ვერა, — განა ეს ბრძოლის ველს არა ჰგავს, სადაც ხელ-ფეხი და სხეულის სხვა ნაწილები დასაზიარებული და ერთმანეთში ალუფუნული ყრია, ხოლო დაღვრილი ცხოველმყოფელი სისხლი ქვიშაში იწრიტება?

ყველა თავის საქმეს აკეთებსო, მეტყვი და მეც მაგას ვამბობ. ოღონდ ამას გულიანად უნდა იქმდეს. სხვა ქალები ადამიანმა კი არ უნდა ჩაიხშოს, თუკი ისინი უშუალოდ მის წოდებას არ შეესაბამებიან; მხდლური ქვაწვიაობით, ფარისევლური ასოკირკიტობით ადამიანი არ უნდა ცდილობდეს იყოს მარტო ის, რაც ჰქვია მას, იგი მთელი სერიოზულობითა და სიყვარულით უნდა ავლენდეს იმას, რასაც ნამდვილად წარმოადგენს, მაშინ ცხოველმყოფელი სულით იქნება აღსავსე მისი მუშაკობა, ხოლო თუ ისეთ დარგზეა მიჯაჭვული, სადაც ეს გამორიცხულია, მაშინ ზიზღით უნდა უკუაგდოს იგი და მიწის ხვნა ისწავლოს! შენი გერმანელები კი ხალისით ემონებიან საჭიროებას და ამიტომაა, რომ მათთან ასე ბევრია ნაჯახირვეი და ასე ცოტაა ლადი, ჭეშმარი-

ტად) გასახარელი ნამუშევარი. მაგრამ ამას კიდევ გაუძლებ-
და ჭაბუკი, ასეთი ადამიანები ოდნავ მაინც რომ გრძნობდნენ
ცხოვრების მშვენიერებას, ასეთ ხალხს რომ ყველ-
გან წყევლად თან არ სდევდეს ბუნების საწინააღმდეგო, უდ-
ვით ხელოვნურობა...

ძველების სიქველე მხოლოდ და მხოლოდ ბრწყინვალე
ნაკლოვანებააო, — უთქვამს ოდესღაც ვილაცის ავ ენას; და
მაინც თვით მათი ნაკლოვანებაც კი სიქველეა, ვინაიდან მათ-
ში ჯერ კიდევ ცოცხლობდა მშვენიერი ბალღური სული და
რაც არ უნდა გაეკეთებინათ, უსულგულოდ არაფერს იქ-
მოდნენ. გერმანელთა სიქველე კი ბრწყინვალე ბოროტებაა
და სხვა არაფერი, რადგან ასეთი სიქველე მარტოოდენ სა-
ჭიროებით არის ნაკარნახევი, იგი ლაჩრულ შიშს, მონურ
ჯაფას, უსულგულობას მოსდევს და სასოებას ართმევს ყო-
ველ სპეციალს, რომელიც მშვენიერებას ხალისით მიელ-
ტვის და რომელიც — ვაგლახ! — განებივრებული წმინდა
პარმონით, კეთილშობილი ბუნების მქონეთ რომ ახასია-
თებთ, ვერ იტანს ყალბხმოვანებას, ამ ადამიანთა მკვდარი
წესრიგიდან რომ მოისმის.

გეუბნები: ისეთი წმინდა არაფერია, ამ ხალხს რომ არ
შეერყვნას და პატივაცირილი უბადრუკ დამხმარე საშუალე-
ბად არ გაეხადოს; თვით იმასაც, რაც ველურებშიც კი მიტ-
წილად ინარჩუნებს თავის ღვთაებრივ სისპეციალს, ეს ყოვ-
ლის ამწონ-დამწონი ბარბაროსები ხელოსნობად აქცევენ და
არც შეუძლიათ სხვანაირად, რადგან თუ ადამიანის არსება
ერთი და ერთი ასე გაიწვრთნა, მერე სულ ამ თავისი მიზნის
სამსახურში იქნება, მერე სულ სარგებლობას დაუწყებს ძებ-
ნას, აღარ იოცნებებს — რას ამბობთ, ღმერთმა დაგვიფა-
როს! ეს ხალხი მაშინაც კი დარბაისლობს, როდესაც უქმობს,
როდესაც შეყვარებულია, როდესაც ლოცულობს და თვით
გაზაფხულის ტურფა ზეიმის დროსაც კი, როს ქვეყნად სა-
ყოველთაო შერიგება იწყება, ყველა საზრუნავი ქრება და
მანკიერი გულიც კი რაღაც სასწაულით უმანკო ხდება, რო-
დესაც მზის თბილი სხივებით შენარჩნობებული მონა გულ-
არხეინად ივიწყებს თავის ბორკილებს, ხოლო კაცთმოძულე-
ნი, გაზაფხულის კურთხეული ჰაერით გულმობლობილნი,

ბაღღებივით უწყინარნი ხდებიან — დიან, როდესაც ღმერთით
მუხლუბნიც კი ფრთებს ისხამს და ფუტკარი ზმანებეჭით
გაპრუებულნი დაბზუს, გერმანელი მაინც თავისი საქმის ნა-
ჭუჭუნი რჩება და ტაროსის ამბავს თითქმის არც დაეძებს!

მაგრამ შენ განვესჯი, წმინდაო ბუნებაჲ! ვინაიდან
თავნაბეღები მაინც იყვნენ ეს ადამიანები, კანონად მაინც
არ სანჯდნენ თავიანთ თავს საუკეთესოთათვის მათ შორის!
ცილს მაინც არ სწამებდნენ ყველას, ვინც მათგან განსხვავ-
დება, ანდა დასწამონ ცილი, ოღონდ ღვთაებრივს ლაფში
ნუ ამოსვრიან!

ან იქნებ ღვთაებრივი არ არის ის, რასაც თქვენ დას-
ცინით და უსულოს უწოდებთ? განა თქვენ უსაგნო ლაყბო-
ბას ჰაერი არ სჯობია რომელსაც ყლაპავთ? განა მზის სხი-
ვები უფრო კეთილშობილი არ არის, ვიდრე ყველა თქვენ
ერთად, ჭკუის კოლოფნო? მიწის წყაროები და დილის
ნამი აცოცხლებენ თქვენს ჭალებს, ჰოდა, თქვენ კი ძალ-
გიძთ ასეთი რამ? მაგრამ ვაი, რომ მარტოოდენ ხოცვა-
ყლეტა შევიძლიათ და არა ვისიმე გაცოცხლება, რამეთუ სუ-
ლის ჩაბერვას სიყვარული უნდა, რაც თქვენ არ ძალგიძთ
და რაც თქვენ არ მოგიგონიათ. იმის ზრუნვაში და ფიქრ-
ში ხართ, ბედისწერას როგორ დაუსხლტეთ ხელიდან და ვერ
გაგიგიათ, თქვენი ბაღღური ეშმაკობა რატომ ვერ გშვე-
ლით; ამასობაში კი ციურნი მნათობნი უწყინრად განაგრ-
ძობენ თავიანთ გზას. თქვენ პატივსა ჰყრით, თქვენ ხელ-
ჰყოფთ ლიბოიერ ბუნებას, მაშინ როდესაც ის გითმენთ;
ბუნება მაინც განაგრძობს არსებობას, არასოდეს ის არ
ბერდება და თქვენ ვერ აღგვივთ ვერც მის შემოდგომას, ვერც
მის გაზაფხულს, ეთერს მისას თქვენ ვერ წაბილწავთ.

ო, მართლაც ღვთაებრივი უნდა იყოს ბუნება, რადგან
თქვენ ანგრევთ, ის კი არ ბერდება და თქვენს ჯიბრზე მშვე-
ნიერება მშვენიერი რჩება!..

ლაშის გული გაუსკდეს ადამიანს, როდესაც თქვენს
პოეტებს, თქვენს ხელოვანთ ზედავს და საერთოდ ყველას,
ვინც გენიას კიდევ პატივს სცემს, ვინც მშვენიერებას ეტრ-
ფის და ელოლიავება. კეთილისმყოფელნი! ისინი ქვეყნად
ისე ცხოვრობენ, თითქო უცხონი იყვნენ საკუთარ სახლში.

ისინი ზედმიწევნით ჰგვანან მრავალტანჯულ ოდისევეს, რომელიც გლახაკად გადაცმული იჯდა თავის კარიბჭესთან, მაშინ როს ურცხვი სასიძოვები ხმაურობდნენ დარბაზში ერთობ და კითხულობდნენ: ამ მაწანწალას აქ რა უნდაო.

სიყვარულით, გონებითა და სასოებით აღსავსენი გამოდიან გერმანელი ხალხის წიაღიდან მუზის შეგირდნი, მაგრამ ნახავ მათ შვიდი წლის შემდეგ — ლანდებივით დალასლასებენ. გარინდებულნი, გაცივებულნი, ისინი იმ ნიადავსა ჰგვანან, რომელშიც მტერმა მარლილი თესა, რათა ბლახის ღეროც კი აღარასოდეს არ ამოვიდეს; ხოლო თუ ხმას ამოიღებენ, ვაი მას, ვინც მათ გაუგებს, ვინც ამ ტიტანური ძალის ამბოხში, ისევე როგორც მის პროტევისისებურ¹¹⁴ გარდაქმნებში მარტოოდენ სასოწარკვეთილ ბრძოლას დანახავს, რომელსაც მათი შეურევბული მშვენიერი სული ეწევა ბარბაროსებთან, რადგან მათთან უხდება საქმის დაჭერა.

ამქვეყნად ყველაფერი არასრულყოფილიაო, — ეს განლავთ გერმანელთა ძველი მოძახილი. ნეტავი ერთხელ მაინც ვინმე აუხსნიდეს იმ ღვთის მიერ მიტოვებულთ: მათთან ასე არასრულყოფილი ყოველივე იმიტომაა, რომ თავიანთი ტლანქი ხელებით სპეტაკს გაუბინძურებლად, წმინდას შეურყვნილად არა სტოვებენ, რომ მათთან არაფერი არა ხარობს, რადგან ამ გახარების ფესვს — ღვთაებრივ ბუნებას პატივს არ სცემენ, რომ მათთან არსებითად ცხოვრება უღიმღამოა, ცივი, ზრუნვით დამძიმებული, უსიტყვო ჭოჭმანით აღსავსე, რადგან ისინი ზიზღით უკუაგდებენ გენიას, რომელსაც ძალა და კეთილშობილება შეაქვს კაცთა შრომაში, სასოება — ტანჯვა-წვალებასში, სიყვარული და ძმობა — ქალაქებსა და სახლებში.

ამიტომაც ასე ძალიან ეშინიათ სიკვდილისა და ხამანწყის სიცოცხლის გულისათვის ითმენენ ყოველგვარ თავლაფდასხმას, რადგან მათ მიერვე რის ვაი-ვაგლახით შეკოწიწებულ ჩიხომახო ნამუშევარზე ამადლებული ვერა წარმოუდგენიათ რა.

ო, ბელარმინ! სადაც ხალხს მშვენიერება უყვარს, სადაც იგი თავის ხელოვანთა გენიას პატივს სცემს, იქ ერთ-

სულავენების მაცოცხლებელი სიო უბერავს, იქ მოკრძა-
ლებული გონი იფურჩქნება, თვითგანდიდება ქრება, გული
იქ ყველას სათნო და დიადი აქვს და აღტყინება გმირებს
აჩენს. ასეთ ხალხთან სამშობლოს ჰპოვებს ყოველი ადა-
მიანი და უცხოელი ხალისით დაივანებს! მაგრამ სადაც
ღვთაებრივი ბუნება და მისი მგოსნები ასე შეურაცხყოფილ-
ნი არიან, იქ ვაი, რომ გამქრალია სიცოცხლის უზენაესი
ხალისი და დედამიწაზე ცხოვრებას ყველა სხვა ცთომილი
გირჩევნია. აქ სულ უფრო და უფრო შინაგანად ცარიელ-
ნი და უსულგულონი ხდებიან ადამიანები, დაბადებით კი
ყოველი მათგანი მშვენიერია; მონური სული მძლავრობს,
მასთან ერთად კი ტლანქი მოპყრობაც; საზრუნავთან ერთად
ზარხოშიც იზრდება, ფუფუნებასთან ერთად შიმშილიცა და თა-
ვის რჩენის დარდიც მატულობს; ყოველი წლის მადლი წყევ-
ლად იქცევა და ღმერთები გაურბიან ადამიანებს.

ვაი იმ ყარბს, ვინც სიყვარულით ატანილი მოგზაუ-
რობს და ასეთ ხალხში მოხვდება, მაგრამ მით უფრო ვაი
იმას, ვინც, ჩემებრ გულგასენილი და უპოვარი, ასეთ
ხალხს გლახაკივით მიადგება!..

კმარა! შენ მიცნობ და ცუდად არ გამიგებ, ბელარმინ!
შენი სახელითაც კი ვამბობ ამას და ყველას მაგივრადაც,
ვინც ამ ქვეყანაში ცხოვრობს და იტანჯება, როგორც მე ვი-
ტანჯებოდი იქ.

ჰ ი ჰ ე რ ი თ ნ ი ბ ე ლ ა რ მ ი ნ ს

ახლა ისევ მინდოდა გერმანიას გავცლოდი. ამ ხალხში
ადარაფერს არ ვეძიებდი, საკმაოდ ვიყავ გულნატკენი ამ-
დენი უმოწყალო შეურაცხყოფისაგან და არ მსურდა ამგვარ
ადამიანთა ხელში ჩემი სული სისხლიდან დაცლილიყო.

მაგრამ ღვთაებრივმა გაზაფხულმა დამაკავა, ერთადერთ-
მა სიხარულმა, რომელიც კიდევ შემომრჩა, მე ხომ მხო-
ლოდ მისი ტრფიალიდა ვიყავ. როგორ ძალმიძდა კიდევ სხვა
რამეზე მეფიქრა და ის ქვეყანა დამეტოვებინა, სადაც გა-
ზაფხული მობრძანდა?

ბელარმინ! არასოდეს ასე ღრმად არ ჩავწოდომივარ იმ

ძველ მსახვრალ თქმულებას, რომელიც ამბობს, რომ ეულს ახალი მადლი ეფინება მას შემდეგ, რაც კაეშნის უკუნ ღამეს გაუძლებს და გადაიტანს, და რომ მხოლოდ ღრმა მწუხარებაში ჩაგვესმის ღვთაებრივად, ვით ბუღბულის სტვენა წყვდიადში, სამყაროს სიცოცხლის სიმღერა. ვინაიდან როგორც გენიებით გარემოცული, ისე ვცხოვრობდი ახლა აყვავებული ხეების ტვერში და მათ ქვეშ მოლიკლიკე ანკარა ნაკაღულების დუღუნი ღმერთების ხმასავით ახშობდა ჩემს მკერდში ურვას. ასე მემართებოდა, ჩემო კარგო, ყველგან, — როცა ბალახში ვიწექ ღა ნორჩი სიცოცხლე მიწანედ ხასხასებდა ჩემს ირგვლივ; როცა აღმართ-აღმართ მივიკვლევდი გზას ველური ვარდებით შენოჯარულ კლდოვან ბილიკზე, მზით გამთბარი ბორცვისაკენ; აგრეთვე როცა ნავით მივცურავდი მდინარის გრილი ნაპირების გასწვრივ და გარს ეუვლიდი ყოველ კუნძულს, რომელთაც წყლის ჩქერალები ნაზად ელაცეცებინ.

და როცა ხშირად, დილაობით, მთის მწვერვალებს მივაშურებდი, როგორც სნეული მკურნალ წყაროს, და მთვლემარე ყვავილებში მივაბიჯებდი, ხოლო ჩემს გვერდით კი ტკბილი ძილით გამამღარი ჩიტუნები ბურქნარიდან აიშლებოდნენ და დილის ბინდბუნდში რიალებდნენ დღის სინათლეს მოწყურებულნი, ხოლო ნიაგ-ქარს ველებიდან ლოცვაკურთხევის ხმები მოჰქონდა, — ნახირის ბღაღილი და ცისკრის ზარების რეკვა ისმოდა; შემდეგ კი უკვე დიადი ნათელიც, ღვთაებრივად მოკამკამე, მოვარდებოდა ჩვეულ ბილიკით და დედამიწას უკვდავ სიცოცხლით აფადოებდა, რათა მისთვის გული გაეთბო და მის შვილთ კვლავ გრძნობა დაბრუნებოდათ — ო, მაშინ მთვარესავით, რომელიც ერთხანს შემორჩებოდა ხოლმე ზევას, რათა დღის სიხარულს ისიც ზიარებოდა. მეც ვჩერებოდი მარტოდმარტო, გადავცქეროდო ტრიალ მინდვრებს, სიყვარულის ცრემლსა ვღვრიდი მოციგლიკე ჩქერალებისა და ნაპირების ხილვით და მათ დიდხანს თვალს ვერ ვაშორებდი.

ანდა საღამოობით, როს ხეობაში, წყაროს აკვანში, შორს შევიჭრებოდი, სად ირგვლივ მუხის ქუფრი კენწეროები დაშრილებდნენ და მე, როგორც მომავდავს, ბუნება თავის

წყუდრო სავანეში დამკობლაგდა, როს დედამიწა ერთ მთლიან ჩრდილად იქცეოდა და ხეების ტოტებსა და კენწე-რობებში უხილავი სიცოცხლე დაფარუნობდა, ხოლო მთის ნწვერვალებზე დაისით გაღველფილი ღრუბლის ქულა უძრავად იდგა და აბრწყვიალებული ქედიდან ციური სხივები წყლის ნაკადულებივით თავზე მეფრქვეოდა, თითქო დამაშ-ფრალი ყარბიბი სურდათ დაერწყულებინათ, — მაშინ შევძა-ხებდი ხოლმე:

— ო, მზეო! ო ნიაგ-ქარებო! მარტოოდენ თქვენთანდა ვოცხლობს ეს ჩემი გული, ვით ძმათა შორის!

ასე სულ უფრო და უფრო ვეწაფებოდი კურთხეულ ბუნებას და ანას ბოლო არ უჩანდა. რარიგ მენატრებოდა ბავშვად გადაქცევა, რომ უფრო ახლოს ვყოფილიყავი მას-თან, რარიგ მინდოდა ნაკლები მცოდნოდა და სიწმინდით სი-ნათლის კამკამა სხივს დაგმსგავსებოდი, რომ უფრო ახ-ლოს ვყოფილიყავი მე ბუნებასთან! ო, ერთი წამით მაინც მიგრძნო თავი მისი სიმშვიდით, მისი სიმშვენიერით გამს-ჭვალული! რამდენად უფრო მნიშვნელოვანი იყო ეს ახლა ჩემთვის, ვიდრე ფიქრითა და განსჯით აღსავსე წლები, ვიდრე ყველა ცდა ყოვლისმცდელი ადამიანისა! ყინულივით ღაღნა, რაც ვისწავლე, რაც მოვიმოქმედე ცხოვრებაში და სულში სიჭაბუკის ყველა ზრახვამ გადაიქუნა. ო, თქვენ-თან კი, საყვარელო, რომლებიც ახლა შორს იმყოფებით, მკვდარნო, ცოცხალნო, რარიგ ერთსულოვანი ვიყავი თქვენთან!

ერთხელ შორს ვიჯექ მინდორში, წყაროს პირას, სუ-როთი ამწვანებული კლდეებისა და აყვავებული ბუჩქების ჩეროში. ისეთი საუცხოო შუადღე იდგა, როგორსაც მანამ-დე არ მოვსწრებივარ. ნაზი სიო უბერავდა, მიწა ჯერაც დილის ნაბით ბრწყინავდა და შუქს თვის მშობლიურ ეთერ-ში წყნარად ეღიმებოდა. მიწის მუშაკნი შინ წასულიყვნენ, რომ სუფრას მისხდომოდნენ და სული მოეთქვათ მიძიმე შრო-მის შემდეგ; ჩემი სიყვარული მარტოდმარტო იყო გაზაფ-ხულთან და საოცრად კაემნიანი ლტოლვა დამეუფლა:

— დიოტიმა! — დავიძახე მე. — სადა ხარ? ო, სადა ხარ?

და თითქმის გავიგონე კიდევ ნისი ხმა, ხმა, რომელიც ოდესღაც, ბედნიერ დღეებში, ასე მანარებდა...

— ჩემიანებთან, — მომიგო მან, — და შენიანებთან, რომელთაც ადამიანის მცდარი გონება ეერა სჭვრეტს!

ავტრთოლდი და აზრი ჩემი თვლემამ მოიცვა.

— ო, წმინდა ბაგიდან დაცდენილო საამო სიტყვავ, — შევძახე მე, როცა ისევ გამოვფხბიწლდი, — საამორო გამოცანავ, ჩაგწვდები კია?

და ერთბელ კიდევ ჩავიხბდე კაცობრიობის ცივ ღამეში, შევეძწწუნდი და სიხარულისაგან ავჭირდი, რომ ასეთი ნეტარება მბვდა წილაღ და, ეგონებ, რაღაც სიტყვებს წარმოვტყვამდი, მაგრამ ისინი უფრო ცივბლის ტკაცატკაუცს წსაგავდა, როცა აღი. მალლა ავარღება და დაბლა ფერფლს სტოვებს...

„ო, შენ და შენმა დმერთებმა, ბუნებაღ! — ფიქრობდი მე. — უკვე გამოვტირე ჩემი კაცობრიული ოცნებები და ასე ვანბომ: მარტოოდენ შენ ცოცბლობ; ხოლო რაც დაუღეგარნა ადამიანებმა შეთითბნეს, შეთბნეს, იგი ცვილის მარგალიტებივით დნება შენი აღისგან.

ღიღი ხანია, რაც დაგომეს? ო, რამდენი ხანია, რაც ბრბო აუგად გიბსენება, მღაბალს გიწოდებს შენდა და შენს დნერთებსაც, ცბოვლამყოფელთ, სანეტარო სიმშვიდით აღესილთ!

ადამიანები ჭიანი ნაყოფივით გცვივა, ცბოვრების ხეო! მაშ, დაიღუნონ, რაღვან ისევ ფესვებს უბრუნდებიან, მეც ნეტავ ისევ მწვანიათ შემმოლა და ვლავ მასუნთბა შენი კენწეროს კვირტებით დაბუნბლულ რტოთა სურნელი! მასუნთბა მშვიდად და გულიანად. ვინაიდან ჩვენ ყველანი ერთი სათესლე ოქრო-მარცვლიდან ამოვიბარდეთ!

თქვენ, წყარობო მიწისა, თქვენც, ყვავილებო, ტყენო, არწივნო, აგრეთვე შენც, ძმაო ჩემო, სინათლევ! რა ძველია და რა ახალი ჩვენი ურთიერთსიყვარული! თავისუფალნი ვართ და მბდლურად არ ვიღვწით, რომ მანცდამანც ერთიმეორეს ჩვენ დავემსგავსოთ; ვით შეიძლება, რომ სიცივბლის ფერად-ფერადი ნაირგვარობა არ არსებობდეს? მაგრამ ყვე-

ლანი ეთერს ვექტრფით და შინაგანად, შინაგანი აჩსით ერთ-
ნანეთს ვგავართ.

ჩვენც, ჩვენც არა ვართ გაყრილნი, დიოტიმა, თუმცა კი
ცრემლებს, შენს გამო რომ ვღვრი, ეს როდი ესმით. ჩვენ
ჰანგები ვართ ცოცხალი და შენს ჰარმონიას ვერწყნით, ბუ-
ნებავ! მას ვინ დაარღვევს? განა ვის ძალუძს ერთუერთს გაჰ-
ყაროს მიჯნურნი?..

ჰოი, სულო, სულო! სამყაროს მიშვენებაჲ! შეუბღალავო!
აღმამფრენო! ჭაბუკო მარად! შენ კვლავ არსებობ; მაშინ რა-
დაა სიკვდილი და კაცთა ყოველი სატკივარი?! — ეჰ, ობრო-
დებმა უხვად დაროშეს ფუჭი სიტყვები. ყოველივე ხომ ლა-
დი გულის წადილით ხდება და ყოველივე ხომ ეშვიდობით
მთავრდება კიდევ.

სამყაროს დისონანსები მიჯნურთა შუღლს წააგავს. და-
პირისპირებაში შერიგება გამოსჭვავის და ყოველივე, რაც
გათიშულია, კვლავ ერთიანდება.

სისხლი ძარღვებით გამოდის გულიდან, ისევ გულშივე
უკან ბრუნდება და ერთიანი, მარადიული, უნზურვალესი
სიცოცხლეა ეს ყოველივე“.

ასე ვფიქრობდი. კვლავ იყოს დანარჩენი.

კომენტარები

ფრიდრიჰ ჰოლდერლინის რომანი — „ჰიპერიონი ანუ განდევნილი საბერძნეთში“ — ხალასი პოეზიის პროზით განცხადების უმწიკვლო ცდა, პროზის პოეტური სულისკვეთებით, ხილვით, რიტმით, ტროპებითა და ფილოსოფიური აფორიზმებით გამსჭვალვის, მისომხოლოდ სიმბოლოებად ღირებული მასალით შემოფარგვის სრულყოფილი ნიმუში — პირველად გამოქვეყნდა ცნობილ კოტას გამომცემლობაში (შტუტგარტი და ტიუბინგენი), ფრიდრიჰ შილერის შუამდგომლობითა და რეკომენდაციით, პირველი ტომი — 1797 წ., ხოლო მეორე — 1799 წ.

„ჰიპერიონს“ ცენტრალური ადგილი უჭირავს ჰოლდერლინის შემოქმედებაში. თვითონ მწერალიც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა თავის პირშეშოს. ხანგრძლივად. დაახლოებით 7 წლის განმავლობაში აყერებდა და აღეინებდა მას, ვიდრე იგი თავის იდეათა უნივერსალურ კვინტესენციად არ აქცია, დაუცხრომლად ზეწვდა და ასწორებდა. დადასტურებულია რომანის ექვსი რედაქციის არსებობა. მათგან უმეტესობა შემონახულია, მათ შორის ლექსად 1793 წ. შილერმა დაბეჭდა თავის ჟურნალში (Die neue Thalia, 1793, 5. Stück).

რომანის ეპისტოლური ფორმა, რამელიც განსაკუთრებით ემარჯვებოდა ჰოლდერლინს (ამას მისი არაჩვეულებრივად ბატოვანიპირადი წერილებიც მოწმობს), პოპულარული იყო მე-18 საუკუნის II ნახევარში და გერმანიაში განვითარების მწვერვალს გოეთეს „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანში“ მიაღწია. „ჰიპერიონი“ ზოგირამით, ყოველ შემთხვევაში ფორმით მაინც, უეჭველად დავალებულია ოციოდე წლით უფროსი, ოციოდე წლით აღრე დაწერილი „ვერთერისაგან“, მაგრამ მათ შორის განსხვავებაც არსებობს. მაგალითად, ჰიპერიონი, მიუხედავად ტრაგიკული მარცხისა, თავს არ იკლავს. ჰოლდერლინის რომანი „ვერთერის“ სინათლის სვეტში კი არ იკარგება, კი არ უფერულდება, არამედ ჭუფთი მნათობივით აშკაშებს და შეიძლება „კოსმიურობით“ აღმატებოდეს კიდევინით უფრო მრავლისმეტყველია ამ რომანებისა და მათი ავტორების ხედრი. „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“ გამოქვეყნებისთანავე გახმაურდა. ფართო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო, თაყვანისმცემელი და მიმბაძველები გაიჩინა და დღეს მარად უკნობი საქრესტომათო თხზულებაა. თვითონ გოეთეს ამ ნაწარმოების დაწერამ მწვავე სელიერი კრიზისი დააძლევინა და, შესაძლოა, თვითმკვლელობასაც გადაარჩინა. ჰოლდერლინს მხოლოდ წარუმატებლობა და სულით ავადმყოფობა ხვდა წილად, მხოლოდ ვიწრო ლიტერატურულ წრეებში იცნობდნენ და ჟიროვნად მარტოოდენ ერთეულები თუ აფასებდნენ. ახლაც, როდესაც იგი სპეცია-

ლისტების მიერ გერმანიის ერთ-ერთ უდიდეს პოეტად არის აღიარებული, პოლდერლინის მასობრივი მკითხველი მაინც არა ჰყავს. შემოქმედების „ნაკლებადმისაწვდომობა“, თუ განყენებულად ვიმსჯელებთ, მისი ესთეტიკური მრწამსის არც სასარგებლოდ ლაპარაკობს და არც საზიანოდ, მაგრამ იგი პოპულარობის უკუპროპორციული სიდიდე კია. ნაკლებადმისაწვდომობის საკითხი განსაკუთრებით მაშინ მიაჟრდება, როდესაც მის უკიდურეს გამოვლენას წაეაწყდებით ხოლმე (თუკი ვერაიენ გაიგებს, რაღა აზრი აქვს ასეთ მხატვრულ ნაწარმოებს?). პოლდერლინთან, რასაკვირველია, აქამდე არ მიღის საქმე, მაგრამ მაინც მან ამ მხრივაც გაუსწრო თავის დროს და ერაგვარად ეხმაურება მე-20 საუკუნის ინტელექტუალურ რომანს. პოლდერლინი განათლებული და გემოვნებიანი, ფაქიზი და მგრძობიარე მკითხველისათვის წერს. იგი შესანიშნავად იცნობს ძველ საბერძნეთს, მის ლიტერატურას, ფილოსოფიას ისტორიას, მითოლოგიას და ამას ჩვეულებრივ ამბად მიიჩნევს. მაგრამ მთავარი სიტყვლე ბერძნულ რეაღიებში კი არ არის, არამედ თხრობის თავისებურ, ლირიკულ-ამბლლებულ, ნართაულ-ლაკონიურ მანერაშია, აგრეთვე ცალკეული, მხოლოდ პოლდერლინისათვის დამახასიათებელი მხატვრული ხერხების სათანადოდ აღქმაში, როგორცაა საკუთარი, უჩვეულოდ მოტივირებული სიმბოლოების, ცნებებისა და სახეების შემოტანა, სიტყვა-თქმებში ჩაქსოვილი პირვანდელი სახის გაცოცხლება, „მეტყველი“ საკუთარი სახელები და ა. შ. „ჰიპერიონში“, მაგალითად, რომ აღარაფერი ითქვას ცალკეულ პასაჟებზე, ზოგან სიუჟეტის განვითარების თვალისმიდევნებაც კი გართულებულია. ამიტომ შეიძლება აქ ზედმეტი არ იყოს რომანის მოკლე შინაარსის ორიოდ სიტყვით გადმოცემა (მით უმეტეს, რომ ასევე მოქცეულან ზოგიერთ გერმანულ გამოცემაშიც).

პ ი რ ვ ე ლ ი ტ ო მ ი. პ ი რ ვ ე ლ ი წ ი გ ნ ი. რომანის მთავარი მოქმედი გმირი, შეძლებული ბერძენი სოვდაგრის ვაჟი, ჰიპერიონი, სამშობლოში ბრუნდება და გერმანელ მეგობარს, ბელარმინს, თავის თავგადასავალს მოუთხრობს წერილებში. იგი დაიბადა ეგეოსის ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე და ბუნების წალკოტში იზრდებოდა, როგორც მისი ღვიძლი შვილი. ადამასისაგან, საყვარელი მასწავლებლისაგან, რომელთან ერთად ბევრს დაეხეტებოდა ბერძნულ სანახებში, ისწავლა ძველბერძნული კულტურის თავყანისცემა და ბუნების სიყვარული. ძიების წყურვილს აყოლილი ადამასი ბოლოს ქვეყნად სამოგზაუროდ წავიდა. ამის შემდეგ მის შეგირდსაც აღარ უჩერდებოდა გული შინ და მშობლებმა სმირნაში გაგზავნეს სასწავლებლად. მცირე აზიის ამ ერთ-ერთ უძველეს ბერძნულ კერაში ჰიპერიონი თავს ობლად გრძნობდა, ეამთა სიავე უწყლავდა გულს, ვიდრე ალაბანდას შეხედებოდა და დაუმეგობრდებოდა. უკომპრომისო, მებრძოლი სულის ალაბანდა დაკავშირებული იყო შემთქმულთა ჭკუფთან, რომელიც არსებული წესწყობილების დამხობასა

და ტირანიისაგან ქვეყნის განთავისუფლებას ისახავდა მიზნად. მეგობრები მსოფლიოს განახლებასა და თავისუფლების დამკვიდრებაზე ოცნებობდნენ, მაგრამ მრავალ კირ-ვარამში გამოვლილი ალაბანდასაგან განსხვავებით, ჰიპერიონს ძალადობის გაგონებაც არ სურდა, მსოფლიოს განახლება სიყვარულითა და დიდსულოვნებით უნდოდა. მეგობრები ვერ შეთანხმდნენ და განაწყენებულნი გაშორდნენ ერთმანეთს. ჰიპერიონი კვლავ მარტოღოლად დარჩა, ამჯერად კიდევ უფრო გულგატეხილი, თავის თავში ჩაქეტილი და პარალიზებული. სასომიხდილმა სამშობლოს შეაფარა თავი.

პ ი რ ვ ე ლ ი ტ ო მ ი. მ ე ო რ ე წ ი გ ნ ი. კენჭულ კალაქის საოთხისებურ ბუნებაში ჰიპერიონი ხედება მშენებელსა და სათნო დიოტიმას, უმიჯნურდება მას და ამ ტურთა ასულის სიყვარული მისი აღმაფრენისა და ზემთაგონების ახალ მქეფარე წყაროდ იქცევა. სატრფოსა და თანამოაზრე ყმაწვილთა დასთან ერთად კაცობრიობის განახლების გეგმებსა სახავს მშენებლებს სახელით, რაიც ღვთაებრივ, ცხოველყოფელ, შემოქმედებით ძალად ესახება. მეგობრობამ და სიყვარულმა უნდა შვას ახალი სამყარო. დიოტიმას სწამს გულის სწორისა და თავისი ხალხის მოძღვრად, აღმზრდელად მიაჩნია იგი.

მ ე ო რ ე ტ ო მ ი. პ ი რ ვ ე ლ ი წ ი გ ნ ი. მოღლიდნელად ჰიპერიონი წერილს იღებს ალაბანდასაგან, რომელიც აცხვებს, რომ რესეთ-თურქეთის თმი ხელსაყრელ ნიადავს ჭმნის თურქთა უღლიდან საბერძნეთის განთავისუფლებისათვის და მოუწოდებს მანაც წილი დაიდოს განმათავისუფლებელ ბრძოლაში. შერიგების შემდეგ მეგობრები დაუცხრომლად საქმიანობენ. პელოპონესში მოხალისეთა ლაშქარს წვრთნიან და ამავე დროს ცვლილობენ სწორი პოლიტიკური თვალსაზრისი ჩაუნერგონ მებრძოლებს. მაგრამ ჯარი, პირველ ბრძოლებში გამარჯვებით თავბრუდამხველი, მისისტრიაში თარეშს აწყობს და ქალაქს იკლებს. ჰიპერიონი ლამობს წინ აღუდგეს მოთარეშეებს და პასუხად „თანამებრძოლნი“ მასაც კრიან. აღვირახსნილ მძარცველთა რაზმები მარცხდებიან. ალაბანდა გადაარჩენს დაჭრილ მეგობარს. ჰიპერიონი კვლავ გულგატეხილი და შინაგანად გატეხილია. თავისუფლების საქმისა აღარ სწამს და რესეთის ფლოტში იწყებს სამსახურს, სურს ბრძოლაში სიკვდილს გადააწყდეს და ურვით აღსავეს გამოსათხოვარ წერილსა სწერს დიოტიმას.

მ ე ო რ ე ტ ო მ ი. მ ე ო რ ე წ ი გ ნ ი. ჩესპასთან, საზღვაო ბრძოლაში, ჰიპერიონი მიძიმედ იჭრება. მას კვლავ ალაბანდა გადაარჩენს, უფლის და ელოლიავება, სიცოცხლის ხალხს და სასივობას უნერგავს ისევ. დიოტიმას წერილიც ამხნევებს და აპირებს მასთან ერთად სადმე მთებში დასახლდეს განმარტოებით და წყნარად იცხოვროს. ალაბანდას კი შორდება, რადგან ამ უკანასკნელს გული მაინც თავის ძველი მოკავშირეებისაკენ ეწევა. ჰიპერიონი ისევ

კენტად რჩება, რადგან დიოტიმას სიკვდილის ამბავს იტყობს. სათნო არსებამ ჰიპერიონის მარცხი ტრაგიკულად განიცადა, მისი განზრახვა სიცოცხლეს გამოსალმებოდა, ვერ აიტანა და თვითონაც აღარ ისურვა სიცოცხლე. გაოგნებული ჰიპერიონი ქვეყნად საყარბოდ გაიქრება და გერმანიაში მოხვდება. განმაქიქებელ სიტყვაში კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებს იქაურ ვითარებას და საბერძნეთში ბრუნდება. ბუნების კალთას სურს შეათაროს თავი, ისევ მას ეშვილოს, მას შეეხმ-ტკბილოს. ბუნება უნერგავს ისევ უკეთესი მომავლისა და კაცობრიობის განახლების რწმენას.

¹ Non coerceri... (ლათ.) — „ღვთაებრივია, ზომიერება არ უწყოდე უდიადესში, თუმც მიწიერი სარბიელი მცირეა შენი“ — ეპიგრაფი, რომლის თავისუფალ თარგმანსაც აქ ვიძლევი, ამოღებულია იეზუიტთა ორდენის დამაარსებლის — იგნაციუს ლოიოლას ეპიტაფიიდან.

² კო მ პ ე ნ დ ი უ მ ი (ლათ. compendium — შემოკლება) — მეცნიერების რაიმე დარგის ძირითად დებულებათა მოკლე გადმოცემა.

³ ჰ ი პ ე რ ი ო ნ ი ბერძნულ მითოლოგიაში არის ვაჟი ურანოსი და გეასი, მამასადამე, ტიტანი, თეიას მეუღლე, ჰელიოსის, სელენესა და ეოსის მამა. ჰელიოსს მამის სახელის მიხედვით ხშირად იხსენებდნენ ჰიპერიონიდად, ხოლო ზოგჯერ მზის ღმერთს პირდაპირ ჰიპერიონსაც უწოდებდნენ. პოლდერლინიც ადრე ჩვეულებრივ ჰელიოსის მნიშვნელობით ხმარობდა ამ სიტყვას, და, რასაკვირველია, შემთხვევით არ შეურჩევია რომანის მთავარი გმირის სახელად. ჰიპერიონი აქ „მეტყველი“ სახელია, ვთქვათ, როგორც მზექაბუკი, სიმბოლოა, ისევე როგორც რომანის დანარჩენ პერსონაჟთა სახელებიც, და გარკვეულ ასოციაციებსა და ანალოგიებს აღძრავს რომანის მთელ მანძილზე.

⁴ ბ ე ლ ა რ მ ი ნ ი ს — ჰიპერიონის გერმანელი მეგობრის — მოგვარეა, როგორც პოლდერლინის შემოქმედების მკვლევარებმა დაადგინეს, კარდინალი რობერტ ბელარმინი, თეოლოგიურ თხზულებათა ავტორი, ცხოვრობდა მე-16 და მე-17 საუკუნეების გასაყარზე; მაგრამ, როგორც ჩანს, აქ საქმე მარტო სეხნიობით ამოიწურება. საერთოდ კი, ეს სახელწოდება უფრო იტალიურად ეღერს: ბელ — მშვენიერი და არმინი — არმინიუსი. ბელარმინი სამშობლოს იდეალს განასახიერებს, პოლდერლინის მიხედვით, იგი მშვენიერი გერმანელია: მშვენიერი — რომანში მოცემული მშვენიერების მოძღვრების თვალსაზრისით, ხოლო გერმანელი — გმირის — მე-18 საუკუნეში პოპულარული არმინიუსის კულტის თავისებური, პოლდერლინისეული გაგებით (არმინიუსი ხერსუეთა მთავარი იყო პირველ საუკუნეში, რომაელთა წინააღმდეგ გერმანელთა განმათავისუფლებელ ბრძოლებს წარმატებით უდგა სათავეში). ბელარმინი ისევე უკმაყოფილოა გერმანული სინამდვილით, როგორც ჰიპერი-

ონა — ბერძნულით. ბელარმინი თანამემამულეთა შორის უცხოდ გრძნობს თავს, რადგან გერმანელებს არ მოეძევებათ ის, რაც ათენელებს, „სულითა და ხორციით მშვენიერით“ ჰქონდათ. ბელარმინის მოდელად პოლდერლინის ნახევარ ძმას კარლ გოკს ვარაუდობენ, რომელთანაც მწერალს გულითადი მეგობრობაც აკავშირებდა.

⁵ ... ო რ ი ზ ღ ვ ი ს უ ბ ე თ ა გ ა ნ ე რ თ ე რ თ ი ს ხ ი ლ ვ ი თ — იგულისხმება კორინთოს უბე, რომელსაც ჰელიკონ-პარნასის მთები ჩრდილოეთიდან აკრავს, ხოლო სიკიონის დაბლობი მის სამხრეთით მდებარეობს (სიკიონი ქალაქია კორინთოს დასაუღეთით).

⁶ უ რ ა ნ ი ა ციურს ნიშნავს და აფროდიტეს — სილამაზისა და წმინდა სიყვარულის ქალღმერთის — ეპითეტად იხმარებოდა. პოლდერლინი მეტწილად სამყაროს ჰარმონიის გაპიროვნებულ აღმნიშვნელად იყენებდა.

⁷ ტ ე ნ ო ს ი — ეუნძული ეგეოსის ზღვაში, ჰიპერიონის სამშობლო.

⁸ რ ო გ ო რ უ ყ ვ ა რ დ ა თ პ ლ ა ტ ო ნ ს ა და ს ტ ე ლ ა ს ე რ თ მ ა ნ ე თ ი — პლატონი რომდენიმე ეპიგრამაში ლაპარაკობს თავის საყვარელ მოსწავლე ბიქუნაზე, რომელსაც ფილოსოფოსი ასტრონომიას ასწავლიდა და რომელსაც ასტერი ერქვა (ბერძნულად „ბარსკელავი“, ლათინურად — სტელა).

⁹ ა დ ა მ ა ს ი (ბერძნ. უტები, დაუძლეველი, მიუდგომელი, აღმასი, ფოლადი) — ჰიპერიონის მასწავლებელი და მეგობარი. პოლდერლინს ადამასში თავისი სათაყვანო ფრიდრიჰ შილერი ჰყავს მინიშნებული. თავდაპირველად ხელნაწერებში ალაბანდას ერქვა ადამასი. მასწავლებელს კი ჭერ არ ჰქონდა საკუთარი სახელი.

¹⁰ პ ლ უ ტ ა რ ქ ე ს კ ა ლ ა მ ს ე კ უ თ ე ნ ის „ცხოვრებათა პარალელური აღწერილობანი“ („Bioi paralleloi“), რომელშიც ოცდაოთხი ბერძენისა და ოცდაოთხი რომაელის ბიოგრაფიაა დაწყვილებული და ერთმანეთთან შედარებული. ეს წიგი პოლდერლინის საყვარელი საკითხავი წიგნი იყო, ისევე როგორც რუსოსი და ახალგაზრდა შილერისა.

¹¹ ა თ ო ნ ი — 2033 მ. სიმაღლის მწვერვალი ქალკედონის ნახევარკუნძულზე (ჩრდ. საბერძნეთი).

¹² ტ ე ნ ა რ ო ნ ი — პელოპონესის უკიდურესი სამხრეთი ნაწილი, რომლის აღმოსავლეთ მხარეს ერთ-ერთ მღვიმეში პოსეიდონის საკულტო ადგილი მდებარეობდა. ძველად ამ ადგილებში მიწისქვეშეთის ერთ-ერთი შესავალი ეგულებოდათ.

¹³ ე ვ რ ო ტ ა ს ი — მთავარი მდინარე პელოპონესში, ჩრდილოეთიდან სამხრეთით კვეთს მას.

¹⁴ ე ლ ი დ ა , ნ ე მ ე ა , ო ლ ი მ პ ი ა — ე ლ ი დ ა — პელოპონესის დასაუღეთი მხარე, ზღვის სანაპირო, მისი ამავე სახელწოდების დედაქალაქი ცნობილი იყო გიმნაზიით; ნ ე მ ე ა — ველი კორინ-

თოს სამხერთ-დასავლეთით, სადაც ზევსის ტაძარი იყო და ე. წ.: ნემერი თამაშობანი ეწყობოდა, ო ლ ი მ პ ი ა — ადგილმდებარეობა ელიდაში. აქ ოთხ წელიწადში ერთხელ იმართებოდა სახელგანთქმული ელინური შეჯიბრებანი — ზევსისადმი მიძღვნილი ოლიმპიური თამაშობანი.

15 ა რ ქ ი ტ რ ა ვ ი — ანტიკური კოლონების ერთ-ერთი ზედა ჰორიზონტალური ნაწილი, ერთიანი ლოდისაგან გამოთლილი.

16 ნ ე ს ტ ო რ ი ვ ი თ ზ ე დ მ ი წ ე ე ნ ი თ გ ი ა მ ბ ო — ტროის ომის ერთ-ერთი მონაწილე ბერძენი მეფეთაგანი, თანამებრძოლთა შორის სიბრძნითა და ოქროპირობით იყო ცნობილი.

17 დ ე ლ ო ს ი — პატარა კლდოვანი კუნძული ეგეოსის ზღვაში, უძველესი საკულტო ადგილი აპოლონისა, რომელიც მე-5 საუკ.-ში ჩვ. წ. აღრ.-მდე გაიგივებული იქნა ჰელიოსთან.

18 კ ი ნ თ ო ს ი — ყველაზე დიდი მადლობი (113 მ) კუნძულ დელოსზე.

19 ნ ი ო ს ი — კუნძული ეგეოსის ზღვაში, ჰომეროსის გარდაცვალების ადგილი.

20 ა ქ ე რ ო ნ ი — ჰადესის — მიწისქვეშა, საიქიო სამეფოს მდინარე.

21 ... ი ს რ ე ბ ს რ ა კ ა რ უ კ ი გ ა უ დ ი ო დ ა თ — თავისუფალი პერიფრაზა ციტატისა ჰომეროსის „ილიადის“ 1 სიმღერიდან.

22 ს ა რ დ ე ს ი ქ ა ლ ა ქ ი ა მ ც ი რ ე ა ზ ი ა შ ი, მ დ. პაქტოლის მარჯვენა ნაპირზე.

23 ტ მ ო ლ ო ს ი — ქედი მცირე აზიის დასავლეთ ნაწილში.

24 პ ა ქ ტ ო ლ ო ს ო ქ რ ო ს ნ ა კ ა დ შ ი — მდ. პაქტოლის ტმოლოსის მთებში იღებს სათავეს, ოდესღაც მისი კალაპოტი ოქროს ქვიშას შეიცავდა.

25 კ ი ბ ე ლ ე — ფრიგიული ღმერთქალი, ღმერთთა და ყოველ არსთა დედა, მკვდარი ბუნების აღმალორძინებელი და ცოცხალ არსებებათთვის ნაყოფიერების მიმნიჭებელი; პერზონიფიციკრებული ბუნება.

26 ს ი პ ი ლ ო ს ი — მთაგრეხილი სმირნის ჩრდილოეთით. იგი ტმოლოსს უერთდება დასავლეთის მხრიდან. თქმულების თანახმად, სიპილოსის ერთ-ერთ მწვერვალზე იდგა გაქვავებული ნიობე.

27 მ ი მ ა ს ტ ყ ე ე ბ შ ი — სმირნის დასავლეთით მდებარე ნახევარკუნძულის მთიანეთის ტყეებში.

28 ო რ ი კ ა რ ა ბ ო რ ნ ი ე ლ ი ყ ა ჩ ა ლ ი — კარაბორნიელეზი — სმირნის დასავლეთით მდებარე ნახევარკუნძულის ერთ-ერთი დასახლებული პუნქტისა და მისი მიდამოების მკვიდრნი — იმ დროისათვის განთქმული იყვნენ ყაჩაღობითა და მეკობრეობით.

29 ა ლ ა ბ ა ნ დ ა — ამ სახელის ეტიმოლოგია ბოლომდე დადგენილი არ არის. იგი არაბერძნული უნდა იყოს (მცირე აზიაში, მილეტის აღმოსავლეთით ამავე სახელწოდების ქალაქი არსებობს).

გვიანდელ ანტიკურ წყაროებში იგი გამოჰყავთ კარული სიტყვებიდან: ალა — „ცხენი“ და ბანდა — „გამარჯვება“, ხოლო მთლიანად „მძლე მხედარის“ მნიშვნელობას აძლევენ. ზოგიც ბერძნ. ზედსართავს „ალაბეს“ უკავშირებს — გაუგებარი, ხელშეუხებ, მაგრამ ამ შემთხვევაში არაბერძნ. დაბოლოება ამოუხსნელი რჩება. ალაბანდამი ჰოლდერლინის ორი მეგობრის ნიშანწყალია შერეული: ქრისტიან ლუდვიგ ნოიფერისა და ისაკ ფონ სინკლერისა. განსაკუთრებით ეს მეორე ჰგავდა ხასიათით ალაბანდას: ისიც „მოქმედების კაცი“, საიდუმლო რევოლუციური კავშირის წევრი და პოლიტიკური საქმიანობისათვის დევნილი იყო.

³⁰ ნ ე მ ე ს ი დ ა — სამართლიანობისა და შურისძიების დემოტ-ქალი.

³¹ ... ლ ა პ ა რ ა კ ო ბ ს დ ა ბ ე რ ე ბ ა ს ა დ ა გ ა ა ხ ა ლ - გ ა ზ რ დ ა ვ ე ბ ა ზ ე — ჰოლდერლინს, როგორც ჩანს, მხედველობაში აქვს პლატონის დიალოგში — „პოლიტიკოსი“ — ჩართული მითი.

³² ქ ი ო ს ი — კუნძული ეგეოსის ზღვაში, მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროსთან.

³³ მ ე გ ე რ ა — ერთ-ერთი ერინია. შურისმაძიებელ დემოტქალ მეგერასთან მებრძოლი ქაბუკი ჰერკულესი ჰიპერიონის წარმოსახვის ნაყოფია, ანტიკურ მითოლოგიაში ასეთი ბრძოლა მოთხრობილი არ არის.

³⁴ ა რ კ ა დ ი ა შ ი ვ ი მ ყ ო ფ ე ბ ი თ ო... ა რ კ ა დ ი ა — პელოპონესის ცენტრალური ნაწილი, გადატ უწყინარი, სათნო და სტუმართმოყვარე მწყემსთა იდილიური, სამოთხისებური მხარე.

³⁵ ა ხ ა ლ ი ე კ ლ ე ს ი ა — ჰეგელთან ერთად ჰოლდერლინიც „ხალხის იდეალურად აღზრდისა“ და ერის გაკეთილშობილების საქმეში გარკვეულ ადგილს რელიგიასაც უთმობდა.

³⁶ დ ი ო ს კ უ რ ე ბ ი — მეტსახელი ტყუბი ძმებისა — კასტორისა და პოლიდეკესის, ტინდარეოსისა და ლედას ვაჟებისა; ზოგიერთი მითის მიხედვით მხოლოდ კასტორია მიჩნეული ტინდარეოსის ვაჟად, პოლიდეკეს მამა კი ზევსია. კასტორი ჩაუქი ცხენოსანი გახლდათ, ხოლო პოლიდეკე — მძლეთამძლე მოკრივე. ძმებს გაგოვებით უყვარდათ ერთმანეთი და როდესაც კასტორი — სპარტელი მეფის ტინდარეოსის მოკვდავი ვაჟი — ბრძოლაში მოკლეს, პოლიდეკე ზევს შეევედრა: ისიც მოეკლა. მაშინ ზევსმა უფლება მისცა ძმისთვის გაეყო უკვდავება და ამის შემდეგ ძმები ერთ დღედაღამეს ოლიმპოზე ატარებდნენ. და მეორეს პაღესში. უსაზღვრო ერთგულებისა და სიყვარულისათვის ზევსმა ბოლოს ძმები თანავარსკვლავედად აქცია.

³⁷ ი დ ა — წყალუხვი და ტყიანი მთიანეთი ჩრდილო-დასავლეთ მცირე აზიაში, ტროის მახლობლად.

³⁸ ა ქ ი ლ ე ვ ს ი დ ა მ ი ს ი ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი მ ე გ ო ბ ა რ ი

მ ა რ ხ ი ა ნ - მ ე თ ქ ი — ჰომეროსის „ილიადაში“ აქილევსის განუყრელი მეგობარია ტროის ღმის ერთ-ერთი მონაწილე პატროკლე. „ოდისეის“ მიხედვით (იხ. 24-ე სიმღერა) ტროის ომში დაღუპული სამი მეგობრის — აქილევსის, პატროკლესა და ანტილოქეს ფერფლი ერთად დაკრძალეს, ერთ ურნაში, ტროის მახლობლად.

³⁹ ა კ რ ო პ ო ლ ი (ბერძნ. ზედა ქალაქი) — ციხე-სიმაგრე ქალაქის მალლობზე. ბერძნულ ქალაქთათვის დამახასიათებელი ნაგებობაა.

⁴⁰ ე ფ ე ს ო ს ი... თ ე ო ს ი... მ ი ლ ე თ ი — ე ფ ე ს ო ს ი — ძველი საბერძნეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროზე, მდ. კაისტროსის შესართავთან, თ ე ო ს ი — ქალაქი სმირნის სამხრეთ-დასავლეთით. მ ი ლ ე თ ი — მე-6—7 საუკუნეებში (ჩვ. წ. აღრ.-მდე) უმნიშვნელოვანესი ბერძნული ქალაქი მცირე აზიაში. 494 წ. (ჩვ. წ. აღრ.-ით) სპარსელებმა დაანგრიეს.

⁴¹ ო რ ფ ე ვ ს ი — მითური მგოსანი, რომელსაც მუსიკისა და ლექსის გამოგონება მიეწერება. ორფევსის სიმღერა და ქნარზე დაკვრა არა მხოლოდ ადამიანებსა და ღმერთებს ატყვევებდა, არამედ გარეულ ცხოველებსაც იმორჩილებდა, მცენარეებსა და ქვებზედაც კი ახდენდა ზემოქმედებას.

⁴² ე ლ ი ს ე ი ო ნ ი — ბერძნულ მითოლოგიაში ნეტართა სამყოფელი მიწისქვეშეთსა თუ ქვეყნიერების კიდეზე, სადაც მორწმუნე და ღირსეული ადამიანები, ვთქვათ, გმირები მარად უზრუნველ ცხოვრებას ეწევიან, წარმტაცი ბუნებით გარემოცულნი.

⁴³ დ ა ნ ა ი დ ე ბ ი ს მ ა რ ა დ ც ა რ ი ე ლ ი კ ა ს რ ი ს დ ა რ ი — მეფე დანაოსის ქალიშვილებმა ქორწინების პირველ ღამეს დახოცეს თავიანთი საქმროები, რომელთაც ძალით იქორწინეს მათზე. ამ დანაშაულისთვის მათ საიქიოს უძირო კასრის გაცემა აქვთ მისჯილი.

⁴⁴ თ ე მ ი ს ტ ო კ ლ ე (დაახ. 524—459 წწ. ჩვ. წ. აღრ.-მდე) — ათენელი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი, დემოკრატიული პარტიის მეთაური. სალამინთან სპარსელებზე ბერძნების გამარჯვებაში დიდი წვლილი მიუძღვის.

⁴⁵ ს ც ი პ ი ო ნ ე ბ ი — ძველრომაული პატრიციული საგვარეულო, რომლიდანაც მე-3 და მე-2 საუკუნეებში (ჩვ. წ. აღრ.-მდე) გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეები და მხედართმთავარნი გამოდიოდნენ; სციპიონთა გამარჯვებებმა რომის მსოფლიო ბატონობას ჩაუყარა საფუძველი.

⁴⁶ პ ე ლ ი ო ნ ი დ ა ო ს ა — მთები თესალიაში (საბერძნეთი). ალოადებმა — ალოევსის ბუმბერაზმა, გიგანტთა მსგავსმა ვაებმა — ოტოსმა და ეფიალტემ განიზრახეს ოლიმპოზე დაედგათ ოსა, ოსაზე კი პელიონი და ასე ცამდე ასულიყვნენ. ასხელიანები ისინი არ ყოფილან. ასხელიანები იყვნენ ჰეკატონხიერები — კრონოსისა

და გეას შვილები, ორმოცდაათთაიანი ბუმბერაზები, რომლებიც ტიტანებთან ბრძოლისას ზევსის მხარეზე იყვნენ (უკვე ანტიკურ ხანაში ურევდნენ ერთმანეთში მოკვდავ გიგანტებსა და უკვდავ ტიტანებს).

⁴⁷ ა ი ა ქ ს ი ს კ უ ნ ძ უ ლ ზ ე... ს ა ლ ა მ ი ნ ზ ე — აიასი სალამინის (ათენის წინ, სარდონიკოსის უბეში მდებარე კუნძულის) მეფის ვაჟი, სალამინელთა წინამძღოლი ტროის ომში და გამოჩენილი გმირი.

⁴⁸ ი უ პ ი ტ ე რ ი ს ა რ წ ი ვ ი — იუპიტერის — ცის რომაული ღვთაების. ზევსის ჭუფთი ღმერთის მუღმივი მხლებელი და შიკრიკი იყო არწივი. ბინდაროსის ერთ-ერთ ოდაში, რომელიც პოლდერლინმა გერმანულ ენაზე თარგმნა, აპოლონის ოქროს ლირასა და მუზების ძალაზეა ლაპარაკი: არწივიც კი, ფრინველთა მბრძანებელი, იძინებსო ზევსის სკიპტრაზე.

⁴⁹ კ ა ლ ა ვ რ ი ა — კუნძული პელოპონესის აღმოსავლეთ სანაპიროსთან.

⁵⁰ ქ ა რ ო ნ ს მიცვალებულთა სულები გადაჰყავდა ნავით სტიქსზე მიწისქვეშეთში. ჰადესის კარიბჭემდე.

⁵¹ ... რ ო ს დ ა ვ ი წ ყ ე ბ ი ს ფ ი ა ლ ა ს დ ა ე წ ა ფ ე ბ ი — ასოციაციური მინიშნება მიწისქვეშეთის მდინარე ლეთზე, რომლიდანაც მიცვალებულთა სულები დავიწყებას სვამენ, ავიწყლებათ მიწიერი ცხოვრება.

⁵² პ ა ლ ა დ ი ო ნ ი — ათენა პალადას გამოსახულება, რომელიც ზევსმა ტროის დამაარსებელ ილიოსს ჩამოუგდო და ვიდრე იგი ტროაში ინახებოდა, ტროა უძლეველი იყო. მოგვიანებით პალადიონად იწოდებოდა საერთოდ ყოველი შეიარაღებული ღვთაების გამოსახულება, რომელიც ამა თუ იმ ქალაქში ინახებოდა, როგორც ქალაქის შეუვალობის თავდები, უფრო მოგვიანებით კი — საერთოდ მფარველობის წმინდა საწინდარი რამ.

⁵³ დ ი ო ტ ი მ ა — სახელი ორი ნაწილისაგან შედგება: დიოტიმა; — დიოს — ღმერთისა, ღვთაებისა; ტიმა — პატივი, — და შეიძლება ნიშნავდეს: „ღვთისაგან პატივდებული“ ან „ღვთის პატივისმცემელი“, მაგრამ პოლდერლინთან უფრო მესამე მნიშვნელობაა ამ სიმბოლურ სახელში ჩაქსოვილი: „ღმერთების პატივი“: დიოტიმა იმდენად სრულყოფილია, რომ მის შემოქმედ ღმერთებს პატივს დებს თავისი მყოფობით. დიოტიმა პოლდერლინის ლექსებშიც გვხვდება, რომანის პერსონაჟსა და ლექსების სათაყვანო ხატებას შორის არსებითი განსხვავება არ არის. რომანში მას თავდაპირველად მელიტე ერქვა (ბერძნ. ქალისა და ადგილმდებარეობის სახელი, მელი — ბერძნ. თავლს, ხოლო მელისა (მელიტა) ფუტკარს ნიშნავს). სახელწოდება „დიოტიმა“ პოლდერლინმა პლატონის „ნადიმოდან“ აიღო. პლატონის დიოტიმა ქურუმში ქალია მანტიონიდან. მისგან მოისმინა სოკრატემ მოძღვრება ეროსის შესახებ.

დიოტიმა მიჯნეობის, პირვანდელი მაცოცხლებელი, მხსნელი, შვების მოძვერელი სიყვარულის მოძღვარიცაა და მისი აღმძვრელიც. პოლდერლინისათვის დიოტიმა მშვენიერისა და ამაღლებულის ანტრეპური იდეალია, რომელიც დროში თითქოსდა მარადული მყოფობით ციახლობს და ღმერთს უახლოვდება უსასრულო ყოფიერებით.

⁵⁴ გა ნ ი მ ე დ ე — უჩვეულო სილამაზის უფლისწული (დარდანის მეფის — ტროსის ვაჟი) არწივად გადაქცეულმა ზევსმა მოიტაცა, ოლიმპოზე წაიყვანა, თავის საყვარლად და ღმერთების მერიქიფედ გაიხადა.

⁵⁵ ... ძ უ მ გ ე ლ მ ა ა წ ო ვ ა ძ უ ძ უ — თქმულების თანახმად, რომელსაც — რომის დამაარსებელსა და მის პირველ მეფეს (მე-8 საუკ. ჩვ. წ. აღრ.-მდე) — მის ძმა რემუსთან ერთად (ტყუპები ვესტალ ქალს შეეძინა მარსისაგან) ძუ მგელმა აწოვა ძუძუ და მწყემსმა გაზარდა.

⁵⁶ გა ნ გ ე ბ ი ს და ნ ი — მოიჩივებო, ბედისწერის ქალღმერთები.

⁵⁷ პ ა რ მ ო დ ი ო ს ი და ა რ ი ს ტ ო გ ი ტ ო ნ ი — ორი ქაბუკი ათენელი, განუყრელი მეგობრები, რომლებმაც 514 წ. ჩვ. წ. აღრ.-მდე ტირანი პიპარქე მოკლეს. ამ მკვლელობას (იგი არსებითად არისტოკრატის სასარგებლოდ იყო ჩაფიქრებული) ტირანის დაცემა მოჰყვა შედეგად და დემოკრატიული ათენის მიერ ორივენი თავისუფლებისათვის თავდადებულ გმირებად იქნენ შერაცხულნი. პარმოდიოსი, რომელსაც მკვლელობამდე მახვილი ტუჩის ტოტში ჰქონდა დამალული, ადგილზევე მოკლეს. ხოლო არისტოგიტონი შეიპყრეს, აწამეს და სიკვდილით დასაჯეს.

⁵⁸ მ ი ნ ო ს ი — კრეტის მითიური მეფე, სამართლიანი და ბრძენი, მაგრამ მრისხანე განმგებელი, სიკვდილის შემდეგ მიწისქვეშეთში აჩრდილთა მსაჯული.

⁵⁹ ტ ა ნ ტ ა ლ ო ს ი — ფრიგიის მეფე, რომელმაც ჯერ ღმერთების წყალობა დაიმსახურა: ღმერთებმა ნება დართეს მათ თათბირებსა და ნადიმებს დასწრებოდა ოლიმპოზე, შემდეგ კი რისხვა: დასასჯელად პადესში ჩააგდეს, სადაც ყელამდე წყალში დგას და წყურვილი კი ვერ მოუკლავს, მის ზემოთ ხილით დახუნძლული ტოტები ჰკივია, შიმშილისაგან კი სულს ლაფავს.

⁶⁰ ნ უ და ს ც ი ნ ი თ ა მ ვ უ ლ ქ ა ნ ს, რ ო მ კ ო ლ ო ბ ს — ვ უ ლ ქ ა ნ ი — ცეცხლისა და მკვდლობის ღმერთი რომში. იგივეა, რაც ბერძნული ჰეფესტო — ზევსისა და ჰერას შვილი. იგი სუსტი და მახინჯი დაიბადა და ამიტომ ჰერამ (ზოგი ვერსიით ზევსმა) ჩამოაგდო ოლიმპოდან და ჩაეარდნისას დაკოჭლდა. ჰეფესტომ შემდეგ კვლავ მოიპოვა ოლიმპოზე ყოფნის უფლება, დედას შეურიგდა და მას ესარჩლებოდა ხოლმე ზევსის წინაშე.

ერთხელაც განრისხებულმა ზევსმა ჰეფესტო კუნძულ ლემნოსზე ჩამოავდო და (ამ ვერსიით) სწორედ მაშინ დაკოჭლდა.

⁶¹ ვით ალფეოსი თვის არეთუსას — ალფეოსს — მდინარის ღმერთს (ამავე სახელწოდების მდინარეც არის პელოპონესში) თავდავიწყებით უყვარდა ნერეიდა — წყაროების ფერია არეთუსა და რადგან არ მოეშვა, არეთუსა თავდაცვის მიზნით წყაროდ იქცა, მაგრამ ალფეოსიც მდინარედ გარდაიქმნა და არეთუსა შენაკადად გაიხადა.

⁶² ციურ ელისეიონში, ვიდრე მიწაზე ჩამოვიდოდა — პლატონის მოძღვრებით („ფედონი“) საქაოში სულის ცხოვრებას წინ უსწრებს მისი უსაზღვრო არსებობა წინარე ელისეიონში და ასეთივე არსებობა მოსდევს შემდეგაც.

⁶³ სირიუსი... არქტუროსი — „უძრავი“ α — ვარსკვლავები.

⁶⁴ დიანა — არტემიდე, რომელიც ჰერკიდევ აღრე გაუთანაბრეს რომაულ დიანას, იყო არა მხოლოდ ტყისა და ნადირობის ქალწული ღმერთი, არამედ სიკვდილის ქალღმერთიც.

⁶⁵ გრაციები (ლათ.) — იგივე ბერძნ. ქარიტები — მომხიზლანის, სიკვალუტის და მხიარულების ღმერთქალები.

⁶⁶ დემოსთენე (384—322 წწ. ჩვ. წ. აღრ.-მდე) — სახელგანთქმული ათენელი მქვერმეტყველი, მაკედონელთა ბატონობის წინააღმდეგ და პოლისების თავისუფლებისათვის მებრძოლი. 322 წ. ათენელთა დამარცხების შემდეგ მაკედონელთა მხედართმთავარმა დემოსთენეს გაეცა მოითხოვა, მან ათენიდან გაქცევა შეძლო, მაგრამ კუნძულ კალავრიასზე პოსეიდონის ტაძარში იძულებული გახდა თავი მოეწამლა, რათა ტყვედ არ ჩავარდნილიყო.

⁶⁷ ოლიმპიონი — ოლიმპიელი ზევსის ტაძარი ათენში.

⁶⁸ პისისტრატესა და პიპარქეს ეპოქამდე — პისისტრატე — ათენის ტირანი (560—528 წწ. ჩვ. წ. აღრ.-მდე), ეყრდნობოდა უმიწო გლეხების, მწყემსებისა და დღიური მუშების პარტიას; მისი მმართველობისას ათენი ბერძნული ხელოვნებისა და მეცნიერების ცენტრად იქცა. პიპარქე — მისი ვაჟი და მემკვიდრე, მოკლეს 514 წ. (ჩვ. წ. აღრ.-მდე).

⁶⁹ ლაკედემონი — პელოპონესის ნაწილი, სპარტის სახელმწიფოს ძველი სახელწოდება.

⁷⁰ ლიკურგოსი — სპარტის ლეგენდარული კანონმდებელი, მისი კონსტიტუციის შემდგენელი (დაახლ. 820 წ. ჩვ. წ. აღრ.-მდე).

⁷¹ თეზევსი — თქმულების თანახმად, ატიკელი გმირი, ათენის დემოკრატიულ პოლიტიკურ დაწესებულებათა დამაარსებელი, მამის — ეგეოსის — გარდაცვალების შემდეგ თეზევსმა მმართველობის დემოკრატიული ფორმა შემოიღო და უარი თქვა სამეფო ძალაუფლებაზე.

⁷² გაოთები — აქ: ჩრდილოეთის ხალხები.

73 დ რ ა კ ო ნ უ ლ ი კ ა ნ ო ნ ე ბ ი — დ რ ა კ ო ნ ი — ათენელა არისტოკრატი კანონმდებელი (მე-7 საუკ. ჩ. წ. აღრ.-მდე), რომელსაც დაავალეს სამართლის კოდექსის შედგენა. დრაკონის მიერ შედგენილი კანონები არაჩვეულებრივად მკაცრი იყო (თვით წერილმანი ქურდობაც კი სიკვდილით ისჯებოდა). „დრაკონული სასჯელი“, „დრაკონული სიმკაცრე“ ფრაზისან გამოთქმებად იქცა.

74 ... რ ო ვ ო რ ც მ ი ნ ე რ ე ა ი უ პ ი ტ ე რ ი ს თ ა ვ ი დ ა ნ — ათენა, რომელიც აღრევე გაუთანაბრეს გონებისა და სიბრძნის, შემოქმედებითი უნარის რომაულ ღეთაებას — მიწერვას, მათის თანახმად, ზევსის (იუპიტერის) თავიდან იშვა: ზევსის პირველი ცოლი ოკეანდი მტრულა ფესქიშვდ იყო და ზევსს უწინასწარმეტყველეს: შვილი შენ გადააჭარბებს ძალითა და გონითო. მაშინ ზევსმა მეტიდა გადაყლაბა. ზაქუმმა კი მამის თავსი განავრძო განვითარება და ცოტა ხნის შემდეგ ჰეფესტომ ჩაქუჩის დარტყვით ქალა ახადა ზევსს და ქვეყნად ათენა იშვა.

75 თ ა ვ ი ს თ ა ვ შ ი გ ა ნ ს ხ ე ა ვ ე ბ უ ლ ი ე რ თ ი ა ნ ო ბ ა — მცირეაზიელი ბერძენი მატერიალისტი ფილოსოფოსის სერაკლიტეს (დაახლ. 540—475 წ. წ. ჩვ. წ. აღრ.-მდე) ეს თეზისა პლატონს მიაქვს „ნადიშში.“

76 ი ს ი ღ ა — ძველგვიპტური ღმერთქალი, ნაყოფიერების, დედობის, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ღეთაება; თავდაპირველად ტასტის (როგორც მეუფის დედის) ძალაუფლებას განასახიერებდა. მისი კულტი საბერძნეთსა და რომში გადაეღო, შემდეგ კი ბევრ სხვა ქვეყანაშიც გავრცელდა.

77 ლ ი კ ა ბ ე ტ ო ს ი — ციცაბო მალღობი აკროპოლისის ხილვლოეთით.

78 პ ა რ თ ე ნ ო ნ ... შ ე ნ ს ფ ე რ ხ თ ი თ ა ა ... ნ ე პ ტ უ ნ ი ს ს ა ბ რ ძ ა ნ ე ბ ე ლ ი — პ ა რ თ ე ნ ო ნ ი — ათენის აკროპოლისს უმთავრესი ნაგებობა — ათენის მარმარილოს ტაძარი (ავებულ იქნა 447—438 წ. წ. ჩვ. წ. აღრ.-მდე); შ ე ნ ს ფ ე რ ხ თ ი თ ა ა ნ ე პ ტ უ ნ ი ს ს ა ბ რ ძ ა ნ ე ბ ე ლ ი — ზღვის ღმერთ პოსეიდონსა (იგივე ნებტუნი) და ათენას შორის ბრძოლა წარმოებდა ატიკის მფლობელობისათვის და ათენა გამოვიდა გამარჯვებული.

79 ა გ ო რ ა დ ა ა კ ა დ ე მ ო ს ი ს კ ა ლ ა — ა გ ო რ ა — ბაზრის მოედანი, სადაც სახალხო კრებები ტარდებოდა და თავად სახალხო კრებათა სახელწოდებაც. ათენში აგორა ორია, ერთი საკუთრივ აგორა (აკროპოლისის ჩრდილო-დასავლეთით) და მეორე — რომაული აგორა (აკროპოლისის ჩრდილოეთით); ა კ ა დ ე მ ო ს ი ს კ ა ლ ა — ატიკელი გმირის — აკადემოსის საკულტო ადგილი. ის კალა ათენის გალავანს ეკვროდა. პლატონმა იქ ბაღი იყიდა და ათენში ფილოსოფოსთა პირველი სკოლა დააარსა (პლატონის აკადემია).

80 პ ი მ ე ტ ო ს ი დ ა პ ე ნ ტ ე ლ ე (ა ნ პ ე ნ ტ ე ლ ი კ ო

ნ ი) — მარშარლოს საბაღოების შემცველი მთები ათენის აღმოსავლეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით).

⁸¹ ს უ ნ ი ო ნ ი ს მ წ ვ ა ნ ე მ წ ვ ე რ ვ ა ლ ი — ატრკის უკიდურესი სამხრეთი კონცხი (შუა საბერძნეთი), რომელზეც პოსკიდონის ტაძრის ნანგრევებია შემონახული (მე-5 საუკ. ჩვ. წ. აღრ.-მდე).

⁸² ვ ი დ რ ე კ ლ ე ო პ ა ტ რ ა ს ე ი ნ ი ა ნ ო ბ ა, გაძღნარო მარგალიტები რომ დალია — კლეოპატრა — ეგვიპტის დედოფალი (69—30 წ. წ. ჩვ. წ. აღრ.-მდე). გადმოცემის თანახმად, სანაძლეოს მკვების მიზნით (ერთ ნადიმზე ათ მილიონ სესტერციას შევექცევით) ღვინის ძმარში გახეხილი (თუ; გახსნილი) მარგალიტები დალია.

⁸³ ა ნ გ ე ლ ე ს ქ ა ლ ე ბ ი ათენის აღმოსავლეთით მდებარეობს.

⁸⁴ უ ნ დ ა... შე ს ძ რ ა დ ე დ ა მ ი წ ა დ ა ს ი ც ო ც ხ ლ ე მ ო უ ე ლ ი ნ ო, ვ ი თ ი ე უ პ ი ტ ე რ ძ ა — ი ე უ პ ი ტ ე რ ი, რომელსაც ზევსთან იგივეებდნენ. ტეჭა-ქუხილის, საერთოდ ამინდისა და ნაყოფიერების ღმერთიც იყო.

⁸⁵ ა რ ა ბ მ ა ს ო ვ დ ა გ ა რ მ ა. — იეულისტება მაჰმადი (570—632 წ. წ.), მაჰმადიანობის დამაარსებელი, რომელიც ვიდრე ქადაგებას დაიწყო, ვაქარი იყო.

⁸⁶ რ ო გ ო რ კ პ ო ლ ი დ ე ვ ე მ ა ჩ უ ქ ა კ ა ს ტ ო რ ს — იხ. შენიშვნა ³⁶ დ ი ო ს კ უ რ ე ბ ი.

⁸⁷ ს ო ფ ო კ ლ ე (დაახლ. 496—406 წ. წ. ჩვ. წ. აღრ.-მდე) — ძველბერძენი დრამატურგი, ანტიკური წყაროების მოწმობით, ავტორი 123 პიესისა. ეპიგრაფი აღეზულია მისი ტრაგედიიდან „ოიდიპოსი კოლონოში“.

⁸⁸ კ ო რ ო ნ ი... მ ი ს ი ს ტ რ ა — ქალაქები სამხრეთ პელოპონესში.

⁸⁹ ტ უ ი ა ს, რ ო მ ე ლ შ ი ც მ ა ს ე ი ლ ი ი მ ა ლ ე ბ ო და — იხ. შენიშვნა ⁵⁷ პ ა რ მ ო დ ი ო ს ი და ა რ ი ს ტ ო გ ი ტ ო ნ ი.

⁹⁰ ა გ ი ს ი და კ ლ ე ო მ ე ნ ე — აგის I (244—241 წ. წ. ჩვ. წ. აღრ.-მდე) — სპარტის მეფე. ცდილობდა სოციალური რეფორმების ჩატარებას, მიწის ხელახალ დანაწილებას, სპარტული აღზრდის ხელახალ აღორძინებას, მაგრამ მოწინააღმდეგეებმა სიკვდილით დასაჯეს; კ ლ ე ო მ ე ნ ე III (235—222-21 წ. წ. ჩვ. წ. აღრ.-მდე) — აგრეთვე სპარტის მეფე, რომელმაც აგისის მიერ წამოწყებული რეფორმაციური რეფორმები განაგრძო, მიწა დაურიგა სპარტის მოქალაქეებს; აღადგინა ლიკურგოსის კონსტიტუცია და ა. შ., მაგრამ მთელ პელოპონესში გაბატონება მოიხურვა, ხელი მოეცარა, მაკედონელებსა და მათ მოკავშირეებთან ბრძოლაში დამარცხების შემდეგ ეგვიპტეში გაიქცა და იქ დაასრულა სიცოცხლე (219 წ. ჩვ. წ. აღრ.-მდე).

⁸¹ ეპიდავრიის მთები ნახევარკუნძულ არგოლიდის (პელოპონესი) აღმოსავლეთ სანაპიროს გასდევენ, რომლის სამხრეთი კიდე კუნძულ კალავრის პირდაპირ მდებარეობს. პოლდერლინი ამ ნიშებს ანტიკურა ქალაქის — ეპიდავროსის სახელის მიხედვით იხსენიებს.

⁸² დოდონეს ქალა — ზევის უძველესი საკულტო ადგილი და დელფოს შემდეგ ყველა განთქმული სამისნო ჩრდ. საბერძნეთშია. დოდონეს ქალაში ასწლოვანი წმინდა მუხა იდგა, რომლის ძირას წყარო გადმოიხეფდა. ქერემები ამ მუხის ფოთლების წრიალზე მკითხაობდნენ.

⁸³ პელოპიდა — თებელი მხედართმთავარი, რომელიც 379—371 წ. წ. ჩვ. წ. აღრ.-მდე სპარტის უღლიდან ქ. თებეს განთავისუფლებისათვის ბრძოლებს ედგა სათავეში, დიდი სიმამაცე გამოიჩინა და მიაღწია კიდეც მიზანს.

⁸⁴ კორონი... მოდონი — გამაგრებული ქალაქები პელოპონესის სანაპიროზე.

⁸⁵ პანაკეია — უნივერსალური საშუალება, რომელიც ყოველი მდგომარეობიდან იხსნის კაცს (თავდაპირველად ყოველისგანმკურნებელი წამალი, რის აღმოჩენასაც ალქიმეოსები ლამობდნენ (ნერძნ. მიოლოგიაში პანაკეია მკურნალობის ქალღმერთი იყო).

⁸⁶ ნავარინი (ნევიარინო) — დღევანდელი ქ. ფილოსი პელოპონესის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე.

⁸⁷ ...ეიდრე მარათონი, თერმოპილე და პლატეა — გეოგრაფიული პუნქტები, სადაც ბერძნებს სახელოვანი ბრძოლები გადახდომიათ: მარათონთან მათ სპარსელები დაამარცხეს (490 წ. ჩვ. წ. აღრ.-მდე); თერმოპილეს ვიწროში 480 წ. ჩვ. წ. აღრ.-მდე ბერძნების მცირერიცხოვანმა რაზმმა ვიწროვი წინააღმდეგობა გაუწია სპარსელთა დიდძალ ჯარს; პლატეასთან კელავ სპარსელებზე იზეიმეს გამარჯვება (479 წ. ჩვ. წ. აღრ.-მდე).

⁸⁸ მორეა — პელოპონესის ხალხური სახელწოდება საშუალო საუკუნეებში.

⁸⁹ ტრიპოლისა (დღეს: ტრიპოლისი) — ქალაქი პელოპონესის ცენტრში.

⁹⁰ პოლიქსენე — ტროის მეფის, პრიამოსისა და პეკაბეს ასული ტროის აღების შემდეგ ტყვედ ჩაიგდეს და აქილევის აჩრდილის მოთხოვნით მას მსხვერპლად შესწირეს. ეს მითი ევრიპიდემ დაამუშავა ერთ-ერთ ტრაგედიაში.

⁹¹ ჩესმეს ყურეში იდგნენ — ჩესმე (ან ჩეშმე) ქალაქია მცირე აზიის სანაპიროზე კუნძულ ქიოსის გასწვრივ, ბრძოლა 1770 წ. მოხდა.

⁹² პაროსი — კუნძული ეგეოსის ზღვაში.

⁹³ ილისოსის ნეკერახალი — მდინარე ილისოსის

პირას (ათენის მიდამოები) იდგა ნეკერჩხალი, რომლის ქვეშაც საუბრობდნენ სოკრატე და ფედროსი სიყვარულზე (პლატონის „ფედროსის“ მიხედვით).

¹⁰⁴ კ ა პ ე რ ი — კერძო მფლობელის ხომალდი, რომელიც თავისი ქვეყნის ნებათვით მოწინააღმდეგის (ან ნეიტრალური ქვეყნის) კონტრაბანდული საქონლით ან საქურვლით დატვირთულ სავაჭრო გემებს სდევნიდა.

¹⁰⁵ დ ე ლ ფ ო შ ი ე ი ნ ა ტ რ ი დ ი წ ა ს ვ ლ ა ს — დ ე ლ ფ ო შ ი (ფოკიდა), პარნასის სამხრეთ ფერდობზე, სახელგანთქმული სამისნო და აპოლონის ტაძარი იყო.

¹⁰⁶ პ ი თ ი ა — აპოლონის სამისნოს ქერუმი დელფოში — ქალწულის ტანსაცემში გამოწყობილი ხანდაზმული ქალი, რომელიც ექსტაზში ვარდებოდა (ჩამოშლილი კლდიდან გამოშავლა აირის ზეგავლენით) და აპოლონის ნება-სურვილს იუწყებოდა.

¹⁰⁷ დ ი ა დ ი რ ო მ ა ე ლ ი ქ ა ლ ი კ ი მ დ უ მ ა რ ე დ მ ო კ ე დ ა — 42 წ. ჩვ. წ. აღრ.-მდე ბრუტუსის მეუღლე პორციკა, რომელიც ქმარივით ძველი რომის რესპუბლიკური წყობის მხურვალე მომხრე იყო, ბრუტუსის დამარცხებისა და თვითმკვლელობის შემდეგ თვითონაც თავი მოიკლა. როგორც პლუტარქე მოგვითხრობს ბრუტუსის ბიოგრაფიაში, პორციკამ რამდენჯერმე სცადა თვითმკვლელობა, მაგრამ შეგობრებმა იხსნეს, მაშინ მან გაეარვარებული ნაკვერჩხლები გადაყლაპა და პირმოკუმელმა დალია სული.

¹⁰⁸ ტ უ ი ს გ ე ი რ გ ე ი ნ ი ან მისი ტოტი ძველად სიწყნარისა, მშვიდობისა და ტკობა-ნეტარების სიმბოლოდ ითვლებოდა.

¹⁰⁹ ი ი ს ფ ე ს ვ ი — ზამბახის ძირი, რომელსაც იის სუნის გამო უწოდებდნენ იის ფესვს და კბილების ამოსვლისას ჩვილ ბავშვებს აძლევდნენ გამხმარს დასაღებად.

¹¹⁰ მ შ ვ ე ნ ი ე რ ი ქ ა ლ მ ე რ თ ი, რ ო მ ე ლ მ ა ე ო დ ე ს ღ ა ე ა დ ო ნ ი ს ი დ ა ი ტ ი რ ა — ბერძნ. მითების მიხედვით, ადონისი პირმშვენიერი მირას (ანუ სმირნას) და კეიპროსის მეფის ვაჟია. ულამაზესი ყმაწვილი პატარაობიდანვე აფროდიტეს შეუყვარდა, მშობლებს წაართვა და პერსეფონეს (მიწისქვეშეთის მფლობელს) მისცა აღსაზრდელად. როცა ადონისი გაიზარდა, პერსეფონესა და აფროდიტეს შორის ატეხილი დავა ზევსმა ასე გადაწყვიტა: ერთი მესამედი დრო ადონისს აფროდიტესთან უნდა გაეტარებინა, ერთი მესამედი — პერსეფონესთან და ერთი თავის ნებაზე. ადონისი ნადირობისას გარეულმა ტახმა დაგლიჯა, მისი სისხლის წვეთებიდან ვარდები აღმოცენდნენ, ხოლო აფროდიტემ მწარედ დაიტირა საყვარელი ქაბუკი.

¹¹¹ პ რ ო კ რ უ ს ტ ე — გზად ჩასაფრებული გოლიათი ავაზაკი დამასტოსი (მეტსახელად პროკრუსტე — „გამჭიმავი“) თავის მსხვერპლთ საწოლში აწვენდა, ვინც უფრო გრძელი აღმოჩნდებ-

ბოდა, ზედმეტ სიგრძეს აკრიდა, ხოლო ვინც მოკლე, სკიმავედა და ესე ხოცავდა.

¹¹² დ ი ა დ ი ს ი ც ი ლ ი ე ლ ი — ემპედოკლე აკრაგანტელი (მე-5 საუკ. ჩვ. წ. აღრ.-მდე) — გამოჩენილი ნატურფილოსოფოსი. არსებობს მისი ეტნაში გადაშეებისა და თავის მოკვლის ლეგენდა. „ჰიპერიონის“ 11 ტომს რომ ამთავრებდა, პოლდერლინს უკვე ჩაფიქრებული ჰქონდა ემპედოკლეზე ტრაგედიის დაწერა.

¹¹³ წ მ ი ნ დ ა კ ა ლ ა მ შ ე ი ფ ა რ ა და... მ შ ვ ე ნ ი ე რ ნ ი ს უ ლ ნ ი შ ე ე გ ე ბ ნ ე ნ — უსინათლო ოიდიპოსი თეზევსმა მიიღო ათენიან ევმენიდების კალაში (ერინიებს — შურისძიების კალღმერთებს, როგორც ცოდვათა მიმტვევებლებს. შოგვიანებით ევმენიდებსაც — კეთილად განწყობილებსაც უწოდებდნენ ევფემისტურად).

¹¹⁴ პ რ ო ტ ე ვ ს ი — პოსეიდონის ხელქვეითი, ზღვის ღმთაებე; რაგინდარა სახის მიღებისა და წინასწარმეტყველების უნარი ჰქონდა. მენელაოსმა (სპარტის მეფე, ტროის გმირი) ომის შემდეგ, როდესაც მშვენიერ ელენესთან ერთად შინ ბრუნდებოდა, იგი მძინარე შეიპყრო და პროტევსი მასთან თავგანწირულ ბრძოლაში ხან ლომად, ხან გველეშაპად, ხან ჭიჭად, ხან კიდევ მდინარედ გადაიქცა.

ქარლო ჯორჯანელი.

ს ა რ ა რ ა

ნ. კაკაბაძე „ფრაგრაჟ პოლდეილინი“ და მისი როლი „პიპერიონი“	5
I ტომი	19
წინათქმა	17
პირველი წიგნი	20
მეორე წიგნი	63
II ტომი	120
პირველი წიგნი	120
მეორე წიგნი	157
კომენტარები	201

რედაქტორი ნ. კაკაბაძე
კოლეგიის რედაქტორი თ. პატარაია
გამომცემლობის რედაქტორი ი. ლეჟავა
მხატვარი ი. შეყილაძე
მხატვრული რედაქტორი კ. ფაჩულია
ტექნიკური რედაქტორი თ. ნათიშვილი
კორექტორები ნ. ლოლაძე, ე. ჩიკაშუა, ნ. ლომაძე

ს.ბ. — 062

ჩაბარდა წარმოებას 9.03.81 წ. ხელმოწერილია საბეჭდად 10.10.82 წ.
ფორმატი 84×108¹/₃₂. ქალაქი საბეჭდი №2. გარნიტურა კოლხეთი.
ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 11,55. სააღრ.-
სავამ. ფურცელი 9,9. ტირაჟი 100.000 ეგზ. შეკ. № 3281

ფასი 86 კაპ.

გამომცემლობა „მერანი“ რუსთაველის 42
თბილისი, 1982 წ.